ძიება

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4.1972

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных наук

თბილისი · 1972 · ТБИЛИСИ

ᲫᲐᲪᲕᲜᲔ

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4.1972

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე ვ. გაბაშვილი,
ი. **კაჭარავა** (რედაქტორის მოადგილე), **რ. კიკნაძე** (რედაქტორის მოადგილე),
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. **ჭილაშვილი**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*).
Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაკიძე
Ответственный секретарь **Э. Вашакидзе**

შინაარსი

სსრ კავშირის 50 წლისთავი

წერილები

მ. ნათელაძე, ეროვნებათა თანასწორობის ლენინური იდეების ზეიმი . . 7
ა. ებრალიძე, კომუნისტური პარტიის თეორიული პრინციპები და პროგრამული დებულებანი ეროვნულ საკითხში 15
ნ. მერკვილაძე, სსრ კავშირის შექმნა და განმტკიცება კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაა 28
ლ. ჩიქავა, სსრ კავშირის შექმნის მნიშვნელობა საბჭოთა ხალხების ეკონომიკისა და კულტურის აღმაყლობისათვის 45
ი. ბაბალაშვილი, საბჭოთა კავშირის შექმნის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის 56
ა. ლეჟავა, ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში ქართველ რევოლუციონერთა მონაწილეობის შესახებ . 73

ბ. ჩხაიძე, ირიგაცია საქართველოში (1801—1921 წწ.) . . . 82
ჯ. ვათეიშვილი, ირანის აგრესიის წინააღმდეგ რუსეთ-საქართველოს საბრძოლო თანამშეგობრობის ისტორიიდან (1800 წ. კაკაბეთის ომი) . . . 97

ცნობები და შენიშვნები

ზ. ალექსიძე, არსენი საფარელის ტრაქტატის — „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ — კრიტიკისათვის 113
ზ. ბუნიატოვი, მასალები საქართველოს ისტორიის შესახებ ყუთბ ად-დინ ალ-იუნინის ნაწარმოებში „ზაილ „მირ'ათ აზ-ზამან“ . . . 128
თ. ქუთელია, ზაგეში მოჭრილი მონეტები . . 133

პუბლიკაცია

ვ. სილოგავა, ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში 143

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

რ. კოჭლავაზაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ისტორია დოკუმენტებში 167
მ. ცინცაძე, ზ. ანჩაბაძე, საყურადღებო გამოკვლევა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიიდან 173

ქრონიკა და ინფორმაცია

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალები 179

СОДЕРЖАНИЕ

50-летие СССР

СТАТЬИ

М. НАТМЕЛАДЗЕ, Торжество ленинских идей равноправия национальностей 7

А. ЭБРАЛИДЗЕ, Теоретические принципы и программные положения коммунистической партии по национальному вопросу . . 15

В. МЕРКВИЛАДЗЕ. Создание и укрепление Союза ССР — победа национальной политики Коммунистической партии 28

Л. ЧИКАВА, Значение образования СССР для подъема экономики и культуры советских народов 45

И. БАБАЛАШВИЛИ, Значение образования СССР для укрепления обороноспособности страны 56

А. ЛЕЖАВА, Об участии грузин-революционеров в борьбе за победу Советской власти на Северном Кавказе 73

Г. ЧХАИДЗЕ, Ирригация в Грузии (1801—1921 гг.) 82

Дж. ВАТЕИШВИЛИ, Из истории грузино-русского боевого содружества против иранской агрессии (Какабетское сражение 1800 г.) 97

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

З. АЛЕКСИДЗЕ, К критике трактата Арсения Сапарского «О разделении Картли и Армении» 113

З. БУНИЯТОВ, Материалы по истории Грузии в сочинении Кутб ад-Дина ал-Йунини «Зайл «Мир'ат аз-заман» 128

Т. КУТЕЛИА, Монеты, чеканенные в Загеми 133

ПУБЛИКАЦИЯ

В. СИЛОГАВА, Памятники грузинского права в лапидарных надписях Западной Грузии 143

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Р. КОЧЛАМАЗАШВИЛИ, История социалистического преобразования сельского хозяйства Грузии в документах 167

М. ЦИНЦАДЗЕ, З. АНЧАБАДЗЕ, Ценный труд из истории народов Северного Кавказа 173

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Материалы посвященные 50-летию образования Союза Советских Социалистических Республик . . . 179

სსრ კავშირის 50 წლისთავი

მაყვალა ნათმელაძე

ეროვნებათა თანასწორობის ლენინური იდეების ზეიმი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნამ ფუძე დაუდო ხალხთა სახელმწიფოებრივი ისტორიის ახალ ეტაპს, წარმოიშვა მსოფლიოში პირველი მრავალრიცხოვანი სოციალისტური სახელმწიფო. იგი სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფოა, რომელიც ემყარება არა ცალკეულ სახელმწიფოთა ხელოვნურ შეკოწიწებას, არამედ სუვერენულ სახელმწიფოთა თანასწორუფლებიან და ნებაყოფლობით სახელმწიფოებრივ კავშირს. ასეთი კავშირის შექმნა დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოებს თვით ცხოვრებამ უკარნახათ. იგი საბჭოთა ხალხის განვითარების ისტორიული კანონზომიერებაა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შეიქმნა პირობები ბოლშევიკური პარტიის ლენინური ეროვნული პროგრამის თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკული ამოცანების ხორცშესხმისათვის, განთავისუფლებული ხალხების მონოლითური, საკავშირო სახელმწიფოს შექმნისათვის, რომელიც ერების ურთიერთნდობასა და ძმურ მეგობრობაზე იქნებოდა დაფუძნებული.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ყოფილ რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეების ხალხთა ბედში ძირეული მობრუნებაა. არარუსმა ხალხებმა თავი დააღწიეს ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ეკონომიურ, სოციალურ, ეროვნულ ჩაგვრას და აღორძინების გზას დაადგნენ. რუსეთის სახელმწიფოსთან ადრე ჩაგრულ ხალხთა საუკუნოებრივი თანაცხოვრების ტრადიცია ძლიერი იყო, რუსეთის ეკონომიური ცხოვრების ორბიტაში ჩართული არარუსი ხალხები მჭიდროდ აღმოჩნდნენ რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულნი. ეს გარემოება მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა განთავისუფლებული ხალხების ნებაყოფლობითი დაკავშირება-თანამშრომლობისათვის.

ასეთ რეალურ საფუძველთან ერთად ახლადწარმოშობილი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება-კავშირს დიდი სიძნელეებიც ახლდა. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, რუსეთში მოსახლე ერებს შორის ცარიზმის მიერ გაღვივებული შუღლი და უნდობლობა, დიდმპყრობელური შოვინიზმი და ადგილობრივი ნაციონალიზმი. გაერთიანებას დაბრკოლებას უქმნიდა აგრეთვე სოციალ-ეკონომიური განვითარების სხვადასხვა დონეზე მდგარი ხალხების დიდი რაოდენობა. აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობეს ყველასათვის მისაღები სახელმწიფოებრივი გაერთიანების — ერთიანი სოციალისტური სახელმწიფოებრივი ფორმის ძიება. იგი აღმოაჩინა ვ. ი. ლენინმა, როგორც საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი კავშირი.

მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს წარმოქმნას საფუძვლად ედო ბოლშევიკური პარტიის ლენინური ეროვნული პროგრამა, რომელიც

სხვადასხვა ეროვნების რევოლუციურ ძალთა ერთიანობას თვლიდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების პირობად. ვ. ი. ლენინი არაერთგზის აქცევდა ყურადღებას იმ ფაქტს, რომ მეფის რუსეთის სხვადასხვა ეროვნების მუშები მოღვაწეობდნენ ერთიან სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. ამას ლენინი თვლიდა ეროვნული საკითხის პროლეტარულ გადაწყვეტად, ერთადერთ მართებულ გადაწყვეტად. ამიტომ ბოლშევიკური პარტია თავიდანვე ზრდიდა სხვადასხვა ეროვნების რევოლუციურ ძალებს ინტერნაციონალიზმისა და ძმური სოლიდარობის გრძნობით. „ჩვენ მოვითხოვთ ჩაგრული ერების თვითგამორკვევის თავისუფლებას — წერდა ვ. ი. ლენინი 1915 წელს, ე. ი. დამოუკიდებლობას, ე. ი. გამოყოფის თავისუფლებას... იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა დიდი სახელმწიფოები და ერების დაახლოება... ოღონდ კი ჭეშმარიტად დემოკრატიულ, ჭეშმარიტად ინტერნაციონალურ ბაზაზე, რაც წარმოუდგენელია გამოყოფის თავისუფლების გარეშე“[1]. ბოლშევიკური პარტიის ეს პროგრამული დებულება საფუძვლად დაედო განთავისუფლებული ერების შეკავშირება-გაერთიანებას, მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნას.

საბჭოთა რუსეთის მთავრობა თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე თანმიმდევრულად იცავდა ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობას, რაც მკაფიოდ აისახა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების უმალვე, 1917 წლის 15 ნოემბერს — მიღებულ „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციაში, მიმართვაში „აღმოსავლეთის და რუსეთის ყველა მუსლიმანი მშრომელებისადმი“ (1917 წლის 3 დეკემბერი) და „მშრომელთა და ექსპლოატირებულ ხალხთა უფლებების დეკლარაციაში“, რომელიც მიიღო სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების III ყრილობამ 1918 წლის 25 იანვარს.

„მშრომელთა და ექსპლოატირებულ ხალხთა უფლებების დეკლარაციაში“ განისაზღვრა პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკური საფუძვლები. რუსეთი გამოცხადდა საბჭოების რესპუბლიკად, რომელიც იქმნებოდა თავისუფალ ეროვნებათა კავშირის საფუძველზე, როგორც საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ფედერაცია. ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში „რუსეთის რესპუბლიკის ფედერალურ დაწესებულებათა შესახებ“ მოცემულია რუსეთის საბჭოთა ფედერაციის კონსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებდა თავისებური გეოგრაფიული, ყოფითი თუ ეროვნული შემადგენლობით გამორჩეული ცალკეული ეროვნული ოლქების ფედერალურ მმართველობაში მონაწილეობას, აგრეთვე რუსეთის რესპუბლიკის ფედერალურ და საოლქო დაწესებულებათა შორის მოღვაწეობის სფეროს გამიჯვნას და ა. შ.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, განსხვავებით ბურჟუაზიული ფედერაციისაგან, დაფუძნებული იყო ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიზაციის პრინციპებზე. მასში ნებაყოფლობით შემავალი თანასწორუფლებიანი სახელმწიფოები — ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ეროვნული ოკრუგები მთელ რიგ საკითხებში ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას იმასთან ერთად, რომ ქმნიდნენ ფედერალურ სახელმწიფო ორგანოებს.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 21, გვ. 506.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა იყო პირველი ნაბიჯი ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისა, რომელსაც საფუძვლად ედო საბჭოთა ავტონომიისა და სოციალისტური ფედერაციის ლენინური პრინციპები. ამან აქცია რუსეთის ფედერაცია მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ნიმუშად, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს პროტოტიპად. 1922 წლისათვის რსფსრ რესპუბლიკა აერთიანებდა 10 ავტონომიურ რესპუბლიკას და 11 ავტონომიურ ოლქსა და ეროვნულ ოკრუგს.

რსფს რესპუბლიკის შექმნით დასრულდა საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა გამაერთიანებელი მოძრაობის პირველი ეტაპი, რომელიც ქრონოლოგიურად 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის შუახანებამდე პერიოდში თავსდება.

1918 წლის შუახანებიდან დაიწყო მეორე ეტაპი გამაერთიანებელი მოძრაობის, როდესაც შეიქმნა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო კავშირი, ამ კავშირის შექმნა ქვეყნის საგარეო და საშინაო მდგომარეობამ, სამოქალაქო ომის პირობებმა მოითხოვა. ორი ანტისაბჭოთა ძალის - საშინაო და საგარეო კონტრრევოლუციის გაერთიანებამ რუსეთი ომის ხანძარში გაახვია, საფრთხე შეექმნა სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს, მაგრამ საბჭოთა რუსეთმა შესძლო საერთაშორისო იმპერიალიზმის შემოტევების მოგერიება. პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამ, გერმანიისა და მისი მოკავშირეების სრულმა მარცხმა, რევოლუციების შედეგად მონარქისტული რეჟიმების დამხობამ გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში, ხელი შეუწყო ბრესტის მძარცველური ზავის გაუქმებას. საბჭოთა რუსეთის წითელ არმიას შესაძლებლობა მიეცა დახმარება გაეწია აჯანყებული ბელორუსიის, უკრაინის, შუაზიისა და ამიერკავკასიის ხალხებისათვის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნულმა სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის მონაპოვრის დაცვა-განმტკიცებაში სამოქალაქო ომის წლებში. ამ კავშირის შემდგომ განმტკიცებას კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში მოითხოვდა ახლად წარმოქმნილი საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის ინტერესები. რკპ (ბ) X ყრილობა (1921 წლის მარტი) მიუთითებდა, რომ „თავისი“ და „უცხო“ ბურჟუაზიისაგან განთავისუფლებულ ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ თავიანთი არსებობის დაცვა და იმპერიალიზმის შეერთებულ ძალებზე გამარჯვება, თუ ისინი მჭიდრო სახელმწიფოებრივ კავშირად გაერთიანდებიან, ანდა ისინი სრულებით ვერ გაიმარჯვებენ[2]. საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული რესპუბლიკების არსებობა-განმტკიცებისათვის. იგი თვით ცხოვრებით ნაკარნახევი გამაერთიანებელი მოძრაობის მონაპოვარი იყო.

1920 წლის ბოლოდან დაიწყო საბჭოთა რესპუბლიკების გამაერთიანებელი მოძრაობის მესამე ეტაპი, რომელიც გაგრძელდა 1922 წლის შუახანებამდე. ამ პერიოდში სახალხო მეურნეობის აღდგენის ვითარებაში სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეივსო ეროვნული რესპუბლიკების სამეურნეო კავშირით. ამ კავშირის შექმნის ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენდა 1920 --1922

---

[2] სკკპ... რეზოლუციებში, ნაწ. 1, გვ. 717.

წლების სახელშეკრულებო ურთიერთობანი. 1920 წლის დეკემბერში რსფს რესპუბლიკასთან უკრაინის, 1921 წელს ბელორუსიისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მიერ დადებული სამოკავშირო ხელშეკრულებანი ითვალისწინებდნენ მათ შორის სამხედრო და ეკონომიურ თანამშრომლობას.

საბჭოთა რესპუბლიკების გამაერთიანებელი მოძრაობის ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო-პოლიტიკური კავშირი. 1922 წლის 22 თებერვალს რსფსრ, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, უკრაინის, ბელორუსიის, ბუხარისა და შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკებს შორის გაფორმდა ოქმი, რომლის თანახმად რსფს რესპუბლიკას გადაეცა საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლობა საერთო ევროპულ კონფერენციაზე გენუაში (1922 წლის აპრილ-მაისი), ფაქტიურად 8 საბჭოთა რესპუბლიკის დიპლომატიურმა კავშირმა შეუწყო ხელი საბჭოთა ქვეყანაზე იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მხრივ პოლიტიკური და ეკონომიური ზემოქმედების ცდის მარცხს. მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკის კავშირი რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, რომელიც 1920—1922 წლებში ხორციელდებოდა კონვენციის საფუძველზე, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური მშენებლობის გაშლისათვის საჭირო წანამძღვრების შექმნის ამოცანებს მთლიანად ვეღარ პასუხობდა. ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკის შინაგანი სამეურნეო მდგომარეობა — მცირე მატერიალური რესურსების, მიმოსვლის საშუალებათა, ფინანსურ ღონისძიებათა ერთიანობა გადაჭრით აყენებდა საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო სახელმწიფოებრივი და ეკონომიური კავშირის შექმნას. ეს მით უფრო უცილობელი იყო, რადგან ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკები სოციალ-ეკონომიური განვითარების სხვადასხვა დონეზე იდგნენ, ზოგიერთი ხალხი კაპიტალიზმამდელი სტადიის — ნახევრადფეოდალური და თვით გვაროვნული წყობილების საფეხურზეც კი იმყოფებოდნენ. საბჭოთა რესპუბლიკებს შორის კავშირის საფუძვლად არ გამოდგებოდა გამაერთიანებელი მოძრაობის არსებული ტენდენციები, საჭირო იყო გაერთიანების ისეთი ფორმის გამოძებნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ეროვნული საკითხის გადაჭრას, ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის განმტკიცებას.

ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ იდგა ამიერკავკასიაში, სადაც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების სამწლიან ბატონობას უკვალოდ არ ჩაუვლია. სამეურნეო დაქვეითება-დაცემასთან ერთად მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელთა მმართველობისას დაირღვა ამიერკავკასიის ხალხებს შორის ადრე არსებული კავშირ-ურთიერთობა. აღნიშნულ საკითხზე გაამახვილა ყურადღება ი. ბ. სტალინმა თავის მოხსენებაში 1921 წლის 6 ივლისს თბილისის აქტივის კრებაზე „კომუნიზმის მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიაში“. ამიერკავკასიის კომუნისტების ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანას წარმოადგენდა ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში სოციალისტური მშენებლობის გასაადვილებლად.

ვ. ი. ლენინი თავის წერილებში ამიერკავკასიის კომუნისტებისადმი საჭიროდ თელიდა ადგილობრივი სახსრების, სამეურნეო რესურსების გაერთიანებას, „საოლქო სამეურნეო ორგანოს“ შექმნას. ეს კი შესაძლებელი იყო

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ფედერაციული კავშირის შეკვრის საფუძველზე. ამ იდეის განხორციელების წინააღმდეგ გაილაშქრა ნაციონალ-უკლონიზმმა, რომლის მავნე პოზიციას მხარს უჭერდნენ შინაური და გარეშე მტრები. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დასძლია ნაციონალ-უკლონისტთა ანტიპარტიულ ოპოზიციას და 1922 წლის მარტში სომხეთთან და აზერბაიჯანთან შეკრა ფედერაციული კავშირი. მაგრამ რამდენიმე თვის გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ ფედერაციულ კავშირს არ ძალუძდა თავის გართმევა სოციალისტური მშენებლობის ამოცანებისათვის ამიერკავკასიაში, ამიტომ ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე 1922 წლის 10 დეკემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ამრიგად, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის გვერდით შეიქმნა, ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა, რომელთა მშენებლობის პრინციპები ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული იყო. სახელდობრ, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა შეიქმნა „ავტონომიზაციის“ ფორმით — იგი შეადგინეს ისეთმა ეროვნულმა სახელმწიფო ერთეულებმა, რომელთაც უწინარეს ამისა არ გააჩნდათ საკუთარი სახელმწიფოებრივობა, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა კი შექმნეს დამოუკიდებელმა სუვერენულმა სახელმწიფოებმა, რომელთა გაერთიანებას საფუძვლად ედო საბჭოთა რესპუბლიკების სახელშეკრულებო ურთიერთობა.

1922 წლის შუახანებიდან დაიწყო გამაერთიანებელი მოძრაობის მეოთხე — დამამთავრებელი ეტაპი, რომელიც 1922 წლის ბოლომდე გაგრძელდა.

მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის ფორმის ძიებისათვის უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა ეროვნული სახელმწიფოებრივობის მშენებლობის გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას. რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულების საკითხის შესასწავლად სპეციალური კომისია შეადგინა. ამ კომისიაში ი. ბ. სტალინმა შეიმუშავა „ავტონომიზაციის“ თეზისების პროექტი, რაც ნიშნავდა უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის გაერთიანებას რსფს რესპუბლიკასთან „ავტონომიზაციის“ ფორმით. ხსენებული პროექტი დაეგზავნა ყოველ საბჭოთა რესპუბლიკას „განსახილველად“. „ავტონომიზაციის თეზისების პროექტი“ არ გაიზიარეს მხოლოდ საქართველოსა და უკრაინის კომუნისტური პარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ მისაღებად სცნო თეზისები „ავტონომიზაციის“ შესახებ. ვ. ი. ლენინმა არ მიიჩნია სწორად კომისიის გადაწყვეტილება და 1922 წელს 27 სექტემბერს სპეციალურ წერილში პოლიტბიუროს წევრებისადმი უარყო საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების კომისიის პროექტი და წამოაყენა წინადადება საბჭოთა რესპუბლიკების თანასწორუფლებიანი და ნებაყოფლობითი გაერთიანებისა ერთ სახელმწიფოებრივ კავშირში. ვ. ი. ლენინის მიერ მიგნებული ახალი სახელმწიფოებრივი ფორმის პრაქტიკულად განხორციელებისათვის შექმნილმა კომისიამ ი. ბ. სტალინის, გ. ორჯონიკიძის, ა. მიასნიკოვისა და სხვათა შემადგენლობით, შეიმუშავა საკავშირო სახელმწიფოს შექმნის ახალი პროექტი, რომელიც მოიწონა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 6 ოქტომბერს. ხსენებული გადაწყვეტილება ერთსულოვნად იქნა მიღებული უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, საბჭოების

ყრილობების მიერ. სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობამ 1922 წლის 23 დეკემბერს ფართოდ განიხილა ი. ბ. სტალინის მოხსენება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის თაობაზე. ყრილობამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სუვერენული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანების საფუძველს შეადგენდა თანასწორუფლებიანობისა და ნებაყოფლობის პრინციპი, ამასთან ყოველი საბჭოთა რესპუბლიკა იტოვებდა „კავშირიდან" თავისუფალი გასვლის უფლებას. სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობამ აირჩია დელეგაცია საბჭოების საკავშირო ყრილობაზე. დელეგაციას დაევალა ამიერკავკასიის სფსრ, უკრაინის და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დელეგაციებთან ერთად შეემუშავებინათ დეკლარაციის პროექტი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ, დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების გამაპირობებელ გარემოებათა დასაბუთებით. რსფსრ დელეგაცია უფლებამოსილი იყო დაედო ხელშეკრულება ერთიან საკავშირო სახელმწიფოში შესვლის გამო ზემოხსენებულ საბჭოთა რესპუბლიკებთან.

ასე მომზადდა ნიადაგი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნისათვის. 1922 წლის 29 დეკემბერს მოსკოვში მოწვეულმა რსფსრ, ამიერკავკასიის სფსრ, უკრაინისა და ბელორუსიის სოციალისტური რესპუბლიკების საბჭოების ყრილობებზე არჩეულ სრულუფლებიან დელეგაციათა კონფერენციაზე განხილულ იქნა დეკლარაციისა და ხელშეკრულების პროექტები, ხოლო მათზე ხელმოწერის აქტი გადატანილ იქნა 30 დეკემბრისათვის. ამ დღეს გაიხსნა საბჭოების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელსაც დაესწრო 2215 დელეგატი — გაერთიანების მონაწილე საბჭოთა რესპუბლიკების ყველა ეროვნების წარმომადგენელი. ყრილობამ საპატიო თავმჯდომარედ აირჩია საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი და კომუნისტური პარტიის ბელადი — ვ. ი. ლენინი და მისალმება გაუგზავნა მას.

ყრილობაზე მოხსენებით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ, გამოვიდა ი. ბ. სტალინი. მან შეაჯამა საბჭოთა ხელისუფლების განვითარების შედეგები და დაწვრილებით განიხილა საკავშირო სახელმწიფოს შექმნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური წანამძღვრები.

საბჭოების პირველმა საკავშირო ყრილობამ მიიღო დეკლარაცია, რომელმაც მთელ მსოფლიოს ამცნო მრავალეროვანი სოციალისტური საკავშირო სახელმწიფოს შექმნა, და ხელშეკრულება, რომლის შინაარსი შეიცავს მრავალეროვანი სახელმწიფოს ხელისუფლების პრინციპების დახასიათებას, საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენობის განსაზღვრას, სუვერენულ უფლებათა ნაწილზე ნებაყოფლობით და თანაზომიერად ხელის აღებას საკავშირო სახელმწიფოს სასარგებლოდ. დაწესდა საკავშირო სახელმწიფოს გერბი, დროშა და დედაქალაქი.

ყრილობის შემდეგ გაიშალა მუშაობა საკავშირო სახელმწიფო აპარატის მშენებლობისა და კონსტრუქციის შესაქმნელად. მრავალეროვანი სახელმწიფოს პირველ კონსტიტუციას საფუძვლად დაედო ზემოხსენებული დეკლარაცია და ხელშეკრულება. კონსტიტუციის პროექტი, რომელიც სპეციალურმა საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა განიხილა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიამ, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების საბ-

ჭოების ყრილობების მოწონების შემდეგ, იგი დამტკიცებულ იქნა საბჭოების მეორე საკავშირო ყრილობაზე 1924 წლის 31 იანვარს. ამით დასრულდა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს-პროლეტარული ფედერაციის უმაღლესი ფორმის კონსტიტუციური გაფორმება.

სსრ კავშირის კონსტიტუციაში განისაზღვრა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი სტრუქტურა. 1923 წლის ივლისში სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში ეროვნებათა საბჭოს შექმნის შემდეგ გაუქმებულ იქნა ეროვნებათა სახალხო კომისარიატი, რომელმაც წარმატებით შეასრულა თავისი მისია ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების შექმნისა და შემდგომ საკავშირო სახელმწიფოს მშენებლობისა.

სოციალისტური მშენებლობის შემდგომ წლებში საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შევიდნენ ახალი საბჭოთა რესპუბლიკები — უზბეკეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის სოციალისტური რესპუბლიკები, ხოლო 1937 წელს ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების შემდეგ აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი უშუალოდ შევიდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. 30-იანი წლების მიწურულს საკავშირო სახელმწიფო შეივსო მოლდავეთის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის, შემდეგ აგრეთვე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებით. სადღეისოდ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია 15 მოკავშირე რესპუბლიკა, 20 ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა, 8 ავტონომიური ოლქი და 10 ეროვნული ოკრუგი. აღნიშნულ და სხვა მოვლენებთან დაკავშირებით, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში 1936 წლის შემდეგ, შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებანი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში. ეს ცვლილებანი ეხებოდა სსრ კავშირის შემადგენლობის დაზუსტებას, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის განმტკიცებას და მათი უფლებების გაფართოებას, სახელმწიფო ორგანოების სისტემის სრულყოფას და საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობის დაზუსტებას. მაგრამ ეს ცვლილება-დამატებანი სრულად მაინც ვერ ასახავენ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების ცვლილებას, რის გამოც სკკპ XXI და XXIII ყრილობებზე დაისვა საკითხი ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავების თაობაზე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 25 აპრილის დადგენილებით გამოიყო საკონსტიტუციო კომისია ქვეყნის კონსტიტუციის ახალი პროექტის შესამუშავებლად.

თანასწორუფლებიანი და ნებაყოფლობითი გაერთიანება საბჭოთა ხალხებისა მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოდ გაპირობებული იყო ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიური წანამძღვრების, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა საერთო, სოციალ-ეკონომიური და კლასობრივი ინტერესებით, ერთიანი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით და ინტერნაციონალური კომუნისტური პარტიის არსებობით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი თავისი არსებობის უკვე ნახევარსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. ამ დროის მანძილზე ერთიან ძმურ ოჯახში გაერთიანებულმა ყველა ეროვნების ხალხებმა უმოკლეს ისტორიულ დროში შესძლეს კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებული სოციალ-ეკონომიური განვითარების ფაქტიური უთანასწორობის დაძლევა, ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენის აღმოფხვრა — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუ-

ციის განხორციელება, სოციალიზმის აშენება. საბჭოთა ხალხების მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ, დიდმა რწმენამ და ერთგულებამ ლენინური ეროვნული პოლიტიკისადმი გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშისტური გერმანიის მიერ თავსმოხვეული დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებაში. ყველა საბჭოთა ხალხების ერთობლივი ძალებით მოკლე დროში დაძლეულ იქნა ომის მძიმე შედეგები, ხოლო შემდგომ სოციალიზმის საბოლოო და სრული აშენების შედეგად საბჭოეთის ქვეყანა გადავიდა კომუნისტური მშენებლობის ეტაპზე. დიდი რევოლუციური გარდაქმნების განმხორციელებელი საბჭოთა ხალხი ახლა თავდადებული შემოქმედებითი შრომით ასრულებს კომუნისტური მშენებლობის პროგრამას, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა.

პირველი მრავალეროვანი სოციალისტური ქვეყნის გამოცდილება-წარმატებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის, არამედ სოციალისტური სისტემის ქვეყნებისათვის და მსოფლიოს მშრომელთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, ხალხთა მეგობრობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

არჩილ ეგრალიძე

კომუნისტური პარტიის თეორიული პრინციპები და პროგრამული დებულებანი ეროვნულ საკითხში

ეროვნული საკითხი საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი საკითხია. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეპოქაში, როცა ფართოდაა გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როცა იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოები მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდნენ როგორც პროგრესული, ანტიიმპერიალისტური ძალები, როცა უაღრესად გამწვავდა ბრძოლა ბურჟუაზიულსა და სოციალისტურ იდეოლოგიას შორის.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა კომუნისტური პარტიის თეორიული პრინციპები და პროგრამული დებულებანი ეროვნულ საკითხში. ლენინური ეროვნული პროგრამის პრაქტიკულად განხორციელების შედეგად შეიქმნა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო — სსრ კავშირი. ლენინური ეროვნული პროგრამის ცხოველმყოფელი იდეები და სსრ კავშირში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება გზას უნათებენ მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხელს უწყობენ მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შემდგომ კონსოლიდაციას, რითაც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ მთელ საერთაშორისო ვითარებაზე.

XX საუკუნის დამდეგს რუსეთის კაპიტალიზმი შევიდა თავის განვითარების იმპერიალისტურ სტადიაში. კაპიტალიზმი რუსეთში გადანასკვული იყო ბატონყმობის უძლიერეს გადმონაშთებთან ეკონომიკასა და პოლიტიკურ წყობილებაში, რაც განაპირობებდა პროლეტარიატის ექსპლუატაციის განსაკუთრებით სასტიკ ფორმებს, გლეხობის უკიდურეს სიღატაკესა და არარუს ეროვნებათა ეკონომიურ, პოლიტიკურ და ეროვნულ ჩაგვრას.

რუსეთის იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი ეს თავისებურებანი განსაკუთრებით ამწვავებდა და აღრმავებდა კლასობრივ ბრძოლას. დღის წესრიგში პირველი რიგის ამოცანად იდგა ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა დემოკრატიული თავისუფლებისათვის. ერთადერთი კლასი, რომელსაც შეეძლო სათავეში ჩადგომოდა დემოკრატიისათვის ბრძოლას და გამარჯვებამდე მიეყვანა იყო პროლეტარიატი; მისი გამარჯვება შეუძლებელი იყო რუსეთის ჩაგრულ ხალხთა მშრომელი მასების მიმხრობის გარეშე, ხოლო არარუს ეროვნებათა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლება თავის მხრივ უშუალოდ დაკავშირებული იყო რუსეთის პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

რუსეთის ყველა ერის პროლეტარიატის სოლიდარობას, მათი ძალების გაერთიანებას გარკვეულად აფერხებდა პროლეტარიატის შიგნით არსებული ეკონომიური, რელიგიური და ეროვნული ხასიათის წინააღმდეგობანი. ამიტომ

საჭირო იყო მუშათა კლასის ინტერნაციონალური აღზრდა, ამ მიზნით ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა კომუნისტური პარტიის თეორიული პრინციპები და პროგრამული დებულებები ეროვნულ საკითხში, რომლის ძირითადი გამოსავალი დებულება იყო ეროვნული საკითხის დასმა არა მარტო საერთო ისტორიულ, არამედ კლასობრივ ნიადაგზედაც[1].

ვ. ი. ლენინი ეროვნულ საკითხს რევოლუციის ძირითად საკითხს უკავშირებდა, მან დაასაბუთა, რომ ეროვნული საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის შემადგენელი ნაწილია, რომ ეროვნული საკითხი კლასობრივი ბრძოლის ამოცანებისადმი დაქვემდებარებული საკითხია. იგი მიუთითებდა, რომ კლასობრივი ერთობა, კლასობრივი ბრძოლის ერთიანობა ნაციონალურ ერთობაზე მაღლა დგასო.

ვ. ი. ლენინი ეპოქის საერთო ეკონომიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებთან ერთად ითვალისწინებდა მოცემული ქვეყნის, კერძოდ, რუსეთის, განვითარების კონკრეტულ ისტორიულ თავისებურებებს. ეს თავისებურებანი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წინაშე აყენებდა ეპოქის შესაბამისი ეროვნული პროგრამის შემუშავებისა და მისგან გამოკვეთილ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ლოზუნგის წამოყენების ამოცანას.

ვ. ი. ლენინი, მხედველობაში იღებდა რა რუსეთის ჩაგრულ ხალხთა მისწრაფებას ცარიზმის ბატონობისაგან განთავისუფლებისა და ეროვნული სახელმწიფოს შექმნისაკენ, იცავდა ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს და აყენებდა ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მშრომელი მასების ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდას.

ლენინურ ეროვნულ პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ერთა თვითგამორკვევის მოთხოვნას, რომელიც მან შეიტანა 1902 წლის დასაწყისში რსდმპ პარტიის პროგრამის პროექტში. ეროვნულ თვითგამორკვევაში ვ. ი. ლენინს ესმოდა პოლიტიკური თვითგამორკვევა — ე. ი. ერის უფლება ერთიან სახელმწიფოდან გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა. ლენინი ერთმანეთისაგან ანსხვავებდა თვითგამორკვევის უფლებისა და ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხს. იგი მიუთითებდა, რომ თვითგამორკვევის უფლების აღიარება როდი ნიშნავს იმას, რომ პარტიამ ყოველგვარ პირობებში მხარი დაუჭიროს ერის გამოყოფის მოთხოვნასო. ამ საკითხის გადაჭრის ლენინური მიდგომა ძირეულად განსხვავდება ბურჟუაზიულისაგან, ლენინი თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნას უმორჩილებდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს[2].

აყენებდა რა თვითგამორკვევის ლოზუნგს, პარტიის მიზანი იყო ბოლო მოეღო ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკისათვის, შეემჭიდროებინა ყველა ერის მშრომელები ინტერნაციონალიზმის დროშით და მოეხდინა მათი ძალების მობილიზაცია იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. თვითგამორკვევის ლენინური ლოზუნგის ძალა იმაში იყო, რომ იგი საფუძველს უთხრიდა ერთი ერის მიერ მეორე ერის დაპყრობისაკენ მისწრაფებას და ამზადებდა ნიადაგს ერთა ურთიერთნდობისა და ნებაყოფლობითი გაერთიანებისათვის. იგი ნიღაბს ხდიდა იმპერიალისტურ ძალებს, რომლებიც დემაგოგიურად თანხმობას აცხა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 568.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი. ტ. 6, გვ. 404.

დებდნენ თვითგამორკვევის უფლებაზე, ხოლო საქმით ატარებდნენ დაპყრობისა და ჩაგვრის პოლიტიკას. ეს ლოზუნგი ხელს უწყობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტივიზაციას კოლონიურსა და დამოკიდებულ ქვეყნებში და მის გაერთიანებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან.

ერთა თვითგამორკვევის ლენინური ლოზუნგის ინტერნაციონალური არსი გამოხატულია ფორმულით: „გამოყოფა გაერთიანებისათვის", ე. ი. ძალადობაზე დამყარებული *იმპერიალისტური ერთიანობის დარღვევა* და ნებაყოფლობით საფუძველზე *მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა*.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ერთიან სახელმწიფოდან ცალკეულ ერთა გამოყოფის საკითხი პარტიამ უნდა გადაწყვიტოს მთელი საზოგადოებრივი განვითარების, სოციალიზმისა და პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების სასარგებლოდ. სოციალიზმის ინტერესები, — მიუთითებდა ლენინი, — უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ერთა თვითგამორკვევის ინტერესები. ამიტომ, იმ შემთხვევაში, როცა ერების თვითგამორკვევის უფლება ხელს უშლის მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების დაპყრობისა და მისი განმტკიცების უფლების განხორციელებას, მაშინ პირველი უნდა დაუმორჩილდეს მეორეს, რადგან მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში არის შესაძლებელი ერთა ნამდვილი თვითგამორკვევის განხორციელება. ამიტომ, შენიშნავს იგი, უარყოფითი ან დადებითი პასუხის გაცემა თითოეული ერის გამოყოფის საკითხზე კონკრეტული ვითარების გაუთვალისწინებლად, ნამდვილად უაზროა, თეორიულად მეტაფიზიკურია, ხოლო პრაქტიკულად იწვევს პროლეტარიატის დაქვემდებარებას ბურჟუაზიის პოლიტიკისადმი.

პროლეტარიატის ეროვნული ინტერესები ყოველთვის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს ექვემდებარებიან. პროლეტარიატისათვის, პირველ ყოვლისა, მნიშვნელობა აქვს მისი კლასის განვითარების უზრუნველყოფას, ამიტომ იგი ეროვნული საკითხის გადაწყვეტას დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საკითხს უკავშირებს და ერთა გამოყოფის უფლებასაც ამ ჩარჩოებში აქცევს.

ვ. ი. ლენინი, 1913 წელს შაუმიანისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა, რომ გამოყოფა არ არის ჩვენი გეგმა, ჩვენ მისი წინააღმდეგი ვართ და ამიტომ ჩვენ მას არ ვქადაგებთ. მაგრამ ჩვენ მომხრე ვართ გამოყოფის უფლებისა ველიკორუსული, შავრაზმული ნაციონალიზმის გამო, რომელმაც ისე წაბილწა ნაციონალური თანაცხოვრების საქმე, რომ ზოგჯერ უფრო მეტი კავშირი იქნება თავისუფალი გამოყოფის შემდეგ. ამიტომ „თვითგამორკვევის უფლება გამონაკლისია ცენტრალიზმის ჩვენი ზოგადი წინამძღვარისა. ეს გამონაკლისი უსათუოდ საჭიროა შავრაზმული ველიკორუსული ნაციონალიზმის არსებობის გამო, და ოდნავი უარის თქმა ამ გამონაკლისზე ოპორტუნიზმია (როგორც ეს მოსდის როზა ლუქსემბურგს), სულელური ხელის შეწყობაა ველიკორუსული შავრაზმული ნაციონალიზმისა. მაგრამ გამონაკლისი ფართოდ არ უნდა გაიგოთ. არაფერი, აბსოლუტურად არაფერი გარდა გამოყოფის უფლებისა აქ არ არის და არც უნდა იყოს"[3]. აქედან გამომდინარე, — შენიშნავდა ვ. ი. ლენინი, — პარტიის მიერ ერთა გამოყოფის უფლების აღიარე-

---

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 598—599.

ბა სრულიადაც არ გამორიცხავს ამა თუ იმ ჩაგრული ერის მარქსისტების მხრივ გამოყოფის წინააღმდეგ აგიტაციას, ისე, როგორც განქორწინების უფლების აღიარება არ გამორიცხავს ამა თუ იმ შემთხვევაში განქორწინების წინააღმდეგ აგიტაციას. მჩაგვრელი ერის სოციალისტებმა მახვილი უნდა გადაიტანონ გამოყოფის თავისუფლებაზე, ხოლო ჩაგრული ერის სოციალ-დემოკრატებმა — შეერთების თავისუფლებაზე.

ვ. ი. ლენინი იცავდა რა ერთა თვითგამორკვევის უფლებას, საერთოდ უარყოფითად ეკიდებოდა ავტონომიისა და ფედერაციის საკითხს და მიუთითებდა: თუმცა აბსტრაქტულად ფედერაციისა და ავტონომიის ცნებები მიუდგება „თვითგამორკვევის" ცნებას, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისით არც ერთი და არც მეორე არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს მათთან. ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ ყველა ეროვნების პროლეტარიატის უაღრესად მჭიდრო შეერთებისაკენ, ამიტომ ავტონომიის ან ფედერაციის მოთხოვნა „...სრულიადაც არ წარმოადგენს პროლეტარიატის მუდმივ, საპროგრამო მოვალეობას"[4] და მარქსისტებმა ეს პრინციპები არ უნდა შეიტანონ თავიანთ პროგრამებშიო.

ერთა თვითგამორკვევის ლენინურ ლოზუნგს თავს დაესხნენ ყველა რჯულის ოპორტუნისტები — მათ შორის სოციალ-შოვინისტები.

ერთა თვითგამორკვევის საკითხში სოციალ-შოვინისტებს შორის განირჩეოდა ორი მთავარი ნაირსახეობა: ერთნი უარყოფდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას და უშენიშვნოდ უჭერდნენ მხარს პოლიტიკურ ცენტრალიზაციას. ამ ჯგუფში შედიოდნენ: კუნოვი, პარვუსი, უკიდურესი ოპორტუნისტები გერმანიაში, ფაბიანელებისა და ტრედუნიონისტ ლიდერთა ნაწილი ინგლისში, სემკოვსკი, ლიბმანი, იურკევიჩი რუსეთში. მეორენი თვითგამორკვევას იცავდნენ თვალთმაქცურად, სიტყვიერად, ხოლო ფაქტიურად სავსებით ეთანხმებოდნენ პირველებს. ამ მიმდინარეობას წარმოადგენდნენ კაუცკის მიმდევრები — ვანდერველდე, რენოდელი და ინგლისისა და საფრანგეთის პაციფისტები. ისინი გადაჭარბებულად თვლიდნენ პოლიტიკური გამოყოფის მოთხოვნას, ფაქტიურად უარყოფდნენ მჩაგვრელ ერთა სოციალისტების რევოლუციური ტაქტიკის აუცილებლობას და ამართლებდნენ ოპორტუნიზმს. საბოლოო ჯამში ერთნიც და მეორენიც ოპორტუნისტები იყვნენ და რყვნიდნენ მარქსიზმს.

ვ. ი. ლენინმა სასტიკად გააკრიტიკა კ. კაუცკის „დახვეწილი, შემარიგებლურ-მოშაქრული შოვინიზმი"[5], რომელიც მხოლოდ სიტყვიერად აღიარებდა თვითგამორკვევის უფლებას და შესაძლებლად მიაჩნდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შეთავსება სამშობლოს დაცვის ბურჟუაზიულ ლოზუნგთან.

ვ. ი. ლენინი კ. კაუცკის გვერდით აყენებს პლეხანოვს, როგორც სოციალ-შოვინიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელს.

გ. პლეხანოვმაც ერთა თვითგამორკვევის უფლება გააიგივა სამშობლოს დაცვის ლოზუნგთან და თავისი სოციალ-შოვინისტური პოზიციები მით გაამართლა. „პლეხანოვის ტლანქი შოვინიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — სავსე-

---

[4] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 404.
[5] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 256.

ბით იმავე თეორიულ პოზიციას ემყარება, რა პოზიციასაც ემყარება კაუცკის უფრო დახვეწილი, შემარიგებლურ-მოშაქრული შოვინიზმი"[6].

ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგის ასეთსავე ყალბ პროპაგანდას ეწეოდნენ მენშევიკთა სხვა ლიდერებიც. პოტრესოვმა მარქსიზმს ნაციონალ-ლიბერალიზმი დაუპირისპირა[7], ხოლო მარტოვმა დაფარა შოვინისტებთან შერიგების თავისი სურვილი და ამიტომ თვითონაც ისევე თვალთმაქცურად „იცავდა" თვითგამორკვევას, როგორც კაუცკი[8].

ტროცკი, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, „...სულითა და გულით მომხრეა თვითგამორკვევისა, მაგრამ მისთვისაც ეს ცარიელი ფრაზაა, ვინაიდან იგი არ მოითხოვს იმ ერთა გამოყოფის თავისუფლებას, რომელთაც ამა თუ იმ ეროვნული სოციალისტის „სამშობლო" ჩაგრავს; იგი დუმს კაუცკისა და კაუცკელთა თვალთმაქცობის შესახებ[9].

ვ. ი. ლენინი ამავე პერიოდში აკრიტიკებს „იმპერიალისტური ეკონომიზმის" წარმომადგენლებს, რომლებიც უარყოფდნენ ერთა თვითგამორკვევას იმიტომ, რომ თითქოს ეს მოთხოვნა ნიშნავდა სოციალ-პატრიოტიზმის პოზიციებზე დადგომას.

„ახალი ეკონომიზმის" ერთ-ერთი წარმომადგენელი კიევსკი (ი. პიატაკოვი), უარყოფდა თვითგამორკვევის უფლებას იმიტომ, რომ ამ მოთხოვნას პირდაპირი გზით სოციალ-პატრიოტიზმისაკენ მივყევართო. იგი მიუთითებდა, რომ სამშობლოს დაცვის მოღალატური ლოზუნგი თვითგამორკვევის ლოზუნგიდან გამოჰყავთ და ამიტომ შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს იყო მომხრე თვითგამორკვევის და მოწინააღმდეგე სამშობლოს დაცვისაო.

ვ. ი. ლენინი, აფასებდა რა კიევსკის ამ მცდარ შეხედულებებს, მიუთითებდა, რომ მან შეცდომით დაუჯერა პლეხანოვს იმაში, თითქოს რაიმე კავშირი არსებობდეს თვითგამორკვევისა და სამშობლოს დაცვის ლოზუნგს შორისო.

რსდმ პარტიის საზღვარგარეთული სექციების კონფერენციაზე, რომელიც 1915 წლის 27 თებერვლიდან 4 მარტამდე მიმდინარეობდა ბერნში, ბუხარინი ბოჟის ჯგუფის სახელით გამოვიდა ანტიმარქსისტული პლათფორმით, რომელშიაც მან უარყო ერთა თვითგამორკვევის მოთხოვნა.

ეროვნულ საკითხში მცდარ შეხედულებებს იცავდნენ დასავლეთ ევროპის „მემარცხენე" სოციალ-დემოკრატები. ამ შეცდომებმა თავისი ასახვა ჰპოვეს კ. რადეკისა და რ. ლუქსემბურგის სტატიებსა და ბროშურებში, ჰოლანდიის ე. წ. „რევოლუციური პარტიის" პროგრამის პროექტში (1916 წ. თებერვალი) და გერმანიის „მემარცხენე" სოციალ-დემოკრატთა ჯგუფის „ინტერნაციონალის" თეზისებში (1916 წ. იანვარი). ყველა ისინი უარყოფდნენ ერთა თვითგამორკვევის ლენინურ პრინციპსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების შესაძლებლობას იმპერიალიზმის ეპოქაში.

ვ. ი. ლენინმა ამხილა „მემარცხენეები", მათ შორის რ. ლუქსემბურგის შეხედულებათა მცდარობა და მეცნიერულად დაასაბუთა თვითგამორკვევის

---

[6] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 256.
[7] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 174.
[8] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 22, გვ. 204.
[9] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 22, გვ. 204—205.

ცნების კონკრეტულ-ისტორიული შინაარსი. მან მიუთითა, რომ თვითგამორკვევის მოთხოვნა არ ნიშნავს წვრილი სახელმწიფოების შექმნას. იგი მხოლოდ უფლებას აძლევს ერს დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი ბედი.

„თავისი“ ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — ზოგჯერ ივიწყებენ მჩაგვრელი ერის ნაციონალიზმს. ასე დაემართა რ. ლუქსემბურგს, რომელსაც პოლონეთის ნაციონალიზმთან ბრძოლის პროცესში, დაავიწყდა ველიკორუსების ნაციონალიზმი, მიუხედავად იმისა, რომ ..... სწორედ ეს ნაციონალიზმია ყველაზე საშიში ამჟამად, სწორედ ისაა ნაკლებ ბურჟუაზიული, მაგრამ უფრო ფეოდალური, სწორედ ისაა მთავარი მუხრუჭი დემოკრატიისა და პროლეტარული ბრძოლისა“[10].

მცდარი იყო რ. ლუქსემბურგის დებულება იმპერიალიზმის პირობებში თვითგამორკვევის უფლების განხორციელების აბსოლუტურად შეუძლებლობის შესახებ. ამის მტკიცება ფაქტიურად ნიშნავდა აზიისა და აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იგნორირებას. იმპერიალიზმის პირობებში, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ერთა თვითგამორკვევა ისევე შეიძლება განხორციელდეს, როგორც სხვა დემოკრატიული მოთხოვნა, ამიტომ ეს ლოზუნგი, რომელიც იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ მოტყუილებად აქცია, პროლეტარიატისთვის არის ჭეშმარიტად საბრძოლო ლოზუნგი, რამდენადაც იგი ხელს უწყობს ჩაგრულ ერთა გადასვლას პროლეტარიატის მხარეზე.

მცდარი იყო აგრეთვე რ. ლუქსემბურგის მითითება დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიათა პროგრამებზე. რ. ლუქსემბურგმა ანგარიში არ გაუწია რუსეთის კონკრეტულ ვითარებას და მხედველობაში არ მიიღო ის განსხვავება, რომელიც ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების მხრივ ამ დროისათვის არსებობდა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის.

დასავლეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნა უკვე დამთავრებული იყო და ამავე ჩარჩოებში ეროვნული საკითხიც გადაიჭრა. აღმოსავლეთში კი ასეთი გარდაქმნები მხოლოდ იწყებოდა და ამიტომაც ეროვნული საკითხიც გადაუჭრელი იყო. რ. ლუქსემბურგმა გააიგივა რა ეს ორი მომენტი, ვერ გაიგო რსდმ პარტიის ეროვნული პროგრამის ჭეშმარიტი არსი.

1915—1916 წლებში ვ. ი. ლენინის ინიციატივით ერთა თვითგამორკვევის საკითხებზე ჩატარდა საერთაშორისო დისკუსია, რომელშიაც ბოლშევიკების გარდა მონაწილეობა მიიღეს გერმანიის, პოლონეთისა და ჰოლანდიის სოციალისტებმა. დისკუსია ფართო ხასიათისა იყო და იგი შეეხო არა მარტო ბოლშევიკური პარტიის ეროვნულ პროგრამას, არამედ საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატების პროგრამებსაც. დისკუსიის შედეგები ლენინმა შეაჯამა თავის შრომაში „ერთა თვითგამორკვევის შესახებ დისკუსიის შედეგები“, რომელიც 1916 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა. ამასთან ერთად დისკუსიის პროცესში შეიქმნა ლენინის მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებშიაც მან გააშუქა პარტიის პროგრამული მოთხოვნები ეროვნულ საკითხში, გააკრიტიკა მასთან დაკავშირებული მცდარი შეხედულებანი და დასახა ამ მოთხოვნათა გადაჭრის რეალური გზები.

---

[10] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი. ტ. 20, გვ. 504.

ვ. ი. ლენინი ერთა თვითგამორკვევის საკითხს იხილავს სამართლიანი და უსამართლო ომების საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ერთა თვითგამორკვევა დაკავშირებულია ნაციონალურ ომებთან და არა იმპერიალისტურ ომებთანო. რით განსხვავდება ომის ეს ორი სახე ერთმანეთისაგან? თუ ომის ნამდვილ შინაარსს შეადგენს მასობრივი ეროვნული მოძრაობა, უცხო ეროვნული ჩაგვრის დამხობა, მაშინ ომი პროგრესულია. ხოლო თუ ომის არსს შეადგენს კოლონიათა განაწილება, უცხო მიწა-წყლის დაპყრობა და ძარცვა, ნადავლის გაყოფა, მაშინ ფრაზა სამშობლოს დაცვის შესახებ თავიდან ბოლომდე მოტყუებაა.

ჩვენ, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — უნდა გამოვიდეთ იმ დებულებიდან, რომ ომი არის იმავე პოლიტიკის განგრძობა, რომელსაც მეომარი სახელმწიფო ატარებს მშვიდობიანობის დროს. მაშასადამე საჭიროა ომის წინა ხანის იმ პოლიტიკის შესწავლა, რომელსაც ომისაკენ მივყავდით და რომელმაც ომამდე მიგვიყვანა, ე. ი. თითოეული ომი კონკრეტულად უნდა იქნას შეფასებული. „განსაზღვრული კონკრეტული მოვლენა განვასხვავოთ ეპოქის მრავალფეროვან შესაძლებელ მოვლენათა მთელი ჯამისაგან“[11] და გავარკვიოთ ეპოქისათვის დამახასიათებელი ომების მრავალფეროვნება.

თუ ომების შეფასებას ამ საზომით მიუდგებით, — მიუთითებს ვ. ი. ლენინი, — ნათელი გახდება, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში იმპერიალისტურ ომებთან ერთად სავსებით შესაძლებელია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომებიც, რომელთანაც სწორედ დაკავშირებულია ერთა თვითგამორკვევის საკითხი.

„ერთა თვითგამორკვევა, — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — იგივეა, რაც ბრძოლა სრული ეროვნული განთავისუფლებისათვის, სრული დამოუკიდებლობისათვის ანექსიათა წინააღმდეგ; და ამნაირი ბრძოლა — მისი ყოველი ფორმით, თვით აჯანყებისა თუ ომის სახით — სოციალისტებს არ შეუძლიათ უარყონ, თუ უნდა სოციალისტებად დარჩნენ“[12].

ერთა თვითგამორკვევის თვალსაზრისით ვ. ი. ლენინი ქვეყნების სამ ტიპს არჩევს:

პირველს მიაკუთვნებს დასავლეთ ევროპის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებშიაც ბურჟუაზიულ-პროგრესული ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის 70-იან წლებში დამთავრდა და ისინი იქცნენ „მჩაგვრელ ერებად,... იმპერიალისტური ძარცვის ერებად...“[13]. ამიტომ, — ამუთითებს ვ. ი. ლენინი, — როცა ამ ქვეყნის კაპიტალისტები ხმამაღლა ჰყვირიან სამშობლოს დაცვაზე, აშკარად სტყუიან, რადგან ისინი საქმით იცავენ არა თავიანთი ეროვნული განვითარების თავისუფლებას, არამედ თავიანთ მონათმფლობელურ უფლებებს.

სახელმწიფოთა მეორე ტიპი ეს არის ევროპის აღმოსავლეთის ქვეყნები — ავსტრია, ბალკანეთი და განსაკუთრებით რუსეთი. ამ ქვეყნებში მხოლოდ XX საუკუნეში გაიშალა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ეროვნული მოძრაობა. აქ დღის წესრიგში იდგა ჩაგრული და მჩაგვრელი ერის მუშათა კლასობრივი ბრძოლის შეერთების მეტად მნიშვნელოვანი და რთული ამოცანა.

---

[11] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 34.
[12] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 31.
[13] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 36.

აქ ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ეროვნული მოძრაობა და „სამშობლოს“ ჯერ კიდევ არ ეთქვა თავისი ისტორიული სიტყვა. ამიტომ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — „სამშობლოს დაცვა“ აქ ჯერ კიდევ შეიძლება იყოს დემოკრატიის, დედაენის, პოლიტიკური თავისუფლების დაცვა მჩაგვრელ ერთა წინააღმდეგ, შუასაუკუნეობრიობის წინააღმდეგ...“[14].

ამ ქვეყნებში პროლეტარიატის წინაშე მდგომი რევოლუციური ამოცანების განხორციელება სწორედ ამიტომაც იყო შეუძლებელი ჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის უფლების დაცვის გარეშე.

სახელმწიფოთა მესამე ტიპს ვ. ი. ლენინი მიაკუთვნებდა იმ ქვეყნებს, რომლებშიაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობა მხოლოდ იწყებოდა. ესენი იყვნენ ნახევრად კოლონიური (ჩინეთი, სპარსეთი, თურქეთი) და კოლონიური ქვეყნები.

ასეთი ქვეყნების განთავისუფლება კოლონიური ჩაგვრისაგან ყველა ქვეყნის სოციალისტების აუცილებელი მოთხოვნა უნდა ყოფილიყო. „ეს მოთხოვნა კი, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — თავისი პოლიტიკური გამოხატულებით, სხვა არაფერია, თუ არა სწორედ თვითგამორკვევის უფლების აღიარება“[15].

მაშასადამე, ერთა თვითგამორკვევა დაკავშირებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, იმპერიალიზმის უღლისაგან ხალხთა განთავისუფლებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლასთან. მისი მოთხოვნა სრულიადაც არ ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების ობიექტურ განვითარებას და არ იყო უტოპიური მოთხოვნა, ამიტომ თეორიულად მისი უარყოფა უდაოდ მცდარი იყო.

* * *

ვ. ი. ლენინმა, — როგორც ცნობილია, მოგვცა გამანადგურებელი კრიტიკა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნისა, რომელსაც რუსეთში ჯერ ბუნდი, ხოლო შემდეგ მენშევიკები იცავდნენ, როგორც პარტიულ-პროგრამულ მოთხოვნას ეროვნულ საკითხში.

ცნობილია, რომ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის იდეის ფუძემდებლები არიან ავსტრიელი სოციალ-დემოკრატები შპრინგერი და ბაუერი. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს ეს თეორია მოგონილია „...ავსტრიის ოპორტუნისტული, მეშჩანური ინტელიგენციის მიერ“[16].

კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მიხედვით ეროვნული თვითგამორკვევა დამოკიდებულია თითოეული პიროვნების თვითშეგნებაზე. ის, ვინც თავს ამა თუ იმ ერის წარმომადგენლად ჩათვლის, შეადგენს ერთ ეროვნულ კავშირს ტერიტორიის მიუხედავად. ასეთი კავშირით ყოველი ერი თავისი თვითმმართველობით შედის სახელმწიფოს შემადგენლობაში და იგი განაგებს მხოლოდ და მხოლოდ კულტურულ საქმეებს. სპეციფიკური პოლიტიკური საკითხები კი თავმოყრილი უნდა იყოს ერთიან სახელმწიფო პარლამენტში.

ასეთი ავტონომიის პირობებში იქმნებოდა რაღაც, ეროვნული **გეტო**, სადაც ერთად იქნებოდნენ ერის ანტაგონისტური კლასები, მაგრამ ამ თეორი-

[14] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი. ტ. 23, გვ. 38.
[15] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 22, გვ. 184.
[16] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 604.

ის ავტორთა აზრით, იგი საშიში არ იყო, რადგან ასეთ პირობებში კლასობრივი ბრძოლა კი არ სუსტდებოდა, არამედ პირიქით — იგი უფრო გარკვეული და ნათელი ხდებოდა. ეროვნული საკითხის გადაწყვეტის შემდეგ კლასობრივი ბრძოლა ერის შიგნით გაიშლებოდა კულტურული მიზნების ნიადაგზე.

ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს, — აღნიშნავდნენ ასეთი თეორიის დამცველები, — მათი განსხვავებული კლასობრივი მდგომარეობისა და კულტურული მისწრაფების გამო, სულ სხვადასხვა შინაარსი შეაქვთ ეროვნული კულტურის ცნებაში. რამდენადაც ბურჟუაზია შეეცდება კულტურულ ცხოვრებას ეროვნული განკერძოებულობის დაღი დაასვას, რამდენადაც იგი შეეცდება ეროვნული სკოლა თავისი კლასობრივი მიზნების განხორციელების იარაღად გაიხადოს, იმდენად პროლეტარიატი გადამწყვეტ ბრძოლას გააჩაღებს ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლენასთან და იბრძოლებს სკოლის სრული დემოკრატიზაციისათვის. ასეთ პირობებში ეროვნულ-კულტურული მოღვაწეობა მაღლდება კლასობრივ თვითშეგნებამდე და გზა იწმინდება სოციალური ბრძოლისათვის. აი როგორ სახავენ კლასობრივი ბრძოლის ასპარეზს კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ავტორები.

კულტურულ-ნაციონალური ავტონომია ეწინააღმდეგება ერების ობიექტური განვითარების მსვლელობას. იმპერიალიზმის ეპოქაში, როცა ძლიერდება ერების ტერიტორიული დაქსაქსვის იძულებითი პროცესი, ცხადია ერთმანეთისაგან დაშორებული და განკერძოებული ასეთი ჯგუფების გაერთიანება ხელოვნური იქნებოდა, საერთოდ კი — შეუძლებელიც.

ნაციონალური ავტონომია ეწინააღმდეგება კლასობრივი ბრძოლის მთელ მსვლელობას, თავისი პოლიტიკური შინააარსით გამოდის რეაქციული იდეიდან — კაპიტალისტურ საზოგადოებაში კლასთა ინტერესების ჰარმონიის შესახებ, ქმნის ილუზიას პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ნაციონალური ერთიანობის შესახებ. ამასთან ერთად, აღიარებს ბურჟუაზიული სახელმწიფოს ზეკლასობრივობას და მას კლასთა ინტერესების შერიგების ორგანოდ სახავს.

კულტურულ-ნაციონალური ავტონომია ხელს უწყობს ერთა ურთიერთ დაპირისპირებას, ნიადაგს ამზადებს არა მარტო ერების განკერძოებისათვის, არამედ ერთიანი მუშათა მოძრაობის დაქუცმაცებისათვის, ერთიანი მუშათა პარტიის დანაწილებისათვის ეროვნებათა მიხედვით აგებულ პარტიებად. ამით ხელს უშლის ჩაგრულ ერთა განმათავისუფლებელ, საერთო-დემოკრატიულ მოძრაობას და სოციალიზმისათვის ბრძოლაში სხვადასხვა ერის მუშათა კლასის ინტერნაციონალურ შეკავშირებას.

კულტურულ-ნაციონალური ავტონომია უპირისპირდებოდა ერთა თვითგამორკვევის უფლების ლოზუნგს. მაშინ, როცა თვითგამორკვევის ლენინური ლოზუნგი ერისათვის პოლიტიკური გამოყოფის უფლებას ითვალისწინებდა, ნაციონალური ავტონომია — მხოლოდ კულტურული უფლების მინიჭებით კმაყოფილდებოდა. აქედან ცხადია, რომ ეს უკანასკნელი ვერ გამოდგებოდა ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად. პირიქით იგი ამწვავებდა და ხლართავდა მას.

ვ. ი. ლენინმა ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის იდეას „...გენიალურად მეშჩანური და გენიალურად ნაციონალისტური იდეა“[17] უწოდა, რო-

---

[17] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 504.

მელიც „...მიისწრაფვის განახორციელოს ყველაზე დახვეწილი და აბსოლუტური, ბოლომდე მიყვანილი ნაციონალიზმი“[18].

ვ. ი. ლენინი, აკრიტიკებდა რა ე. წ. „ნაციონალური კულტურის“ ლოზუნგს, მიუთითებდა, რომ სულიერი კულტურის თვალსაზრისით იგი რეაქციული ლოზუნგიაო. კაპიტალიზმის პირობებში, — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — თითოეულ ნაციონალურ კულტურაში ჩვენ უნდა გავარჩიოთ ორი კულტურა: დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ელემენტები, რამდენადაც თითოეულ ერში არის მშრომელი და ექსპლუატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას და ბურჟუაზიულ კულტურას, არა მარტო „ელემენტების“ სახით, არამედ გაბატონებული კულტურის სახით. თითოეული ნაციონალური კულტურიდან ჩვენ ვიღებთ მის დემოკრატიულსა და სოციალისტურ ელემენტებს ბურჟუაზიული კულტურის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის საპირისპიროდ. ამიტომ ჩვენი ლოზუნგია არა „ნაციონალური კულტურა“, არამედ „დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურა“[19].

„ნაციონალური კულტურის“ ლოზუნგი, — მიუთითებს ვ. ი. ლენინი, — მემამულეების, ხუცებისა და ბურჟუაზიის ლოზუნგია, იგი რეაქციული ლოზუნგია და ბურჟუაზიული მოტყუებაა[20]. ყველა აქედან ვ. ი. ლენინი აკეთებს დასკვნას, რომ „პროლეტარიატი, რომელსაც შეგნებული აქვს და რომელიც აფასებს თავის ინტერნაციონალიზმს, არასოდეს არ დასთანხმდება დახვეწილი ნაციონალიზმის ამ სისულელეს“[21].

ვ. ი. ლენინმა გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს და ჩამოაყალიბა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ძირითადი პრინციპები. მან ამხილა ნაციონალიზმის კლასობრივი, ბურჟუაზიული ხასიათი და განმარტა, რომ მისი, როგორც კაპიტალისტური წარმოების წესის პირმშოს, მოსპობა შესაძლებელია ყველა ერის მუშათა კლასის ძალღონით კაპიტალიზმის მოსპობის შედეგად, „კაპიტალი საერთაშორისო ძალაა, მის დასამარცხებლად საჭიროა მუშათა საერთაშორისო კავშირი, მათი საერთაშორისო ძმობა“[22].

ვ. ი. ლენინი, აკრიტიკებდა რა ნაროდნიკ მიხაილოვსკის, რომელიც ნაციონალურ გრძნობებს განიხილავდა, როგორც დამოუკიდებელ ფაქტორს, აღნიშნავდა: მიხაილოვსკის ვერ შეუთვისებია ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ნაციონალური სიძულვილის მთავარ საფუძველს სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის მეტად რეალური ინტერესები წარმოადგენენ და რომ „..არ არსებობს ნაციონალური სიძულვილის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა იარაღი, გარდა ჩაგრულთა კლასის ორგანიზაციისა და შეკავშირებისა მჩაგვრელთა კლასის წინააღმდეგ საბრძოლველად თითოეულ ცალკე ქვეყანაში, გარდა ასე-

---

18 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი. ტ. 20, გვ. 22.

19 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 9.

20 „ნაციონალურ კულტურაში“, ვ. ი. ლენინი გულისხმობს „ბურჟუაზიულ კულტურას“ (ა. ე.).

21 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 604.

22 ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 30, გვ. 347.

თი მუშათა ნაციონალური ორგანიზაციების შეერთებისა ერთ საერთაშორისო მუშათა არმიად საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად"[23].

ვ. ი. ლენინმა მიუთითა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მუშათა მოძრაობა თავის ხასიათითა და მიზნებით საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ნაწილია, „...სწორედ ამიტომ კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსი მუშის ამხანაგია გერმანელი მუშაც, პოლონელი მუშაც, ფრანგი მუშაც, სწორედ ისევე, როგორც რუსი მუშის მტრები არიან როგორც რუსი, ისე ჰოლანდიელი და ფრანგი კაპიტალისტები"[24].

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და მიუთითა, რომ კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში პროლეტარიატმა მხარი უნდა დაუჭიროს ჩაგრულ ეროვნებათა ბრძოლას თანასწორუფლებიანობისა და დამოუკიდებლობისათვისო.

„სოციალ-დემოკრატები, — წერდა ლენინი, — მხარს უჭერენ პროგრესულ საზოგადოებრივ კლასებს რეაქციული კლასების წინააღმდეგ ბრძოლაში"[25]. მაგრამ რამდენადაც პროლეტარიატისა და ამ კლასების კლასობრივი ინტერესები განსხვავებულია, ამდენად მათთან პროლეტარიატის სოლიდარობას პირობითი და დროებითი ხასიათი აქვს. ამიტომ დემოკრატიისათვის ბრძოლაში მუშათა კლასმა თავისი თავი უნდა გამოჰყოს დანარჩენი კლასებისა და ჯგუფებისაგან, რადგან „... მხოლოდ მუშათა კლასში იპოვის დემოკრატიზმი თავის უყოყმანო, მედგარ, უკან მიუხედავ მომხრეს. მოსახლეობის ყველა დანარჩენ კლასში, ჯგუფში, ფენაში აბსოლუტიზმისადმი მტრობა უეჭველი არ არის, მათი დემოკრატიზმი ყოველთვის უკან იხედება"[26].

მაშასადამე, ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაშიაც ბოლომდე თანმიმდევარი დემოკრატი მხოლოდ პროლეტარიატია, რადგან მარტო პროლეტარიატს შეუძლია იყოს მებრძოლი პოლიტიკური თავისუფლებისა და დემოკრატიული დაწესებულებებისათვის.

საერთო დემოკრატიული მოძრაობიდან მუშათა კლასის დამოუკიდებელი ინტერესების გამოყოფა ხელს უწყობს დემოკრატიული მოძრაობის გაძლიერებასა და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის გაშლას და ამ მოძრაობას პროლეტარიატის ჰეგემონიას უმორჩილებს.

ამრიგად, ვ. ი. ლენინმა იმპერიალიზმის ეპოქაში შემდგომ განავითარა მარქსისტული თეორია ეროვნულ საკითხზე, შეიმუშავა პარტიის ეროვნული პროგრამა, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ხელში მძლავრი იარაღი იყო პროლეტარიატის ინტერნაციონალური აღზრდისა და ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში ჩაგრულ ხალხთა დარაზმვისათვის. ამავე დროს მან პარტიას დაუსახა ეროვნული პოლიტიკის განხორციელების გზები. ლენინურ ეროვნულ პროგრამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი რევოლუციური მოძრაობის წარმატებითი განვითარების საქმეში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამ გზა გაუხსნა რევოლუციურ გარდაქმნებს სა-

---

23 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 172.
24 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 119—120.
25 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 410.
26 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 411—412.

ზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის ეროვნულ ურთიერთობათა სფეროშიაც. შეიქმნა პირობები ბურჟუაზიული ერების სოციალისტურად გარდაქმნისა. სოციალისტური ერების ფორმირებისა და განვითარების პროცესი ხალხთა პოლიტიკური, ეკონომიური და იდეოლოგიური ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს და იგი მეტად რთული და მრავალმხრივი პროცესია. იგი ერთდროული რევოლუციური აქტი კი არ არის, არამედ ძველის ნგრევისა და ახალი სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის განმტკიცებასთანაა დაკავშირებული. მაშასადამე, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, სოციალიზმის მშენებლობის ეპოქა ამავე დროს სოციალისტური ერების ჩამოყალიბების ეპოქაა. აქედან ცხადია, რომ კომუნისტურ პარტიას ეროვნული საკითხის გადაჭრა, ერების სოციალისტურად გარდაქმნის რთული პრობლემა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობასთან უნდა დაეკავშირებინა. ამ მიზნით პარტიამ პირველ რიგში შეიმუშავა ერთა გაერთიანების ფორმები და დასახა ძირითადი ამოცანები, რომლითაც ერთიანი მრავალეროვანი სახელმწიფო უნდა აგებულიყო.

საბჭოთა ფედერაცია და ავტონომია ის პოლიტიკური ფორმებია, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდა ძველი ბურჟუაზიული ერების გარდაქმნა და ჩამორჩენილი ერებისა და ხალხების სოციალისტურ ერებად ჩამოყალიბება.

კომუნისტურმა პარტიამ ხალხთა გამაერთიანებელი მოძრაობის რთულსა და ძნელ პირობებში გადალახა ყველა დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობებოდა ერთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას და დადებითად გადაწყვიტა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საკითხი.

1922 წლის დეკემბრის თვეში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა გამოხატავდა ახალ ისტორიულ კანონზომიერებას საბჭოთა ხალხების ურთიერთდამოკიდებულებაში. მან ხელი შეუწყო სოციალისტური ერების დაახლოებას და მათ შორის ნდობის, მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ძმური თანამშრომლობის განვითარებას, სსრ კავშირი სოციალისტური ერების ყოველმხრივი აყვავების ბურჯი გახდა. მხოლოდ ქვეყნის მთელი ძალებისა და რესურსების გაერთიანებამ მისცა საშუალება საბჭოთა ადამიანებს უმოკლეს ისტორიულ ვადაში აღმოეფხვრათ ცარიზმისა და კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა. განეხორციელებინათ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, ნამდვილი კულტურული რევოლუცია, აეშენებინათ სოციალიზმი და გადაექციათ სსრ კავშირი მძლავრ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოდ.

სოციალისტური წყობის კანონზომიერება, კერძოდ, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონი უზრუნველყოფს ჩამორჩენილი და მოწინავე ხალხების მეტ-ნაკლებად ერთ პერიოდში გადასვლას სოციალიზმში. მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხები სოციალიზმისაკენ მიდიოდნენ არა ცალ-ცალკე, არამედ ერთიანი ფრონტით, ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის პირობებში. ძმურ ერთიანობაში სრულად გამოვლინდა საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ერისა და ეროვნების აღმშენებლობითი ენერგია, შემოქმედებითი ნიჭი და ტალანტი. საბჭოთა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ხალხთა ურთიერთდახმარება, მეგობრო-

ბა და შემჭიდროება, საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური, სოციალ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. იგი სოციალისტური საზოგადოების აშენებისა და ახალი სოციალისტური ერების ჩამოყალიბების მძლავრი ძალა გახდა. ამრიგად, სოციალისტური ერები წარმოიშვა სოციალისტური მეურნეობის ერთიანი სისტემის ბაზაზე, საბჭოთა ეკონომიური და პოლიტიკური წყობის პირობებში, მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური იდეოლოგიის საფუძველზე; თავისი სოციალური შემადგენლობით **იგი ორი მეგობრული კლასის — მუშების, გლეხებისა და სოციალისტური ინტელიგენციის ურღვევი კავშირის** განსახიერებას წარმოადგენს.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა ნიშნავს ახალ ეტაპს სსრ კავშირში ეროვნულ ურთიერთობათა განვითარებაში. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის საბჭოთა ხალხის ერთობლივი შრომა უზრუნველყოფს, ერთის მხრივ, ჩვენი ქვეყნის **ყველა ერის, ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ წინსვლას**, ხოლო, მეორე მხრივ, მათ შემდგომ დაახლოებას და კავშირურთიერთობის განმტკიცებას. ეს პროცესი გამოხატავს სოციალისტური ერების განვითარებისათვის დამახასიათებელ ტენდენციას — ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების ერთიანობის ტენდენციას. მის საფუძველზე სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის წლებში შეიქმნა და განვითარდა ადამიანების ახალი ისტორიული ერთობა — **საბჭოთა ხალხი**, მისთვის დამახასიათებელი შესანიშნავი თვისებებით: ერთგულება კომუნიზმის საქმისათვის, სოციალისტური პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, მაღალი შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური **აქტივობა, შეურიგებლობა ექსპლუატაციისა** და ჩაგვრისადმი, ეროვნული და **რასობრივი ცრუშეხედულებებისადმი, კლასობრივი** სოლიდარობა ყველა ქვეყნის მშრომელებთან.

ადამიანთა ახალი ერთობის — ს ა ბ ჭ ო თ ა ხ ა ლ ხ ი ს შექმნა უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტია სოციალისტური ერების დაახლოვების რთულ პროცესებში. პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ XXIV ყრილობაზე, — „გადაიდგა ახალი ნაბიჯები... მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის ყოველმხრივი განვითარების გზაზე, ჩვენი ქვეყნის ერთა და ეროვნებათა შემდგომი, თანდათანობითი დაახლოვების გზაზე. ეს დაახლოვება მიმდინარეობს ეროვნულ თავისებურებათა გულდაგულ გათვალისწინების, სოციალისტურ ეროვნულ კულტურათა განვითარების პირობებში. როგორც მთელი ჩვენი კავშირის საერთო ინტერესების, ისევე მასში შემავალი თითოეული რესპუბლიკის ინტერესების მუდამ გათვალისწინება. ასეთია პარტიის პოლიტიკის არსი ამ საკითხში“[27].

---

27 ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცეკას საანგარიშო მოხსენება სკკპ XXIV ყრილობას, თბილისი, 1971, გვ. 104.

ᲘᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲐ

ნახევარი საუკუნის წინათ სოციალიზმის პირველი ქვეყნის ყველა ერი და ეროვნება სრული ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე გაერთიანდნენ ერთ ძმურ ოჯახად, შექმნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

ეს იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპების ბრწყინვალე ტრიუმფი, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების ნაყოფიერი შედეგი. ეს იყო ლენინის პარტიის, მუშათა კლასის, საბჭოთა რესპუბლიკების ყველა მშრომელის პოლიტიკური სიბრძნის გამოვლინება, რომლებსაც თავიანთი საშუალებებისა და ძალების გაერთიანება მიაჩნდათ რევოლუციის მონაპოვართა დაცვისა და სოციალიზმის მშენებლობის გადამწყვეტ წანამძღვრად. ერების ეს ნებაყოფლობითი კავშირი ამავე დროს წარმოადგენდა თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საიმედო გარანტიას, ხალხთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის მძლავრ საშუალებას.

სსრ კავშირის შექმნა გახდა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც უზრუნველყო ხელშემწყობი პირობები სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნისათვის, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის, მრავალეროვანი სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერებისა და საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისათვის.

„საბჭოთა კავშირი განასახიერებს თავისუფალ ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის ისეთ ურთიერთობას, რაც წინათ ისტორიაში არ ყოფილა. ეს მეგობრობა სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, საბჭოთა საზოგადოების მძლავრი მამოძრავებელი ძალაა, დაუშრეტელი წყაროა სსრ კავშირის ყველა ეროვნების მშრომელთა შემოქმედებითი აღმშენებლობისა ყველაზე კეთილშობილური მიზნისათვის — კომუნიზმის აშენებისათვის“[1].

ერთიანი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის მთავარ პოლიტიკურ წანამძღვარს წარმოადგენდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, ხოლო ეკონომიურ საფუძველს — სოციალისტური საკუთრების დაწესება წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე, რომელიც კი არ სთიშავს ადამიანებს, არამედ აახლოებს მათ.

ხალხები რომ ნამდვილად გაერთიანდნენ, მიუთითებდა კ. მარქსი, მათ უნდა ჰქონდეთ საერთო ინტერესები, ხოლო ეს ინტერესები რომ საერთო იყოს

---

1 „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება. თბილისი, 1972, გვ. 4.

ამისათვის აუცილებელია მოსპობილ იქნეს საკუთრების არსებული ურთიერთობა, რომელიც განაპირობებს ერთი ხალხის მიერ მეორის ექსპლუატაციას. კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ურთიერთობის ლიკვიდაციით დაინტერესებულია მხოლოდ მუშათა კლასი, რომლის გამარჯვება ბურჟუაზიაზე ნიშნავს ამავე დროს ყველა ეროვნული და სამრეწველო კონფლიქტის დაძლევას, კონფლიქტისა, რომელიც ხალხთა შორის მტრობას წარმოშობს[2].

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ კერძო საკუთრება აცალკევებს ადამიანებს, „შრომა კი აერთებს. კერძო საკუთრება — ეს ძარცვა-გლეჯაა, და კერძო საკუთრებაზე დამყარებული სახელმწიფო — სახელმწიფოა მტაცებლებისა, რომელნიც ნადავლის გაყოფისათვის ომობენ“[3].

ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის ამ მითითებით ჩვენი პარტიის X ყრილობამ ეროვნულ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმით მიუთითა, რომ თუ კერძო საკუთრება და კაპიტალი აუცილებლად აცალკევებენ ადამიანებს, აღვივებენ ეროვნულ შუღლს და აძლიერებენ ეროვნულ ჩაგვრას, კოლექტიური საკუთრება და შრომა ასევე აუცილებლად აახლოებენ ადამიანებს, ძირს უთხრიან ეროვნულ შუღლს და სპობენ ეროვნულ ჩაგვრას[4].

ერთ სოციალისტურ ოჯახად შეკავშირებისათვის საბჭოთა რესპუბლიკების ყველა ერისა და ეროვნების გამაერთიანებელ მოძრაობას საფუძვლად ედო მათი სოციალ-პოლიტიკური წყობილებისა და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ერთობა, მშრომელთა კლასობრივი ინტერესების, მიზნებისა და ამოცანების ერთიანობა, საბჭოთა ხელისუფლების თვით ინტერნაციონალური ბუნება, რომელიც ნერგავს მასებში გაერთიანების იდეას, ქმნის ისეთ ურთიერთობას, რომ მშრომელები თვითონ მიისწრაფოდნენ ურთიერთდაახლოებისა და ძმური კავშირისაკენ.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა რესპუბლიკა თავისი ინტერნაციონალური ბუნებით აერთიანებს ყველა ერის მშრომელებს კლასობრივ საფუძველზე და იცავს მათს ინტერესებს ეროვნების მიუხედავად, რომ ჩვენ ვმბრძანებლობთ არა ძველი რომის სასტიკი კანონების მიხედვით, არა განცალკევებით, არამედ იმით, რომ ვაერთიანებთ ყველა მშრომელს ცოცხალი ინტერესების, კლასობრივი შეგნების განუწყვეტელი ჯაჭვით.

მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, რომელიც გამოხატავს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის საარსებო ინტერესებს, შეეძლო შეეკავშირებინა ჩვენი ქვეყნის ყველა ერი და ეროვნება ერთიან ინტერნაციონალურ ძმობად და წარემართა მათი ღონისძიებანი ახალი საზოგადოების ასაშენებლად.

სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან თავისუფალ ხალხთა ასეთი სახელმწიფოებრივი კავშირი ძირეულად განსხვავდებოდა ისტორიაში მანამდე არსებული მრავალეროვანი ქვეყნებისაგან, რომლებიც იქმნებოდნენ დაპყრობითი ომების საფუძველზე. ამიტომ უშედეგო აღმოჩნდა კაპიტალისტური სამყაროს ყოველგვარი ცდა უზრუნველეყო ხალხთა გაერთიანება და მათი თანამშრომლობა ექსპლუატატორული წყობილების შენარჩუნების პირობებში. ერთი ხალხის მიერ მეორის დამორჩილება, კოლონიური ძარცვა და დაპყრობა, ეროვნული უთანასწორობა და უუფლებობა, იმპერიალისტური ჩაგვრა და

---

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 4, გვ. 371.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 392.

[4] „სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწ. I, თბილისი, 1954, გვ. 715.

თვითნებობა — ასეთია ის ფორმები, რომლებშიც მიმდინარეობდა ხალხთა სახელმწიფოებრივი გაერთიანებისა და სამეურნეო დაახლოების პროცესი კაპიტალიზმის დროს.

მარქსიზმ-ლენინიზმმა მეცნიერულად დაასაბუთა და საბჭოების ქვეყნის გამოცდილებამ პრაქტიკულად დაადასტურა, რომ მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება ქმნის ყველა შესაძლებლობასა და პირობას ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის, ერთიან სახელმწიფოდ სხვადასხვა ერის ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანებისათვის.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა უღრმეს გადატრიალებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის ეროვნული ურთიერთობის დარგშიც. დაამხო რა ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება, მან სამუდამოდ მოსპო რუსეთის მშრომელთა სოციალური და ეროვნული ჩაგვრა. პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება წარმოადგენდა მთავარ პოლიტიკურ პირობას ძირეული სოციალ-ეკონომიური გარდაქმნებისათვის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი პირველი დეკრეტებით აუწყა მსოფლიოს, რომ იგი უზრუნველყოფს რუსეთში მოსახლე ყველა ერისათვის თვითგამორკვევის ნამდვილ უფლებას, თანმიმდევრულად განახორციელებს სხვადასხვა ერის ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიად პრინციპებს. ზავის ლენინური დეკრეტი რომ მიიღო, საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობამ წინადადებით მიმართა ყველა მეომარი ქვეყნის ხალხებსა და მთავრობებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკება სამართლიანი, დემოკრატიული, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისათვის, რომელიც ბოლოს მოუღებდა სხვა ქვეყნების ტერიტორიებისა და ხალხების დაპყრობას. საბჭოთა მთავრობის შემადგენლობაში შეიქმნა ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატი, რომლის მსგავსი ორგანო არ ყოფილა არც ერთი სხვა მრავალეროვანი სახელმწიფოს ისტორიაში.

1917 წლის 2 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ მიიღო და მეორე დღეს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ხელმოწერით გამოაქვეყნა „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო პარტიის ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები: რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენობა, მათი თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე, ყოველგვარ ეროვნულ და ეროვნულ-რელიგიურ პრივილეგიათა და შეზღუდვათა გაუქმება, ეროვნულ უმცირესობათა და ეთნოგრაფიული ჯგუფების თავისუფალი განვითარება. დეკლარაციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ხალხთა მომავალი ერთიანობა შეიძლება დამკვიდრდეს მხოლოდ ერების თანასწორუფლებიანობისა და ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე.

ხალხთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის მთავარ პირობას წარმოადგენდა წინათ ჩაგრული ერების პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ე. ი. ცალკე ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის უფლების პრაქტიკული განხორციელება. ვ.ი. ლენინი მიუთითებდა, რომ საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს აშენების გარეშე არ არსებობს გზა ერების სრული ნებაყოფლობითი დაახლოებისა და ძმური კავშირისაკენ.

ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ არა მარტო აღიარა ერების თვითგამორკვევის, ამასთან თვითგამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება, არამედ პრაქტიკულად განახორციელა იგი. ამის მკაფიო დადასტურება იყო ფინეთისა და პოლონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარება, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისათვის საკუთარი საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის უფლების მინიჭება. საბჭოთა ხელისუფლების მტრები ამის გამო გაჰყვიროდნენ, რომ კომუნისტები ანგრევენ რუსთა სახელმწიფოსო. ნამდვილად კი ჩვენი პარტიის ყველა ღონისძიება მიმართული იყო რუსეთის ხალხთა მტკიცე თანამშრომლობისა და სახელმწიფოებრივი კავშირის შექმნისაკენ.

„გვეუბნებიან, რუსეთი დაქუცმაცდება, დაიშლება ცალკეულ რესპუბლიკებადო, — წერდა ვ. ი. ლენინი 1917 წლის ნოემბერში, — მაგრამ ჩვენ ამის არ უნდა გვეშინოდეს. რამდენიც უნდა იყოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ჩვენ ამის არ შეგვეშიხდება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ სად გადის სახელმწიფო საზღვარი, არამედ ის, რომ შენარჩუნებულ იქნეს ყველა ერის მშრომელთა კავშირი ყოველგვარი ერის ბურჟუაზიასთან საბრძოლველად“[5].

სსრ კავშირის შექმნამდე დიდი ხნით ადრე ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა რომ სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებული სხვადასხვა ერის მშრომელები თვითონ არ მოისურვებენ იზოლირებულად ცხოვრებას და გაერთიანდებიან დიდ და მოწინავე სოციალისტურ ერებთან. სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობაზე, რომელმაც დააკანონა რუსეთის ფედერაციის შექმნა, ვ. ი. ლენინი მტკიცე რწმენით აცხადებდა, რომ რევოლუციური რუსეთის ირგვლივ სულ უფრო და უფრო მეტად შემოიკრიბება თავისუფალი ერების სხვადასხვა ფედერაცია, რომ „სრული ნებაყოფლობით, სიცრუისა და შახვილის გაშოუყენებლად, გაიზრდება ეს ფედერაცია, და იგი უეჭველია“[6]. მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ მთლიანად დაადასტურა ამ წინასწარხედვის სისწორე.

რუსეთის მუშათა კლასის უანგარო დახმარებამ წინათ ჩაგრული ხალხებისადმი, მათი ყოფა-ცხოვრებისა და ეროვნული თავისებურებებისადმი გულისხმიერმა დამოკიდებულებამ ხელი შეუწყვეს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა გამაერთიანებელი მოძრაობის გაფართოებას, რომელიც მიმდინარეობდა რუს ხალხთან ძმური თანამშრომლობის, მჭიდრო და მტკიცე სახელმწიფოებრივი კავშირის დამყარების ლოზუნგით. სსრ კავშირის შექმნაში გადამწყვეტი როლი სწორედ საბჭოთა რუსეთმა, მსოფლიოში პირველმა საბჭოთა ფედერაციულმა სახელმწიფომ შეასრულა. იგი იყო გამაერთიანებელი მოძრაობის დამრაზმავი და მაორგანიზებელი ძალა, რომელშიც სრულად გამოვლინდა რუსი ხალხის განმათავისუფლებელი მისია. ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელები ხედავდნენ მასში თავიანთი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლის საიმედო დასაყრდენს. რუსეთის ფედერაციის სახით შეიქმნა სსრ კავშირის თავისებური პირველსახე. რუსი ხალხის რევოლუციურმა ენერგიამ, თავდადებამ, შრომისმოყვარეობამ, ღრმა ინტერნაციონალიზმმა სამართლიანად მოუპოვეს მას ჩვენი სოციალისტური

---

[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 26, გვ. 402.

[6] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 26, გვ. 562.

სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების გულწრფელი პატივისცემა. სწორედ იგი იდგა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნისათვის ჩვენი ქვეყნის თანასწორუფლებიან ხალხთა გამაერთიანებელი მოძრაობის სათავეში.

გასაოცარი სიზუსტით ახდა ვ. ი. ლენინის წინასწარხედვა იმის შესახებ, რომ სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ერები მაშინვე დაირაზმებიან რუსი ხალხის ირგვლივ, რომ, რაც უფრო დემოკრატიული იქნება რუსეთის რესპუბლიკა, „მით უფრო ძლიერი იქნება ყველა ერის მშრომელი მასების ნებაყოფლობითი მისწრაფება ასეთი რესპუბლიკისადმი“[7].

ერთიანი მრავალეროვანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნის იდეა ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა მთელ რიგ ნაშრომებში. პარტიის VII (აპრილის) კონფერენციაზე იგი მიუთითებდა რუსეთისა და უკრაინის რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესაძლებლობაზე. „ჩვენ გვინდა ყველა ხალხის ძმური კავშირი. თუ იქნება უკრაინის რესპუბლიკა და რუსეთის რესპუბლიკა, მათ შორის მეტი კავშირი, მეტი ნდობა დამყარდება“[8]. ეს შეხედულება ვ. ი. ლენინმა კიდევ უფრო რელიეფურად ჩამოაყალიბა 1917 წლის მაისში „ველიკორუსები, — წერდა იგი, — თავაზობენ ძმურ კავშირს ყველა ხალხს და საერთო სახელმწიფოს შედგენას ყოველი ცალკეული ხალხის ნებაყოფლობითი თანხმობით და არა რაიმე, პირდაპირი ან არაპირდაპირი, ძალადობის ხმარებით“[9].

1917 წლის ივნისში ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების „უყოყმანოდ აღიარება იძლევა ერთადერთ შესაძლებლობას გაწეულ იქნას აგიტაცია უკრაინელთა და ველიკორუსთა თავისუფალი კავშირის სასარგებლოდ, ამ ორი ხალხის ერთ სახელმწიფოდ ნებაყოფლობითი შეერთების სასარგებლოდ... დაე, რუსეთი თავისუფალ რესპუბლიკათა კავშირი იყოს“[10].

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ვ. ი. ლენინმა დღის წესრიგში დააყენა საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი გაერთიანების საკითხი. „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციაში“ იგი აღნიშნავდა, რომ რუსეთში სოციალისტური წყობილების ბაზაზე შეიქმნება თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირი, როგორც „საბჭოთა ნაციონალური რესპუბლიკების ფედერაცია“[11]. მიუთითებდა რა ყველა ერის მშრომელ კლასთა ნამდვილად თავისუფალი და ნებაყოფლობითი კავშირის აუცილებლობაზე, ვ. ი. ლენინი სტატიაში „დიადი თაოსნობა“ წერდა, რომ ახალი ცხოვრების მშენებლობის პროცესში მშრომელები ერთიანდებიან „ჯერ ერთ სოციალისტურ სახელმწიფოდ, შემდეგ კი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად“[12]. ეს იდეა მან განავითარა წერილში, რომელიც გაუგზავნა უკრაინის მუშებსა და გლეხებს დენიკინზე გამარჯვების გამო. მასში ნათქვამი იყო: „ჩვენ გვსურს ერების ნებაყოფლობითი კავშირი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი, — ისეთი

---

7 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 24, გვ. 67.
8 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 24, გვ. 353.
9 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 24, გვ. 424.
10 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 25, გვ. 97, 30.
11 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 26, გვ. 495.
12 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 500.

კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობითს თანხმობაზე"[13].

ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა პარტიას, ხალხს ეშენებინათ მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, ყველა ერისა და ეროვნების ძმური კავშირი არა ადმინისტრირების, დეკრეტების გზით, არამედ მათი სრული ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა თანამშრომლობამ მიიღო სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ფორმა. მაშინ განსაკუთრებით გაძლიერდა ეროვნული რესპუბლიკების ლტოლვა რუსეთის ფედერაციასთან კავშირის განმტკიცებისაკენ. 1919 წლის გაზაფხულზე, როცა ფრონტებზე მდგომარეობა გართულდა და რევოლუციის მონაპოვარს აშკარა საფრთხე ემუქრებოდა, პარტიამ ვ. ი. ლენინის ინიციატივით განახორციელა ღონისძიება ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო ერთიანობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა იმას, რომ გაერთიანებული ძალებით გვეწარმოებინა თავდაცვითი ომი თეთრგვარდიული კონტრრევოლუციისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. იმავე წლის ივნისში საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დეკრეტი კონტრრევოლუციისა და ინტერვენციის წინააღმდეგ საბრძოლველად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ. შეიქმნა ერთიანი სამხედრო სარდლობა, ტრანსპორტის საერთო მმართველობა, სახალხო მეურნეობის გაერთიანებული საბჭოები.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და შინაგანი კონტრრევოლუციის გაერთიანებულ ძალებზე საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვების შემდეგ მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შენარჩუნებულ იქნა, რადგან საერთაშორისო იმპერიალიზმი ახალი შეიარაღებული ინტერვენციით ემუქრებოდა საბჭოთა ხელისუფლებას. მაგრამ დღის წესრიგში დადგა დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის ამოცანა. ამიტომ ხალხთა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს, რომელიც ჩამოყალიბდა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის ბრძოლის მძიმე წლებში, შემდეგ დაემატა სამეურნეო კავშირი. ხალხთა თანამშრომლობამ მაშინ მიიღო სამხედრო-სამეურნეო კავშირის ფორმა. 1920—1921 წლებში რსფსრ და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დაიდო ორმხრივი ხელშეკრულებები სამხედრო და ეკონომიურ საკითხებზე. 1922 წლის თებერვალში საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დაიდო ხელშეკრულება მათი დიპლომატიური გაერთიანების შესახებ.

ამრიგად, კომუნისტური პარტიის მიერ დასახული და განხორციელებული ღონისძიებანი საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო-პოლიტიკური კავშირის, საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაციის, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების შესახებ ხელს უწყობდნენ თანასწორუფლებიან ხალხთა ერთ ოჯახად გაერთიანებისათვის პირობების მომზადებას.

სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობის მიერ 1918 წლის ივლისში მიღებული პირველი საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე ჩამოყალიბდა

---

[13] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 30, გვ. 348.

სხვადასხვა ერის მშრომელთა სახელმწიფოებრივი კავშირის თავისებური ტიპი — საბჭოთა ფედერაცია, რომელიც დაფუძნებული იყო ორი სახის — ადმინისტრაციულ (ავტონომიური ეროვნული ოლქები და შრომითი კომუნები) და პოლიტიკურ (ავტონომიური ეროვნული რესპუბლიკები) ავტონომიაზე. ამ ტიპის ფედერაციის განსახიერებას წარმოადგენდა რსფს რესპუბლიკა.

მაგრამ სამოქალაქო ომის პირობებში დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის საფუძველზე ჩამოყალიბდა კიდევ ერთი ტიპის ფედერაცია — ხელშეკრულებითი ფედერაცია, რომელიც მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში სულ უფრო მეტად ვითარდებოდა საბჭოთა რესპუბლიკების არა მარტო სამხედრო, არამედ მჭიდრო სამეურნეო, ეკონომიური თანამშრომლობის მიმართულებით. ამასთან საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებები ემყარებოდნენ ხალხთა სუვერენობისა და თანასწორუფლებიანობის ლენინურ პრინციპებს. საგარეო-პოლიტიკურ ღონისძიებათა გაერთიანების მიუხედავად თითოეული საბჭოთა რესპუბლიკა გამოდიოდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, საზღვარგარეთის ქვეყნებთან დამყარებული ჰქონდა სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა, ჰყავდა იქ თავისი წარმომადგენლობა.

ხელშეკრულებითი ფედერაციის განვითარების გამოცდილებამ უდავოდ გაამდიდრა ერთიანი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის თეორია და პრაქტიკა.

მაგრამ დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის სახელშეკრულებო ურთიერთობათა სისტემა არასაკმაო აღმოჩნდა. ამისათვის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის აუცილებლად უნდა დამყარებულიყო უფრო მჭიდრო ფედერაციული კავშირი.

კომუნისტურმა პარტიამ, ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ დაასაბუთეს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიანი სახელმწიფოებრივი კავშირის შექმნის აუცილებლობა, ცხადყვეს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების უმჭიდროესი ფედერაციული კავშირის გარეშე შეუძლებელია მათი არსებობის დაცვა სამხედრო მხრივ შეუდარებლად უფრო მძლავრი იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან. მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობისა და კავშირის გარეშე შეუძლებელია იმპერიალიზმის მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა, ერთიანი, საერთო გეგმით რეგულირებული სოციალისტური მეურნეობის შექმნა, შრომის რაციონალური საზოგადოებრივი განაწილების უზრუნველყოფა და ხალხის საკეთილდღეოდ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენება.

ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნის მატერიალურ წანამძღვარს წარმოადგენდა აგრეთვე რუსეთის ხალხთა შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიური კავშირი, რომლის ყოველმხრივი განვითარება და განმტკიცება სოციალისტურ საფუძველზე შეესაბამებოდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ხალხთა ინტერესებს.

მსხვილი სოციალისტური წარმოების შექმნა და განვითარება შეუძლებელი იყო ერთიანი სამეურნეო გეგმის გარეშე, რომელიც დაფუძნებულია შრომის სოციალისტურ საზოგადოებრივ დანაწილებაზე, რესპუბლიკების მეურნეობათა კოოპერირებასა და მათი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე. ამიტომ წარმოების სოციალისტური წესის თვით ბუნება, მისი განვითარე-

ბის კანონები მოითხოვენ ერთიანი სამეურნეო გეგმის შემუშავებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების აუცილებლობა სწორედ ამ გარემოებითაც იყო განპირობებული.

მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების პირველ პერსპექტიულ გეგმას, რომელიც შემუშავებული იყო ვ. ი. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით, წარმოადგენდა გოელროს გეგმა. იგი იყო არა მარტო რუსეთის ფედერაციის, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიური გარდაქმნის გეგმა, რომლის მიღების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო გაერთიანების ტენდენცია.

ამრიგად, დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალიზმის მშენებლობის ამოცანები დაჟინებით მოითხოვდნენ მათი ერთიანი სახელმწიფოებრივი კავშირის შექმნას. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო, რომ თვით ეროვნულმა საბჭოთა რესპუბლიკებმა დააყენეს პირველად ეს საკითხი.

ამ უდავო ისტორიული სინამდვილის ფონზე რაოდენ უბადრუკია ბურჟუაზიული ფალსიფიკატორების მონაჭორი იმის შესახებ, რომ კომუნისტურმა პარტიამ თითქოს იძულებით გააერთიანა საბჭოთა რესპუბლიკები ერთ კავშირად და ამით მოახდინა მათი სუვერენული უფლებების ლიკვიდაცია. უტყუარი ფაქტების განზრახ გაყალბებაში განსაკუთრებული აღვირახსნილობით გამოირჩევა ამერიკელი „სოვეტოლოგები“, რომელთა „მეცნიერული აღმოჩენების“ ძირითადი არსი ის არის, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს წარმოადგენს ხალხისათვის ზემოდან თავსმოხვეულ იძულებით გაერთიანების ფორმას.

განზრახ ამახინჯებენ რა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის ისტორიას, ბურჟუაზიული იდეოლოგები ყოველნაირად ცდილობენ „დაამტკიცონ“, რომ კომუნისტური პარტია, ვ. ი. ლენინი თითქოს ნებას არ აძლევდნენ რუსეთის ხალხებს გამოყოფილიყვნენ ცალკე დამოუკიდებელ რესპუბლიკებად. უგულებელყოფენ რა სსრ კავშირის შექმნისათვის გამაერთიანებელი მოძრაობის ნამდვილ ხალხურ ხასიათს, ბურჟუაზიული იდეოლოგები ცდილობენ „დაამტკიცონ“, რომ კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა რესპუბლიკები თითქოს ჯერ შეუერთა რუსეთის ფედერაციას, ხოლო შემდეგ ხალხთა ნება-სურვილის წინააღმდეგ გააერთიანა ერთ სახელმწიფოებრივ კავშირად.

მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის ისტორიული სინამდვილე მთლიანად აცამტვერებს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ამ უხამს ცილისწამებას. ფაქტები იმას მოწმობენ, რომ ხალხთა ფართო გამაერთიანებელი მოძრაობა მათი ერთიანი სახელმწიფოებრივი კავშირის შექმნისათვის დაიწყო და სულ უფრო ფართოვდებოდა საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების უშუალო ინიციატივით. ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების საკითხი ყველა რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა თითქმის ერთდროულად დააყენეს, რაც მოწმობდა იმას, რომ ეს პრობლემა მომწიფდა და დროული გახდა.

გაითვალისწინა რა უკრაინელი კომუნისტების მისწრაფება საბჭოთა უკრაინასა და რუსეთის ფედერაციას შორის სახელმწიფოებრივი კავშირის განმტკიცებისაკენ, უკრაინის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წლის მარტში განაცხადა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სახელშეკრულებო სის-

ტემიდან სახელმწიფოებრივი ურთიერთობის უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ.

1922 წლის ივლისში რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა დააყენა საკითხი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი გაერთიანების შესახებ. ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური ბიურო იტყობინებოდა, რომ საკავშირო სახელმწიფოს შექმნის იდეა მოიწონეს არა მარტო კომუნისტებმა, არამედ მშრომელი მოსახლეობის ფართო მასებმა[14].

1922 წლის 18 ნოემბერს „პრავდის" კორესპონდენტთან საუბარში ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, რომ სსრ კავშირის შექმნისათვის გამაერთიანებელი მოძრაობის ინიციატივა თვით დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებს ეკუთვნის, რომ მათი ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების საკითხი ფართოდ იქნა განხილული უკრაინაში, ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და ბელორუსიაში, სადაც ამ იდეამ უმაგალითო ენთუზიაზმი გამოიწვია და მას ფართო პარტიული მასები დიდი აღტაცებით შეხვდნენო.

ცხოვრება მოითხოვდა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების ისეთი ფორმის შემუშავებას, რომელიც აგებული იქნებოდა მათი ნებაყოფლობისა და სრული თანასწორუფლებიანობის საწყისებზე, უზრუნველყოფდა ხალხთა ეროვნული განვითარების თავისუფლებას და გამორიცხავდა შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის გამოცოცხლების შესაძლებლობას. სწორედ ვ. ი. ლენინის გენიამ აღმოაჩინა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების ასეთი ფორმა.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის მიერ ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე შემუშავებული რეზოლუციის პროექტი ერთხმად მიიღო ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 6 ოქტომბერს. პლენუმის დადგენილებაში ნათქვამი იყო: „საჭიროდ ჩაითვალოს ხელშეკრულების დადება უკრაინას, ბელორუსიას, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციასა და რსფს რესპუბლიკას შორის „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში" მათი გაერთიანების შესახებ თითოეული მათგანისათვის „კავშირის" შემადგენლობიდან თავისუფლად გასვლის უფლების დატოვებით"[15]. პლენუმმა დაამტკიცა აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის კომისიის წინადადება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის შემადგენლობაში შესულიყვნენ აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკები ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიულ კანონზომიერებათა ღრმა ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა აღმოაჩინა დამოუკიდებელი საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების გაერთიანების ფორმა და ისტორიაში პირველმა მოგვცა საკვლევი ახალი ტიპის ერთიანი მრავალეროვანი სახელმწიფოს, როგორც თანასწორუფლებიან და სუვერენულ ხალხთა ნებაყოფლობითი კავშირის შექმნის მეცნიერული დასაბუთება.

ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი სსრ კავშირის შექმნის ლენინურ იდეას, რომელიც გადაიქცა ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გამაერთიანებელ მოძრაობად. ერთიანი საკავში-

[14] „История Коммунистической партии Советского Союза", т. 4, книга первая, М., 1970, გვ. 197.

[15] „История Коммунистической партии Советского Союза", издание четвертое, дополненное, М., 1972, გვ. 325.

რო სახელმწიფოს შექმნის საკითხი ფართოდ განიხილეს საბჭოების რესპუბ-ლიკურ, საგუბერნიო, სამაზრო, სათემო ყრილობებზე, ხალხმრავალ მიტინგებ-სა და კრებებზე. ყველა ეროვნების მშრომელებმა ერთსულოვნად განაცხა-დეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეაკავშირონ თავიანთი ძალები და რესურსები საერთო მიზნის მისაღწევად — სოციალიზმისა და კომუნიზმის ასა-შენებლად.

რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც გაიმარ-თა 18 ოქტომბერს, ერთსულოვნად მოიწონა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება სსრ კავშირის შექმნისა და მასში ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის მეშვეობით შესვლის შესახებ. პლენუმ-მა მიიღო გადაწყვეტილება პარტიულ და უპარტიო მასებში გაშლილიყო ფარ-თო საგიტაციო კამპანია ამ იდეის პროპაგანდისათვის. თბილისის კომუნისტ-თა საქალაქო კრებაზე, რომელიც გაიმართა 20 ოქტომბერს, გ. კ. ორჯონიკი-ძემ თავის მოხსენებაში ყოველმხრივ დაასაბუთა ერთიანი საკავშირო სახელ-მწიფოს შექმნის აუცილებლობა. კრება, რომელსაც ესწრებოდა 1500-მდე კო-მუნისტი, მიესალმა სსრ კავშირის შექმნის იდეას და თავის რეზოლუციაში აღნიშნა, რომ ეს ახალი, მსოფლიოში არნახული, თანასწორთა კავშირი სავ-სებით უპასუხებს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელ ხალხთა საარსებო ინ-ტერესებს, რესპუბლიკებისა, რომელთა „პოლიტიკური განმტკიცება და ეკო-ნომიური განვითარება მოითხოვს მათ ერთიან მძლავრ საბჭოთა კავშირად გა-ერთიანებას კაპიტალის წინააღმდეგ“.

26 ოქტომბერს გამოქვეყნდა რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო, საქართვე-ლოს კომპარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების თეზისები, რომ-ლებშიც აღნიშნული იყო, რომ სოციალიზმის მშენებლობა შეუძლებელია ისე, თუ ყველა ერის მუშები უმჭიდროესად არ იქნებიან შეკავშირებულნი, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები შეუთავსებელია ეროვნულ განკერ-ძოებასა და მტრობასთან.

სსრ კავშირის შექმნის იდეის პოპულარიზაციისათვის გამოყენებულ იქნა ბეჭდვითი და ზეპირი პროპაგანდის ყველა საშუალება. პარტიულ კრებებსა და მშრომელთა მასობრივ მიტინგებზე საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანე-ბის შესახებ მოხსენებებით გამოდიოდნენ ხელმძღვანელი პარტიული და საბ-ჭოთა მუშაკები.

ოქტომბერ-ნოემბერში გაიმართა ბათუმის, სოხუმის, ფოთის, ზუგდიდის, გორის საქალაქო და სამაზრო პარტიული კომიტეტების პლენუმები, პროფკავ-შირული და ახალგაზრდობის ორგანიზაციების კრებები, რომელთა მონაწილე-ნი ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა საქართველო სსრ კავშირში უნდა შევიდეს მხოლოდ ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მეორე პარტიულ კონფე-რენციაზე, რომელიც გაიმართა 1922 წლის 11 ნოემბერს, გ. კ. ორჯონიკიძემ დამაჯერებლად ჩამოაყალიბა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნის პო-ლიტიკური და ეკონომიური წანამძღვრები. „სოციალისტური რევოლუციის საფრთხის წინაშე, — ამბობდა იგი, — კაპიტალისტური სახელმწიფოები, მიუ-ხედავად მათი ინტერესების ყველა წინააღმდეგობისა, მაინც ქმნიან თავიანთ ბურჟუაზიულ კავშირს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, ამხანაგებო, რომ ჩვენ შეკრული ბურჟუაზიული ფრონტის წინააღმდეგ, მით უფრო უნდა გავერთიან-დეთ, შევქმნათ ერთი მძლავრი და უდრეკი მუშტი. ურთიერთდახმარების

გარეშე ჩვენ არსებობა არ შეგვიძლია, იმის გარეშე, რომ პიტერიდან ვლადივოსტოკამდე, პიტერიდან ბათუმამდე, თბილისამდე და სოხუმამდე არ არსებობდეს ცოცხალი პროლეტარული ჯაჭვი"[16]. კონფერენციამ მთლიანად მოიწონა სსრ კავშირის შექმნის ლენინური იდეა და რეზოლუციაში აღნიშნა, რომ „რესპუბლიკების კავშირში საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი უნდა შევიდნენ ერთ საერთო ოჯახად, ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით"[17].

1922 წლის 10 დეკემბერს გაიხსნა ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობა, რომელმაც შექმნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, მიიღო მისი კონსტიტუცია. ყრილობამ დროულად და აუცილებლად მიიჩნია სსრ კავშირის შექმნა და გადაწყვიტა ამიერკავკასიის რესპუბლიკები 'შესულიყვნენ'ამ კავშირში ნებაყოფლობის საწყისებზე ფედერაციის მეშვეობით.

1922 წლის 23—27 დეკემბერს მოსკოვში მიმდინარეობდა სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობა, რომლის მუშაობაში რუსეთის ფედერაციის 1727 დელეგატს გარდა მონაწილეობას იღებდნენ უკრაინის, ბელორუსიისა და ამიერკავკასიის ფედერაციიდან საბჭოების სრულიად საკავშირო პირველ ყრილობაზე არჩეული 488 დელეგატი, რომლებიც მოწვეული იყვნენ ამ ყრილობაზე როგორც სტუმრები.

ყრილობამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე „სახელშეკრულებო საბჭოთა რესპუბლიკების წინადადება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ" მოისმინა ი. ბ. სტალინის მოხსენება. იმასთან დაკავშირებით, რომ მოხსენების ძირითადი დებულებები ყრილობის დელეგატთა ერთსულოვან აზრს გამოხატავდა, გადაწყდა რომ ამ საკითხზე კამათი არ გამართულიყო. ყრილობას მიესალმნენ დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლები, რომლებმაც აცნობეს დელეგატებს თავიანთი რესპუბლიკების მშრომელთა მზადყოფნა და ერთსულოვანი გადაწყვეტილება ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით ყრილობას მიესალმა მიხა ცხაკაია, რომელმაც აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის მშრომელები ყოველთვის მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული რუსეთის მუშებთან და გლეხებთან. მაგრამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ნაციონალისტურმა პარტიებმა — მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა შოწყვიტეს ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთს, გამიჯნეს იგი ერთიმეორისაგან და ეს მხარე მსოფლიო იმპერიალიზმის სათარეშო ასპარეზად აქციეს. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ მთავრობათა ნაციონალისტური პოლიტიკის შედეგად უკიდურესად გამწვავდა ხალხთა შორის ეროვნული სიძულვილი და უნდობლობა, ადგილი ჰქონდა მოძმე ერებს შორის ხოცვა-ჟლეტის ბევრ შემთხვევას და სასაზღვრო შეტაკებებს. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ უზრუნველყო ნამდვილი ეროვნული მშვიდობიანობა, შესაძლებლობა მისცა ამიერკავკასიის ხალხებს დაეძლიათ ეკონომიური ნგრევა, დაემყარებინათ ძმური მეგობრობა და განემტკიცებინათ საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო ძლიერება.

---

[16] „Вторая партийная конференция коммунистических организаций Закавказья". Стенографический отчет. Тифлис, 1922, გვ. 24.

[17] იქვე, გვ. 30.

„და ჩვენმა ამხანაგებმა, — განაცხადა მიხა ცხაკაიამ, — ერთი წლის მანძილზე იმდენად კარგად მოამზადეს ნიადაგი, რომ ამიერკავკასიის ხალხთა ერთიანობის შენობა დააგვირგვინეს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა I ყრილობით, რომელიც ამას წინათ შესდგა. ამ ყრილობაზე 500 დელეგატზე მეტმა მისცა საბოლოო იურიდიულ-პოლიტიკური ფორმა საუკუნეების მანძილზე შექმნილ მათს გეოგრაფიულ-ეკონომიურ კავშირს. ისინი უფრო შორს წავიდნენ, რაკი დაადგინეს, რომ შეიქმნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთიანი ფრონტი ამიერკავკასიის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის და რსფს რესპუბლიკის შემადგენლობით.

და თქვენც, ამხანაგებო, უნდა გამოთქვათ აზრი ამ საკითხზე და დაადგინოთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ამ კავშირის შექმნის შესახებ. იგი მომწიფდა, იგი აუცილებლად იქცა... მე იმედი მაქვს, თქვენ მალე, ხვალ ან ზეგ-გადააქცევთ თქვენს რსფსრ სახელოვან დიდ X ყრილობას სსრკ პირველ გამაერთიანებელ ყრილობად, უფრო მეტად დიდ და უფრო მეტად მრისხანედ მშრომელი მასების ყველა მტრებისათვის, საერთაშორისო იმპერიალიზმისათვის, პირველ რიგში, — ყველა ჩვენი მეგობრის სასიხარულოდ, — პირველ ყოვლისა, ჩვენი განაწამები ძმების — ყველა ქვეყნის პროლეტარების სასიხარულოდ“[18].

ყრილობამ დროულად და აუცილებლად მიიჩნია დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად. მან დაადგინა, რომ გაერთიანებას საფუძვლად დაედოს რესპუბლიკების თანასწორუფლებიანობისა და ნებაყოფლობის პრინციპი თითოეული მათგანისათვის რესპუბლიკათა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლების შენარჩუნებით. ყრილობამ აირჩია დელეგაცია, რომელსაც სხვა საბჭოთა რესპუბლიკების დელეგაციებთან ერთად უნდა გამოემუშავებინა და განეხილა სსრ კავშირის შექმნის შესახებ დეკლარაციისა და სამოკავშირო ხელშეკრულების პროექტები.

1922 წლის 29 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში შეიკრიბა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სრულუფლებიანი დელეგაციების კონფერენცია, რომელმაც განიხილა და მოიწონა სსრ კავშირის შექმნის შესახებ დეკლარაციისა და სამოკავშირო ხელშეკრულების პროექტები, აგრეთვე საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობის მუშაობის დღის წესრიგი. დელეგაციებმა ხელი მოაწერეს ამ დოკუმენტებს და დასამტკიცებლად წარუდგინეს საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობას.

ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ხალხთა გამაერთიანებელი მოძრაობის დასკვნით ეტაპს წარმოადგენდა საბჭოების სრულიად საკავშირო პირველი ყრილობა, რომელიც გაიხსნა მოსკოვში 1922 წლის 30 დეკემბერს. ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ ერთსულოვნად აირჩიეს ვ. ი. ლენინი და მხურვალე მისალმება გაუგზავნეს მას.

სსრ კავშირის შექმნის შესახებ ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ი. ბ. სტალინი. დეკლარაციისა და ხელშეკრულების პროექტების გამოქვეყნებისას, მან თქვა: „საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში დღევანდელი დღე გარდატეხის დღეა. იგი ზღვარს სდებს ორ პერიოდს შორის: ესაა ძველი, უკვე

[18] „Десятый Всероссийский съезд Советов рабочих, крестьянских, красноармейских и казачьих депутатов (23—27 декабря 1922 г.)“. Стеногр. отчет. М., 1923, გვ. 194.

განვლილი პერიოდი. როდესაც საბჭოთა რესპუბლიკები თუმცა ერთად მოქმედებდნენ, მაგრამ ცალ-ცალკე მიდიოდნენ და უწინარეს ყოვლისა თავისი არსებობის საკითხისათვის ზრუნავდნენ, და ახალი, უკვე დაწყებული პერიოდი, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკების განცალკევებულ არსებობას ბოლო ეღება, როდესაც რესპუბლიკები ერთიანდებიან ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ...

იგი ამასთან ერთად არის დღე ახალი რუსეთის ზეიმისა ძველ რუსეთზე, ევროპის ჟანდარმ რუსეთზე, აზიის ჯალათ რუსეთზე. დღევანდელი დღე არის საზეიმო დღე ახალი რუსეთისა, რომელმაც დაამსხვრია ნაციონალური ჩაგვრის ბორკილები, მოაწყო გამარჯვება კაპიტალზე, შექმნა პროლეტარიატის დიქტატურა, გამოაღვიძა აღმოსავლეთის ხალხები, აღაფრთოვანებს დასავლეთის მუშებს, გადააქცია წითელი ალამი პარტიული დროშიდან სახელმწიფო დროშად და შემოიკრიბა ამ დროშის გარშემო საბჭოთა რესპუბლიკების ხალხები იმისათვის, რომ გააერთიანოს ისინი ერთ სახელმწიფოდ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად"...[19].

ასე შეიქმნა თავისუფალი და თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი სახელმწიფოებრივი გაერთიანება — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

ახალი ტიპის მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნა მუშათა კლასის ხელმძღვანელობით კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი თეორიული, პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის, ყველა საბჭოთა ხალხის რევოლუციური შემოქმედების თვალსაჩინო შედეგი და დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია მთელი კაცობრიობის სოციალურ პროგრესში.

მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, რომელიც გამოხატავს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის საარსებო ინტერესებს, შეეძლო შეეკავშირებინა ყველა ერი და ეროვნება ერთიან ინტერნაციონალურ ძმობად და წარემართა მათი ღონისძიებანი ახალი საზოგადოების ასაშენებლად.

სსრ კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფოს მოწყობის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და სრულყოფილი ფორმაა, რომელშიც მთელი საზოგადოების ინტერესები ჰარმონიულად შეხამებულია თითოეული ერის ინტერესებთან.

სსრ კავშირის შექმნისა და განვითარების ისტორიული გამოცდილება ნიმუში და მისაბაძი მაგალითი გახდა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის. მან ცხადყო რომ მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია სწორად გადაწყვიტოს ერთი სახელმწიფოს სისტემაში სხვადასხვა ერის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, უზრუნველყოს მათ შორის ძმური მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა, მიაღწიოს თითოეული ერისა და ეროვნების მატერიალური და სულიერი ძალების ნამდვილ აყვავებას.

მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის, ეროვნული საკითხის სამართლიანი გადაწყვეტის, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების საბჭოთა გამოცდილება მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მონაპოვარია, რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას უწევს სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ყველა მებრძოლს.

სოციალიზმის მშენებლობის პროცესში სულ უფრო იქმნებოდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის განგრძობისა და სრულყოფის ხელშემწყობი სოციალ-ეკონომიური პირობები. 1924 წელს შე-

---

[19] ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 5, გვ. 172, 174.

იქმნა თურქმენეთისა და უზბეკეთის, 1929 წელს კი ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, რომლებიც ნებაყოფლობით შევიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში. 1936 წელს ყაზახეთისა და ყირგიზეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკები გარდაიქმნენ მოკავშირე რესპუბლიკებად. იმავე წელს გაუქმებულ იქნა ამიერკავკასიის სფსრ და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები უშუალოდ შევიდნენ სსრ კავშირში. 1940 წელს ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის მშრომელებმა რევოლუციური ბრძოლით აღადგინეს საბჭოთა სახელმწიფოებრიობა, შექმნეს საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებიც ხალხთა ნებასურვილის საფუძველზე გაერთიანდნენ სსრ კავშირში. იმავე წელს მოლდავეთის ავტონომიური რესპუბლიკა გარდაიქმნა მოკავშირე რესპუბლიკად.

ახლა საბჭოთა კავშირი აერთიანებს 15 მოკავშირე რესპუბლიკას, რომელთა შემადგენლობაში შედის 20 ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, 8 ავტონომიური ოლქი და 10 ეროვნული ოკრუგი. სსრ კავშირი მისი შექმნის მომენტში აერთიანებდა 33 ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთეულს, ახლა მათი რიცხვი 53-მდე გადიდდა.

სოციალიზმის მშენებლობის წლებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაცია.

ვ. ი. ლენინმა წამოაყენა ამოცანა ჩვენი ქვეყნის წინათ ჩამორჩენილ განაპირა მხარეებში განვითარებულიყო საწარმოო ძალები და ამით მოგვემზადებინა საბჭოთა ერების დაახლოების მატერიალური და სოციალური პირობები. სწორედ რკპ(ბ) X და XII ყრილობებმა დასახეს კონკრეტული გზები და საშუალებანი ხალხთა ეკონომიური და კულტურული უთანასწორობის დასაძლევად. სოციალიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე პარტია უზრუნველყოფდა ეროვნული რესპუბლიკების და ოლქების ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მაღალ ტემპებს. მატერიალური სახსრებისა და მთელი ძალების კონცენტრაციამ, უანგარო ურთიერთდახმარებამ შესაძლებლობა მისცა ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხებს უმოკლეს ისტორიულ ვადაში დაეძლიათ წარსულისაგან მემკვიდრეობად მიღებული ჩამორჩენილობა, განეხორციელებინათ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და გარდაექმნათ სოციალისტურ საწყისებზე სოფლის მეურნეობა, მოეხდინათ ნამდვილი კულტურული რევოლუცია, აეშენებინათ სოციალიზმი და გადაექციათ სსრ კავშირი მძლავრ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოდ. ყველაფერმა ამან უზრუნველყო საბჭოების ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ნამდვილი თანასწორუფლებიანობა, აყვავება და დაახლოება.

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ისტორიაში პირველად მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში გადაწყდა ხალხთა ეკონომიური და კულტურული უთანასწორობის ლიკვიდაციის ამოცანა. სსრ კავშირში უზრუნველყოფილია ყველა ერისა და ეროვნების არა მარტო პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა, არამედ ფაქტიური თანასწორობაც. „სოციალიზმის ცაზე ყველა ერი — დიდი თუ პატარა — პირველი სიდიდის ვარსკვლავად ბრწყინავს“[20].

---

[20] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. ლენინური კურსით, ტ. II, თბილისი, 1971, გვ. 173.

თითოეული მოკავშირე რესპუბლიკა ახლა წარმოადგენს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მხრივ მაღალგანვითარებულ სოციალისტურ სახელმწიფოს. სკკპ XXIV ყრილობაზე აღინიშნა, რომ გასულ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა ვანლაგება „განვითარდა ყველა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა, გადიდდა თითოეული მათგანის წვლილი საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაჭრაში. ეს ნიშნავს, რომ გაფართოვდა ყველა ჩვენი ხალხის კავშირისა და ძმობის ეკონომიური საფუძველი"[21].

სსრ კავშირის სიმტკიცის მკაცრი შემოწმება იყო დიდი სამამულო ომი. კაცობრიობის ყველაზე საშიში მტრის — ჰიტლერული ფაშიზმის დამარცხებამ ცხადყო, რომ საბჭოთა ხალხებს მხოლოდ მჭიდრო კავშირით, საერთო ძალებით და ძმური თანამშრომლობით შეუძლიათ დაიცვან თავისუფლება და დამოუკიდებლობა, თავიანთი რევოლუციური მონაპოვარი. ომმა ეროვნული შუღლის გაღვივების, მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს დაშლის იმედები გაუცრუა მსოფლიო იმპერიალიზმს. მტრებზე მოპოვებულმა ისტორიულმა გამარჯვებამ წარმოაჩინა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უპირატესობანი, სსრ კავშირის დიადი სასიცოცხლო ძალა და ურღვევობა.

ხალხთა მონოლითურმა ერთიანობამ, მათმა გმირულმა შემართებამ უზრუნველყო სახალხო მეურნეობის უმოკლეს ვადაში აღდგენა, ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობა ომისშემდგომ პერიოდში. ამ დიდ შრომითს ეპოპეაში სრულად გამოვლინდა საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ერისა და ეროვნების აღმშენებლობითი ენერგია, შემოქმედებითი ნიჭი, ტალანტი.

საბჭოთა კავშირი ახლა მთელი მსოფლიოს წინაშე დგას როგორც მშენებარე კომუნიზმის ქვეყანა, ხალხთა მეგობრობის ციტადელი, საერთაშორისო რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბურჯი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის საფუძვლებს რომ ამუშავებდა, ვ. ი. ლენინი დიდი მზრუნველობით ეპყრობოდა პატარა ერების ინტერესებსა და თავისებურებებს. იგი სასტიკად იცხავდა ყველას, ვინც **ეროვნული ურთიერთობის** დარგში მიმართავდა შიშველ ადმინისტრირებას, ანგარიშს არ უწევდა კონკრეტულ ვითარებასა და ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, ურჩევდა ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების კომუნისტებს, რომ მათ ბრმად კი არ გადაეღოთ რუსეთის გამოცდილება, არამედ დამოუკიდებლად გაეაზრებინათ მისი თავისებურებანი ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

ვ. ი. ლენინი უყურადღებოდ არ ტოვებდა პარტიის ეროვნული პოლიტიკის ინტერნაციონალური პრინციპების დარღვევის არც ერთ ფაქტს, განსაკუთრებული ძალით უსვამდა ხაზს ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნებისადმი ფაქიზი დამოკიდებულების აუცილებლობას, მოითხოვდა დეტალური კოდექსის შექმნას გაერთიანებული საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენული უფლებების დაცვისათვის.

გადაჭრით ილაშქრებდა რა ეროვნული თავისებურებებისა და გრძნობებისადმი ნიჰილისტური, ქედმაღლური, ბატონკაცური დამოკიდებულების ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, ვ. ი. ლენინი ასწავლიდა რევოლუციო-

[21] „სკკპ XXIV ყრილობის მასალები". თბილისი, 1971, გვ. 49.

ნერებს თანმიმდევრულად გაეთვალისწინებინათ ეროვნული ინტერესები, დაეცვათ ყველა ერის თანასწორუფლებიანობის პრინციპები, მათი დამოუკიდებლობის, თავისთავადი განვითარების უფლება. იგი განმარტავდა, რომ მხოლოდ უდიდესი ყურადღების გამოჩენა სხვადასხვა ერის ინტერესებისადმი სპობს ნიადაგს კონფლიქტებისათვის, სპობს ურთიერთუნდობლობას და ყოველგვარი ინტრიგების შიშს, ქმნის იმ ნდობას, განსაკუთრებით სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მუშებსა და გლეხებს შორის, ურომლისოდაც შეუძლებელია მშვიდობიანობა ხალხთა შორის და წარმატებით განვითარება ყოველივე იმისა, რაც კი საგულისხმო რამ არის თანამედროვე ცივილიზაციაში.

1919 წლის მარტში რკპ(ბ) VIII ყრილობაზე ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ეროვნული ინტერესებისა და თავისებურებების გაუთვალისწინებლად „სოციალისტური საზოგადოების აშენება ჩვენ არასგზით არ შეგვიძლია“[22].

ამასთანავე ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არა მარტო დიდი სახელმწიფოს პროლეტარიატმა, არამედ პატარა ქვეყნის მუშათა კლასმაც არ უნდა დაივიწყოს თავისი მოვალეობა „იბრძოდეს ვიწრო-ეროვნული შეზღუდულობის, კარჩაკეტილობის, განკერძოების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, იბრძოდეს იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს მთელი და საერთო, რომ კერძოს ინტერესები დაუმორჩილდეს ზოგადის ინტერესებს“[23]. საქმისადმი სხვაგვარი მიდგომა ნიშნავს დაქანებას ნაციონალიზმისაკენ, რომელიც თავისი განცალკევებისა და დაქუცმაცების ტაქტიკით „ა რ ა რ ა დ ა ქ ც ე ვ ს ყველა ერის, ყველა რასის, ყველა ენის პროლეტართა დაახლოებისა და ერთიანობის დიად ცნებას“[24].

თანმიმდევრულად ახორციელებს რა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, ჩვენი პარტია შეურიგებლად იბრძვის შოვინიზმის, ნაციონალიზმის, კუთხურობისა და ეროვნული ეგოიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, ზრდის მშრომელებს სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულისა და ხალხთა შორის ძმური მეგობრობის სულისკვეთებით.

კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა ინტერნაციონალური და ეროვნული ინტერესების სწორად შეხამება. იგი კომუნისტებს ასწავლიდა, რომ სოციალიზმისათვის, მისი აშენებისა და დაცვისათვის ბრძოლა ხალხის ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა.

ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ სოციალიზმის მშენებლობის წარმატებანი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საზოგადოებრივი განვითარების საერთო კანონზომიერებათა და ეროვნულ-თავისებურებათა, ინტერნაციონალურისა და ეროვნულ-განსაკუთრებულის ჰარმონიულ შეხამებაზე.

სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შედეგად საბჭოთა საზოგადოების სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა ღრმა თვისებრივი ცვლილებანი. განმტკიცდა მუშათა და გლეხთა კავშირი, ჩამოყალიბდნენ სოციალისტური ერები, დამკვიდრდა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური

---

[22] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 29, გვ. 220.
[23] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 22, გვ. 442.
[24] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი, ტ. 6, გვ. 646.

ერთიანობა, აყვავდა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურა, აღმოიფხვრა კლასობრივი და ეროვნული ანტაგონიზმი. მთელ საზოგადოებას და თითოეულ ერსა და ეროვნებას აქვთ ერთნაირი სოციალური სტრუქტურა, რომელსაც შეადგენენ მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია.

ახლა თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის ხალხთა ეროვნული თავისებურებანი ორგანულად შეხამებულია ინტერნაციონალურ, სოციალისტურ, საერთო საბჭოურ თვისებებთან და ტრადიციებთან.

კომუნისტური მშენებლობის პირობებში ეროვნული ურთიერთობის განვითარება მიმდინარეობს სოციალისტური ერების ნებაყოფლობითი კავშირის ყოველმხრივი განმტკიცებისა და სრულყოფის ხაზით.

კომუნისტური პარტია განუხრელად ახორციელებს ვ. ი. ლენინის ანდერძს, მის იდეებსა და მითითებებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაფართოების შესახებ.

სკკპ XXIV ყრილობამ დასახა ამოცანა, რომ მომავალშიც თანმიმდევრულად „ვახორციელებდეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცების ლენინურ კურსს, ამასთან ვხელმძღვანელობდეთ საბჭოთა სახელმწიფოს საერთო ინტერესებით, აგრეთვე ვითვალისწინებდეთ მასში შემავალი თითოეული რესპუბლიკის განვითარების პირობებს, თანმიმდევრულად ვიღწვოდეთ ყველა სოციალისტური ერის შემდგომი აყვავებისათვის და მათი თანდათანობით დაახლოებისათვის“[25].

ახლა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს სოციალისტური ერების შემდგომი დაახლოების, მათი კულტურების ურთიერთგავლენისა და ურთიერთგამდიდრების ბუნებრივი პროცესი. ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა ვ. ი. ლენინის დებულების სისწორე იმის შესახებ, რომ სოციალიზმი აწყობს რა კლასობრივი ჩაგვრისაგან თავისუფალ წარმოებას, აადვილებს და გიგანტურად აჩქარებს ერების დაახლოებას.

---

[25] „სკკპ XXIV ყრილობის მასალები“, გვ. 254.

ლეო ჩიქავა

სსრ კავშირის შექმნის მნიშვნელობა საბჭოთა ხალხების ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის

საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანება, როგორც ცნობილია, ნაკარნახევი იყო ისტორიული განვითარების ობიექტური მსვლელობით. სწორედ მატერიალური სახსრებისა და ძალების კონცენტრაციამ, საბჭოთა ხალხების უანგარო ურთიერთდახმარებამ მოგვცა საშუალება არა მარტო დაგვეცვა ოქტომბრის მონაპოვარი მსოფლიო იმპერიალიზმისაგან, არამედ უმოკლეს ისტორიულ ვადაში აღმოგვეფხვრა მემკვიდრეობად მიღებული ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, აგვეშენებინა სოციალისტური საზოგადოება, ყველა რესპუბლიკაში შეგვექმნა მაღალგანვითარებული მრეწველობა და მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, მკვეთრად აგვემაღლებინა მშრომელთა ცხოვრების დონე, გაგვეგითარებინა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული ხალხთა კულტურა.

კაპიტალისტურთან შედარებით მეურნეობის სოციალისტური სისტემის გადამწყვეტ უპირატესობებთან ერთად, საბჭოთა რესპუბლიკების ძალთა კონსოლიდაციამ და ძმურ ერთიანობაში საბჭოთა ხალხის ყველა ერისა და ეროვნების აღმშენებლობითი ენერგიის, შემოქმედებითი ნიჭისა და ტალანტის სრულად გამოვლინებამ უზრუნველყო ის მაღალი დონე, რომელსაც დღეისათვის მიაღწია საერთო-საკავშირო ეკონომიკამ — შეკავშირებულმა სახალხო-სამეურნეო კომპლექსმა.

როგორც ცნობილია, სამრეწველო პროდუქციის წარმოებით მეფის რუსეთს მსოფლიოში მეხუთე და ევროპაში მეოთხე ადგილი ეჭირა. ამ მხრივ მას მნიშვნელოვნად უსწრებდნენ ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია, რომ არაფერი ვთქვათ ამერიკის შეერთებულ შტატებზე. 1913 წელს რუსეთის იმპერიაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება შეადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 12,5 პროცენტს, ელექტროენერგიის გამომუშავება — 8, მინერალური სასუქების წარმოება — 3 და მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების დონე დაახლოებით 11 პროცენტს[1].

საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებული ძალებით მოქმედებისა და მეურნეობის სოციალისტური სისტემისათვის დამახასიათებელ უპირატესობათა შეოხებით, სსრ კავშირმა უკვე მეორე ხუთწლედის დასასრულისათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოებით მეორე, ხოლო განვითარების ტემპებით პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში.

სსრ კავშირში ამჟამად მეტი სამრეწველო პროდუქცია იწარმოება, ვიდრე ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იტალი-

---

[1] „Народное хозяйство СССР в 1970 году" (стат. ежегодник"), М., 1971, გვ. 82.

აში ერთად. ამასთან, წარმოების მოცულობით ჩვენი ქვეყანა თანდათანობით უახლოვდება ამერიკის შეერთებული შტატების დონეს. ამ უკანასკნელთან შედარებით სსრ კავშირში 1970 წელს სამრეწველო პროდუქცია წარმოებულ იქნა 75 პროცენტის რაოდენობით. მეფის რუსეთის ხვედრითი წონა მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში 1918 წელს 3 პროცენტსაც არ აღწევდა, საბჭოთა კავშირისა კი ამჟამად თითქმის ერთ მეხუთედს შეადგენს.

გოელროს გეგმა, რომელიც 1920 წელს ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით იქნა შედგენილი, ითვალისწინებდა 10—15 წლის მანძილზე 1 მილიონ 750 ათასი კილოვატის სიმძლავრის (8,8 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგიის გამომუშავებით წელიწადში) ელექტროსადგურების აგებას. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს იმდროინდელი მძიმე ეკონომიურ ვითარებაში ასეთი გეგმის პრაქტიკული განხორციელება ბევრს (როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ) ფანტაზიად მიაჩნდა. ინგლისელმა მწერალმა უელსმა ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმას „ელექტროფიქცია", ხოლო მის შემოქმედს — ვ. ი. ლენინს „კრემლის მეოცნებე" უწოდა.

როგორც ჩანს, კაპიტალისტური სამყაროს იდეოლოგებს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სრული წარმოდგენა ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ეკონომიური განვითარების უდიდეს პოტენციალურ შესაძლებლობებზე. მაგრამ პრაქტიკამ იგი უცილობელ ფაქტად აქცია. გოელროს გეგმა ვადამდე — დაახლოებით 10 წელიწადში შესრულდა, ხოლო შემდგომ პერიოდში მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა. ამჟამად სსრ კავშირში ყოველწლიურად დგება მწყობრში ენერგეტიკული სიმძლავრენი, რომლებიც 7-ჯერ აღემატება იმას, რაც გოელროს გეგმით იყო დასახული.

1970 წელს სსრ კავშირში წარმოებულ იქნა 740 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია ანუ 148-ჯერ მეტი, ვიდრე 1928 წელს და 15,3-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს. ელექტროენერგიის გამომუშავებით სსრ კავშირი 1928 წელს 3-ჯერ ჩამორჩებოდა ინგლისს, საფრანგეთსა და გერმანიას ცალცალკე, 1970 წელს კი ჩვენი ქვეყნის ელექტროსადგურებმა თითქმის იმდენი ელექტროენერგია გამოიმუშავეს, რამდენიც ევროპის ოთხი მთავარი კაპიტალისტური ქვეყნის (ინგლისი, საფრანგეთი, გდრ და იტალია) ელექტროსადგურებმა ერთად[2].

გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების განხორციელებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მატერიალური საფუძველია ეროვნული შემოსავლის ზრდა, რომლის წარმოების მასშტაბები ჩვენს ქვეყანაში სისტემატურად ფართოვდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1922 წელთან — სსრ კავშირის შექმნის წელთან შედარებით ქვეყნის წარმოებული ეროვნული შემოსავალი 100-ჯერ და მეტად გაიზარდა. ეროვნული შემოსავლის აბსოლუტური წარმოება პერიოდების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა (მილიარდ მანეთობით, 1965 წ. შესადარი ფასებით): 1936—1940 წწ. — 154, 1961—1965 წწ. — 840, 1966—1970 წწ. — 1166.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით, ჩვენს ქვეყანაში 1971—1975 წლებში შეიქმნება სულ 1625 მილიარდი მანეთის ეროვნული შემოსავალი ანუ 10,5-ჯერ მეტი, ვიდრე ომამდელი ხუთი წლის განმავლობაში.

---

[2] „Народное хозяйство СССР в 1970 году" (стат. ежегодник), М., 1971, сз. 94—95.

აღსანიშნავია, რომ თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს ეროვნული შემოსავლის გასაორკეცებლად დასჭირდა 20 წელი, ინგლისს — 30 წელზე მეტი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას — თითქმის 15 წელი, სსრ კავშირს დასჭირდა მხოლოდ 10 წელი[3].

სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოებული ეროვნული შემოსავალი საბოლოო ანგარიშში მთლიანად მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებას ხმარდება. ამიტომ ეროვნული შემოსავლის ზრდის ასეთი სწრაფი ტემპები მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის განუხრელ ზრდას აპირობებს. მაგალითად, 1918—1970 წწ. უმუშევრობის ლიკვიდაციისა და სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების გათვალისწინებით ერთ მომუშავეზე საშუალოდ ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და მშენებლობის მუშათა რეალური შემოსავალი გაიზარდა 8-ჯერ, ხოლო გლეხობისა — 12-ჯერ. ამავე პერიოდში ქალაქის საცხოვრებელი ფონდის საერთო სასარგებლო ფართობი გადიდდა 8,5-ჯერ, მოსახლეობის ყოველ 10 000 კაცზე ექიმთა რაოდენობა — 15,2-ჯერ, საავადმყოფოების საწოლთა რაოდენობა — 12,8-ჯერ, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა —32 წლიდან 70 წლამდე[4].

ეს მონაცემები ნათლად მოწმობენ ჩვენი ეკონომიკის გეგმაზომიერ და დინამიკურ განვითარებას. ხანგრძლივი დროის მანძილზე ასეთ დინამიკურობას არ იცნობს არცერთი კაპიტალისტური ქვეყნის ეკონომიკა.

რაში უნდა ვეძიოთ საბჭოთა ეკონომიკის ასეთი გიგანტური ნაბიჯებით განვითარების საიდუმლოება? — მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკის ერთიანი სახელმწიფო გეგმის საფუძველზე განვითარებაში, ქვეყნის თითოეული ტერიტორიული ერთეულის ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიური პირობების თვისებურებათა გათვალისწინებით შრომის საერთო-საკავშირო ტერიტორიულ დანაწილებასა და ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალურ გამოყენებაში.

არა მარტო ყოველი მცირე მოცულობის ეკონომიურ ერთეულში, არამედ ხშირად თითოეულ მსხვილ ეკონომიურ რაიონსა და რესპუბლიკაშიც განსაკუთრებული ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიური პირობები არსებობს წარმოების მხოლოდ ერთი ან რამდენიმე, და არა ყველა, დარგის განვითარებისათვის. სწორედ ისეთი დარგები, რომელთა განვითარება ყველაზე მაღალ ეკონომიურ ეფექტს უზრუნველყოფს მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაზღვრავენ მოცემული საბჭოთა რესპუბლიკის საწარმოო სპეციალიზაციას და წარმოგვიდგებიან მაპროფილებელ დარგებად.

მაპროფილებელ დარგთა პროდუქცია ჩვეულებრივ აღემატება მასზე ადგილობრივ არსებულ მოთხოვნილებას და იგი გადის სხვა რესპუბლიკებში, იქ, სადაც მისი წარმოება შეუძლებელია ან შეიძლება, მაგრამ მეტ საწარმოო დანახარჯებს მოითხოვს, ან კიდევ ხარისხობრივი მაჩვენებლები დაბალია. ამავე დროს სხვა რესპუბლიკებიდან შემოდის პროდუქცია, რომელიც უფრო ხელსაყრელ პირობებში იწარმოება იქ, მოძმე რესპუბლიკებში. თუმცა ზოგჯერ ეკონომიურ რაიონში ან რესპუბლიკაში შეაქვთ ისეთი სახეობის პროდუქციაც, რომლის საკმაო რაოდენობით და ნორმალური თვითღირებულებით ადგილზე-

[3] „სკკპ XXIV ყრილობის მასალები", თბ., 1971, გვ. 181.

[4] „Народное хозяйство СССР в 1970 году" (стат. ежегодник). М., 1971, გვ. 68. 69.

ვე წარმოების სრულ შესაძლებლობას იძლევა ბუნებრივი და ეკონომიური პირობები. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოცემული ეკონომიური რაიონის ან რესპუბლიკის დასამუშავებლად ვარგისი მიწის ფართობისა და შრომითი რესურსების უდიდესი ნაწილი საერთო-საკავშირო მნიშვნელობის შედარებით უფრო დეფიციტური პროდუქციის წარმოებისათვის გამოიყენება.

ადგილობრივი პირობების თავისებურებათა გათვალისწინებით, როდესაც ესა თუ ის საბჭოთა რესპუბლიკა ერთი ან რამდენიმე სახეობის პროდუქციის წარმოებაზეა სპეციალიზებული, სხვა რესპუბლიკები სხვა დანარჩენი სახეობის პროდუქციის წარმოებაზე სპეციალდებიან, ხოლო საერთო-საკავშირო სპეციალიზაციის დარგთა პროდუქცია ურთიერთ იცვლება.

შრომის ტერიტორიული დანაწილების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც სსრ კავშირია. ეს აიხსნება, ჯერ ერთი, იმით, რომ მას ძალიან ვრცელი ტერიტორია (დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილი) უჭირავს. სსრ კავშირის ტერიტორია ევროპის ტერიტორიას (სსრ კავშირის ევროპული ნაწილის გამოკლებით) 4,5-ჯერ აღემატება. მეორე, სსრ კავშირის ბუნებრივი, ეკონომიური და ისტორიული პირობები მეტად მრავალფეროვანია. ამ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1918 წელს მიუთითებდა ისეთი გეგმის შედგენის აუცილებლობაზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა „...რუსეთში მრეწველობის რაციონალური განლაგება ნედლეულის სიახლოვისა და შრომის უმცირესი დანაკარგის შესაძლებლობის თვალსაზრისით ნედლეულის დამუშავებიდან ნახევარფაბრიკატების დამუშავების ყველა თანამომდევნო სტადიაზე გადასვლისას, თვით მზა პროდუქტის მიღებამდე“[5].

წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარებითა და მეურნეობის სოციალისტური სისტემის **დამკვიდრებით ჩვენს** ქვეყანაში პირველად შეიქმნა რეალური ეკონომიური საფუძველი ვ. ი. ლენინის ამ ცნობილი მითითების შესაბამისად საწარმოო ძალთა განლაგებისათვის. შრომის საერთო-საკავშირო ტერიტორიული დანაწილება საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო განვითარების საკითხთა კომპლექსში იმთავითვე ერთ-ერთ ცენტრალურ და აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა. აი რას ამბობდა უზბეკეთის კომუნისტური პარტიის პირველ ყრილობაზე მ. კალინინი: „...როდესაც უზბეკეთი გახდება ბამბის დამამზადებელ ერთიან ფაბრიკად, როდესაც მზის არცერთი სხივი არ დაიკარგება, როდესაც პსკოვის ან სხვა ჩრდილოეთისა და ცენტრალური გუბერნიები გადაიქცევიან სელის მწარმოებელ ფაბრიკებად, გადაიქცევიან არა ძალდატანებით, არამედ ხელსაყრელობის მიხედვით — ეს იქნება ჩვენი მეურნეობის ძლიერების გიგანტური განვითარება, რომელსაც საფუძვლად დაედება შრომის ჰარმონიული საერთო-საკავშირო დანაწილება“[6].

საბჭოთა ქვეყნის ეკონომიური განვითარება, რომელიც სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს, თავიდანვე ამ გზით წარიმართა. დიდი მუშაობა ჩატარდა, უწინარეს ყოვლისა, იმის დასადგენად, თუ ქვეყნის თითოეულ ნაწილში რომელი დარგების განვითარებისთვის არსე-

---

[5] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 27, გვ. 382.

[6] М. И. Калинин. Доклад на I съезде КП (б) Узбекистана. стен. отчет I съезда КП (б) Узбекистана, Ташкент, 1925, გვ. 25.

ბობს ყველაზე უფრო ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიური პირობები. ამის შესაბამისად განისაზღვრა რესპუბლიკებისა და ეკონომიური რაიონების საწარმოო სპეციალიზაცია, ვინაიდან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი სპეციფიკური პირობების რაც უფრო მაქსიმალური გათვალისწინებითაა წარმოების დარგები განლაგებული, მით უფრო მაღალია საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, დროის ერთეულში მით უფრო მეტი მაღალხარისხოვანი და მრავალფეროვანი პროდუქცია იწარმოება.

აი როგორ სურათს იძლევა შრომის საერთო-საკავშირო ტერიტორიული დანაწილების საფუძველზე ზოგიერთი პროდუქტის წარმოება საბჭოთა რესპუბლიკების მიხედვით. 1970 წლის მონაცემებით, სსრ კავშირში ნავთობის მოპოვების 80,6 პროცენტი მოდის რსფსრ-ზე, 5,7 აზერბაიჯანზე, 4,1 თურქეთზე, 3,7 ყაზახეთზე, 1,2 ბელორუსიაზე და 0,2 პროცენტი ყირგიზეთსა და ტაჯიკეთზე. დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებში ნავთობის სამრეწველო მნიშვნელობის საბადოები არ მოიპოვება; რკინის მადნის 56,9 პროცენტს აწარმოებს უკრაინა, 33,1 — რსფსრ, 9,3 — ყაზახეთი და 0,7 პროცენტს — აზერბაიჯანი; ბამბის 67,7 პროცენტი იწარმოება უზბეკეთში, 12,6 — თურქმენეთში, 10,5 — ტაჯიკეთში, 4,9 — აზერბაიჯანში, 2,7 — ყირგიზეთში, 1,6 პროცენტი — ყაზახეთში[7].

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩაის მცირე რაოდენობით წარმოებას აზერბაიჯანსა (ლენქორანი) და რსფსრ (კრასნოდარის მხარე), არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, არამედ მთელს ევროპაში მისი ერთადერთი მწარმოებელია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონა, ვინაიდან მხოლოდ აქ მოიპოვება მეტად სპეციფიკური ნიადაგურ-კლიმატური გარემოს მომთხოვნი ჩაის კულტურის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. ამის გამო მეჩაიეობა ჩვენს რესპუბლიკაში საერთო-საკავშირო სპეციალიზაციის დარგს წარმოადგენს და მისი პროდუქციის დაახლოებით 97 პროცენტი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში გადის.

მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველო ერთადერთი ექსპორტიორია არა მარტო ბაიხაო, შავი ფილა და აგურა ჩაის, არამედ სპეციალური ჩარხების, ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს", ჩაისა და ღვინის მრეწველობის მოწყობილობის, მანგანუმის, დიატომიტის, აქატის და რიგი სხვა პროდუქტებისა. აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის ევროპული ნაწილის თითქმის მთელი ნავთობმომპოვებელი და ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობა ეყრდნობა საქართველოში წარმოებულ გუმბრინსა და ასკანიტს. ჩვენს რესპუბლიკას მნიშვნელოვანი რაოდენობით გააქვს აგრეთვე მაგისტრალური ელმავლები, სატვირთო ავტომობილები, ელექტროძრავები, ფოლადი, ნაგლინი, ფოლადის მილები, საფეიქრო ნაწარმი, ღვინო, შამპანური, კონიაკი, თამბაქო, კონსერვი, ეთეროვანი ზეთები, მინერალური წყლები და სხვ. სამაგიეროდ სხვა რესპუბლიკებიდან შემოაქვს ნავთობი, რკინის მადანი, მსუბუქი ავტომობილები, ექსკავატორები, ტრაქტორები, ტელევიზორები, მაცივრები, ბამბა, მარცვლეული, ხორცი, კარაქი და სხვ.

საბჭოთა რესპუბლიკებს შორის შრომის ტერიტორიული დანაწილება, ე. ი. მათი ბუნებრივი და ეკონომიური პირობების სპეციფიკის გათვალისწი-

---

[7] „Народное хозяйство СССР в 1970 году" (стат. ежегодник), М., 1971, зз. 70—73.

ნებით წარმოების სპეციალიზაცია და საქმიანობის ურთიერთგაცვლა გაცილებით მეტ ეკონომიურ ეფექტს იძლევა, ვიდრე შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილება, და კიდევ უფრო მეტ ეფექტს — ვიდრე შრომის საერთაშორისო კაპიტალისტური დანაწილება, ან დანაწილება კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემათა ქვეყნებს შორის. ეს იმიტომ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ერთ საკავშირო სოციალისტურ სახელმწიფოდ გაერთიანების შედეგად შექმნილია მძლავრი საერთო-საკავშირო ეკონომიკა, რომელიც ვითარდება ერთიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის საფუძველზე. გაერთიანებული სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ასეთი გზით წარმართვა დიდი ეკონომიური ეფექტის მომცემია[8].

სსრ კავშირის შექმნა და თავისუფალ ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის განმტკიცება იყო მძლავრი ფაქტორი, რომელმაც შეუწყო ხელი მეფის რუსეთის განაპირა, წინათ ჩამორჩენილი მხარეების ეკონომიკის საშუალო-საკავშიროზე უფრო სწრაფი ტემპებით განვითარებას და საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური და კულტურული განვითარების დონეთა დაახლოებას.

როგორც ცნობილია, რევოლუციამდელ რუსეთში სამრეწველო წარმოების ორ მესამედზე მეტი ცენტრალურ ოლქებზე მოდიოდა. განაპირა ქვეყნები — განსაკუთრებით შუა აზია და კავკასია სიღატაკესა და უმეცრებაში იმყოფებოდნენ. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველო რუსეთზე უფრო გლეხურ ქვეყანას წარმოადგენდა. აქ მოსახლეობის ოთხი მეხუთედი სოფლად ცხოვრობდა და სოფლის მოსახლეობის 95 პროცენტი სოფლის მეურნეობას მისდევდა. მიწა პრიმიტიული ტექნიკით — კავითა და ცოცხალი გამწევი ძალით მუშავდებოდა. 1913 წელს მოსახლეობის ერთ სულზე სამრეწველო პროდუქციას საქართველო 4,3-ჯერ ნაკლებს აწარმოებდა, ვიდრე თვით ეკონომიურად გაჩანაგებული რუსეთი; 1919 წელს სახალხო მეურნეობის მთლიან პროდუქციაში მრეწველობის ხვედრი წონა 8,3 პროცენტს არ აღემატებოდა.

ცარიზმისა და რუსეთის კაპიტალიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგების სწრაფი ლიკვიდაცია, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის შეძლებული და კულტურული ცხოვრების ფართო გზაზე გამოყვანა შეუძლებელი იყო ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში ჩამორჩენილ ეროვნებათათვის უფრო ხელსაყრელი მდგომარეობის შექმნის, მათთვის უანგარო და ძმური დახმარების გაწევის გარეშე .

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ცარიზმის დროს ჩამორჩენილი მხარეების სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას. ჯერ კიდევ 1921 წელს აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებს იგი წერდა: „მთელი ძალღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი. ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის დიდი სამუშაოები“[9].

ამ ამოცანათა პრაქტიკულ განხორციელებაშიც დიდ დახმარებას უწევდა ვ. ი. ლენინი საქართველოს. 1921 წელს, როდესაც საქართველოს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე თავის პირველ

---

[8] Еженедельник «Экономическая газета», № 17, апрель 1972 года, გვ. 7.

[9] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 398—399.

ნაბიჯებს დგამდა, ლენინის უშუალო მითითებით რსფსრ-ს მთავრობამ ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის გამოყო გრძელვადიანი სესხი ოქროთი 750 ათასი მანეთის რაოდენობით. მისივე წინადადებით რუსმა მუშებმა საბჭოთა საქართველოს საჩუქრად გამოუგზავნეს საფეიქრო ფაბრიკის მოწყობილობა, რომლის ბაზაზეც აშენდა ქუთაისის მაუდის ფაბრიკა[10].

ოქტომბრის რევოლუციამდე აზერბაიჯანის ეკონომიკა ძლიერ ჩამორჩენილი იყო. მრეწველობის ყველაზე განვითარებული დარგი — ნავთობის ამოღება და გადამუშავებაც კი ტექნიკურ რეკონსტრუქციას საჭიროებდა. საკუთარი ძალებით ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, ამიტომ ბაქოელ მენავთობეებს ძმური დახმარება აღმოუჩინა ძთელი საბჭოთა ქვეყნის პროლეტარიატმა. იქ ჩავიდა ათასობით კვალიფიციური მუშა, ინჟინერი, მეცნიერი მუშაკი. საბჭოთა რუსეთიდან აზერბაიჯანში ჩატანილ იქნა მთელი ქარხნებისა და ფაბრიკების მოწყობილობა, ახალი ტექნიკა ნავთობის მოპოვებისათვის. ყოველივე ამან ხელი შეუწყო აზერბაიჯანელ მშრომელებს უმოკლეს ვადაში განეხორციელებიხათ ხავთობის მრეწველობის რეკონსტრუქცია და სწრაფი ტემპებით წარემართათ სოციალისტური მშენებლობა.

ეროვნებათა საბჭოს ინიციატივით სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნის ჩამორჩენილი მხარეებისადმი დახმარების სპეციალური ფონდის შექმნის შესახებ. საერთო-საკავშირო ბიუჯეტიდან ასიგნებანი ასრულებდა გადამწყვეტ როლს მრავალი ეროვნული რესპუბლიკის ეკონომიკის აღდგენასა და განვითარებაში. მაგალითად, შუა აზიის რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის მარტო პირველ ხუთწლედში გამოყოფილ იქნა 2,5 მილიარდ მანეთზე მეტი. უზბეკეთის ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობაზე, ძველის გაფართოებასა და გადაკეთებაზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიხარჯა 40-ჯერ მეტი სახსრები, ვიდრე დაიხარჯა მორწყვის საჭიროებაზე შუა აზიის ყველა ოლქში რევოლუციამდელი 60 წლის განმავლობაში.

საერთოდ 1930-იანი წლების შუა ხანებამდე შუა აზიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობაში ბიუჯეტის გასავალი მნიშვნელოვნად სჭარბობდა შემოსავალს და დეფიციტი საბჭოთა სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტის სახსრებით იფარებოდა. საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი ძმური ოჯახის შექმნა იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც შეუწყო ხელი შუა აზიის რესპუბლიკების სოციალიზმში გადასვლას კაპიტალიზმის გვერდის ავლით.

საკავშირო ბიუჯეტის თანხების მზარდი მასშტაბით გამოყენება და ქვეყნის გაერთიანებული ძალების გამოყენებით წარმოების ახალ დარგთა შესაქმნელად მუშაობის ფართოდ გაშლა დაედო საფუძვლად წინათ ჩამორჩენილი ეროვნული რესპუბლიკების ეკონომიკის საშუალოზე უფრო ჩქარი ტემპებით განვითარებას და ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციას. როგორც სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები ცხადყოფს, 1913—1971 წწ. სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზარდა: სსრ კავშირში საშუალოდ 99-ჯერ, მათ შორის ყაზახეთის სსრ — 158-ჯერ, მოლდავეთის სსრ — 166-ჯერ, სომხეთის სსრ — 201-ჯერ, ყირგიზეთის სსრ — 211-ჯერ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქ-

[10] „Советская Грузия по ленинскому пути", (стат. сборник). М., 1970, зз. 6—7.

ცია გაიზარდა სსრ კავშირში საშუალოდ 3,1-ჯერ, მათ შორის ტაჯიკეთში — 7,8-ჯერ, ყაზახეთში 6,4-ჯერ, საქართველოში —6,3-ჯერ, ყირგიზეთში —5,7-ჯერ და მოლდავეთში —4,8-ჯერ.

ომამდელ ხუთწლედებში, რიგ სხვა რესპუბლიკებთან ერთად, საბჭოთა საქართველოს მრეწველობა უფრო ინტენსიურად ვითარდებოდა, ვიდრე სსრ კავშირისა მთლიანად. 1940 წელს 1913 წელთან შედარებით საქართველოს სსრ მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 10-ჯერ გაიზარდა და მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 27-ჯერ, ხოლო მთლიანად სსრ კავშირისა, შესაბამისად 8,5-ჯერ და 11,7-ჯერ[11]. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპებით 1940 წლისათვის საბჭოთა საქართველოს პირველი ადგილი ეკავა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, ხოლო მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპით იგი მესამე ადგილზე იყო ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შემდეგ. საქართველოს მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შედეგად მისი პროდუქციის ხვედრითი წონა მთლიანად ჩვენი ქვეყნის მრეწველობის პროდუქციაში 1913 წლის 0,38 პროცენტიდან 1,02 პროცენტამდე გაიზარდა 1940 წელს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შუა აზიაში შეიქმნა მრეწველობის 100-ზე მეტი დარგი, მათ შორის, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, რადიოტექნიკური და ელექტროტექნიკური მრეწველობა, ქიმია და ნავთობქიმია. ახლა უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის სს რესპუბლიკათა წილად მოდის საბჭოთა კავშირში სართავ მანქანათა წარმოების სამი მეოთხედი და ბამბეულის საქსოვ მანქანათა თითქმის მთელი გამოშვება, მაშინ როდესაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე უზბეკეთის ველებზე მოყვანილი ბამბაც კი გადასამუშავებლად გაჰქონდათ ათასობით კილომეტრზე, ცენტრალურ რუსეთში. ამჟამად სსრ კავშირში უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის რესპუბლიკებს პირველი ადგილი უკავიათ ბამბის ბოჭკოს წარმოებაში და მეორე — აბრეშუმის ქსოვილების წარმოებაში.

წარმოების მასშტაბის გაფართოებამ, მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა რიცხვის გადიდებამ და განსაკუთრებით შრომის ნაყოფიერების მკვეთრმა ამაღლებამ განაპირობა საბჭოთა რესპუბლიკებში ეროვნული შემოსავლის სწრაფი ზრდა. ასე მაგალითად, 1960 წელთან შედარებით 1970 წელს ეროვნული შემოსავალი ტაჯიკეთის სსრ გაიზარდა 2,13-ჯერ, ყირგიზეთის სსრ — 2,2-ჯერ, სომხეთის სსრ — 2,35-ჯერ, ლიტვის სსრ — 2,39-ჯერ, ხოლო სსრ კავშირში საშუალოდ —1,99-ჯერ[12].

ასევე სწრაფად მიმდინარეობს სხვა რესპუბლიკების, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე განლაგებული ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიური განვითარების დონეთა დაახლოების პროცესი. საბჭოთა პერიოდში ვოლგისიქითა უდაბურ სტეპებში, ტაიგასა და ყინულოვან ტუნდრებში აშენდა ქარხნები და ფაბრიკები, მწყობრში ჩადგა მაღაროები და შახტები. 30 წლის მანძილზე (1940—1970 წწ.) ბაშკირეთის ასსრ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გადიდდა 39-ჯერ, თათრეთის — 27-ჯერ, ჩუვაშე-

---

[11] „Народное хозяйство СССР в 1956 году" (стат. ежегодник), М., 1957, გვ. 51.
[12] „Народное хозяйство СССР в 1970 году" (стат. ежегодник), М., 1971, გვ. 534.

თის — 23-ჯერ, მარისა და უდმურტეთის ასსრ — 22-ჯერ, იაკუტიის — 19-ჯერ, კომის ასსრ — 16-ჯერ, ხოლო რსფსრ-ში საშუალოდ — 10,6-ჯერ.

თუ რაოდენ სასარგებლო იყო სსრ კავშირის ძმურ ხალხთა ოჯახში შესვლა, ეროვნული ეკონომიკის ინდუსტრიული განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის, ეს ნათლად ჩანს ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკების მაგალითზე. 27 წლის მანძილზე (1913—1940 წწ.) სამრეწველო პროდუქციის წარმოება ლიტვაში გადიდდა 2,6-ჯერ, ესტონეთში — 1,3-ჯერ, ლატვიაში კი 10 პროცენტით შემცირდა კიდეც. ეს იყო ბურჟუაზიულ ურთიერთობათა არსებობის წლები ბალტიისპირეთის ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში მეზობელმა ბელორუსიამ, რომელიც სსრ კავშირის შემადგენლობაში იმთავითვე იმყოფებოდა, სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 8,1-ჯერ გაზარდა[13].

მთელმა საბჭოთა ხალხმა მეგობრული დახმარების ხელი გაუწოდა ლიტველ, ლატვიელ და ესტონელ ხალხებს დღიდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში შემოსვლისა (1940 წ.). აი შედეგიც: 31 წლის განმავლობაში (1940—1971 წწ.) მთლიანად სსრ კავშირში სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზარდა 12,8-ჯერ, მათ შორის, ესტონეთში — 29-ჯერ, ლატვიაში — 31-ჯერ და ლიტვაში — 33-ჯერ. საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ელექტროტექნიკური, რადიოტექნიკური, ელექტრონული დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამედროვე ეკონომიკის სახეს. რიგის, ტალინის, ვილნიუსის ქარხნების ხელსაწყოებსა და რადიოაპარატურას ხალისით იძენს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა.

საბჭოთა უკრაინა — მაღალგანვითარებული ინდუსტრიული რესპუბლიკა. მისი ტერიტორია დედამიწის 0,5 პროცენტს და მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის 1,3 პროცენტს არ აღემატება. მიუხედავად ამისა, უკრაინაზე მოდის ქვანახშირის, თუჯის, ტრაქტორებისა და შაქრის წარმოების 7,1 პროცენტი. მარტო მერვე ხუთწლედში უკრაინის მშრომელებმა ქვეყანას მისცეს ერთ მილიარდ ტონაზე მეტი ქვანახშირი, 258 მილიარდი კუბური მეტრი გაზი, 591 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 191 მილიონი ტონა თუჯი, 220 მილიონი ტონა ფოლადი. 1920 წელს უკრაინაში მოპოვებულ იქნა სულ 4 მილიონი ტონა ქვანახშირი და 8 ათასი ტონა რკინის მადანი, აწარმოეს 15 ათასი ტონა თუჯი. ამჟამად კი მარტო ერთ წუთში იწარმოება 400 ტონა ქვანახშირი, 79 ტონა თუჯი, 89 ტონა ფოლადი, 28,3 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 122 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი, უკრაინაში გაცილებით მეტ თუჯს ადნობენ, ვიდრე ინგლისში, საფრანგეთსა და ევროპის მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ტერიტორიითა და მოსახლეობით შედარებით მოკრძალებული ადგილი უჭირავს, მაგრამ თავისი ეკონომიური განვითარების დონით იგი მსოფლიოს ბევრ ქვეყანას გაუწევს შეტოქეობას. ასე მაგალითად, ელექტროენერგიის გამომუშავებით (1970 წ. 8,9 მლრდ კვტს) საქართველომ ჩამოიტოვა თურქეთი, საბერძნეთი, ირანი, პაკისტანი, ინდონეზია, ბირმა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ისრაელი, ირლანდია, პორტუგალია, ლუქსემბურგი და რიგი სხვა ქვეყნები.

---

[13] „Народное хозяйство СССР в 1970 году" (стат. ежегодник). М., 1971. გვ. 138.

მოსახლეობის 1 სულზე ელექტროენერგიის წარმოებით მან გაუსწრო უნგრეთს, რუმინეთს, კორეას, რომ არაფერი ვთქვათ ჩინეთზე, ვიეტნამზე, ალბანეთზე, იუგოსლავიაზე, კუბაზე და მონღოლეთზე, სადაც ეს მაჩვენებელი მეტად უმნიშვნელოა. ფოლადს საქართველო მოსახლეობის 1 სულზე მეტი რაოდენობით აწარმოებს, ვიდრე იტალია, აგრეთვე ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, რუმინეთი, იუგოსლავია და სხვა.

საქართველოში წარმოებულ მანგანუმზე დიდი მოთხოვნილებაა. იგი გაქვთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჩეხოსლოვაკიას, პოლონეთს, ბულგარეთს, რუმინეთს, კორეის სახალხო რესპუბლიკას, კაპიტალისტური ქვეყნებიდან ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იტალიაში. მაღალხარისხოვანი ქართული ღვინო და კონიაკი კარგადაა ცნობილი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, თურქეთში, ფინეთში, ავსტრიაში, სირიაში, სოციალისტური ქვეყნებიდან ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, გდრ-ში, ბულგარეთში, მონღოლეთში.

სსრ კავშირის არსებობის 50 წლის მანძილზე ეროვნული რესპუბლიკების ეკონომიკასთან ერთად ყოველმხრივ განვითარდა მათი კულტურა.

მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მონაცემებით, რევოლუციამდელ რუსეთში 9-დან 49 წლის ასაკამდე მოსახლეობის 72 პროცენტმა წერა-კითხვა არ იცოდა, ხოლო რუსეთის ბევრ განაპირა მხარეში სრული უწიგნურობა სუფევდა[14]. საბჭოთა პერიოდში ამ მიმართულებით გიგანტური ნახტომი გაკეთდა. ჩვენს ქვეყანაში (1913—1970 წწ.) მოსწავლეთა საერთო რაოდენობა გაიზარდა 10,6-დან—79,6 მილიონამდე, მასობრივი ბიბლიოთეკების რიცხვი — 14-დან 128 ათასამდე, კინოდანადგარების რიცხვი —1,5-დან 157 ათასამდე, წიგნების ტირაჟი — 99-დან 1362 მილიონ ეგზემპლარამდე[15].

თუ წინათ, სსრ კავშირის შექმნამდე, ყირგიზეთში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში არ იყო არც ერთი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი, ხოლო ბელორუსიაში, უზბეკეთში, ყაზახეთში, ლიტვაში, მოლდავეთსა და სომხეთში — უმაღლესი სასწავლებლები, ამჟამად ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში გვხვდება უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ფართო ქსელი. მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებს ქვეყნის 800 უმაღლესი სასწავლებელი და 4,3 ათასამდე საშუალო სპეციალური სასწავლებელი.

1970 წლის დასასრულისათვის სსრ კავშირში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე იყო 23,1 მილიონი კაცი. სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ სპეციალისტთა რიცხვი თუ 1913 წელს 190 ათას კაცს არ აღემატებოდა, 1970 წლის ნოემბრისათვის, 16,8 მილიონს მიაღწია. მარტო ბელორუსიის სსრ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იყო 600 ათასი დიპლომიანი სპეციალისტი, ანუ 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე დასაქმებული იყო მთელი მეფის რუსეთში. 1970/71 სასწავლო წელს სწავლების ყველა სახეობაში ჩაბმული იყო 79575 ათასი კაცი.

---

[14] „СССР и зарубежные страны после победы Великой Октябрьской социалистической революции" (стат. ежегодник), М., 1970 გვ. 13.

[15] „Народное хозяйство СССР в 1970 году" (стат. ежегодник.), М., 1971, გვ. 69.

სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის წლებში შექმნილია მრავალი სამეცნიერო დაწესებულება, რომელთა შორის 2,5 ათასი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მათი ფილიალი და განყოფილებაა. ცამეტ მოკავშირე რესპუბლიკაში არსებობს მეცნიერებათა აკადემია და ერთში — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი (განყოფილება).

40-ზე მეტმა ხალხმა, რომლებსაც წინათ თავიანთი დამწერლობა არ ჰქონდათ, საბჭოთა პერიოდში შეიძინა მეცნიერულად შემუშავებული დამწერლობა და ახლა აქვს განვითარებული ლიტერატურული ენები. ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა იფურჩქნება ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში.

კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში იზრდება საბჭოთა ხალხების ერთიან ძმურ ოჯახად არსებობის მნიშვნელობა. ისეთი გიგანტური პრობლემების გადაჭრა, როგორიცაა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, საზოგადოებრივი წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა ორგანული შეხამება მეურნეობის სოციალისტური გეგმიანი სისტემის უპირატესობასთან; მშრომელთა კეთილდღეობის არსებითი ამაღლება, ახალი ადამიანის ფორმირება და სხვ., მოითხოვს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ძლიერების კონცენტრაციას, რომლის შესაძლებლობებს განსაზღვრავს როგორც მისი რესურსების სიმდიდრე, ისე მთელი ხალხის ერთობლივი და გეგმაზომიერი, ორგანიზებული მოქმედება.

ივანე ბაბალაშვილი

საბჭოთა კავშირის შექმნის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდეს მონაპოვართა დასაცავად, ბოლშევიკური პარტია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნას და გაძლიერებას, რის გარეშე ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა ძალაუფლების შენარჩუნება და სოციალიზმის მშენებლობა, რადგან, როგორც ცნობილია, შინაგანი კონტრრევოლუცია და მსოფლიო იმპერიალიზმის მმართველი წრეები ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ აღედგინათ კაპიტალისტური წესწყობილება ჩვენს ქვეყანაში.

შეიარაღებული აჯანყების დროს წარმოქმნილი წითელი გვარდიის სამხედრო ნაწილები და შენაერთები, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს რევოლუციის პერიოდში, საკმარისი არ აღმოჩნდნენ იმ უდიდესი თავდაცვითი ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც წამოყენებულ იქნა სამოქალაქო ომის პირობებში და იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ამასთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინის მითითებით შეიქმნა რეგულიარული მუშურ-გლეხური წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჯერ რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბ_ ლიკაში და შემდეგ უკრაინის, ბელორუსიის და სხვა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში. მაგრამ მათი გაძლიერებისა და შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა მრავალეროვანი ერთობლივი სოციალისტური საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა.

მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის შესახებ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ წერდა: „ჩვენ მოვითხოვთ ჩაგრული ერების თვითგამორკვევის თავისუფლებას, ესე იგი დამოუკიდებლობას, ესე იგი გამოყოფის თავისუფლებას არა იმიტომ, რომ ვოცნებობდეთ სამეურნეო დაქუცმაცებაზე ან პატარა სახელმწიფოთა იდეალზე, არამედ პირიქით, იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა დიდი სახელმწიფოები და ერების დაახლოება, შეერთებაც კი, ოღონდ ჭეშმარიტად ინტერნაციონალისტურ ბაზაზე, რაც წარმოუდგენელია გამოყოფის თავისუფლების გარეშე“[1].

და აი, სწორედ ასეთ მრავალეროვან დიდ სოციალისტურ სახელმწიფოს შექმნას საჭირველი ჩაეყარა სამოქალაქო ომის წლებში, როდესაც მუშურ-გლეხური შეიარაღებული ძალები აწარმოებდნენ გააფთრებულ ბრძოლებს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 506.

კონტრრევოლუციისა და ინტერვენციის ძალების წინააღმდეგ. უკვე მაშინ შეიქმნა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, სისტემატურად ტარდებოდა ერთობლივი ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და კულტურის განვითარებისათვის, არსებობდა მჭიდრო კორდინირება საგარეო-პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროში. ამავე დროს საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად **იბრძოდნენ** ყოფილი მეფის რუსეთის ყველა ეროვნებათა საუკეთესო წარმომადგენლები, მათ შორის საქართველოს შვილებიც. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ისეთი დამსახურებული და გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძე, ა. გეგეჭკორი, შ. ელიავა, ლ. ღოღობერიძე, გ. კანდელაკი, ნ. კალანდარაშვილი, ვ. კიკვიძე, ვ. კვირკელია, ბ. ლომინაძე, ი. ბრეგაძე, ს. ხმალაძე, შ. ჯაფარიძე, ა. ელბაქიძე და სხვები, რომლებიც სამოქალაქო ომის პერიოდში სათავეში უდგნენ წითელი არმიის ნაწილებსა და შენაერთებს, წარმატებით ხელმძღვანელობდნენ დიდი მნიშვნელობის სამხედრო ოპერაციებს. მუშურ-გლეხური შეიარაღებული ძალების განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებაში მათ უდიდესი ღვაწლი მიუძღვით.

ამავე დროს, საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი არმია, ასრულებდა რა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, შინაგანი კონტრრევოლუციისა და ინტერვენტების ძალებთან გააფთრებული ბრძოლების დროსაც კი უდიდეს დახმარებას უწევდა სხვა მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში, ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნაში და მათ განვითარება-განმტკიცებაში.

ასე მაგალითად, ამიერკავკასიის რესპუბლიკების და, კერძოდ, საქართველოს მშრომელებს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობის დამხობაში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში უდიდესი დახმარება აღმოუჩინა, უშუალოდ ვ. ი. ლენინის მითითებით, რუსეთის მუშურ-გლეხური შეიარაღებული ძალების XI არმიამ, რომელსაც მეთაურობდა თბილისში დაბადებული და აღზრდილი ა. გეკკერი. ამ არმიის რევოლუციონერი სამხედრო საბჭოს წევრები იყვნენ შ. ელიავა და ია. ვესნიკი, ხოლო მასში შემავალ სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებს ხელმძღვანელობდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ერის წარმომადგენელნი. მე-9 მსროლელთა დივიზიის უფროსი იყო ნ. კუიბიშევი, მე-18 ცხენოსანთა დივიზიის უფროსი — პ. კურიშკო, მე-20 დივიზიის უფროსი — მ. ველიკანოვი, ცალკე რაზმის მეთაური — ა. გეგეჭკორი, 77-ე მსროლელთა პოლკის მეთაური — ნ. ევტუშენკო, 293-ე პოლკის მეთაური — გ. გაგიევი, ცალკე პარტიზანთა რაზმებს მეთაურობდნენ ა. ელბაქიძე და დ. ხუგაევი. თბილისის მიმართულების ჯარების ჯგუფის სამხედრო კომისარი იყო კ. რატნეკი, 98-ე მსროლელთა ბრიგადის სამხედრო კომისარი იყო 1905 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრი შ. ჯაფარიძე; ა. ჯაფარიძის და ს. შაუმიანის სახელობის მე-7 ჯავშნოსან მატარებელს მეთაურობდა ბოლშევიკური პარტიის წევრი 1912 წლიდან, სამგზის წითელი დროშის ორდენოსანი სიმონ ხმალაძე; ცალკე ქართულ სამხედრო ნაწილს, რომელიც შეიქმნა ბაქოში 1920 წლის მაისში სერგო ორჯონიკიძის ინიციატივით და მითითებით, ხელმძღვანელობდა ორგზის ორდენოსანი იოსებ ბრეგაძე. არმიის შტაბის მო-

ღვაწეობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთის ძველი არმიის ყოფილი გენერალი ა. გაბაშვილი[2].

კავკასიის ფრონტის ჯარებს, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე XI არმია, სარდლობდა ვ. მ. გიტტისი, ხოლო რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი იყო სერგო ორჯონიკიძე[3].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტი შეუდგა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, მათ შორის სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის, ორგანიზაციას. 1921 წლის 2 მარტით დათარიღებულ წერილში ვ. ი. ლენინი წერდა ს. კ. ორჯონიკიძეს: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი. განსაკუთრებით ვთხოვ მათ, მაცნობონ — არის თუ არა ჩვენს შორის სრული თანხმობა სამ საკითხში.

პირველი: საჭიროა დაუყოვნებლივ შევაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხობა და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია. გთხოვთ პასუხს“[4].

სერგო ორჯონიკიძემ დეპეშით უპასუხა ვ. ი. ლენინს ამ წერილზე: „თქვენ მიერ მითითებულ საკითხებზე შემიძლია გაცნობოთ, რომ ქართველ კომუნისტებს სრული ერთსულოვნება აქვთ ჩვენთან. მუშები და გლეხები იარაღდებიან... ორჯონიკიძე“[5].

ქართული წითელი არმიის შექმნის იურიდიულ თარიღად უნდა ჩაითვალოს 1921 წლის 21 მარტი, როცა გამოიცა საქართველოს სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისრის ბრძანება მენშევიკური ჯარის დაშლისა და საქართველოს წითელი არმიის ფორმირების დაწყების ოაობაზე. თუმცა ფაქტიურად მანამდე, 1921 წლის მარტის პირველ რიცხვებში, ბათუმში თავმოყრილი მენშევიკური ჯარის მთელი რიგი ნაწილები გადმოვიდნენ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

ბათუმის რევოლუციურმა კომიტეტმა ს. ქავთარაძის ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველოს ტერიტორიიდან თურქი ოკუპანტების გასადევნად რევოლუციის მხარეზე გადმოსულ მენშევიკური ჯარის ნაწილებში დიდი პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა გააჩაღა. ჯარების სარდლად დაინიშნა გენერალი გ. მაზნიაშვილი, ხოლო სამხედრო კომისრად — რევკომის წევრი თენგიზ ჟღენტი. სულ რამდენიმე დღეში თურქეთის საოკუპაციო ჯარები სასტიკად იქნენ დამარცხებული და საბჭოთა საქართველოს მიწა-წყლიდან განდევნილი, ხოლო ნაწილი დატყვევებული. ამ მნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანის შესრულებას დიდად შეუწყო ხელი იმ მდგომარეობამ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უკვე იმყოფებოდა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში ქართველმა ახალგაზრდობამ თურქ დამპყრობლებთან გააფთრებულ ბრძოლებში უხვად

---

[2] „Краснознаменный Закавказский“ (Очерки истории), Военизд., М., 1969, გვ. 69—95.

[3] იქვე, გვ. 76—79.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32. გვ. 189.

[5] ს. კ. ორჯონიკიძე, „სტატიები და სიტყვები“, ტ. 1, 1953, გვ. 211.

დაღვრილი სისხლით დაამტკიცა უსაზღვრო ერთგულება თავისი ხალხის ინტერესებისა და საბჭოთა სამშობლოსადმი.

საბჭოთა საქართველოს უკვე 1921 წლის აპრილისათვის ჰყავდა თავისი წითელი არმია შემდეგი შემადგენლობით: ოთხი ქვეითი პოლკი, ორი ცხენოსანთა პოლკი, სამბატარეიანი შემადგენლობის ცალკე საარტილერიო დივიზიონი, ორი ჯავშნოსანი მატარებელი, სხვადასხვა სპეციალური და ზურგის ნაწილები სულ 17 ათასი კაცის რაოდენობით უდავია, ასეთ არმიას დამოუკიდებლად და სათანადო გაძლიერების გარეშე არ შეეძლო იმ მრავალი რთული ამოცანის შესრულება, რომლებიც მაშინ ახლად შექმნილი საბჭოთა საქართველოს წინაშე იდგა.

მაგრამ იმხანად საქართველოს მეტად მძიმე ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა. რესპუბლიკის სუსტად განვითარებულ ეკონომიკას არ შეეძლო უზრუნველეყო მთლიანად არმიის ზრდა-განმტკიცება საჭირო რაოდენობის შეიარაღებით, საჭურვლით, ტანსაცმლითა და ა. შ. ყოველივე ამან აიძულა საბჭოთა საქართველოს მთავრობა არა მარტო დროებით შეეჩერებინა წითელი არმიის ქართული ნაწილების შემდგომი ფორმირება, არამედ შეემცირებინა ზოგიერთი საჯარისო შენაერთი და ნაწილი.

ემიგრირებული მენშევიკური მმართველნი, მათი მფარველები — მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელები, აგრეთვე ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის მთავრობა ვერასგზით ვერ ურიგდებოდნენ საბჭოთა წყობილების დამყარებას საქართველოში. სარგებლობდნენ რა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის შინაგანი ეკონომიური და სხვა ხასიათის დროებითი სიძნელეებით ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ გაემწვავებინათ საქართველოს უამისოდაც რთული საერთაშორისო მდგომარეობა.

ჩვენი მტრები ლამობდნენ საბჭოთა რუსეთის ჯარის გაყვანას საქართველოდან, იმ იმედით, რომ წითელი არმიის ნაწილების გაყვანის შემდეგ, შინაგანი კონტრრევოლუციური ელემენტები შეძლებდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, საბჭოთა რუსეთიდან საქართველოს კვლავ ჩამოშორებას და საერთაშორისო რეაქციის დასაყრდენად მის გადაქცევას.

შექმნილი საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა მოითხოვდა უმოკლეს ვადაში ეფექტური ზომების მიღებას რესპუბლიკის ეკონომიკის გასაუმჯობესებლად და ქართული წითელი არმიის გასაძლიერებლად. სწორედ ამას აქცევდა ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას.

სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის წინადღეს ვ. ი. ლენინი წერდა ს. კ. ორჯონიკიძეს: „ამხ. სერგო! აბსოლუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერების შესახებ და რომ ეს გადაწყვეტილება ნამდვილად შესრულდეს...

თავდაპირველად დაე იყოს ბრიგადა, თუნდაც უფრო ნაკლები. 2—3 ათასი წითელი კურსანტი, აქედან ათას ხუთასი კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს (როგორც კადრებს) შეეძლოთ არმიად გაშლა, როცა ეს საჭირო გახდება, — ეს აბსოლუტურად აუცილებელია.

შესაძლოა სტალინმა დაუმატოს უფრო ვრცლად შესრულების სამხედრო-ტექნიკურ წესებზე.

მე ვჯერდები საქმის პოლიტიკურ მხარეს... თქვენი ლენინი. 13/XI"[6].

სრულიად საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ, რომელიც თბილისში 1922 წლის 25 თებერვალს გაიხსნა და 3 მარტამდე გაგრძელდა, სხვა საკითხებთან ერთად განიხილა საქართველოს წითელი არმიის საკითხი. მომხსენებელმა — სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარმა შ. ელიავამ ყრილობას განუცხადა, რომ ეკონომიური სიძნელეების გამო ქართული არმიის შექმნის გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა და უფრო მეტი, დაგვჭირდა რეორგანიზაცია, მისი შემცირების მიზნით. ამასთან შ. ელიავამ ყრილობის ყურადღება გაამახვილა, იმაზე, რომ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და საერთაშორისო ვითარება დაჟინებით მოითხოვს საქართველოში ისეთი წითელი არმიის არსებობას, რომელიც შესძლებდა საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების და სახელმწიფო საზღვრების დაცვას. ვიდრე არ შეიქმნება სწორედ ასეთი არმია, არ შეიძლება დაისვას საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ნაწილების გაყვანის საკითხი. პირიქით, აუცილებელია მივიღოთ მიმართვა საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი და ვთხოვოთ მას, დასტოვოს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის წითელი ჯარის შენაერთები. მან აღნიშნა, აგრეთვე, ქართულ საარმიო ფორმირებათა განმტკიცების და განვითარების საქმეში რუსეთის წითელი სამხედრო ნაწილების პრაქტიკული და დიდი საბრძოლო გამოცდილების გამოყენების განსაკუთრებული საჭიროება. მომხსენებელმა საგანგებო ყურადღება მიაქცია ქართული ეროვნული სამხედრო კადრების აღზრდის და მომზადების მდგომარეობას.

ამავე ყრილობაზე ამ საკითხის ირგვლივ საფუძვლიანი მოხსენებით გამოვიდა სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც თქვა: „...ჩვენს წინაშე დგას მორიგი ამოცანა, დაკვრითი ამოცანა — **რადაც არ უნდა დაჯდეს სულ უახლოეს** თვეებში გავადიდოთ საქართველოს წითელი არმიის ილიერება. ჩვენი კომუნისტური პარტია ამისათვის აკეთებს პირდაპირ ყველაფერს, რის გაკეთებაც კი შეუძლია..."[7].

ყრილობამ ერთხმად მოიწონა მიმართვა საბჭოთა რუსეთისადმი საქართველოს ტერიტორიაზე წითელი არმიის ნაწილების დატოვების თაობაზე, აგრეთვე მოიწონა აუცილებელი ღონისძიებები ქართული წითელი არმიის განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

ბოლშევიკური პარტიის და მისი დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1922 წლის 12 მარტს აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების სრულუფლებიანი წარმომადგენლების კონფერენციაზე შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი. რომელიც იმავე წლის 13 დეკემბერს ბაქოში ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე გარდაიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად.

ამ სახელმწიფოებრივი გაერთიანების წყალობით მოისპო ხალხთა შორის შუღლი, დამყარდა მეგობრობა და ურთიერთნდობა. საერთო ძალებით დაიწყო გაპარტახებული სახალხო მეურნეობის აღდგენა, ტარდებოდა მთელი რიგი ღონისძიებები ნაციონალური კულტურის აყვავებისათვის, მნიშვნე-

---

6 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 226—227.

7 ს. კ. ორჯონიკიძე, „სტატიები და სიტყვები", ტ. 1, 1953, გვ. 292—297.

ლოვნად გაძლიერდნენ რესპუბლიკების ეროვნული შეიარაღებული ძალები. კერძოდ, საბჭოთა საქართველოს წითელი არმია უკვე 1924 წლის აპრილისა-თვის შედგებოდა ორი მსროლელთა დივიზიისაგან, ცხენოსანთა პოლკისაგან, ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლისაგან, სამხედრო პოლიტიკური სკოლისაგან და მთელი რიგი ტექნიკური და ზურგის ნაწილებისა და ქვე-განაყოფებისაგან. ეს შენაერთები და ნაწილები, იყვნენ ყოველმხრივ უზრუნ-ველყოფილი და მ. ვ. ფრუნზეს შეფასებით, ჰქონდათ კარგი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება, მაღალი ბრძოლისუნარიანობა. ისინი მტკიცედ იცავდნენ მშრომელთა ინტერესებს, მათ შემოქმედებით მშვიდობიან შრომას და სოციალისტური სამშობლოს სამხრეთის სახელმწიფო საზღვრებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ" ნათქვამია: „...მუშათა და გლეხთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნა დიდი ოქტომბრის, მთელი ქვეყნის მასშტაბით რევოლუციური გარდაქმნების განგრძობაა. იგი ნაკარნახევი იყო ისტორიული განვითარების ობიექტური მსვლელობით. ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა ცხადყო, რომ: საბჭოთა რესპუბლიკების უმჭიდროესი კავშირის გარეშე შეუძლებელია მათი დაცვა მსოფლიო იმპერიალიზმისაგან: სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შენარჩუნება და განმტკიცება — ეს არის ღონის-ძიება, რომელიც „გვჭირდება როგორც ჩვენ, ისე მსოფლიო კომუნისტურ პროლეტარიატს მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, და მისი ინტრიგებისაგან დასაცავად"[8].

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის, მათი მჭიდრო ეკონომიური თანამ-შრომლობის გარეშე ვერ განხორციელდება იმპერიალიზმის მიერ დანგრეუ-ლი საწარმოო ძალების აღდგენა, ერთიანი, საერთო გეგმით რეგულირე-ბული სოციალისტური მეურნეობის შექმნა, შრომის რაციონალური საზოგა-დოებრივი დანაწილების უზრუნველყოფა და ბუნებრივი სიმდიდრეების ეფე-ქტიანი გამოყენება ქვეყნის ყველა ხალხის საკეთილდღეოდ;

საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირის გარეშე შეუძლებელია მშრო-მელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების კულტურის ყოველმხრივი განვითარებისა და გაფურჩქვნის უზ-რუნველყოფა.

ყველა ეს გარემოება გადაჭრით მოითხოვდა საბჭოთა რესპუბლიკების გა-ერთიანებას ერთ საკავშირო სახელმწიფოდ, რომელსაც უნარი შესწევს უზ-რუნველყოს საგარეო უშიშროებაც, საშინაო სამეურნეო წარმატებაც და ხალხთა ეროვნული განვითარების თავისუფლებაც.

როგორც ცნობილია, 1922 წლის დეკემბერში ჩატარებულ საბჭოთა სო-ციალისტური რესპუბლიკების ყრილობაზე ერთსულოვნად გამოითქვა მშრო-მელთა სურვილი მრავალეროვან ერთობლივ სახელმწიფოს დაარსების შე-სახებ და იმავე წლის 30 დეკემბერს მოსკოვში საბჭოების პირველმა ყრილო-ბამ განიხილა და დაამტკიცა დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბ-ლიკების კავშირის შექმნის შესახებ, რომელშიც გაერთიანდნენ რუსეთის სო-ციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა, უკრაინის სოციალის-

---

[8] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 45, გვ. 360 (რუს. ენაზე).

ტური საბჭოთა რესპუბლიკა, ბელორუსიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა. უკვე თვით ამ უდიდესმა ისტორიულმა მოვლენამ მნიშვნელოვნად აამაღლა საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზედ.

1923 წელს სასტიკად გამწვავდა საერთაშორისო მდგომარეობა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში დაიწყო თავაშვებული ანტისაბჭოთა აგიტაცია. შვეიცარიაში მოკლეს საბჭოთა დიპლომატი ვ. ვ. ვოროვსკი და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. კერზონი დაემუქრა საბჭოთა კავშირს ახალი ინტერვენციით. სსრ კავშირის მთავრობამ არა თუ შეძლო სათანადო მკაცრი პასუხის გაცემა და საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ მძაფრი გამოხდომების ლოკალიზაცია, არამედ თავისი გაძლიერებული მდგომარეობით და გაზრდილი ავტორიტეტით მსოფლიო ასპარეზზე ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

სსრ კავშირმა 1924 წლის განმავლობაში ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ინგლისთან, იტალიასთან, ავსტრიასთან, ნორვეგიასთან, შვეიცასთან, ჩინეთთან, დანიასთან, მექსიკასთან, საფრანგეთთან, იაპონიასთან (1925 წლის 20 იანვარს) და სხვა სახელმწიფოებთან, რაც იმდროისათვის წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის დიდ გამარჯვებას. ამავე დროს, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული საერთაშორისო მდგომარეობა საშუალებას აძლევდა კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რათა მეტი ყურადღება მიექცეთ სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის და სოციალისტური კულტურის გაფურჩქვნისათვის. გარდა ამისა, შეიქმნა აგრეთვე სათანადო სამხედრო რეფორმის გატარების შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ 1924—1925 წლების განმავლობაში განხორციელებული სამხედრო რეფორმის შედეგად საბჭოთა შეიარაღებული ძალები გადაყვანილ იქნენ მშვიდობიან პირობებზე და მათი რაოდენობა შემცირდა 610 ათას სამხედრო მსახურამდე, მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაუმჯობესდა სამხედრო ნაწილების და შენაერთების შეიარაღება, აღჭურვილობა და სხვა მატერიალური სახსრებით უზრუნველყოფა, რამაც, უდავოა, საგრძნობლად აამაღლა მათი ბრძოლისუნარიანობა.

რადგან საბჭოთა კავშირი იძყოფებოდა კაპიტალისტურ გარემოცვაში და ომის საშიშროება არ იყო გამორიცხული, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდნენ წითელი არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ორგანიზაციულ განმტკიცებას, მათ საერთო გაძლიერებას და საბრძოლო მზადყოფნის მნიშვნელოვან ამაღლებას. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ჯარში შემოღებული იყო ნაწილობრივი ერთმმართველობა, რამაც გააძლიერა მეთაურთა პასუხისმგებლობა პარტიული და პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად, დაწესდა მობილიზაციის და შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების ახალი უფრო მარტივი ფორმები, რის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა ჯარების საბრძოლო მზადყოფნა; მთელი რიგი მსროლელთა ნაწილები და შენაერთები გადაყვანილ იქნენ ტერიტორიულ-სამილიციო შევსებისა და საბრძოლო-პოლიტიკურ სწავლების სისტემაზე; განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სპეციალური და ტექნიკური ჯარების

ნაწილების გაძლიერებას და მათ შეიარაღებას ახალი გაუმჯობესებული საბრძოლო ტექნიკით; მეთაურთა კადრების მოსამზადებლად გაფართოვდა სამხედრო სასწავლებლების ქსელი; ავიაციის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გასაძლიერებლად გატარდა მრავალი ღონისძიება, მათ შორის მთავარი იყო საკონსტრუქტორო ბიუროების დაარსება ახალი უფრო სრულყოფილი საბრძოლო ტექნიკის შესაქმნელად. წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მიიღეს ახალი **სამხედრო წესდებები და სახელმძღვანელოები;** 1925 წლის 18 სექტემბერს მიღებულ იქნა ახალი კანონი სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ, რომლის პრაქტიკულმა შესრულებამ აგრეთვე დიდი გავლენა მოახდინა საბჭოთა შეიარაღებული ძალების გაძლიერებაზე.

სსრ კავშირის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრად 1925 წლის 26 იანვარს დაინიშნა გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე მ. ვ. ფრუნზე, რომელმაც მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა საბჭოთა შეიარაღებული ძალების გასაძლიერებლად და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. მას აგრეთვე დიდი ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა სამხედრო მეცნიერების შექმნაში და საბჭოთა კავშირის სამხედრო დოქტრინის შემუშავებასა და მის პრაქტიკულ განხორციელებაში.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის ჯეროვანი განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას და კულტურული რევოლუციის განხორციელებას.

1933 წლის აპრილისათვის — საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ომისწინა პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები: საავიაციო, ქიმიური, სატრაქტორო, მძიმე მანქანათმშენებლობის, საავტომობილო, ჩარხსაამშენებლო, შავი მეტალურგიის და სხვები, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე. ამავე დროს შეიქმნა მძლავრი სამხედრო მრეწველობა, რომელმაც უზრუნველყო საბჭოთა შეიარაღებული ძალების გადაიარაღება ახალი თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით. ხუთწლედის ბოლოსათვის საბჭოთა-საჰაერო ფლოტი მასობრივად ღებულობდა სამამულო კონსტრუქციის გამანადგურებლებს, ბომბდამშენებს, საავიაციო ძრავებს და სხვა რთულ საბრძოლო ტექნიკას, რომლებიც თავისი საბრძოლო-ტექნიკური მონაცემებით არ ჩამოუვარდებოდნენ კაპიტალისტური ქვეყნების საავიაციო ტექნიკას. სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემები და მათი შეიარაღება მთლიანად აღდგა და შეკეთდა. 1932 წლიდან დაიწყო მცირე კლასის ახალი სამხედრო ხომალდების მშენებლობა და საზღვაო ავიაციის ნაწილების შევსება ახალი გაუმჯობესებული ტიპის საბრძოლო თვითმფრინავებით.

პირველი ხუთწლედის შესრულების შედეგად საბჭოთა კავშირი, როგორც (ნობილია, ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ. 1932 წლის მრეწველობის ხვედრითი წონა უდრიდა სახალხო მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 70,7 პროცენტს. ამ დროისათვის აშენდა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი 1500 სამრეწველო საწარმო; 1913 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო ნაწარმი 1932 წელს შეადგენდა 267 პროცენტს, ხოლო მძიმე მრეწველობის პროდუქცია — 352

პროცენტს. შეიქმნა ნახშირისა და მეტალურგიის მეორე ბაზა კუზბასში. აშენდა მთელი რიგი სტრატეგიული მნიშვნელობის გზები, მათ შორის თურქესტან-ციმბირის რკინიგზა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მოკავშირე ეროვნული რესპუბლიკების და რუსეთის ფედერაციის ავტონომური რესპუბლიკების, აგრეთვე განაპირა მხარეების და ოლქების ინდუსტრიალიზაციას, სადაც აშენდა მძიმე და სამხედრო მრეწველობის მრავალი საწარმო, რომლებსაც არა მარტო პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებაც.

მნიშვნელოვნად გარდაიქმნა სოფლის მეურნეობა. საბჭოთა კავშირის ძირითად რაიონებში დამთავრდა კოლექტივიზაცია. პირველი ხუთწლედის ბოლოსათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა 61,5 პროცენტი; მათ ეკუთვნოდათ მთელი სათესი ფართობის 77,7 პროცენტი. ამ დროისათვის სოფლის მეურნეობაში მუშაობდა 121 ათასი ტრაქტორი 1.900.000 ცხენის ძალის საერთო სიმძლავრით და მრავალი სხვა სახის მანქანები.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მიღწევები კულტურის დარგში. ოთხი წლის განმავლობაში მოსწავლეთა რაოდენობა ზოგადი განათლების სკოლებში თითქმის გაორკეცდა; ტექნიკუმებში 189,4 ათასიდან გაიზარდა 724 ათასამდე; უმაღლეს სასწავლებლებში — 168,5 ათასიდან 504,0 ათასამდე, მეცნიერ-მუშაკთა რიცხვი კი გაიზარდა ორჯერ, ლიტერატურის და ხელოვნების განვითარებაში განმტკიცდა სოციალისტური რეალიზმი. საბჭოთა ხალხის აღმზრდელობით მუშაობაში კომუნისტური პარტია განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა პატრიოტიზმის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების განმტკიცებას.

ზემოაღნიშნულმა მიღწევებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე და მნიშვნელოვნად აამაღლეს საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი მსოფლიოში. 1932 წელს საბჭოთა მთავრობამ ხელშეკრულება დადო თავდაუსხმელობის და ნეიტრალიტეტის შესახებ საფრანგეთთან, პოლონეთთან, ესტონეთთან, ლატვიასთან და ფინეთთან. გარდა ამისა, 1933 წლის 16 ნოემბერს საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დამყარდა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა. 1934 წლის 9 ივნისს კი დაიდო ხელშეკრულება დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ რუმინეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში, კულტურის აყვავებაში, საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებაში და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი ენთუზიაზმით განაგრძობდა სოციალიზმის მშენებლობას — მეორე ხუთწლედის ძირითადი ამოცანის შესრულებას. უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისას ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მანამდე არნახული პოლიტიკური აქტივობის და შრომითი გმირობის მაგალითები აჩვენეს, რამაც უზრუნველყო ხუთწლედის ვადაზედ ადრე შესრულება.

მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად საბჭოთა კავშირში აშენდა 4500 სამრეწველო ობიექტი, მრეწველობის საერთო პროდუქცია

1913 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 6-ჯერ, ხოლო მძიმე ინდუსტრიისა 8,1-ჯერ. 1932 წელთან შედარებით ფოლადის გამოდნობა გაიზარდა თითქმის 3-ჯერ, თუჯის — 2,3-ჯერ, სპილენძის — 3-ჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავება — 2,6-ჯერ, ტრაქტორების გამოშვება — 3-ჯერ. ქიმიური პროდუქტების — 2,8-ჯერ, ავტომანქანების — 8,4-ჯერ, და ა. შ. საბჭოთა კავშირი გადაიქცა ეკონომიურად სრულიად დამოუკიდებელ მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად, რომელსაც შეეძლო მთლიანად დაეკმაყოფილებინა თავისი მეურნეობის და თავდაცვის მოთხოვნილებანი თანამედროვე პირველხარისხოვანი ტექნიკითა და შეიარაღებით.

მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ძირითადად დამთავრდა. კოლმეურნეობები აერთიანებდნენ გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობის 93 პროცენტს და მთელი სათესი ფართობის 99 პროცენტს. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1937 წელს, შედარებით 1932 წელთან, შეადგენდა 153,9 პროცენტს. კოლმეურნეობებში მუშაობდა 128,8 ათასი კომბაინი, 146.000 საბარგო ავტომანქანა, 456 ათასი ტრაქტორი და მრავალი სხვა მანქანები.

უდიდესმა მიღწევებმა სოციალისტურ მშენებლობაში მოსპეს ყოფილ ჩაგრულ ხალხთა ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა. კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობა და ურთიერთდახმარება. სოციალისტური ეკონომიკის გაძლიერებისა და კულტურის განვითარების შედეგად შეიქმნენ ახალი მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. 1936 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირში გაერთიანებული იყო 11 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა: რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, ტაჯიკთა, სომხეთის, თურქმენეთის.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულება მიმდინარეობდა ომისწინა ძალზე დაძაბულ საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში. მაგრამ მიუხედავად ამისა, სამი წლის განმავლობაში მწყობრში ჩადგა სამი ათასამდე სამრეწველო საწარმო და მძიმე მრეწველობის პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 53 პროცენტით.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ომის რეალური საშიშროების გამო კიდევ მეტად გაამახვილეს ყურადღება შეიარაღებული ძალების გაძლიერების და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიმართ. წითელი არმიის ჯარების რაოდენობა 1934—1939 წლებში გაიზარდა ორჯერ და უფრო მეტად, ჯავშანსატანკო ნაწილების რიცხვი — 2,5-ჯერ, ხოლო მათი საცეცხლე ძალა — 3,5-ჯერ. ამავე დროის განმავლობაში მსუბუქი არტილერია გაიზარდა 34 პროცენტით, საშუალო — 26 პროცენტით, მძიმე — 85 პროცენტით, საზენიტო — 169 პროცენტით; საბრძოლო თვითმფრინავების რაოდენობა გაიზარდა ორჯერ. 1930 წელთან შედარებით, 1939 წელს წითელი არმიის აღჭურვილობა გადიდდა ტყვიამფრქვევებით — 5.5-ჯერ, საბრძოლო თვითმფრინავებით — თითქმის 6,5-ჯერ, საველე არტილერიით — 7-ჯერ, ტანკებით — 43-ჯერ, ტანკსაწინააღმდეგო და სატანკო არტილერიით — 7-ჯერ, ჯერ. მნიშვნელოვნად ამაღლდა ჯარების მექანიზაცია და მოტორიზაცია. სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის აშენდა სხვადასხვა ტიპის წყალქვეშა ნავები, კრეისერები, საესკადრო ნაღმოსნები და სხვა ხომალდები, ფლოტის ტონაჟი გადიდდა 130 პროცენტით. შეიქმნა წყნარი ოკეანისა და ჩრდილოეთის

ფლოტები. 1941 წლისათვის სამხედრო-საზღვაო -ლოტმა მიიღო დაახლოვებით 500 ახალი თანამედროვე ხომალდი[9].

მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებები, მიმართული თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1939 წლის 1 სექტემბერს დაამტკიცა ახალი კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ, რომელმაც გააუქმა ტერიტორიულ-სამილიციო სისტემა და წითელი არმია მთლიანად გადავიდა საკადრო სისტემაზე, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა საბრძოლო მზადყოფნა. საკავშირო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყო მნიშვნელოვანი თანხა შეიარაღებული ძალების გასაძლიერებლად. სახელმწიფო საზღვრების გასამაგრებლად ჩაატარა ეფექტური ზომები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობას და მათ სათანადო გამაგრებას. ჯერ კიდევ 1929 წელს განსაკუთრებულმა წითელდროშოვანმა შორეული აღმოსავლეთის არმიამ და ამურის სამხედრო ფლოტილიამ მუსრი გაავლეს ჩინეთის მილიტარისტების ჯარებს, რომლებიც ლამობდნენ საბჭოთა კავშირის კუთვნილი რკინიგზის მიტაცებას. 1938 წლის ზაფხულში 1-მა წითელდროშოვანმა შორეული აღმოსავლეთის ცალკე არმიამ ხასანის ტბის მიდამოებში სასტიკად დაამარცხა იმპერიალისტური იაპონიის ჯარები, რომლებიც შეეცადნენ საზღვრის დარღვევას და საბჭოთა ტერიტორიის მიტაცებას. საბჭოთა ჯარებმა და მეგობრული მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ნაწილებმა ურთიერთდახმარებით 1939 წლის მაის-აგვისტოში მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში გაანადგურეს იაპონელთა მე-60 არმია, რამაც მტკიცედ დაარწმუნა იაპონიის მილიტარისტური ხელმძღვანელობა მათი განზრახვების უნიადაგობასა და წითელი არმიის სიმძლავრეში. ამ მდგომარეობამ შემდგომში უზრუნველყო საბჭოთა კავშირის შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა.

საბჭოთა მთავრობის ბრძანებით, 1939 წლის სექტემბერში წითელმა არმიამ იხსნა დასავლეთ ბელორუსიის და დასავლეთ უკრაინის ხალხები გერმანელ ფაშისტთა მოსალოდნელი მონობისაგან, რომლებიც იმავე წლის ნოემბერში ნებაყოფლობით შეუერთდნენ შესაბამისად საბჭოთა ბელორუსიას და უკრაინას. 1939 წლის სექტემბერ-ოქტომბერში საბჭოთა კავშირსა და ლიტვას, ლატვიას და ესტონეთს შორის დაიდო ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ, მაგრამ ამ ქვეყნების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობები სისტემატიურად არღვევდნენ აღებულ ვალდებულებებს და აწყობდნენ ყოველგვარ ანტისაბჭოთა ხრიკებს. აღშფოთებულმა მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გააძევეს კონტრრევოლუციური მესვეურები და აღადგინეს საბჭოთა ხელისუფლება. 1940 წლის აგვისტოში ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები შემოუერთდნენ საბჭოთა კავშირს.

ფაშისტური გერმანიის მითითებით და ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციული წრეების დიდი დახმარებით, 1939 წლის ნოემბერში ფინეთის მხედრობამ ჩაატარა რამდენიმე სამხედრო-პროვოკაციული მოქმედება

---

[9] Большая Советская энциклопедия, изд. второе, т. 10, გვ. 233, 423.

წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი. საბჭოთა ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს ფინეთის შეიარაღებული ძალები და აიძულეს დაეყარათ იარაღი. საზავო ხელშეკრულების თანახმად, რომელიც დაიდო 1940 წლის 12 მარტს, საბჭოთა კავშირს შემოუერთდა კარელიის ყელი ქალაქ ვიბორგით და ზოგიერთი სხვა რაიონი, რომლებიც გადაეცა კარელიის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. ამის შედეგად ჩრდილო-დასავლეთის სახელმწიფო საზღვრები მნიშვნელოვნად დასცილდა ლენინგრადს და მურმანსკს, რამაც უზრუნველყო მათი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება.

საბჭოთა მთავრობამ 1940 წლის 26 ივნისს წინადადება მისცა რუმინეთს ბესარაბიის დაბრუნების შესახებ, რომელიც მიტაცებული იყო მის მიერ 1918 წელს და აგრეთვე ჩრდილოეთ ბუკოვინის გადმოცემის შესახებ, რომლის მოსახლეობა უკრაინელებისაგან შესდგებოდა. 1940 წლის 28 ივნისს რუმინეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა და საბჭოთა ხალხის ოჯახს შეემატა 3 მლნ. 700 ათასი ახალი მოქალაქე. ბესარაბიის უდიდესი ნაწილი გადაეცა მოლდავეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, ხოლო უკრაინელებით დასახლებული ჩრდილოეთ ბუკოვინა და ბესარაბიის ზოგიერთი რაიონები შეუერთდა საბჭოთა უკრაინას. 1940 წლის 2 აგვისტოს მოლდავეთის ასსრ გარდაიქმნა მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

ყველა ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებით უფრო მეტად ამაღლდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი მსოფლიო ასპარეზზე, განმტკიცდა მისი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, მნიშვნელოვნად დაცილდა სახელმწიფო საზღვრები ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და ადმინისტრაციულ ცენტრებს, რითაც ბევრად გაუმჯობესდა სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობა და გაძლიერდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

დიდი სამამულო ომის წინა პერიოდში — 1940 წელს საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის პროდუქცია თითქმის 12-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო მანქანათმშენებელი და ლითონდამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები იძლეოდნენ 35-ჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე 1913 წელს. სამრეწველო ნაწარმის მოცულობით საბჭოთა კავშირს ეჭირა ევროპაში პირველი და მსოფლიოში მეორე ადგილი. ამავე დროისათვის სოფლის მეურნეობაში მუშაობდა 181,7 ათასი კომბაინი, 228.000 საბარგო ავტომობილი, 531.000 ტრაქტორი და მრავალი სხვა სახის მანქანები. საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა უმძლავრეს ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოს. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უმოკლეს ისტორიულ დროში და მეტად დაძაბულ საერთაშორისო მდგომარეობაში, საბჭოთა ხალხის გმირული და შემოქმედებითი შრომით შექმნილი იყო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მძლავრი ეკონომიური ბაზა.

სსრ კავშირის სიმტკიცის მკაცრი შემოწმება იყო დიდი სამამულო ომი. კაცობრიობის ყველაზე საშიშ მტერთან — ჰიტლერულ ფაშიზმთან შეჭიდებამ ცხადყო, რომ საბჭოთა ხალხებს მხოლოდ კავშირით, საერთო ძალებით შეუძლიათ დაიცვან თავისუფლება და დამოუკიდებლობა, თავიანთი რევოლუციური მონაპოვარი. ომმა ეროვნული შუღლის გაღვივების, მრავალეროვნული სოციალისტური სახელმწიფოს დაშლის იმედები გაუცრუა მსოფლიო იმპერიალიზმს. სსრ კავშირის ხალხები ერთიან მწყობრში გმირულად იბრძოდნენ

და თავდადებით შრომობდნენ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, მტერზე საერთო გამარჯვების მოსაპოვებლად, მთელ მსოფლიოს უჩვენეს საოცარი შეუპოვრობა და ვაჟკაცობა. სამამულო ომში ისტორიულმა გამარჯვებამ მკაფიოდ გვიჩვენა სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უპირატესობანი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დიდი სასიცოცხლო ძალა და ურღვევობა.

და მართლაც, დიდი სამამულო ომის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტის ერთი თვალის გადავლებით შეგვიძლია დაბეჯითებით დავრწმუნდეთ იმაში, თუ რა დიდი სასიცოცხლო ძალა და ურღვევი სიმტკიცე ახასიათებს საბჭოთა კავშირს და როგორი გმირობით იბრძოდა და თავდადებით შრომობდა საბჭოთა ხალხი დიდი ისტორიული გამარჯვების მოსაპოვებლად.

ცნობილია, რომ დიდი სამამულო ომის პირველ პერიოდში გერმანელ-ფაშისტმა მტაცებლებმა, მიუხედავად უდიდესი მსხვერპლისა, შესძლეს საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაპყრობა. მათ მიერ ოკუპირებული იყო ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ბელორუსია, უკრაინა, მოლდავეთი და რსფს რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთი, დასავლეთი და ზოგიერთი სამხრეთი ოლქები და მხარეები. ჰიტლერელების მიერ ოკუპირებულ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ომამდე ცხოვრობდა 88 მილიონი ადამიანი, ანუ სსრ კავშირის მცხოვრებთა დაახლოებით 40 პროცენტი. ამ ტერიტორიაზე მოდიოდა საბჭოთა კავშირში მოპოვებული ქვანახშირის 63 პროცენტი, გამოდნობილი თუჯის 68 პროცენტი, ფოლადის 58 პროცენტი, ალუმინის წარმოების 60 პროცენტი და საბჭოთა კავშირის მთელი სამრეწველო პროდუქციის 38 პროცენტი. დროებით დაპყრობილ რაიონებში მოდიოდა მთელი მარცვლეულის მოსავლის 38 პროცენტი და შაქრის წარმოების 84 პროცენტი, აქ იმყოფებოდა პირუტყვის მთელი რაოდენობის დაახლოებით 50 პროცენტი. მთელი რკინიგზის ქსელის 41 პროცენტზე მეტი, აგრეთვე, მოდიოდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე[10].

მიუხედავად ასეთი უზარმაზარი ეკონომიური ზარალისა, საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა როდი დაყარეს იარაღი. ჩვენი ქვეყნის მშრომელები უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ, გაორკეცებული გმირული შრომით შეუდგნენ მატერიალური სახსრების და პირველ რიგში კი იმ პროდუქციის წარმოებას, რომელიც ესაჭიროებოდა შეიარაღებულ ძალებს და სამხედრო მრეწველობას.

საბჭოთა არმიის და ფლოტის პირადი შემადგენლობით დაკომპლექტების, მათი შეიარაღებისა და ყოველმხრივი მატერიალური უზრუნველყოფის სიმძიმე დააწვა რსფს რესპუბლიკის აღმოსავლეთ ოლქებს, მხარეებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს, აგრეთვე შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს. ამავე რესპუბლიკებს მოუხდათ ორი-სამი წლის განმავლობაში სამხედრო მრეწველობის სტრატეგიული ნედლეულით და საწვავი მასალით უზრუნველყოფა. ასე მაგალითად, შუა აზიის რესპუბლიკები და ყაზახეთი იძლეოდა ბამბას, თითქმის მთლიანად, მნიშვნელოვანი რაოდენობით ქვანახშირს, ფერად ლითონებს, სურსათ-სანოვაგეს და სხვ., აზერბაიჯანი აწვდიდა ნავთობს თითქმის მთლიანად, ბამბას საკმაოდ, სურსათს და სხვ.; სომხეთი — სპილენძსა და ქიმიური მრეწველობის ნაწარმს; საქართველო — ეთერზეთოვანი კულ-

[10] Н. Вознесенский, Военная экономика СССР, ОГИЗ, М., 1948 г., გვ. 42.

ტურების ნაწარმს, მანგანუმს, ქვანახშირს საკმაოდ, თეთრ დარიშხანს, იშვიათ და ფერად ლითონებს, ფეროშენადნობებს, სურსათ-სანოვაგეს და მრავალ სხვას. შეიარაღებული ძალების შესავსებად მხოლოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან და დაღესტანის ასსრ-დან ომის დაწყებიდან 1943 წლის 15 დეკემბრამდე მობილიზებული იყო 1.290.658 კაცი, მათ შორის საქართველოდან 562.571 სამხედრო ვალდებული. სულ კი დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა არმიისა და ფლოტის რიგებში საქართველოდან იბრძოდნენ დაახლოვებით 700 ათასამდე მებრძოლი და მეთაური, ანუ რესპუბლიკის მაშინდელი მთელი მოსახლეობის 19 პროცენტზე მეტი[11].

აღსანიშნავია, რომ ომის დასაწყისი პერიოდის უმძიმეს პირობებში, სულ რაღაც სამი თვის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის დასავლეთი რაიონებიდან აღმოსავლეთში ევაკუირებულ იქნა მრეწველობის 1360 მსხვილი, უმთავრესად სამხედრო საწარმო, ათი ათასობით ჩარხები, ძრავები, ტურბინები, წნეხები და საგლინი დგამები, აგრეთვე დიდი რაოდენობით მუშახელი. მიუხედავად მრავალი სიძნელეებისა, ევაკუირებული სამრეწველო საწარმოები, როგორც წესი, უკვე ორი-სამი თვის შემდეგ იწყებდნენ ნაწარმის გამოშვებას.

1942 წლის მარტიდან საბჭოთა კავშირის მრეწველობაში არამცთუ შემცირდა პროდუქციის გამოშვება, არამედ სწრაფი ტემპით გაიზარდა. რაც შეეხება სამხედრო პროდუქციას, 1942 წლის მარტში მხოლოდ აღმოსავლეთ რაიონებში იქნა მიღებული იმავე რაოდენობის ნაწარმი, რამდენიც იწარმოებოდა ომის დასაწყისში საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე. მაშინ, როდესაც ზოგიერთები, ითვლიდნენ საბჭოთა სახელმწიფოს „უკანასკნელ" დღეებს, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მითითებით დამუშავდა და მიღებულ იქნა სამხედრო მრეწველობის საფუძვლის — შავი მეტალურგიის ახალი სიმძლავრეების მშენებლობის დიდი გეგმა, რაც შემდგომში უმოკლეს ვადაში განხორციელდა ძირითადად ურალის და ციმბირის რაიონებში[12].

დიდი სამამულო ომის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სამხედრო მრეწველობა ყოველწლიურად საშუალოდ უშვებდა 40 ათასამდე თვითმფრინავს, 30 ათასზე მეტ ტანკს, თვითმავალ საარტილერიო დანადგარს და ჯავშნოსანს, 220 ათასამდე სხვადასხვა ყალიბის საარტილერიო ქვემეხს და ნაღმტყორცნელს, 450 ათასამდე ხელის და დაზგის ტყვიამფრქვევს, დაახლოვებით 2 მილიონ ავტომატს, 3 მილიონზე მეტ შაშხანას, ხოლო საარტილერიო ჭურვების, ნაღმების და საავიაციო ბომბების წარმოება აღწევდა 240 მილიონ ცალს, შაშხანის და ავტომატის ვაზნების რაოდენობა — 7,4 მილიარდ ცალს, ანუ დაახლოვებით ორჯერ მეტს, ვიდრე ფაშისტური გერმანია და ინგლისი ცალ-ცალკე აღებული. ამერიკის შეერთებული შტატები საშუალოდ ყოველწლიურად აწარმოებდნენ 52,5 ათასამდე საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავს, 29 ათას ტანკს, თვითმავალ ქვემეხს და ჯავშნოსანს, 114 ათასამდე საარტილერიო ქვემეხს და ნაღმმტყორცნელს, 3,4 მილიონ შაშხანას და ავტომატს და ა. შ.[13].

---

[11] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ, 1, საქ. 13811, ფ. 47—51.

[12] Н. Вознесенский, Военная экономика СССР, ОГИЗ, М., 1948, გვ. 43.

[13] Большая Советская энциклопедия, изд. второе, т. 27, გვ. 582.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკის და, კერძოდ, თავდაცვითი მრეწველობის ასეთი გრანდიოზული მიღწევები შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდში და განსაკუთრებით ომის პირობებში შესაძლებელი შეიქნა სსრ კავშირის მშრომელთა თავდადებული და გმირული შრომის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ურთიერთდახმარების, საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის სწორი და მტკიცე ხელმძღვანელობის შედეგად.

დიდი სამამულო ომის მსვლელობის დროს საბჭოთა კავშირის ყველა ერის და ეროვნების მებრძოლი თავდადებით და გმირობით ასრულებდა თავის წმიდათაწმიდა მოვალეობას სამშობლოს წინაშე. არ ყოფილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა არ მიეღოთ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს. საბჭოთა სახელმწიფოს ხალხთა ლენინური მეგობრობის სიმტკიცე და ურღვეობა ნათლად გამომჟღავნდა მრავალ გააფთრებულ ბრძოლაში ლენინგრადის, სევასტოპოლის და ოდესის გმირული თავდაცვის დროს, მოსკოვისათვის და კავკასიისათვის ბრძოლებში, სტალინგრადის ეპოპეის დროს, კურსკის შვერილზედ და სხვა.

საბჭოთა ხალხების და მათი მეომრების ლენინური მეგობრობის სიმტკიცის და ურღვეობის ერთ-ერთ ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს სევასტოპოლის გმირული დაცვა. როგორც ცნობილია, შავი ზღვის ფლოტის მთავარ სამხედრო-საზღვაო ბაზას 250 დღე-ღამის განმავლობაში მტკიცედ იცავდნენ ცალკე ზღვისპირეთის არმიის და მეზღვაურთა სამხედრო ნაწილები და შენაერთები, რომელთა რიგებში თავდადებით იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მეომრები. ასე მაგალითად, 1942 წლის 20 მარტისათვის ცალკე ზღვისპირეთის არმიის საბრძოლო ნაწილებში იბრძოდნენ სულ 64.971 მებრძოლი და მეთაური, მათ შორის რუსები იყვნენ 28.134, უკრაინელები — 15.893, ქართველები — 5.234, აზერბაიჯანელები — 4.278, სომხები — 3639 და სხვადასხვა ეროვნების — 7793 მეომარი[14].

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დიდ სამამულო ომში მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის უდიდესი გამარჯვება, დაიცვეს სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამ გამარჯვების შედეგად საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვნად გააძლიერა თავისი ჩრდილო-დასავლეთის, დასავლეთის და აღმოსავლეთის სახელმწიფო საზღვრების უშიშროება. დიდ სამამულო ომში სსრ კავშირის გამარჯვება ნიშნავს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, ხალხთა ლენინური მეგობრობის და სოციალისტური იდეოლოგიის გამარჯვებას. ომმა დაბეჯითებით დაადასტურა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების აუცილებლობა და მისი შემდგომი განმტკიცება.

ჯერ კიდევ ომის მსვლელობის დროს და განსაკუთრებით ომისშემდგომ პერიოდში სსრ კავშირის ხალხებმა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით დაიწყეს ჰიტლერელების მიერ დანგრეული და გაპარტახებული ქალაქების, სოფლების, სამრეწველო საწარმოების და სოფლის მეურნეობის ობიექტების ინტენსიური აღ-

[14] სსრკ თავდაცვის სამინისტროს არქივი, ფ. 288, აღწ. 9912, საქ. 9, ფ. 222.

დგენა. საბჭოთა მშრომელების თავდადებული და გმირული შრომის, აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ურთიერთდახმარების შედეგად შესაძლებელი შეიქნა ხანმოკლე დროში არამცთუ ფაშისტების მიერ მიყენებული ზარალის აღდგენა, არამედ მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი სიძლიერე.

დიდი სამამულო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირი, ეწევა რა მშვიდობიან შემოქმედებით შრომას კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად, მსოფლიო ასპარეზზე ახორციელებს ლენინურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას და ცდილობს დაამყაროს კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, მიუხედავად მათი სოციალური წყობისა.

მაგრამ მსოფლიოს იმპერიალისტური სახელმწიფოების რეაქციული მმართველი წრეები, ვერ ურიგდებიან საბჭოთა კავშირის გაძლიერებას და მისი ავტორიტეტის ამაღლებას, განაგრძობენ საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებას, არ ცდილობენ მშვიდობიანობის განმტკიცებას, ჰქმნიან საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ირგვლივ სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზებს, ახორციელებენ გამალებულ შეიარაღებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ აღნიშნულია: „...მსოფლიო ასპარეზზე სსრ კავშირი გამოდის ისეთ ძალად, რომელიც მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, იცავს ხალხთა თანასწორუფლებიანობის ლენინურ პრინციპებს, მტკიცედ იბრძვის კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, ყველა ფორმის ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს პოლიტიკა კვლავინდებურად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია იმპერიალიზმის აგრესიული სტრატეგიისა და რეაქციის წინააღმდეგ, აქტიური იარაღია დამპყრობლური ომების წინააღმდეგ, ხალხთა უშიშროებისა და თავისუფლებისათვის, სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში“.

ომისშემდგომი პერიოდის საბჭოთა ეკონომიკის, უპირველესად კი მძიმე ინდუსტრიის, მეცნიერების და ტექნიკის მნიშვნელოვანი განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდა შეიარაღებული ძალების მთლიანად გადაიარაღება ახალი თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით და შეიარაღებით, რის შედეგად გარდაიქმნა, აგრეთვე, მათი სტრუქტურა დღევანდელ სამხედრო-სტრატეგიულ მოთხოვნილებათა შესაბამისად. შეიქმნა შეიარაღებული ძალების ახალი, თანამედროვე უმძლავრესი სახეობანი. შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ბევრად გაიზარდა ავიაციისა და ჰაერსაწინაღო დაცვის ჯარების ხვედრითი წონა. სახმელეთო ჯარების სრული მოტორიზაციის და მექანიზაციის შედეგად მკვეთრად ამაღლდა მათი მანევრუნარიანობა, დარტყმითი ძალა და საცეცხლო ძლიერება. სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში მყოფ

ხომალდებს, თვითმფრინავებს და სხვა საბრძოლო საშუალებებს შეიარაღებაში აქვთ თანამედროვე მძლავრი საცეცხლო იარაღი და სრულყოფილი ტექნიკა. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, დიდი სამამულო ომის დონესთან შედარებით, ხარისხობრივად ბევრად წაიწიეს წინ.

მრავალეროვანი სახელმწიფოს მეოხებით საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა ჩვენი ქვეყნის მტკიცე თავდაცვითი ძლიერება.

ანტონ ლეჟავა

ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში ქართველ რევოლუციონერთა მონაწილეობის შესახებ

საბჭოთა საზოგადოების ძალისა და ძლიერების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, რომლის ყოველმხრივი შესწავლა და პოპულარიზაცია, უდავოდ დიდ როლს შეასრულებს საბჭოთა ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცება-განვითარებაში, მათ ურთიერთდაახლოებაში.

საბჭოთა ხალხის რევოლუციური წარსულის გმირულ მატიანეში ბრწყინვალე ფურცლებად შევიდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ქართველ და ჩრდილო კავკასიელ ხალხთა ერთობლივი ბრძოლის ისტორია.

ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიაში, როგორც ცნობილია, ყველაზე რთულ, ყველაზე ძნელ და ამავე დროს ყველაზე სასახელო პერიოდად ითვლება 1917 წლის თებერვლიდან 1920 წლის ზაფხულამდე პერიოდი. ეს არის საბჭოთა ხელისუფლებისათვის ჩრდილო კავკასიის ხალხების ბრძოლისა და გამარჯვების პერიოდი.

ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიაში (თერგის ოლქსა და დაღესტანში) წარმოებულ ბრძოლებში ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის მხარდამხარ აქტიურად იბრძოდნენ ქართველი რევოლუციონერები. საკმარისია დავასახელოთ ს. ორჯონიკიძე, ნ. ბუაჩიძე, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ვ. ნანეიშვილი, გ. სტურუა, ს. ქავთარაძე, გ. კანდელაკი, ეპ. კვანტალიანი და სხვები. მათ დიდი როლი შეასრულეს ჩრდილო კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის გაშლისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის მშრომელთა დარაზმვის საქმეში.

დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პორტ-პეტროვსკისა და დერბენტისათვის წარმოებულ ბრძოლებს, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი რევოლუციონერები. პორტ-პეტროვსკი, რომელიც წარმოადგენდა ერთადერთ ქალაქს დაღესტანში, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამ იარსება 1918 წლის მარტის ბოლომდე, შემდეგ დაეცა კონტრრევოლუციასთან უთანასწორო ბრძოლაში. ამ მძიმე დღეებში დაღესტნელ მშრომელებს ძმური დახმარების ხელი გამოუწოდეს ბაქოსა და ასტრახანის მშრომელებმა. ბაქოს პროლეტარიატის ამ კეთილშობილურ საქმიანობას პირადად სტ. შაუმიანი და პ. (ალ.) ჯაფარიძე ხელმძღვანელობდნენ. ინტერნაციონალური დარაზმულობისა და ერთობლივი ბრძოლის შედეგად, გატეხეს კონტრრევოლუცია და 1918 წლის 20 აპრილს გაანთავისუფლეს პორტ-პეტროვსკი, პირველ მაისს — თემირ-ხან-შურა. დერბენტში ადგილობრივმა რევოლუციურმა ძალებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, ბაქოს წითელი გვარდიის რაზმის გადამწყვეტი მხარდაჭერით, რომელსაც გ. სტურუა და კ. აღასიევი მეთაურობდნენ, 1918 წლის 24 აპ-

რილს დაამხეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციური ხელისუფლება და აღადგინეს საბჭოთა ხელისუფლება. 24 აპრილს დერბენტში შეიქმნა დროებითი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა გ. სტურუა. აი, რას აცნობებდა იგი ბაქოს სახკომსაბჭოს: „დერბენტი დაგვნებდა უბრძოლველად, შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი 5 კაცის შემადგენლობით, რომელიც დაკავებულია საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციით. ქალაქში გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა. ჩვენი პირობები მიღებულია. ქალაქი მთელ იარაღს აბარებს სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიას. მოსახლეობამ კარგად მიგვიღო“[1]. ამის შემდეგ დერბენტიც თავის მხრივ ეხმარებოდა ბაქოს მშრომელებს.

აღსანიშნავია, რომ გ. სტურუამ მოაწყო დერბენტიდან ბაქოსათვის სურსათ-სანოვაგის გაგზავნის ორგანიზაცია. ბაქოში გაიგზავნა 34 ვაგონი სურსათ-სანოვაგე: კარტოფილი, ფქვილი, მარცვლეული და სხვ.[2].

1918 წლის 29 აპრილს დერბენტში სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ნაცვლად შეიქმნა ქ. დერბენტისა და მისი რაიონის სახალხო კომისართა საბჭო, რომელიც 4 მაისს გარდაიქმნა რევოლუციური თავდაცვის კომიტეტად. ქ. დერბენტის რევოლუციური თავდაცვის კომიტეტის შემადგენლობაში კ. აღასიევთან, ვ. ბეშენცევთან (თავმჯდომარე), ა. ერლიხთან და სხვებთან ერთად შევიდა გიგა კანდელაკიც[3].

1918 წლის მაისის პირველ რიცხვებში დერბენტში შეიქმნა რკპ(ბ) საქალაქო ორგანიზაცია. საქალაქო კომიტეტის წევრებად აირჩიეს — კ. აღასიევი, ა. ერლიხი, დ. პუგინი, გ. კანდელაკი, გ. სტურუა, ვ. ბეშენცევი და სხვ.[4]. მალე დიდ ძალად გადაიქცა რკპ(ბ) დერბენტის ორგანიზაცია, რომელიც 1918 წლის ივნისისათვის ითვლიდა 70 წევრს და 100 თანამგრძნობს[5]. ამ ორგანიზაციის საქმიანობასა და ხელმძღვანელობაში ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდნენ გ. სტურუა და გ. კანდელაკი.

1918 წ. 9 ივნისს პარტიის დერბენტის საქალაქო კომიტეტის პრეზიდიუმმა მოიწვია სამანდატო კომისიის წევრების თათბირი მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მოწვევასთან დაკავშირებით. ქალაქში გაჩაღდა წინასაარჩევნო კამპანია. საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით მშრომელ მასებს შორის, განსაკუთრებით სოფლად, დიდი მუშაობა გააჩაღეს დერბენტის ბოლშევიკებმა. ამ საქმეში სხვა ბოლშევიკებთან ერთად დიდ მუშაობას ეწეოდნენ გ. სტურუა და გ. კანდელაკი. გ. სტურუა და გ. კანდელაკი შედიოდნენ დერბენტის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელ ბირთვში. ისინი მუშაობას ეწეოდნენ არა მარტო ქალაქის მოსახლეობას შორის, არამედ რევოლუციურ გავლენას ახდენდნენ ახლომდებარე რაიონების მთელ მოსახლეობაზე[6].

---

[1] Газ. „Бакинский рабочий“, от 25 апреля 1918 года.

[2] იქვე, от 26 апреля 1918 года.

[3] Газ. „Известия Комитета революционной обороны г. Дербента“, № 10, 22 (9) мая 1918 г.; „Известия Совнаркома г. Дербента“, № 1, 1918 г.

[4] Газ. „Известия Комитета рев. обороны г. Дербента“, № 4, 1918 г.

[5] იქვე, № 19, 1918 წლის 16 ივნისი.

[6] „Из истории партийной организации Дагестана“ (главы из очерков), Махачкала, 1959, გვ. 43.

დაღესტნის საოლქო სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა განსაკუთრებით გააქტიურა თავისი მუშაობა დაღესტანში ბაქოს ბოლშევიკების (26 კაცი, რომელთა უმრავლესობა იყო მუშა, დაღესტნელები — კ. აღასიევი, ა. ოსმანოვი, გ. ტაგი-ზადე და სხვ.) ჩამოსვლის შემდეგ. სწორედ მათ რიცხვში იყვნენ გ. სტურუა და გ. კანდელაკი[7]. მათ დიდი ცოდნა და ენერგია გამოამჟღავნეს დაღესტნის სხვადასხვა რაიონებსა და აულებში სამხედრო-რევოლუციური კომიტეტებისა და კომუნისტური უჯრედების შექმნის საქმეში[8].

1918 წლის ივნისში ბაქო მოიცვა საშინელმა შიმშილმა, რომელიც არანაკლებ საშიშროებას უქმნიდა ბაქოს კომუნის არსებობას, ვიდრე შინაგანი კონტრრევოლუცია და გარედან იმპერიალისტები. ამ მძიმე დღეებში გიორგი სტურუამ, ჩრდილო კავკასიისა და ვოლგისპირეთის რაიონებიდან მოახერხა მტრებით გარშემორტყმული ბაქოსათვის პურისა და სურსათ-სანოვაგის მიწოდება.

გ. კანდელაკი, რომელიც იყო დერბენტის რევოლუციური მასების ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, დიდ მუშაობას ეწეოდა დერბენტსა და მის რაიონში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. იგი იყო რედაქტორი გაზეთებისა, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოდიოდა დერბენტში: „Известия Совета Народных комиссаров г. Дербента и его района", „Известия комитета революционной обороны г. Дербента и его района", „Известия Совета рабочих, крестьянских и красноармейских депутатов г. Дербента и его района" და სასამართლო საქმეთა კომისარი[9].

სამხრეთ დაღესტანში რევოლუციურ ძალთა ორგანიზაციის საქმეს, რომელიც წარმატებით მიმდინარეობდა, ხელმძღვანელობდნენ ისეთი პოპულარული ბოლშევიკი ორგანიზატორები, როგორიც იყვნენ კ. აღასიევი, დ. პუგინი, ა. ერლიხი, გ. კანდელაკი, ვ. ბეშენცევი და სხვ. ამ საქმიანობაში მათ გვერდში ედგა ქართველი რევოლუციონერი კ. მ. კასრაძე[10]. სამწუხაროდ, მისი მოღვაწეობის შესახებ ძალზე ცოტა ცნობებია შემონახული.

დერბენტზე კონტრრევოლუციონერთა თავდასხმის დროს დერბენტის რევოლუციური თავდაცვის კომიტეტმა კ. აღასიევის, ვ. ბეშენცევის, გ. კანდელაკისა და სხვათა ხელმძღვანელობით შექმნეს ძლიერი რაზმი, რომელიც ქალაქის მუშებისაგან შედგებოდა. ეს რაზმი თავისი ხასიათით ინტერნაციონალური იყო. მასში შედიოდნენ რუსები, ქართველები, სომხები, ლეკები, ებრაელები და სხვ. ეს რაზმი შემდეგ გარდაიქმნა დერბენტის პოლკად და შევიდა დაღესტნის წითელი არმიის შემადგენლობაში[11]. ამ რაზმს ხელმძღვანელობდა კ. კასრაძე.

თურქმა ინტერვენტებმა და დაღესტნის კონტრრევოლუციამ გადაწყვიტეს რადაც არ უნდა დაჯდომოდათ გაენადგურებინათ კასრაძის რაზმი. ეს მათ საშუალებას მისცემდა პორტ-პეტროვსკი და თემირხან-შურა მოეწყვი-

---

7 ისინი ბაქოდან დაღესტანში ჩამოვიდნენ 1918 წლის მარტის ბოლოს.

8 „Борьба за победу и упрочение Советской власти в Дагестане" (под ред. Г. Аликберова). Махачкала, 1960, გვ. 94.

9 „Борцы за власть советов в Дагестане, 1917—1921 гг.", Махачкала, 1957, გვ. 35.

10 კ. მ. კასრაძე, პარტიის წევრი იყო 1914 წლიდან. (Партархив Дагфилиала ИМЛ, ф. 1, оп. 5, д. 136).

11 „Борьба за победу и упрочение Советской власти в Дагестане" (под ред. Г. Аликберова). გვ. 206—207.

ტათ ბაქოსაგან, მოეშალათ მათ შორის სარკინიგზო კავშირი, დერბენტის აღება დაბანდებდა დაღესტნის წითელი არმიის მნიშვნელოვან ძალებს. ყოველივე ეს კი წარმატებას მოუტანდა თურქი ინტერვენტებისა და დაღესტნის კონტრრევოლუციის გაერთიანებულ ძალებს თემირ-ხან-შურას მიმართულებით. ასეთ რთულ ვითარებაში დერბენტის შენარჩუნება სწორედ კასრაძის რაზმზე იყო ბევრად დამოკიდებული. კასრაძის რაზმმა არაერთი იერიში მოიგერია, რომელიც კონტრრევოლუციონერებმა წამოიწყეს. ამის შემდეგ დერბენტის წინააღმდეგ გაიგზავნა მძარცველთა ბანდა ცნობილი ყაჩაღის ჯაფარის მეთაურობით. მას ევალებოდა ეწარმოებინა მოულოდნელი თავდასხმები დერბენტზე, მოეკლათ კასრაძე, დეზორგანიზაცია შეეტანათ დერბენტის პოლკში და ბოლოს და ბოლოს აეღოთ დერბენტი.

დერბენტის რევოლუციური თავდაცვის კომიტეტმა სწორედ კასრაძის რაზმს დაავალა გაენადგურებია ჯაფარის ბანდა. 1918 წლის ივნისის შუა რიცხვებში ჯაფარის ბანდა განადგურებულ იქნა[12]. აი რას წერდა კ. კასრაძე თავისი საქმიანობის შესახებ მოხსენებით ბარათში ბაქოს სახკომსაბჭოს 1918 წლის 19 ივნისს: „ჩემი წინადადებით თვეში ორჯერ იმართება რაზმის საერთო კრება, სადაც ასეულებისა და ბატალიონის კომიტეტები აცნობენ ამხანაგებს თავიანთ მოღვაწეობას და ყოველი კრების ბოლოს იკითხება მოხსენება პოლიტიკური მომენტის შესახებ, როგორც აგიტაციისათვის. ასევე უფრო მტკიცე ორგანიზაციისათვის. რაზმი ეწევა საგარნიზონო სამსახურს. რევოლუციური თავდაცვის კომიტეტის განკარგულებით რაზმი დროდადრო აწარმოებს დაზვერვებს ქ. დერბენტის მიდამოებში. დაზვერვის შედეგები: ზოგიერთ საეჭვო პირთა დაპატიმრება, ძირითადად კი დაპატიმრება და სროლის დროს კონტრრევოლუციური ბანდის ცნობილი ხელმძღვანელის ჯაფარის მოკვლა, რომელსაც ჩვენ ვებრძოდით სამურის ხიდთან. რაზმი შესანიშნავად მოქმედებს, იმედი მაქვს, რომ შემდეგში კიდევ უფრო უკეთ იმოქმედებს“[13].

1918 წლის ივლისის შუა რიცხვებში საბოლოოდ იქნა განადგურებული ჯაფარის ბანდა.

კასრაძის გაერთიანებულმა რაზმმა არა ერთი ბრწყინვალე სამხედრო ოპერაცია ჩაატარა სადგურ ხაჩმასთან და დერბენტის მისადგომებთან. მისი რაზმი მედგრად იბრძოდა დერბენტში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის წარმოებულ ბრძოლებში. მისი რაზმის მეომრები, რომლებიც 19 ივნისს შეიკრიბენ მიტინგზე, თხოვდნენ თავიანთ კომისარს „ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთათვის გადაეცათ, რომ მათ მაღლა უპირავთ რევოლუციისა და სოციალიზმის დროშა, ყოველთვის მზად არიან მოიგერიონ კონტრრევოლუციური ბანდების თავდასხმა და როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად აღმოუჩინონ დახმარება დაღესტნის ოლქის გლეხებს“[14].

ამ დროს ჩრდილო კავკასიაში მოღვაწეობდა აგრეთვე გ. აღლაძე. 1918 წლის 2 მაისს პორტ-პეტროვსკის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტისა და

---

[12] „Борьба за победу и упрочение Советской власти в Дагестане“ (под ред. Г. Аликберова), გვ. 208.

[13] Газ. „Известия Бакинского Совета“, от 3 июля 1918 года.

[14] „Большевики в борьбе за победу Социалистической революции в Азербайджане. Документы и материалы. 1917—1918 гг.,“ Баку, 1957, გვ. 511.

წითელი გვარდიის წარმომადგენელთა საერთო თათბირზე განხილულ იქნა უ. ბუინაკსკის მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ. აქ არჩეულ იქნა დაღესტნის ოლქის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში დ. კორკმასოვთან (თავმჯდომარე), გ. საიდოვთან (მოადგილე), უ. ბუინაკსკისთან, მ. დახადაევთან (სამხედრო კომისარი), ზაგრეკოვთან (ასტრახანის წითელი არმიის რაზმის წარმომადგენელი), ს. გაბიევთან და სხვებთან ერთად შევიდა გ. აღლაძეც[15].

გ. აღლაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ქ. თემირ-ხან-შურას მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს მუშაობაში, რომელიც 1918 წლის 16 ივნისს გაიხსნა. სხდომაზე არჩეულ იქნა აღმასკომი 15 კაცის შემადგენლობით: დ. კორკმასოვი, ხოლო მოადგილეებად ს. გაბიევი და გ. აღლაძე (მდივანი გლაზუნოვი)[16].

1918 წელს მოსკოვში საბჭოების V ყრილობაზე[17] დაღესტნიდან გაიგზავნა ორი დელეგატი ა. დ. იზმაილოვი და გ. ა. აღლაძე, რომელთაც ევალებოდათ ფინანსური საკითხების გარკვევა და დაღესტანში არსებული მდგომარეობის გაშუქება[18].

გ. ა. აღლაძის მოღვაწეობის შესახებ სხვა ცნობები არ შემონახულა.

1918 წელს ლ. ბიჩერახოვის კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ ყიზლარის გმირულ დაცვაში მონაწილეობას იღებდა ქართველ მებრძოლთა რაზმი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ყიზლარისათვის წარმოებულ ბრძოლებში. იგი ორგანიზებული იყო ქართული სოფლის მცხოვრებთაგან. ეს სოფელი ყიზლართან ახლოს მდებარეობს და ცნობილი იყო „ქართული სოფლის" სახელით. ამ სოფლის მოსახლეობამ შეადგინა წითელგვარდიული რაზმი, რომელშიც შედიოდნენ: ა. ბალხამაშვილი, ნ. ბალხამაშვილი, დ. ბალმაღოშვილი, ა. ბექაური, ა. ბუნტური, ი. ბუნტური, მ. ბუნტური, გ. მ. ბურდული, გ. დ. ბურდული, მ. ნაკვატური, ი. კობაიძე, ს. კობაიძე, ს. ლობჟანიძე, ნ. სუხოშვილი, დ. სუხოშვილი, ს. სუხოშვილი, ა. სუხიაშვილი, მ. ქავთარაძე, ი. ჩოხელი, გ. წამალაიძე, ს. ტუტოშვილი და სხვ.[19], რომელთა ვინაობის (სახელი და გვარის) დადგენა ვერ მოვახერხეთ.

განსაკუთრებით საინტერესოა დაღესტანში ვიქტორ ნანეიშვილის მოღვაწეობა. 1918 წლის მაისში ბაქოს სახკომსაბჭო ვიქტორ ნანეიშვილს ნიშნავს დაღესტნის ოლქის საგანგებო კომისრად. აი რას ვკითხულობთ ბაქოს სახკომსაბჭოს 1918 წლის 14 მაისის ცნობაში: „ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს შიერ ამხ. ნანეიშვილი ინიშნება დაღესტნის ოლქის საგანგებო კომისრად. ამხ. ნანეიშვილს ეძლევა რწმუნებანი მოახდინოს საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაცია დაღესტნის ოლქში, ხოლო მანამდე მართოს მთელი დაღესტნის ოლქი.

---

[15] ЦГА ДАССР. ф. 528—р, оп, 1, ед. хр. 3, л. 2, 3, 18, 30.

[16] „Из истории партийной организации Дагестана" გვ. 46; „Борьба за установление и упрочение Советской власти в Дагестане", (Сб. Документов и материалов. 1917—1921 гг.)", Москва, 1958, გვ. 135—137.

[17] სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობა გაიხსნა 1918 წლის 4 ივლისს.

[18] ЦГА ДАССР, ф. 135-р, оп. I, ед. II, л. 2.

[19] „Кизлярский Краеведческий народный музей им. П. И. Багратиони, Альбом— Ветераны гражданской войны и участники обороны, Кизляра, 1918," т. I и т. II.

მისი ადგილსამყოფელი იქნება ქ. პორტ-პეტროვსკი. ადგილზე მყოფი ყველა ძალები და ბაქოდან ან სხვა ადგილებიდან მოსული შეიარაღებული ძალები თავის მეთაურებიანათ და კომისრებიანად გადადიან მის სრულ განკარგულებაში. ყველა რევოლუციურ დაწესებულებებს და კომისრებს, დაღესტნის ოლქში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ევალებათ ინსტრუქციებისათვის მიმართონ უშუალოდ ამხ. ნანეიშვილს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელს საგანგებო უფლებით"[20].

ვ. ნანეიშვილი თავის რადიოგრამაში, 1918 წლის 5 ივნისს პორტ-პეტროვსკიდან, აცნობებდა ბაქოს სახკომსაბჭოს დაღესტანში არსებული სამხედრო მდგომარეობის შესახებ — ადგილობრივი კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ მშრომელთა აქტიური ბრძოლის შესახებ: „მდგომარეობა დაღესტნის ოლქში, — ნათქვამი იყო რადიოგრამაში, — გვიშლის წინ შესანიშნავ პერსპექტივას. აულები ერთი მეორის მიყოლებით გამოდიან იმამის წინააღმდეგ საბრძოლველად. არის შესაძლებლობა დაღესტნის ოლქში სწრაფად იქნას ლიკვიდირებული კონტრრევოლუცია, მაგრამ ამისათვის საჭიროა ყველა არსებული ძალების დაძაბვა. დაღესტნის ოლქში კონტრრევოლუციაზე გამარჯვება უდავოდ აღადგენს რკინიგზაზე მიმოსვლას და ბოლოს მოუღებს ბაქოში არსებულ სასურსათო კრიზისს"[21].

ვ. ნანეიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო დერბენტის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პირველი სხდომის მუშაობაში, რომელიც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 1918 წლის 26 ივნისს. სხდომას ესწრებოდა 53 დეპუტატი, მათგან 11 იყო გლეხთა საბჭოებისაგან. სხდომაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ბაქოს საბჭოს წარმომადგენელი ე. რაბინოვიჩი. სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ: ვ. ნანეიშვილი, რკპ(ბ) საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ერლიხი და სხვ.

დერბენტის განთავისუფლების დღიდან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ქ. დერბენტის რევოლუციური თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ბეშენცევი. ვ. ნანეიშვილის წინადადებით სხდომამ ერთხმად გადასწყვიტა მისალმების დეპეშა გაეგზავნათ ვ. ი. ლენინისა და ბაქოს საბჭოსათვის.

დასკვნით სხდომაზე ბოლშევიკების, მემარცხენე ესერებისა და მემარცხენე დაშნაკების ფრაქციის წინადადებით არჩეულ იქნა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ტორჟინსკი (თავმჯდომარე), კ. აღასიევი და სიმჩევი (მოადგილეები), გ. კანდელაკი და მარტიროსოვი (მდივნები), გ. ტაგი-ზადე, ვ. ბეშენცევი, ა. ერლიხი და სხვ.[22]. 21 ივნისს და-

[20] Газ. „Бакинский рабочий", от 14 мая 1918 года „Борьба за установление и упрочение Советской власти в Дагестане. 1917—1921 гг.", (Сборник документов и материалов), Москва, 1958, გვ. 117.

[21] იქვე, გვ. 129.

[22] Газ. „Известия Дербентского Совета", от 30 июня 1918 года, გ. კანდელაკი 1918 წ. აგვისტოს დასაწყისში დერბენტის აღების დროს ხელში ჩავდო ღ. ბიჩერახოვმა. მასთან ერთად დაპატიმრებულ იქნენ ა. ერლიხი, ვ. ბეშენცევი, ი. კობიაკოვი და სხვ. ღ. ბიჩერახოვი დერბენტელ ბოლშევიკებს სასტიკად გაუსწორდა. ისინი გაიყვანეს პორტ-პეტროვსკში და 1918 წლის 27 აგვისტოს დახვრიტეს. დერბენტის პარტ-ულ მუშაკთა ნაწილმა დ. პუგინის მეთაურობით თავი

ღესტნის ოლქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობის მოწვევით დამთავრდა დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება[23].

ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ დეპუტატები დერბენტის, პორტ-პეტროვსკის, თემირ-ხან-შურას ცალკეული სამხედრო ნაწილებიდან და დაღესტნის სხვადასხვა რაიონებიდან. ყრილობამ აირჩია მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საოლქო საბჭო და საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დ. კორკმასოვის თავმჯდომარეობით. აღმასკომის შემადგენლობაში შევიდნენ: ვ. ნანეიშვილი, ს. გაბიევი, მ. დახადაევი, უ. ბუინაკსკი, გ. საიდოვი, ა. ისმაილოვი, მ. ხიზროევი, კ. აღასიევი და სხვ.[24].

ვიქტორ ნანეიშვილი, დაღესტანში საგანგებო კომისრის პოსტზე ყოფნის დროს მასებში დიდ პარტიულ და ორგანიზატორულ მუშაობასთან ერთად, ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით რევოლუციის აქტუალურ საკითხებზე, წერდა თეორიულ წერილებს. იგი თავის გამოსვლებში ამხელდა მენშევიკების, მუსავატელებისა და ამიერკავკასიის კომისარიატის გამცემლობას.

1918 წლის სექტემბერში დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლების დროებითი დაცემის შემდეგ (რომელმაც 5 თვე იარსება) ვიქტორ ნანეიშვილი გადადის ასტრახანში, სადაც მუშაობდა პარტიის ასტრახანის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარედ[25]. 1919 წლის დასაწყისში იგი დაბრუნდა ბაქოში, საიდანაც აქტიურ დახმარებას უწევდა დაღესტნელ კომუნისტებს პარტიის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციის საქმეში და მებრძოლი დაღესტნისათვის დახმარების აღმოჩენაში. 1919 წლის ზაფხულში ვ. ნანეიშვილი გაემგზავრა ასტრახანს, ხოლო იქიდან მოსკოვს, რათა მოხსენება გაეკეთებინა რკპ(ბ) ცკ-სა და რსფსრ სახკომსაბჭოსათვის ბაქოსა და დაღესტანში არსებული მდგომარეობის შესახებ[26].

1919 წლის თებერვალში დენიკინელებმა დაიკავეს მთელი თერგის ოლქი. საშიშროება შეექმნა დაღესტანსაც და მართლაც 1919 წლის მაისში დენიკინის თეთრგვარდიული არმია შეიჭრა დაღესტნის ტერიტორიაზე და დაიკავა მისი დიდი ნაწილი. დაღესტნის მშრომელები აღსდგნენ დენიკინის თეთრგვარდიული ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველად. მთელი დაღესტანი აჯანყების ქარცეცხლში გაეხვია.

1919 წლის ნოემბრის დასაწყისში დერბენტთან მოქმედმა აჯანყებულებმა მარცხი განიცადეს, მაგრამ უკვე ნოემბრის მეორე ნახევარში დერბენტის ფრონტზე მდგომარეობა შეიცვალა, რაც გამოწვეული იყო აზერბაიჯანისა და საქართველოს მშრომელთაგან მიღებული დახმარებით.

შეაფარა პორტ-პეტროვსკს, ხოლო კ. აღასიევი და სხვები იმალებოდნენ დერბენტსა და მის რაიონში. (Г. Аликберов, Победа Социалистической революции в Дагестане, Махачкала, 1968, გვ. 166).

23 1918 წლის მაისის ბოლოს არჩეულ იქნა პორტ-პეტროვსკის, ხოლო 16 ივნისს თემირ-ხან-შურას მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები. (Газ. „Бакинский рабочий", от 22 июня 1918 г.; „Из истории партийной организации Дагестана", გვ. 46—47).

24 „Борьба за победу и упрочение Советской власти в Дагестане" (под ред. Г. Аликберова), Махачкала, 1960, გვ. 222.

25 Партархив Азербайджанского филиала ИМЛ, ф. 153, оп. I, д. 161, л. 9.

26 „Борцы за власть Советов в Дагестане", გვ. 50.

საქართველოსა და აზერბაიჯანის მშრომელებმა დაღესტნელ მთიელებს აღმოუჩინეს დიდი მატერიალური და მორალური დახმარება, რაშიც დიდი როლი ითამაშეს ვიქტორ ნანეიშვილმა, ისა დოვლათოვმა, ეპიფანე კვანტალიანმა, საიდ გაბიევმა, გამიდ სულთანოვმა, ალი გაიდაროვმა და სხვ. მათ ბაქოდან და თბილისიდან დაღესტანში გაგზავნეს წითელარმიელები, მეთაურები, პოლიტმუშაკები, იარაღი და სხვ.[27].

1919 წლის დეკემბერში კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბაქოს ბიურო თბილისში აგზავნის გამიდ სულთანოვს და ეპიფანე კვანტალიანს, რომელთაც ევალებოდათ დაღესტნისათვის იარაღის შესყიდვა და დაღესტნელ აჯანყებულთა დასახმარებლად მებრძოლი რაზმების ორგანიზება.

მათ მჭიდრო კავშირი დაამყარეს თბილისში მყოფ დაღესტნელებთან, კერძოდ, თავდაცვის საბჭოს წარმომადგენელ საიდ გაბიევთან და პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის თბილისის ბიუროს წევრებთან ფ. მახარაძესთან, ა. ნაზარეტიანთან, ლ. დუმბაძესთან, მ. ორახელაშვილთან და სხვ. მათ დიდი მუშაობა ჩაატარეს საქართველოში ინტერნირებულ წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა მობილიზაციისა და დაღესტანში გაგზავნის საქმეში[28].

თბილისიდან გ. სულთანოვმა და ეპ. კვანტალიანმა დაღესტანში, დერბენტის ფრონტისათვის გააგზავნეს 3 ვაგონზე მეტი ვაზნა, თოფები, სატელეფონო მოწყობილობა და სხვ.[29].

1919 წლის სექტემბრიდან 1920 წლის მაისამდე დაღესტანში, დერბენტის ფრონტებზე ჯგუფებად და ცალ-ცალკე ჩამოვიდა 2000 კაცი, მათ შორის 1500 იყო XI არმიის ყოფილი წითელარმიელი, რომლებიც ჯერ კიდევ 1919 წლის თებერვალში იბრძოდნენ ჩრდილო კავკასიაში დენიკინელების წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ იძულებული იყვნენ გადმოსულიყვნენ მენშევიკურ საქართველოში, სადაც მათ სდევნიდა მენშევიკური მთავრობა. ეს მებრძოლები გვერდში ამოუდგნენ დაღესტნელ მშრომელებს თეთრგვარდიელების წინააღმდეგ[30].

1920 წლის დასაწყისში ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტმა ჩაატარა „წითელი დაღესტნის“ დღე. მოაწყო დაღესტნელ აჯანყებულთათვის ფულისა და თბილი ტანსაცმლის შეგროვება. მარტო იანვარში დაღესტნის მებრძოლთა დასახმარებლად მუშებმა შეაგროვეს 20 ათასზე მეტი მანეთი, ხოლო თებერვლის პირველ ათ დღეს 15 ათასი მანეთი. დაღესტნის ფრონტზე გაიგზავნა აგრეთვე ბევრი მოხალისე[31].

ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტის მიერ ჩატარებულ ამ მუშაობაში, სხვა ამხანაგებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ვიქტორ ნანეიშვილი, რომელიც დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე აქტიურად მონაწილეობდა ან თვით დაღესტანში თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ წარმოე-

---

[27] Архив Азербайджанского филиала ИМЛ, ф. 456, оп. 16. связка 5. д. 234.

[28] И. Б. Гаджиев, Совместная борьба трудящихся Азербайджана и Дагестана за власть Советов 1918—1920 гг., Махачкала, 1968, зз. 71.

[29] Архив Азербайджанского филиала ИМЛ. ф. 151, оп. 1, д. 161. л. 10.

[30] „Борьба за власть Советов в Дагестане, Сборник воспоминаний участников“, Махачкала. 1957, зз. 107.

[31] Г. Аликберов, Победа Социалистической революции в Дагестане, зз. 262.

ბულ ბრძოლებში ანდა ბაქოდან ხელმძღვანელობდა მებრძოლი დაღესტნისათვის დახმარების გაწევას.

როგორც კავკასიის სამხარეო კომიტეტის წარმომადგენელმა, ვ. ნანეიშვილმა 1920 წლის 2 თებერვალს მონაწილეობა მიიღო სოფ. ლევაშში გამართულ რკპ(ბ) დაღესტნის საოლქო კომიტეტის სხდომაში, სადაც იხილებოდა ნური-ფაშასა და სხვათა საკითხები. ნური-ფაშა არ დაემორჩილა დაღესტნის საოლქო კომიტეტის დადგენილებას, ხოლო თავდაცვის საბჭომ, მოერიდა რა შინაგანი ფრონტის გახსნას, არ მიიღო გადამწყვეტი ზომები, რათა ნური-ფაშა იარაღის ძალით გაეძევებია დაღესტნიდან[32].

დერბენტის ფრონტზე წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობდა ანტონ მგალობლიშვილი. იგი ჯერ კიდევ 1918—1919 წლებში ვლადიკავკაკის პირველი რკინის რაზმის შემადგენლობაში იბრძოდა თეთრკაზაკებისა და დენიკინელების წინააღმდეგ. ვლადიკავკაკის დატოვების შემდეგ გადავიდა საქართველოში, იქიდან კი ბაქოში, სადაც მოხალისედ ჩაეწერა რაზმში, რომელიც ყალიბდებოდა წითელი დაღესტნის დასახმარებლად (ამ რაზმის შექმნის ორგანიზატორები იყვნენ კარიბოვი, გავრილენკო და მირზოიანი), 1919 წლის ბოლოს ა. მგალობლიშვილი გაიგზავნა დერბენტის ფრონტზე, სადაც იბრძოდა პირველი ბოლშევიკური რაზმის სამთო ბატარეის შემადგენლობაში. თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ წარმოებულ ერთ-ერთ ბრძოლაში ა. მგალობლიშვილი დაიჭრა ფეხსა და ხელში. იგი ევაკუირებულ იქნა ბაქოში, სადაც იწვა საავადმყოფოში 1920 წლამდე. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი კვლავ იგზავნება თავის ნაწილში, დერბენტში[33].

დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში თავი გამოიჩინა ბახტაძის ასეულმა, რომელმაც ჩერნიშოვის ასეულთან ერთად ხელთ იგდო დერბენტის სადგური[34]. ხოლო პორტ-პეტროვსკის კომკავშირულ ორგანიზაციას ბრიუხანოვთან, მასლოვთან, მეხტიევთან, ლევინთან და სხვა ამხანაგებთან ერთად ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ქართველი რევოლუციონერი ჯაფარიძე[35].

ასეთია დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში ქართველ რევოლუციონერთა მონაწილეობის არასრული სურათი.

---

[32] ЦГА ДАССР, ф. 608, оп. 2, д. 1, лл. 3, 7, 8.

[33] БГА, ф. 52, оп. 2, ед. хр. 302, გვ. 1—7.

[34] „Борьба за власть Советов в Дагестане (сборник воспоминаний участников)“, გვ. 137.

[35] იქვე. გვ. 161.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ

ᲘᲠᲘᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ (1801—1921 ᲬᲬ.)

ირიგაციას საქართველოში დიდი ისტორიული წარსული აქვს. მისი ჩასახვა მიწათმოქმედების ადრეულ ხანაშია სავარაუდო და გავლილი აქვს განვითარების სხვადასხვა საფეხური, დაწყებული მისი ჩასახვიდან — დამთავრებული მსხვილი მაგისტრალური სარწყავი სისტემების ჩამოყალიბებით.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მთავრობისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ სარწყავი სისტემები დიდხანს იყო ყურადღების გარეშე დატოვებული. მეფის რუსეთისათვის აქ არსებული სარწყავი არხები, წყლით სარგებლობისა და წყლის მფლობელობის საკითხები, ისე როგორც ბევრი ადგილობრივი თავისებურებანი და ადათ-წესები გაუგებარი აღმოჩნდა, ცარიზმის ხელისუფლებამ ამიერკავკასიის წყლებს, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება მიაპყრო, როგორც მიმოსვლის საშუალებას — რაც ესოდენ საგრძნობი და აუცილებელი იყო სამხედრო თვალსაზრისით და სავსებით ჩვეულებრივიც თვით ცხოვრების გამოცდილებით რუსეთში, სადაც მდინარეები მსახურებდნენ არა სარწყავ, არამედ, მიმოსვლის საშუალებად[1] და ხეტყის დასაცურებლად.

XIX საუკუნის ცნობილი ჰიდრავლიკოსი ი. ხატისოვი საიმპერატორო ეკონომიური საზოგადოების კრებაზე 1881 წლის იანვარში აღიარებდა: „მეცნიერება, რომელიც გვასწავლის საირიგაციო არხების გაყვანას, განსხვავდება იმ წესებისაგან, რომელიც გვასწავლის გზების, ანდა გემების მიმოსვლისათვის არხების გაყვანას. იგი სულ სხვა სპეციალობაა, რომელიც ჩვენთან რუსეთში სამწუხაროდ ჯერ ნაკლებად არის ცნობილი“[2].

საქართველოს რუსეთთან შეერთებას მოყვა მთელი რიგი ცვლილებები საკანონმდებლო, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის სფეროში. ცვლილებები შეეხო ირიგაციასაც, რუსეთთან შეერთებამდე აღმოსავლეთ საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა ექვემდებარებოდა მორწყვის მოთხოვნილებებს. ტერიტორია, რომელსაც ერთი მდინარე ან მისგან გამოყვანილი სარწყავი არხები რწყავდა, ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს შეადგენდა[3] და უბანი (ხოლო აღმ. საქართველოს მაჰმადიანურ რაიონებში — მაჰალი) ეწოდებოდა, რომელსაც წყლის უმაღლესი ადმინისტრატორი — სპეციალურად დანიშნული ან არჩეული პირი ჰყავდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ კი, ამ მხარის მრავალგზის ადმინისტრაციული დაყოფის დროს,

---

[1] პ. გუგუშვილი, ირიგაცია საქართველოსა და ამიერკავკასიაში (1801—1920 წწ.), (ეკონომიური გამოკვლევა, თსუ შრომები, ტ. XXVII-Б, 1946, გვ. 40).

[2] Записки Кавказского отделения Имп. русского технического общества, (შემდეგში შემოკლებით. ЗКОИРТО). т. XIV, გვ. 12.

[3] Газ. „Кавказ“, 1892, № 8.

არ ყოფილა გათვალისწინებული მორწყვის გარემოება[4]. ცარიზმმა ამიერკავკასია დაჰყო სულ სხვა პრინციპის მიხედვით, რამდენადმე უფრო მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებად — მაზრებად, სადაც სარწყავი წყლის გამგებელი თვითონ მაზრის უფროსი იყო.

მორწყვის საქმის ხელმძღვანელობა სახელმწიფოს ერთი ბიუროკრატიული დაწესებულებიდან — მეორეში გადადიოდა. მას ჯერ განაგებდა დასახლების მომწყობი კომისია, შემდეგ სახელმწიფო ქონებათა ექსპედიცია, უფრო მოგვიანებით სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველო, შემდეგ სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტი, ხოლო ბოლოს — სახელმწიფო ქონებათა სამმართველო[5].

ამ ცვლილებებმა და სხვა მიზეზებმა, რომელთაც ქვევით უფრო დაწვრილებით შევეხებით, თავდაპირველად მეტად უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოსა და ამიერკავკასიაში ირიგაციის განვითარებაზე. XIX საუკუნის ცნობილი ირიგატორი ვ. დინგელშტედტი წერდა: „ეს ქვეყანა (ამიერკავკასია — გ. ჩ.) უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია რაც რუსეთს ეკუთვნის და შეიძლება ითქვას, რომ ირიგაცია, რომელიც აქ სიცოცხლისა და კეთილდღეობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს, არამც თუ გაუმჯობესებულა, არამედ — პირიქით, დაცემის პირას არის მისული“[6]. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მდივანი ი. ხატისოვი, იხილავდა რა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ირიგაციის მდგომარეობას, აღნიშნავდა: „ბევრი დიდი სარწყავი არხი სხვადასხვა მიზეზების გამო მიტოვებული და წაშლილია. ის ადგილები, რომლებიც წინათ ირწყოდა და აყვავებული იყო, ამჟამად უდაბნოს წარმოადგენს. მართალია ბევრი სარწყავი არხის არსებობა წყდება ჯერ კიდევ ჩინგის-ხანისა და თემურ-ლენგის დროიდან. ... მაგრამ საოცარი ჩანს ის მოვლენა, რომ ბევრი სარწყავი არხი ჩვენს თვალწინ, ამ მხარის რუსეთთან შეერთების შემდეგ გამქრალა“[7].

ირიგაციის ამგვარად დაქვეითების მიზეზების განხილვისას, თითქმის ყველა იმდროინდელი მკვლევარი თუ სპეციალისტი აღიარებდა, რომ კავკასიაში საირიგაციო მმართველობას გააჩნდა ბევრი ნაკლოვანებები. კ. ფროლოვი ამ ნაკლოვანებათა მთავარ მიზეზად თვლიდა იმას, რომ რუსეთის კანონმდებლობას დღემდე არ გააჩნია რაიმე განსაზღვრული გადაწყვეტილება ირიგაციის შესახებ[8].

მეფის რუსეთის მთელი კანონი, რომელიც შეეხებოდა წყლით სარგებლობისა და წყლის მფლობელობის საკითხებს, წარმოდგენილი იყო მხოლოდ 442 სტატიის (თავი X, ნაწ. I, C) ორი შენიშვნის სახით. პირველ შენიშვნაში აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიაში სარწყავი არხების მოწყობა, მისი შენახვა და გამოყენება რჩებოდა იქ მოქმედი ადათ-ჩვეულებების საფუძველზე. ვიდრე არ იქნებოდა გამოცემული ამ საკითხზე სპეციალური დადგე-

---

[4] Газ. „Кавказ“, 1892, № 8.

[5] ЗКОИРТО, т. IV, К., Фролов, Состояние ирригации в Закавказском крае, 1872, გვ. 284.

[6] В. Дингельштедт, Водовладение и ирригация, Тифл. 1880, გვ. 2.

[7] И. Хатисов, Ирригация на Кавказе, Тифл. 1881, გვ. 5.

[8] ЗКОИРТО, т. IV, К. Фролов, Состояние ирригации в Закавказском крае, 1872, გვ. 270.

ნილება. მეორე შენიშვნაშიც დაახლოებით იგივე აზრი იყო გატარებული: „სარწყავი წყლის სარგებლობისას წამოჭრილი ყოველგვარი დავა განიხილება მომრიგებელი შუამავლის მიერ ადგილობრივი ადათების საფუძველზე"[9].

იმ ქვეყანაში, სადაც მორწყვა მიწათმოქმედების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს, აუცილებლად უნდა არსებობდეს საზოგადოდ აღიარებული სპეციალური კანონები, რომელიც მოაწესრიგებდა წყლის მფლობელობისა და წყლით სარგებლობის საკმაოდ რთულ საკითხებს.

საქართველოში წინათ მოქმედი ვახტანგისეული ადათობრივი სამართალი, XIX საუკუნეში, ქვეყნის სამოქალაქო და ადმინისტრაციული ცვლილებების ფონზე, რასაკვირველია მოძველებული აღმოჩნდებოდა. ახალ სიტუაციასთან შეხამებული საირიგაციო კანონები კი რუსეთის კანონმდებლობას არ გააჩნდა. ყოველივე ეს დიდად უშლიდა ხელს ირიგაციის განვითარებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

XIX საუკუნეში საირიგაციო საქმეს მაზრებში ოფიციალურად განაგებდა მაზრის უფროსი, ფაქტიურად კი სარწყავი წყალი სპეციალურად არჩეული ან დანიშნული პირის ხელში იყო. აღმოსავლეთ საქართველოში მას მერუეს (ზოგან კი მირაბს) უწოდებდნენ, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში კი — არხჩს[10].

მერუეს მოვალეობას შეადგენდა მაზრაში სარწყავი წყლის განაწილება თემებსა და სოფლებს შორის. იგი იცავდა წყლის მორიგეობით და სწორად გამოყენების წესს, მეთვალყურეობდა არხების დაცვის საქმეს და წყვეტდა სარწყავი წყლის ირგვლივ ყოველგვარ დავას. მას ჰქონდა აგრეთვე ე. წ. „გირდავის"[11] უფლება. ეს მას საშუალებას აძლევდა სარწყავი წყალი შეეწყვიტა რომელიმესათვის და ურიგოდ გაეშვა იმ ნაკვეთზე, რომელსაც ჩათვლიდა საჭიროდ[12].

მთავრობის უყურადღებობითა და სპეციალურ წყალთა კანონმდებლობის უქონლობით სარგებლობდნენ მერუეები და თავიანთ თანამდებობას ხშირად ბოროტად იყენებდნენ. „თბილისის მაზრაში თითქმის ყველგან ჩივიან გლეხები იმაზე, რომ მერუეები ბოროტად იყენებენ თავიანთ უფლებებს და სარწყავ წყალს აძლევენ იმას, ვინც მეტ ფულს შეაძლევს მათ"[13] — ეკითხულობთ იმდროინდელ ოფიციალურ გამოცემაში.

1891 წელს გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე დუშეთის მაზრის გლეხობა ჩიოდა: „მერუეები გვყვანან, მაგრამ არც ესენი გვინდობენ, ვაი-ვაგლახით ნოყვანილ წყალს ეს მერუეები ჩუმად ჰყიდიან ბაღების მოსარწყავად და ამითი ხმის გამცემი არავინ არის"[14].

წყლით სარგებლობის წესი საქართველოში სხვადასხვანაირი იყო. თემის წევრთა შორის წყლის განაწილება უპირატესად წარმოებდა იმავე კრიტერიუმის მიხედვით, როგორც ხდებოდა, მაგალითად, სახელმწიფო გლეხთა

---

[9] И. Хатисов. Ирригация на Кавказе, 1881, გვ. 7.

[10] Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края. (შემდეგში შემოკლ.: СМИЭБГКЗК), т. II, Тифл. 1887, გვ. 426.

[11] სპარსულად „girdav"—წყლის შეწყვეტა, შეჩერება.

[12] СМИЭБГКЗК, т. II, Тифл. 1887, გვ. 421.

[13] იქვე. გვ. 424.

[14] გაზ. „ივერია", 1891 წლის 17 ივლისი, № 150.

შორის სათემო მიწების გადანაწილება. თემი იყოფოდა ჯგუფებად, ათეულებად, უბნებად. ეს იყო საირიგაციო ერთეულიც, რის მიხედვითაც ლიტრა-ჩარექობის, ამპა-ჩარექობის, ბაშის და სხვა საფუძველზე ხდებოდა წყლის მიწოდება თითოეული კომლისათვის[15]. მაგალითად, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში სარწყავი წყლის განაწილება ხდებოდა ამპა-ჩარექობის სისტემის საფუძველზე; კომლი ერთიანდებოდა ჯგუფებად ისე, რომ თითოეულ ჯგუფს ერთნაირი რაოდენობის მიწის ნაკვეთები გააჩნდა. შემდგომ მორიგეობით ირწყოდა ამ ჯგუფის მიწები განსაზღვრული დროის მანძილზე, ჯერ ირწყოდა არხის ზემო წელზე მდებარე ნაკვეთები, ხოლო შემდეგ — უფრო ქვემოთ მდებარენი[16].

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ თბილისის გუბერნიაში, სარწყავი წყლის განაწილება ხდებოდა ლიტრა-ჩარექობის სისტემის მიხედვით[17]. ამ დროს განსაზღვრული დროის მიხედვით რწყვას ადგილი არ აქვს. თითოეულ კომლს უფლება აქვს თავისი რიგის დროს სარწყავი წყლით ისარგებლოს იქამდე, სანამ მთლიანად არ მორწყავს თავის ნაკვეთს. აქ მხოლოდ დახარჯული წყლის რაოდენობას ექცევა ყურადღება. წყლის საზომ ერთეულად აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა „ნაკადული", ან ე. წ. „ერთი თავი წყალი", რაც უდრიდა დაახლოებით 0,0035 კუბ. საჟენს (ანუ 35 ლიტრს). გარდა ამისა, აღმოსავლეთ საქართველოს მუსლიმანურ რაიონებში ხმარობდნენ „ბაშს", რომელიც უდრიდა 0,0060 კუბ. საჟენს (ანუ 60 ლიტრს)[18]. რაც შეეხება ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს, აქ სარწყავი წყლის საზომად ითვლებოდა „არახი", რაც უდრიდა 0,0030 კუბ. საჟენს (ანუ 30 ლიტრი)[19]. საქართველოში მოსახლე გერმანელი კოლონისტები კი სარწყავი წყლის საზომად ხმარობდნენ „ფურხს", რაც უდრიდა 0,0150 კუბ. საჟენს წამში[20].

წყლის განაწილების ფუნქციები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მერუეს ეკისრებოდა, რომელიც სარგებლობდა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზით და ხშირად იჩენდა მიკერძოებას და არაობიექტურობას. ეს კი ძალზე ართულებდა ისედაც მოუწესრიგებელ საქმეს. 1846 წელს გამოიცა დებულება ძირაბების შესახებ, მაგრამ იმდროინდელ დამკვირვებელს კ. ფროლოვს თუ დავუჯერებთ, ამ დებულებას თავისი უსაფუძვლობის გამო, არ მოუხდენია არსებითი გავლენა ირიგაციის გაუმჯობესებაზე. მას მხოლოდ დაუკანონებია მმართველობის ძველი, დრომოჭმული წესები. ამასთან ერთად, აღნიშნული დებულებით მირაბებს ჩამორთმევიათ მთელი რიგი ადმინისტრაციული უფლებები, რაც გადაუცია რუსი ოფიცრებისა და ჩინოვნიკებისათვის, რომლებსაც ამ საქმის არც თეორიული ცოდნა ჰქონიათ და არც პრაქტიკული გამოცდილება[21].

---

15 პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

16 СМИЭБГКЗК. т. II, Тифл. 1887, გვ. 424.

17 იქვე, т. III, Тифл. 1888, გვ. 57.

18 С. Вейссенгоф, Сведения о состоянии орошения на Кавказе, Тифл. 1883, გვ. 102.

19 იქვე, გვ. 10.

20 საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, შემდეგში: „ცსა (თბილისი), ფ. რ. 675, ან. 1, საქ. 994, ფურც. 43.

21 К. Фролов, დასახ. ნაშრ., გვ. 273.

ყოველივე ამის გამო, სარწყავი წყლის განაწილებაში გაბატონდა „მექრთამეობა და ანარქია“[22]. ზაფხულის პერიოდში, როცა წყალი არხში კლებულობდა და სარწყავად ყველას არ ყოფნიდა, იმ სოფლებში რომლებიც არხის ზემო წელზე იყვნენ განლაგებულნი წყალს იტაცებდნენ და აღარ უშვებდნენ ქვემოთ მდებარე სოფლებისაკენ. სულ უფრო ხშირდებოდა სარწყავი წყლისთვის სოფლებს შორის დავა, რომელიც ხშირად ხელჩართული ბრძოლით მთავრდებოდა. „სარწყავი წყლები სწორედ შფოთის ჩამომგდებ საგნად გახდა ჩვენ საქართველოში — წერდა გაზეთი „დროება“ 1885 წელს, — ამას წინათ იყო და ამ საგნის გამო იმდენს ვაი-ვაგლახს იწერებოდნენ კახეთიდგან, ახლა არის და დოესელების და ხოვლელების ჩხუბს გვატყობინებენ გორის მაზრიდან. ჩხუბის მიზეზი წყალი ყოფილა, რომელიც დოესელებისათვის ხოვლელებს მოუწყვეტიათ და თავიანთ მამულებში გადაუშვიათ“[23]. მდგომარეობას ის უფრო ართულებდა, რომ დავისა და ჩხუბის მიზეზების აღსაკვეთად რაიმე ზომების მიღება ძნელი იყო. „სამწუხარო ეს არის კიდევ, რომ როდესაც მამულების მორწყვის თაობაზედ გლეხკაცებს შუა, ხანდისხან მთელს სოფელს შუაც, ჩხუბი და თავის მტვრევა ატყდება ხოლმე, მათი მშვიდობიანი მორიგება თითქმის შეუძლებელია. ჩვენ თვითონ დავსწრებივართ და გვინახავს, როგორ გაჭირვებაში იყო მომრიგებელი მოსამართლე, როდესაც ის ცდილობდა როგორმე მოერიგებინა ერთმანეთთან ორი სოფელი, რომელთაც დავა ჰქონდათ რუზედ. მშვიდობიანი მორიგება ვერ შესძლო და კანონებშიაც გაუჭირდა იმ სტატიის პოვნა, რომელიც ამ საქმეს შეეხებოდა. ამ საქმეში მოსამართლეებს ნათქვამი აქვთ, რომ ხალხის ჩვეულება უნდა მიიღონ სახეში და ისე გადაჭრან სამართალი, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ რაც ჩვეულება უწინ ივარგებდა და ყველას კმაყოფილად სტოვებდა, ეხლა აღარ ივარგებს“[24] — ამგვარი დასკვნით ბოლოვდებოდა 1880 წელს გაზეთ „დროებაში“ მოთავსებული წერილი.

ასეთ ვითარებაში მთელი რიგი სოფლები, რომლებიც ცდილობდნენ მეზობელ სოფლებთან სარწყავი წყლის გამო დავის თავიდან აცილებას, საერთო არხიდან გამოჰყავდათ ცალკე, პატარა არხი[25], რის შედეგადაც ბევრი დიდი სარწყავი არხი დაქუცმაცდა, ასეთ პირობებში არხში იზრდებოდა წყლის დანაკარგები ფილტრაციისა და აორთქლების გადიდების გამო და თუ იმასაც დავუმატებთ, რომ შემდგომში არხის მთავარი მაგისტრალის შეკეთებაზე უკვე აღარავინ ზრუნავდა, ადვილი წარმოსადგენი იქნება ამ არხთა სრული მოშლა.

წყლის მფლობელობისა და წყლით სარგებლობის სფეროში რუსეთის საიმპერიო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით სარგებლობდნენ ცარიზმის ადმინისტრაციასთან შეხმატკბილებული ქართველი თავადებიც და იჩემებდნენ სარწყავ რუებს და ხშირად მთელი მდინარის წყლით სარგებლობის უპირატესობასაც. ამ მხრივ ზოგიერთი მემამულის თვითნებობა იქამდე მიდიოდა, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც კი, ახერხებდა გლეხობის დაბეგვრას სარწყავი რუებით სარგებლობისათვის[26].

22 СМИЭБГКЗК, т. II, Тифл. 1887, გვ. 422.

23 გაზ. „დროება“, 1885 წლის 24 ივლისი, № 157.

24 გაზ. „დროება“, 1880 წლის 8 აგვისტო.

25 М. Псарев, Очерк орошения в Закавказском крае, Тифл. 1887, გვ. 7.

26 ᲘᲐ. ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ. დასახ. ნაშრ., გვ. 49.

ამის თაობაზე 1873 წელს გაზ. „გუთნის დედა“ წერდა: „რა კანონის ძალით დაჰბეგრეს ჩვენმა მებატონეებმა რუები, ჩვენი ძველებური ჩვეულებრივი თუ დაწერილი კანონი სრულიად ეწინააღმდეგებოდა წყალში გადასახადის აღებას... მაშ საიდან წარმოსდგა ეს? — ძალმომრეობიდან!“[27] — დაასკვნის კორესპონდენტი.

მორწყვის სფეროში არსებულ დამახინჯებებსა და ძალმომრეობაზე მიუთითებდა აგრეთვე მეფის რუსეთის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი — გამალეი კავკასიის მთავარმართებელ გოლოვინისადმი გაგზავნილ წერილში: „გლეხებს, რომლებსაც ერთი და იგივე არხიდან უხდებათ წყლით სარგებლობა, არა აქვთ ამის შესახებ კანონით დამტკიცებული მუდმივი წესები, ისინი უმთავრესად სცნობენ ერთ უფლებას — ძლიერის უფლებას. მდიდრებს, რომლებსაც საზოგადოებაში წონა და მფარველი გააჩნია, საერთო არხიდან იმდენი წყლის გამოყენება შეუძლია რამდენიც მოესურვება, მაშინ როდესაც ღარიბი გლეხების ნაკვეთები უწყლოდ ჭკნება“[28].

დროთა მსვლელობაში ადგილობრივი ადმინისტრაციის ცალკეული მოხელენი იწყებენ იმის შეგნებას თუ რა მნიშვნელობა აქვს ირიგაციის გაუმჯობესებას საქართველოსა და ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობისათვის და მოითხოვენ ამ საკითხისადმი უფრო მეტი ყურადღების მიქცევას. ისინი ირიგაციის განვითარებას თავიდანვე მჭიდროდ უკავშირებდნენ რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის განმტკიცებას ამიერკავკასიაში. „მორწყვა კავკასიაში არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის საქმედ“[29] — წერდა ფონ-ვეისენგოფი. ვ. დინგელშტედტი უფრო შორს მიდიოდა: „ამიერკავკასია მოპოვებული იქნა რუსული იარაღით... მაგრამ ამ მხარის მორალური დაპყრობა ჯერ არ დამთავრებულა. იგი, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საირიგაციო არხების ქსელის შექმნით და მორწყვის საქმის მოწესრიგებით... მხოლოდ მაშინ მოგვიტანს ეს კოლონია სარგებლობას და აანაზღაურებს იმ სისხლსა და ფულს, რაც დაჯდა მისი მოპოვება“[30]. კავკასიაში ირიგაციის მდგომარეობის გაუმჯობესება თანდათანობით ყოველდღიური მსჯელობის საგანი ხდება და იმდროინდელი საზოგადოებრივი მოძრაობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად იქცევა. ქართული პრესა და ჩვენი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები უკვე დაჟინებით მოითხოვენ მთავრობისაგან ირიგაციის გასაუმჯობესებლად მთელი რიგი ღონისძიებების ჩატარებას. ჩვენმა სასიქადულო მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ილია ჭავჭავაძემ აქაც თქვა თავისი სიტყვა: „საითაც კი მიიხედავთ ჩვენში, ყველგან ნახავთ ნაშთს ზოგან უზარმაზარის არხისასაც... გაუქმდა ეს არხები და მრავალი სხვა. ის დღეა და ეს და გულამომწვარს დედამიწას მოაკლდა ცხოველმყოფელი ცვარი წყლისა, კაცის მხნეობით მოდენილი. გაერანდა მდიდარი მამულები, აოხრდა, და იქ, საცა ქვეყანა წალკოტსავით ჰყვავოდა, დღეს მჭლე ძეძვი ძლივსღა მოდის. ამაოდ ჩაიარა ამოდენა შრომამ, ამოდენა ჯაფამ, და დღეს ეს დიდი ნაამაგევი ჩვენთა მამა-პაპათა, მიწით ამოვსილი და ამომშრალი, გულსაკლავად გვანიშნებს — რანი ვყოფილ-

---

[27] გაზ. „გუთნის დედა“, 1873, № 7.

[28] Газ. „Кавказ“, 1892, № 8.

[29] С. Вейссенгоф, Сведения об орошении в Закавказском крае, 1872, გვ. 1.

[30] В. Дингельштедт, Водовладение и ирригация, 1880, გვ. 2.

ვართ უწინ და რანი ვართ დღეს... თქმა არ უნდა, რომ მართლა დროა ამ ჩვენდა სამწუხაროდ, დაძინებულმა საქმემ ჩვენდა სასიხარულოდ გაიღვიძოს"[31].

მეფის რუსეთის მთავრობა და ადგილობრივი ადმინისტრაცია იწყებს მართალია სუსტი, მაგრამ გარკვეული ღონისძიებების ჩატარებას ირიგაციის მდგომარეობის გამოსარკვევად და მის გასაუმჯობესებლად.

ჯერ კიდევ 1833 წელს ფინანსთა მინისტრის კანკრინის წარდგინებით სახელმწიფო საბჭოში განიხილეს ამიერკავკასიაში ირიგაციის მდგომარეობა. სახელმწიფო საბჭომ გადაწყვიტა, რომ თბილისში შექმნილიყო „სოფლის მანუფაქტურული მრეწველობის და ვაჭრობის წამახალისებელი საზოგადოება", რომლის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას შეადგენდა „სარწყავი არხების აღდგენა და გამრავლება, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ამიერკავკასიისათვის"[32].

1837 წლის 10 თებერვალს საქართველოს მთავარმართებლის სენატმა გამოაქვეყნა ბრძანებულება სარწყავი არხების დებულების შექმნის შესახებ[33]. თუ რა სუსტ ყურადღებას აქცევდნენ მორწყვის საქმეს იქიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული დებულება მხოლოდ 1890 წელს ე. ი. 53 წლის შემდეგ იქნა დამტკიცებული.

სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა კისილიოვმა 1840 წელს საქართველოს მთავარმართებელს გოლოვინს მოსთხოვა შეეკრიბა ირიგაციის მდგომარეობის ამსახველი ცნობები[34]. იმავე წლიდან გოლოვინის ბრძანებით იწყება ადგილებზე საირიგაციო სისტემათა მდგომარეობის გაცნობა, რაც ძალზე გაჭიანურდა. ცნობილი ჰიდრავლიკოსის მ. გერსევანოვის აზრით, ამ გაჭიანურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ცნობების შედგენა დაევალათ მაზოის უფროსებს, რომლებიც სრულიადაც არ იყვნენ კომპეტენტურები ამ საკითხში[35].

შედეგმაც არ დააყოვნა. 1844 წელს ამიერკავკასიის მთავარმა სამმართველომ, როდესაც განიხილა მაზრის უფროსების მიერ წარმოდგენილი ცნობები, აღიარა, რომ შეკრებილი მასალა „მეტად არასრული და არასაკმარისია იმისათვის, რომ მათ საფუძველზე შეიძლებოდეს ირიგაციის მდგომარეობაზე სრული წარმოდგენის შექმნა"[36].

1847 წელს კავკასიის მთავარმართებელმა ვორონცოვმა ამ საქმე'ში ჩააბა გამოცდილი სპეციალისტები. ინჟინერ ბეკმანს და ჰაგმეისტერს დაევალათ შეესწავლათ ამიერკავკასიაში ყველა ის სარწყავი არხი, რომელიც მოითხოვდა აღდგენასა და შეკეთებას. მათ 8 თვის შემდეგ წარმოადგინეს 14 პროექტი. ამ პროექტების თანდათანობით განხორციელებისათვის შემუშავდა პროგრამა, მაგრამ ყველაფერი ეს ქაღალდზე დარჩა. არავითარი რეალური შედეგი ამ ღონისძიებებს არ მოჰყოლია. უფრო მეტიც, იმდროინდელი დამკვირებელს

---

31 ი. ჭავჭავაძე, მორწყვის საქმე წინათ და ახლა, თხზ., ტ. 7, თბ., 1956, გვ. 58—62.

32 М. Псарев, Очерк орошения в Закавказском крае, 1887, გვ. 8.

33 М. Герсеванов, Очерк положения ирригации в Закавказии, 1882, გვ. 5.

34 იქვე.

35 იქვე, გვ. 10.

36 ЗКОИРТО, т. XIV, 1883, вып. 5, გვ. 2.

მ. პსარევის გადმოცემით, თვით პროექტების ნაწილიც კი დაკარგულა კანცელარიათა არქივებში[37].

1860 წელს მთავარმართებელ ბარიატინსკის მოწვევით თბილისში ჩამოვიდნენ ცნობილი ინგლისელი სპეციალისტები ბელი და გაბა. მათ დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოსა და ამიერკავკასიის ირიგაციის შესწავლის საქმეში. ბელიმ და გაბამ 3 წლის (1860—1863 წწ) ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ მეტად ძვირფასი ცნობები შეკრიბეს ამიერკავკასიის მდინარეთა გამოყენების შესახებ. ბელის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, გაბამ კიდევ 3 წელი (1866 წლამდე) დაჰყო კავკასიაში. მათი გამოანგარიშებით მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების სარწყავი წყალი გამოყენებული იყო მხოლოდ 35—37 პროცენტით. ბელის და გაბას ეარაუდით აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში კიდევ შეიძლებოდა მორწყულიყო 2 მლ. დესეტინა მიწის ფართობი, რომელიც უწყლობით სტეპებად იყო გადაქცეული[38].

ადგილობრივი ადმინისტრაციის ინერტულობისა და უმოქმედობის ფონზე იყო ცდები რიგი სოფლების და კერძო პირების ინიციატივით ახალი არხების მშენებლობისა. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ალაზნის არხის აღდგენის ცდა, რომელზედაც ასე ბევრს წერდა იმდროინდელი ქართული პრესა[39], მდ. ცხენისწყლიდან ხონის მიდამოებისათვის არხის გაყვანა[40], ტირიფონის სარწყავი არხის გაყვანის ცდები[41] და სხვა. მაგრამ ამ ღონისძიებებს სასურველი შედეგი არ მოჰქონდა.

ირიგაციის სფეროში პირველი დიდი ღონისძიება, რომელსაც ხელი მოჰკიდა ცარიზმმა საქართველოში, იყო იორის სარწყავი სისტემის აღდგენა. იორის სარწყავი არხის მშენებლობა დაიწყო ერეკლე მეორეს დროს, მაგრამ დანგრეულ იქნა 1895 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას.

1847 წლის მარტში დაუწყიათ სამუშაოები იორის არხის აღსადგენად. სამუშაოების ჩატარება დაევალა ინჟინერ ზალცმანს, მთავრობის მიერ ამ საქმისათვის თავდაპირველად 4 ათასი მანეთი იყო გამოყოფილი.

1848 წლის ივნისში დამთავრდა სარწყავი არხის პირველი რიგის სამუშაოები და მოირწყო სოფლების: მუღანლოს, სართიჭალის, ბალბიანის და ორი გერმანული კოლონიის (მარიენფელდისა და პეტერსდორფის) მიწები[42]. 1849 წელს აღნიშნული არხი გაუგრძელებიათ 7 ვერსით და სამგორის ველამდეც კი გაუმართავთ. მაგრამ არხს მხოლოდ ერთი წელიწადი უმოქმედია. 1850 წლის აგვისტოში გადაუდებელი წვიმების დროს არხის ტრასა გადარეცხილა და გაფუჭებულა. აღნიშნული სოფლების მცხოვრებთა და გერმანულ კოლონისტთა დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ იორის არხის აღსადგენად მთავრობამ სესხის სახით გამოჰყო 33 ათასი მანეთი. ინჟინერ ნეშელის ხელმძღვანელობით არხის აღდგენა 1861 წელს დასრულებულა.

---

[37] М. Псарев, Очерк орошения в Закавказском крае, 1887, გვ. 10—11.

[38] И. Хатисов. Ирригация на Кавказе, 1881, გვ. 11.

[39] ვაზ. „დროება", 1873, №№ 10—12; „ივერია", 1894, № 190.

[40] გაზ. „ქვალი", 1894, № 9; „ივერია", 1893; № 186; „ივერია" 1894, № 26,

[41] გაზ. „ივერია", 1894,№ 248; „ივერია", 1895 № 118.

[42] М. Псарев, Очерк работ по устройству Иорской водопроводной канавы, 1882, ЗКОИРТО, т. XIV, გვ. 240.

იორის სარწყავ სისტემას ბევრი ტექნიკური ხარვეზი გააჩნდა. ინჟინერი მ. პსარევი, იმოწმებდა რა ცნობილი ინგლისელი ინჟინრის გაბას აზრს, აღნიშნავდა, რომ იორის არხი მეტად სუსტად იყო როგორც დაპროექტებული, ისე აგებულიც და წყლის ნორმალური გამოყენების საშუალებას არ იძლეოდაო[43].

რასაკვირველია, ასეთი სარწყავი არხი ყოველწლიურ შეკეთებას მოითხოვდა. მარტო 1863—65 წლებში მის შეკეთებაზე დაიხარჯა 2212 მანეთი. ამან განაპირობა სარწყავ წყალზე ძალზე მაღალი გადასახადი (ერთი დესეტინა ვენახის მორწყვაზე 16 მანეთი, ერთ დესეტინა სახნავ-სათიბზე 4 მანეთი). ამასთან ერთად, ყოველწლიურად იზრდებოდა იორის არხზე დაკისრებული სახელმწიფო ვალი, რომელმაც 1867 წლისთვის, 42,693 მანეთს და 58 კაპიკს მიაღწია[44].

სარწყავ წყალზე მეტად მაღალი გადასახადისა და არხზე დაკისრებული უზარმაზარი ვალის გამო, ის სოფლები, რომლებიც ამ არხით სარგებლობდნენ, უარს აცხადებენ მის გამოყენებაზე. 1867 წელს სოფელ მუღანლოს მცხოვრებლებმა უარი განაცხადეს სარწყავი წყლით სარგებლობაზე, ხოლო 1869 წელს მათ მიბაძეს სართიჭალელმა გლეხებმა[45]. 1880 წლიდან იორის არხის შეკეთება სულ შეწყვიტეს და იგი მალე გამოვიდა მწყობრიდან.

ამრიგად, არხი, რომლის მშენებლობა სულ 60 ათასი მანეთი დაჯდა და რომელზედაც 120 ათასი სამუშაო დღე დაიხარჯა[46], ვერ იქნა გამოყენებული.

ერთადერთი შედარებით სრულფასოვანი სარწყავი არხი, რომელიც რუსეთის მმართველობის დროს აშენდა საქართველოში იყო ყარაიაზის არხი. იგი დაპროექტებულ იქნა ზემოთ მოხსენიებული ინგლისელი ინჟინრის გაბას მიერ[47].

1862 წელს იმპერატორის ბრძანებით კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებას ყარაიაზის ველზე გამოეყო მიწის ფართობი. ამავე საზოგადოების ინიციატივით 1865 წელს დაიწყო არხის მშენებლობა.

ყარაიაზის არხი სათავეს იღებდა მდ. მტკვრიდან სოფელ რიშა-ყალას ახლოს და მტკვრის პარალელურად მიემართებოდა 4 ვერსის მანძილზე. შემდეგ მკვეთრად უხვევდა მარცხნივ და შუაში კვეთდა ყარაიაზის ველს. 18 ვერსის შემდეგ არხი უერთდებოდა ჯანდარის ტბას. ტბიდან იწყებოდა არხის მეორე რიგი, რომელიც 22 ვერსის შემდეგ სოფელ სალახლუსთან ისევ მტკვარს უერთდებოდა. არხის მთლიანი სიგრძე უდრიდა 40 ვერსს. და რწყავდა 27 ათას დესეტინა მიწის ფართობს[48].

ყარაიაზის არხი დიდი ზეიმით გაუხსნიათ 1867 წლის 9 მარტს. გაზეთ „დროების“ ცნობით — „საშუალო შლუზი თვით დიდმა მთავარმა, ნამესტნიკმა გახსნა. არხს დაარქვეს „მარიამის არხი“ იმპერატრიცის პატივსაცემად, რომელიც ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების მფარველია“[49].

მაგრამ ეს ყველაზე დიდი ღონისძიებაც, რომელიც ცარიზმმა ჩაატარა საქართველოში, დაცული არ ყოფილა ნაკლოვანებებისაგან. ცნობილი რუსი

---

[43] М. Псарев, Очерк работ по устройству Иорской...., 1882, გვ. 244.

[44] იქვე.

[45] М. Псарев, Очерк орошения в Закавказском крае, 1887, გვ. 14.

[46] Газ. „Кавказ“, 1892, № 8.

[47] И. Хатисов, Мариинский ирригационный канал, 1868, გვ. 30.

[48] იქვე.

[49] გაზ. „დროება“, 1867, № 12, 24 მარტი.

სპეციალისტის ა. ვოეიკოვის აღნიშვნით, მისი აგების დროს დაშვებული შეცდომები მოითხოვდა დამატებით სამუშაოებს, რაზედაც უამრავი ფული და ენერგია იხარჯებოდაო[50]. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საკმაოდ მაღალი იყო სარწყავ წყალზე დაწესებული გადასახადი: ერთი დესეტინის მორწყვაზე საშუალოდ 60 კაპიკიდან — 1,30 კაპიკამდე[51]. ყარაიის არხის აგებისას დაშვებული შეცდომები გახდა მიზეზი იმ გაუთავებელი და ცხარე პოლემიკისა რომელიც ამტყდარა იმდროინდელ კავკასიელ ინჟინრებს შორის.

მეფის მთავრობის და ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ წამოწყებული ღონისძიებანი თავიანთი მასშტაბით ისეთი მცირე იყო, რომ ვერ შეავსებდა იმ ხარვეზებს, რომელიც არსებობდა ირიგაციის დარგში. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მორწყვის საქმე გადაუჭრელი რჩებოდა. ადგილობრივი ადმინისტრაციის ერთ-ერთი მოხელე ინჟინერი მ. პსარევი 1887 წელს აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიაში არხების მშენებლობისათვის ჩატარებულ სამუშაოებს, მიუხედავად დიდი ხარჯების გაწევისა, არ მოჰყოლია რაიმე სასარგებლო შედეგი და „ამ წარუმატებლობის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა მეტად უნდობლად ეკიდება ირიგაციის გასაუმჯობესებლად წარმოებულ მთავრობის ღონისძიებებს"[52].

XIX საუკუნის 90-იან წლებში სარწყავ სისტემათა რეალურ მდგომარეობას გადმოგვცემს გაზეთი „მეურნე": — „სპარსეთში და ჩვენში, ჩინებულად ჰქონდათ მოწყობილი მიწების მორწყვის საქმე და მშვენიერი არხები ჰქონდათ გაყვანილი, მაგრამ რაც ამ ათასი წლის წინათ იყო გამართული და გაკეთებული — ის დღეს, თუმცა წყალს არა ნაკლებ საჭიროებენ, ოხრად არის დარჩენილი, განუახლებელი და უხმარებელი. ერთი ორი ახალი სარწყავი არხის გარდა არა თუ ახლები აღარ გამოგვიყვანია, არამედ, რაც წინაპართაგან დაგვრჩა, იმასაც ვერ მოვუარეთ"[53].

ცარიზმის და ადგილობრივი ადმინისტრაციის დამოკიდებულებას საირიგაციო მშენებლობისადმი კარგად გადმოგვცემს იმდროინდელი დამკვირვებელი ვ. დინგელშტედტი: „საირიგაციო არხების მშენებლობას უყურებენ, როგორც უბრალო საერო გზების მშენებლობის საქმეს. ირიგაციის გაუმჯობესებას და მის გავრცობას ვარაუდობენ მეტად მცირე ხარჯების გაღებით, ანდა ნატურალური გადასახადის საშუალებით. ანდობენ რა ამ საქმეს ხან არქიტექტორს, ხან ვინმე ტოპოგრაფ პროპორშიკს, ანდა პოლიციელ ჩინოვნიკს"[54].

ირიგაციის მთავარ დამაბრკოლებლად ისევ რჩებოდა სპეციალური წყალთა კანონმდებლობის უქონლობა.

დროთა განმავლობაში მეფის რუსეთის მთავრობა უფრო მეტ ყურადღებას უთმობს წყლით სარგებლობისა და წყლის მფლობელობის სფეროში სპეციალური კანონმდებლობის შექმნის საქმეს. 1873 წელს საიდუმლო მრჩეველის თანად ჯორჯაძის თავმჯდომარეობით შეიქმნა სპეციალური კომისია 4

---

[50] А. Воеиков. Искусственное орошение и его применение на Кавказе, „Русский вестник", т. CLXXIII, გვ. 593.

[51] Закавказье, Стат.-экон. сб., Тифл. 1925, გვ. 199.

[52] М. Псарев, Очерк орошения в Закавказском крае, 1887, გვ. 14.

[53] გაზ. „მეურნე", 1800. № 18.

[54] В. Дингельштедт, Краткий обзор технических улучшений ирригации в Закавказье, გვ. 78.

კაცის შემადგენლობით[55]. კომისიას დაევალა ირიგაციის დარგში კანონპროექტის შედგენა. 1880 წელს აღნიშნულმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა და წარმოადგინა კანონპროექტი. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკული განხილვის შემდეგ მისი ცხოვრებაში გატარება ჩათვალეს სასარგებლო საქმედ, წლების განმავლობაში კანონპროექტი დასამტკიცებლად ერთი ბიუროკრატიული კანცელარიიდან მეორეში გადადიოდა.

1883 წელს სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ოსტროვსკი პირადად გაეცნო ამიერკავკასიაში ირიგაციის მდგომარეობას. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია წყალთა კანონმდებლობას. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალი კომისია 16 კაცის შემადგენლობით[56], კომისიამ მუშაობა დაიწყო 1883 წლის 5 იანვარს ი. ტიხეევის თავმჯდომარეობით[57], იმავე წლის დეკემბერში კომისიამ დაამთავრა მუშაობა და წარმოადგინა „წყლის უფლებისა და ამიერკავკასიაში მიწების მორწყვის წესების შესახებ დებულების პროექტი“[58], რომელიც საკმაოდ დიდი ხნის გავლის შემდეგ, 1890 წლის 3 დეკემბერს იქნა დამტკიცებული[59].

1890 წლის 3 დეკემბრის დებულების თანახმად, ირიგაციის საერთო ხელმძღვანელობისათვის იქმნებოდა სპეციალური სახელმწიფო ორგანო — წყალთა ინსპექცია, სადაც „გამგებლობა კავკასს აქვთა მხრის წყლების ყველა საქმეებისა აბარია წყლების ინსპექტორს“[60] (მუხლი 7). წყალთა ინსპექცია განაგებდა მორწყვის როგორც ადმინისტრაციულ, ისე ტექნიკურ საქმეს.

აღდგენილ იქნა მხარის სარწყავ ადმინისტრაციულ ერთეულებად — ოლქებად დაყოფა. მთელი ამიერკავკასია დაყოფილ იქნა 9 წყალთა მეურნეობის ოლქად, ოლქები — წყალთა მეურნეობის რაიონებად, ხოლო რაიონები — წყალთა მეურნეობის სისტემებად[61]. ამ უკანასკნელის სახელმძღვანელოდ ორგანიზებულ იქნა სპეციალური ადმინისტრაცია — წყალთა საბჭო, რომელშიც შედიოდნენ იმ სოფლის წარმომადგენლები, რომლებიც სარგებლობდნენ სარწყავი წყლით (მუხლი 11). ამ საბჭოს უნდა განეხილა ყველა სადაო საკითხი წყლის ირგვლივ და უნდა მოეწესრიგებინა მისი ნორმალური განაწილება.

დებულების თანახმად საბჭოს აღმასრულებელი ფუნქციები ეკისრებოდა უბნის მოურავებს, მერუეებს და წყალთა ნაცვლებს. ეს თანამდებობანი არჩევითი იყო. მოურავებს ირჩევდნენ სამი წლით, ხოლო მერუეებს და ნაცვლებს ერთი წლით.

ადგილებზე შეიქმნა ინჟინერ-ჰიდრავლიკოსის თანამდებობა, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა სარწყავი არხის ტექნიკურ მდგომარეობაზე თვალყურის დევნება, სარწყავი ფართობის შესწავლა, ახალი არხების პროექტების და გეგმების შედგენა. (მუხლი 9). წელიწადში ერთხელ ისინი თბილისში უნდა შეკრებილიყვნენ და წყალთა ინსპექტორის თავმჯდომარეობით უნდა განეხილათ მორწყვის მიმდინარე საკითხები (მუხლი 10). ინჟინერ-ჰიდრავლიკოსებს ეძლეოდათ უფლება დაესაჯათ ჯარიმით (1 მანეთიდან — 50 მანეთამ-

[55] М. Псарев, Очерк орошения в Закавказском крае, 1887, გვ. 20.

[56] იქვე, გვ. 21.

[57] Газ. „Кавказ“, 1892. № 8.

[58] М. Псарев, Очерк орошения в Закавказском крае, 1887, გვ. 21.

[59] იხ. „დებულება კავკასს აქვთა მხარის მიწების სარწყავი წყლების ხმარებისა და წესები სარწყავი წყლების ხმარების აწმყოფის უფლების განსაზღვრისათვის“, ტფ., 1892.

[60] დებულება, გვ. 6.

[61] ცსა (თბილისი) ფ. რ. — 288, ან. 1, საქ. 1443, ფურც. 3.

დე) წყალთა მოურავი, მერუე და ნაცვალი იმ შემთხვევაში, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებდნენ თავიანთ უფლებებს (მუხლი 18).

ამიერკავკასიაში სარწყავი წყალი ცხადდებოდა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განკარგულებაში. წყალი, რომელიც მხოლოდ ერთი მფლობელის ნაკვეთს რწყავდა კერძო ეწოდებოდა და მხოლოდ ამ მფლობელს ეკუთვნოდა, ხოლო თუ წყალი გამოდიოდა ერთი მფლობელის ნაკვეთიდან — მას სახელმწიფო წყალი ეწოდებოდა და მფლობელის უფლება მასზე შეზღუდული იყო (მუხლი 1). მეორე მუხლის თანახმად „სარწყავი წყლის ხმარების უფლება კუთვნილებაა მიწის მფლობელისა და შეუძლებელია მისი დათმობა გარეშე ამ მფლობელობისა"[62]. ე. ი. სარწყავი წყალი მამულთან კავშირში და მასთან ერთად განიხილებოდა.

დებულება სარწყავი წყლით მოსარგებლეებს ავალდებულებდა საერთო არხების შეკეთებას „თავისის მუშაობით ან ფულის შეტანით"[63] (მუხლი 23).

ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მუხლი მოვიტანეთ აღნიშნული დებულებიდან და ისინი საკმარისად მიგვაჩნია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ამ დებულების დადებითი მნიშვნელობა, მისი ცხოვრებაში გატარება უდავოდ ხელს შეუწყობდა მორწყვის არსებულ საშუალებათა ნორმალურ ექსპლუატაციას და უფრო ეფექტურს გახდიდა მთავრობის ღონისძიებებს მორწყვის დარგში. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მასაც გააჩნდა მთელი რიგი სერიოზული ხარვეზები, რომლებიც იწვევდა სპეციალისტთა კრიტიკულ შენიშვნებს.

1897 წლის მაისში სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ თბილისში მოიწვია ნ. დინგელშტედტი, რათა გასცნობოდა ამიერკავკასიაში ირიგაციის მდგომარეობას და წყალთა ინსპექციის მოღვაწეობას 1890 წლის 3 დეკემბრის კანონის პრაქტიკაში გატარებასთან დაკავშირებით. მივლინების შემდეგ ხსენებულმა სპეციალისტმა გამოაქვეყნა ნაშრომი სადაც მკაცრადაა გაკრიტიკებული აღნიშნული დებულება[64]. მეფის რუსეთის მაღალი თანამდებობის ერთ-ერთ პირს ნ. მატვეევს ისე სავალალოდ მიაჩნდა ირიგაციის მდგომარეობა ამიერკავკასიაში, რომ მისი აზრით „ახალი წესებიც კი ამ საქმეში ვერ უზრუნველყოფენ წარმატებას"[65].

1870-იანი წლებიდან ამიერკავკასიის ირიგაციის საქმე უცხოეთის კაპიტალის ერთგვარ ყურადღებასაც იქცევდა, უცხოეთის კაპიტალი უშედეგოდ ცდილობდა კონცესიის საფუძველზე ხელში ჩაეგდო აქაური ნაყოფიერი სარწყავი მიწები. მაგალითად, ინგლისური კაპიტალი მიისწრაფოდა ხელი მოეკიდა კახეთის ირიგაციისათვის, ხოლო დახარჯული კაპიტალის „ასანაზღაურებლად" იგი მოითხოვდა 79 წლის განმავლობაში ყოველ მორწყულ დესეტინაზე წლიურად აეღო: ვენახისა და ხეხილის ბაღიდან 15 მანეთი, ცოტა ამაზე მეტი ბრინჯის პლანტაციაზე და 4 მანეთი სახნავსა და საბალახოზე[66].

---

[62] დებულება, ტფ., 1892, გვ. 16.

[63] იქვე, გვ. 19.

[64] Заключения инспектора вод на Кавказе о „Записке по вопросу о пользовании оросительными водами в Закавказском крае" Н. Дингельштедта, Тбилиси, 1898, გვ. 1.

[65] Н. Матвеев, Водный закон и земство на Кавказе, „Кавказское Хозяйство", 1914, № 14, გვ 4.

[66] ბ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 57,

ფრანგ საქმოსნებს უცდიათ ბედი ამ მხრივ. 1873 წლის გაზეთ „დროება"-ში წერდნენ: „ამბობენ, რომ პარიზში ორი კომპანია არის მზად, რომ ისინი ამ საქმეს (არხების გაყვანას — გ. ჩ.) მოკიდებენ ხელსაო, თუ კი მინდვრების პატრონები ზოგიერთ პირობებს შეუსრულებენ იმათაო". დასასრულს გაზეთი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ „ჩვენ ვეცადნოთ ამ მხარეში უცხო ქვეყნელებს არ ჩავადგმევინოთ ფეხი, თორემ მაშინ არხის გაყვანა, სარგებლობის მაგივრად, უეჭველია უანგარიშო ზიანს მოუტანს არა მარტო ალაზნის მხარეს, იქნება მთელ კავკასიასაც"[67].

ირიგაციის სფეროში ცარიზმის ღონისძიებებს არ შეიძლება გარკვეული შედეგები არ მოჰყოლოდა, წყალთა სამმართველოს მიერ 1903 წლის მდგომარეობის მიხედვით შედგენილი ამიერკავკასიის ირიგაციის რუქის თანახმად, მორწყვით სარგებლობდა სულ 3963 დასახელებული პუნქტი (ქალაქი და სოფელი)... ყოველწლივ ირწყოდა 718,961 დესეტინა. ამავე დროს მაგისტრალური და გადამყვანი (განმშტოებელი) არხების საერთო რაოდენობა უდრიდა — 5946; ბუნებრივ წყალსაცავთა რაოდენობა — 1783; ქიაპრიზებისა და წყალსაცავთა ხელოვნური ნაგებობის რაოდენობა — 725[68].

XX საუკუნის დასაწყისიდან შესამჩნევი ტემპებით ვითარდება საირიგაციო მშენებლობანი. კავკასიაში საირიგაციო სამუშაოებისადმი ცარიზმის ერთგვარი ყურადღების მიქცევა შეიძლება დავუკავშიროთ კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას. რუსეთის კაპიტალი ენერგიულად ეძებს გზებს მაღალსასაქონლო კულტურების რაიონების ასათვისებლად. ამ პერიოდში განსაკუთრებით ყურადღება ექცევა ბამბის კულტურას, რომელიც კაპიტალისტურ რუსეთს საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა. რადგან ამიერკავკასიაში მორწყვის შემდეგ ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა ბამბის კულტურის განსავითარებლად, მეფის რუსეთმა იწყო გარკვეული თანხების დაბანდება საირიგაციო სამუშაოებში. კავკასიის წყალთა მეურნეობის ინსპექციის მიერ სამელიორაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილ იქნა თანხები: 1904 წელს — 58,324 მანეთი, 1905 წელს — 78,849 მანეთი, 1906 წელს — 160,825 მანეთი, 1907 წელს — 220,521 მანეთი, 1909 წელს — 207,386 მანეთი, ხოლო 1910 წელს — 477,746 მანეთი[69]. აღნიშნული კაპიტალდაბანდებანი მართალია ძალზე ცოტა იყო, მაგრამ მაინც გარკვეულ ბიძგს აძლევდა ირიგაციის განვითარების საქმეს. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ 1903—1912 წლებში კავკასიაში სარწყავი მიწის ფართობი 274,160 დესეტინით, ე. ი. 38 პროცენტით გაიზარდა[70].

რაც შეეხება საქართველოს, აქ XIX საუკუნის მიწურულიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე აგებულ იქნა შემდეგი მსხვილი სარწყავი არხები: ამირეჯიბის (1890 წ.), ხონი-კუხის (1896 წ.) ქარჩხაბის (1906 წ.), ეწერ-ჯულაშის (1906 წ.), ბაციხის და აფხანაურის (1910 წ.), აჯამეთის (1912 წ.) და სხვ.[71]. აღნიშნულ მშენებლობათა შედეგად, 1914 წელს, საქართველოში სარ-

---

67 გაზ. „დროება", 1873, წ. 16 თებერვალი.

68 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

69 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საბჭოთა პერიოდის განყოფილების ფონდი, ს. დ. 584, გვ. 41.

70 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

71 ცსა, (თბილისი), ფ. რ. 288. ან. 1, საქ. 2390, ფურც. 6.

წყავმა ფართობმა 129,523 დესეტინას მიაღწია. აქედან 107 ათასი დესეტინა ირწყოდა ადგილობრივი ტიპის სარწყავი სისტემებით:

წყალთა ოლქები	მორწყული ფართობი (დესეტინა)
გორის	47 000
ახალციხის	2 000
კახეთის	10 000
თბილისის	48 00
სულ	107 000[72]

22523 დესეტინა მიწის ფართობი ირწყოდა ნახევრად საინჟინრო ტიპის სისტემებით:

არხები და სისტემები	ფართობი (დესეტინა)	არხები და სისტემები	ფართობი (დესეტინა)
ყარაიაზის	15739	I და II ხონის	2000
ლიბკნეხდორფის	84	მუხიანის	800
აჯამეთის	1200	კულაშის	2700[73]

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის დასაწყისში როგორც საქართველოში ისე მთელ კავკასიაში, საკმაოდ გაფართოვდა სარწყავ სისტემათა ქსელი, მაინც ჯერ კიდევ რჩებოდა დიდძალი მოურწყავი მიწის ფართობი. სახაზინო პალატის მონაცემებით, 1912—1914 წლებში მთელ კავკასიაში მიწათმოქმედებისათვის ვარგისი ფართობი 4,3 მილიონ დესეტინას შეადგენდა. აქედან ნახევარზე მეტს — დაახლოებით 75% — ხელოვნური რწყვა ესაჭიროებოდა, ამ დროს კი მხოლოდ 900 ათას დესეტინაზე ცოტა მეტი ფართობი თუ ირწყოდა[74]. ყოველივე ეს გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ როგორც საქართველოში, ისე კავკასიაში ირიგაციის საკითხი გადაუჭრელი რჩებოდა. ამას თვით იმდროინდელი მთავრობის მოხელენიც კი აღიარებდნენ. მაგალითად, 1913 წელს პ. პეტროვიჩი წერდა: „განელილმა წელიწადმა ერთხელ კიდევ ზედმეტად დაგვარწმუნა იმაში, რომ ამიერკავკასიაში წყალთა საქმის სფეროში ბევრი რამ რიგზე არ არის, არ არის არც საკმაო რაოდენობით სარწყავი წყალი, არც მისი წესიერი განაწილება, ახალი არხების, რუების, ქიაჰრიზების, წყალსაცავების, არტეზიული ჭების, წყალსაქაჩავთა გაყვანა-აშენების საკითხები, მთელი სამხარეო წყლის ინსპექციის რეორგანიზაციის, წყლის სამართლის საკითხის მოწესრიგება და სხვა დღის წესრიგში დგას და უცდის გადაჭრას“[75].

ამ საკითხის დადებითად გადაჭრისათვის ცარიზმს არც უნარი გააჩნდა და არც შესაძლებლობა.

ის რისი გაკეთებაც საქართველოში მოხერხდა რუსეთის მმართველობის დროს ირიგაციის სფეროში, დაინგრა და გაპარტახდა პირველი მსოფლიო ომისა და მენშევიკური მმართველობის პერიოდში. საერთო სამეურნეო ნგრევის პირობებში ბევრი დიდი სარწყავი არხი მოუვლელობის გამო მიწით

---

[72] Закавказье, Стат.-экон. сб., Тифл. 1925, გვ. 189.

[73] იქვე.

[74] იქვე.

[75] П. Петрович, Продовольственная нужда в Закавказье, Тифл. 1913, გვ. 22.

ამოივსო და გაუქმდა. 1917 წლიდან მოქმედება შეწყვიტა ყველაზე დიდმა არხმა — ყარაიაზის სარწყავმა სისტემამ[76].

1917 წლის 12 აპრილს თბილისში გაიმართა წყალთა მეურნეობის მუშაკთა ყრილობა. ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა 1917 წლის 29 მაისის ბრძანებით შექმნა წყალთა მეურნეობის სამხარეო საბჭო, რომელიც 12 წევრისაგან შედგებოდა. აღნიშნულმა საბჭომ აირჩია საგანგებო კომისია, რომელმაც ჩაიბარა წყალთა მეურნეობის ინსპექციის ყველა საქმე, რის შემდეგაც წყალთა მეურნეობის ინსპექცია გაუქმებულ იქნა[77].

ამ პერიოდში გამეფებული ანარქიისა და უწესრიგობის გამო, წყალთა მეურნეობის ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფო აპარატის მუშაობა უნაყოფო აღმოჩნდა. მას საშუალება არ აღმოაჩნდა წყალთა მეურნეობის წინაშე მდგარი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად.

ამიერკავკასიის სეიმის დაშლისა და ნაციონალური რესპუბლიკების ჩამოყალიბების შემდეგ, საქართველოში წყალთა მეურნეობის გამგებლობა დაეკისრა წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომელიც მიწათმოქმედების სამინისტროს დაექვემდებარება[78].

აღნიშნულმა სამმართველომ სცადა საქართველოში ირიგაციის მდგომარეობის გამოსწორება. 1920 წელს ყურადღება მიექცა ყარაიაზის სარწყავი სისტემის აღდგენას[79]. ამისათვის გამოიყო 9,368,000 მანეთი (იმდროინდელი კურსით) და მიწის სამუშაოებიც კი ჩატარდა[80]. ყარაიაზის ველზე ვარაუდობდნენ სახალხო გვარდიის ნაწილების ჩასახლებას. გარდა ამისა, განზრახული იყო ტირიფონის, დოღლაურის, დიღმის და სამგორის ველების სარწყავად მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებაც[81]. მაგრამ ეს ღონისძიებები პრაქტიკულად არ განხორციელებულა.

სარწყავი სისტემები ჩვენში ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის სამეურნეო და საწარმოო ძალების განვითარების დონესთან და ყოველთვის კარგად გამოხატავდა სახელმწიფოს ეკონომიურ მდგომარეობას; სარწყავი არხები ქვეყნის გაძლიერებასა და აყვავებასთან ერთად ვითარდებოდა და მრავლდებოდა, ხოლო სახელმწიფოს დაუძლურებისა და დაქვეითების ხანაში — ეცემოდა და უქმდებოდა. ეს უკანასკნელი კარგად გამოჩნდა XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისისათვის, როდესაც საქართველოს სახალხო მეურნეობის საერთო დაქვეითებასთან ერთად სარწყავი სისტემებიც დაქვეითდა და სარწყავი მიწის ფართობიც შემცირდა. თუ სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ დავინახავთ, რომ 5—6 წლის განმავლობაში სარწყავი მიწის ფართობი საგრძნობლად შემცირებულა; 1921 წლისათვის საქართველოში სულ ირწყოდა 95 000 ჰექტარი ფართობი[82].

ასეთი იყო ირიგაციის მდგომარეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

---

76 Закавказье, Стат.-экон. сб., Тифл. 1925, გვ. 193.

77 ცსა (თბილისი) ფ. რ. — 675, ან. 1, საქ. 994, ფურც. 45.

78 იქვე, ფურც. 46.

79 პარტიული არქივი (თბილისი), ფ 13, ან. 1, საქ. 2528, ფურც. 3.

80 ცსა (თბილისი) ფ. რ. — 288, ან 1, საქ. 235, ფურც. 8

81 А. Камараули, Водное хозяйство ССР Грузии, Тифл. 1928, გვ. 17,

82 Советская Грузия за 40 лет, Статистический сборник, Тбилиси, 1961, გვ. 92.

Дж. Л. ВАТЕЙШВИЛИ

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-РУССКОГО БОЕВОГО СОДРУЖЕСТВА ПРОТИВ ИРАНСКОЙ АГРЕССИИ (КАКАБЕТСКОЕ СРАЖЕНИЕ 1800 г.)

В основе грузино-русских отношений до и после заключения Георгиевского трактата 1783 года лежала, с одной стороны, кровная заинтересованность Грузии в оказании ей военной помощи единоверной Россией, помощи, которая могла бы оградить Грузию от опустошительных персидско-турецких нашествий и разбойничьих набегов дагестанских феодалов. С другой стороны, эти отношения характеризовались расчетом царизма использовать Грузию в качестве надежного плацдарма для осуществления своих колониалистских устремлений на Ближнем и Среднем Востоке.

Вынашивавшаяся на протяжении долгого времени идея русского протектората Грузии нашла свое первоначальное воплощение в Георгиевском трактате, который знаменовал собой коренные преобразования в межгосударственных отношениях Грузии не только и, быть может, не столько с Россией, как с соседними мусульманскими державами, в первую очередь, с Ираном и Турцией. Грузия избавлялась от насильственно навязываемой ей в течение многих веков персидско-турецкой «опеки» и окончательно связывала свою судьбу с могущественным, издревле дружественно к ней расположенным, северным соседом. Значение трактата, несомненно, усугублялось тем, что «ближневосточная международная политика в последнее двадцатилетие XVIII века нашла свою завязку в Закавказье»[1].

Поручительство России за целостность грузинских владений, зафиксированное в трактате, подразумевало оказание действенной военной помощи. В «Сепаратных артикулах» к трактату русское правительство обязалось содержать в Грузии два батальона пехоты при 4 пушках и в случае войны увеличить число своих войск.

Непосредственная военная поддержка Россией Грузии приняла сравнительно систематический характер лишь после заключения трактата. Но даже в этот период она порой зависела от добрососедских отношений между двумя государствами и от других факторов, определенным образом влиявших на русско-грузинские отношения, предопределяя эффективность русской военной помощи.

Среди факторов немаловажную роль играли англо-русские и русско-французские противоречия на Ближнем Востоке, которые вплоть до фактического присоединения Восточной Грузии к России (1801 г.) сковывали военную инициативу царизма в отношении недругов Грузии, заставляли его считаться с конкретной международной обстановкой, особенно на Ближнем и Среднем Востоке. Подобная осмотрительность

---

[1] Н. А. Бердзенишвили, Вопросы истории Грузии, книга II, Тб., 1965, стр. 229, (на груз. яз.).

протектора, вызванная его заигрыванием с так называемым «Восточным вопросом», приводила к тому, что вошедшая под русское покровительство Грузия оказывалась на грани катастрофы, как это случилось в 1795 году.

Тем не менее, стратегическое назначение русской военной помощи Грузии, несмотря на ее номинальное проявление в конце XVIII века, оказывало весьма устрашающее воздействие на враждебно настроенные по отношению к Грузии мусульманские государства. Именно этим следует объяснить исторически достоверный факт, что после Крцанисской битвы до присоединения Восточной Грузии к Российской империи со стороны Турции или Ирана не было осуществлено сколько-нибудь серьезной военной акции против Грузии, хотя условия, сложившиеся в ту пору на Кавказе, были чреваты негативными последствиями.

Об этом достаточно убедительно свидетельствует Какабетское сражение 1800 года, которое по своему значению должно быть причислено к битвам, сыгравшим немаловажную роль в исторических судьбах грузинского народа[2].

Одним из ценных источников по истории боевого содружества русского и грузинского народов в первой трети XIX века является газета «Тифлисские ведомости» (1828—1832 гг.). Среди достаточно обильного материала газеты, характеризующего это содружество, мы остановим внимание на объемистой статье, посвященной конкретно Какабетскому сражению, которая озаглавлена: «Нападение на Грузию Омар-хана Аварского и сражение при Иоре, 7 ноября 1800 года»[3]. Основываясь на существующем документальном и некотором другом фактическом материале, а также специальной литературе по теме, мы воспользуемся содержанием статьи из «Тифлисских ведомостей», чтобы воссоздать в общих чертах картину Какабетского или Ниахурского[4] боя, как еще именуют поражение войск Омар-хана при Иори в 1800 году, и прояснить причины, вызвавшие это сражение и обусловившие в нем победу русско-грузинского оружия.

Вышеназванная статья составлена на основе официальных документов, связанных с историей сражения с Омар-ханом в 1800 году, которые впоследствии были опубликованы в первом томе «Актов Кавказской Археографической комиссии». Однако выясняется, что ко времени написания статьи автор располагал не всеми материалами, проливающими свет на историю Какабетского побоища, чем, видимо, и следует

---

[2] Специальное исследование, посвященное истории Какабетского сражения, отсутствует.

[3] Статья не подписана. Она напечатана в №№ 1 и 2 «Тифлисских ведомостей» за 1828 г. Первые сообщения об этом сражении появились в печати в 1800 году. Так, в печатном листке «Санкт-Петербургских ведомостей» за 1800 г. № 99 от 11 декабря была помещена выписка из донесения ген.-м. Лазарева, находящегося с деташаментом российских войск в Грузии». В том же листке «С.-Петербургских ведомостей» за 1800 год, № 102 от 21 декабря было напечатано «Подробное донесение ген.-лейт. Кнорринга 2-го, о победе, одержанной российскими войсками, в Грузии находящимися, над аварским Омар-ханом». К донесению прилагался список всемилостивейше пожалованным награждениям, отличившимся в поражении войск аварского Омар-хана, при Иоре».

[4] Какабети — селение в Кахети (Сагареджойский район), вблизи которого произошло сражение объединенного русско-грузинского войска с полчищами Омар-хана Аварского в 1800 году. Ниахура — название местности непосредственно перед селением Какабети, на которой разыгралась битва.

объяснить некоторые поспешные авторские выводы и заключения, нуждающиеся в уточнении.

В начале статьи обрисована политическая ситуация, сложившаяся в Грузии накануне Какабетского сражения. «Грузия в конце восемнадцатого столетия, — говорится в статье, — претерпевшая разорение от нашествия Аги Мехмед-хана[5], обуреваемая внутренними несогласиями, обеспокоенная и истощенная беспрестанными покушениями вероломных соседей, подвергалась опасности соделаться жертвою иноверных владельцев, потерять свои права, преимущества и христианский закон, сей драгоценный залог, сохраненный ею с толикою твердостью в течение нескольких столетий»[6]. В таких условиях Грузия вынуждена была просить покровительства у России. Однако появление русских войск в Грузии, имевшее, по словам автора, сильное влияние на внутреннюю и внешнюю безопасность этого края, еще не пресекло хищнических набегов, организуемых дагестанскими феодалами.

Такова краткая предыстория Какабетского сражения, изложенная в вводной части рассматриваемой статьи. Что касается непосредственных причин, вызвавших нашествие полчищ Омар-хана на Грузию в 1800 году, автор полагает, что таковой послужила «издавна существовавшая вражда лезгин[7] против Грузии»[8] и обстоятельство, что сын Ираклия II царевич Александр «принял живейшее участие в предприятии лезгин на Грузию и был почти главным виновником их вторжения в ее пределы»[9].

С подобным выводом автора о действительных причинах Какабетского сражения, конечно, нельзя согласиться, ибо достоверно известно, что неприязненные действия Омар-хана против Грузии в 1800 году явились следствием не какой-то абстрактной «издавна существовавшей вражды лезгин» к иноверцам — грузинам, как уверяет автор, но имели конкретную политико-экономическую подоплеку. Дело в том, что разбойничьи набеги дагестанских феодалов на Грузию, особенно участились, после заключения Георгиевского трактата. Подстрекаемые, главным образом, агентами турецкого правительства, лезгинские феодалы не упускали случая поживиться за счет соседнего грузинского народа. Так было и летом 1785 года, когда в ожидании крупного похода на Грузию, планируемого правителем Аварии Омар-ханом, лезгины, состоявшие на службе у ахалцихского Сулейман-паши, «разсеялись по всей Грузии небольшими партиями, прабили и опустошали страну. Чрезвычайные жары изсушили все реки, так что переправа чрез них не представляла никаких затруднений и почти не было дня, чтобы лезгины не похищали где-нибудь скота или людей, или не сжигали хлеба, до которого до сих пор они никогда не касались»[10].

Первый поход на Грузию Омар-хан предпринял в том же 1785 году. 20-тысячное войско лезгин, миновав Караязскую степь, захватило в Борчало крепость Агджа-кала, разорило значительный по тому времени

---

5 Имеется в виду Ага-Магомед-хан Каджар.

6 «Тифлисские ведомости», 1828 г., № 1, стр. 3.

7 В нашем толковании собирательного понятия «лезгины» всюду (в данной публикации) подразумевается феодальное охвостье из Дагестана, предводительствуемое Омар-ханом Аварским.

8 Там же.

9 Там же, стр. 4.

10 Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. II, 1886 г., стр. 85.

промышленный очаг страны — ахтальские рудники и медеплавильные заводы. В связи с этим в другом материале, опубликованном в «Тифлисских ведомостях» позднее, было сказано: «Во время вторжения Омар-хана Аварского в Грузию в 1785 году, аллавердские греки, устрашась его свирепости, бросили все рудокопные инструменты и имущество, — скрылись в Ахтальском заводе, который по местоположению почитали более крепчайшим и безопаснейшим, но Омар-хан 20 сентября взял Ахтальский завод, разрушил селения и великолепный греческий монастырь при оном сооруженный, — жителей же увлек в плен и распродал в Ахалцыхском пашалыке»[11]. Тогда же головорезы, предводительствуемые Омар-ханом, совершили нападение на Саабашидзео (Верхняя Имерети), где разорили Ваханскую крепость и возвратились с богатой добычей и пленными в Дагестан.

Отсутствие возможности содержать в тех условиях регулярное грузинское войско (мориге), расформированное благодаря козням местных феодалов, а также сравнительная малоэффективность в то время русской помощи[12] в обуздании хищничества лезгин заставили царя Ираклия принять унизительное условие мира с Омар-ханом стать его данником, выплачивая ему ежегодно 5 тысяч рублей[13].

Именно эта сумма, успевшая стать довольно крупной из-за регулярной невыплаты ее лезгинам Георгием XII и побудила, прежде всего, Омар-хана предпринять повторный поход на Грузию. Любопытно в этом отношении признание самого Омар-хана, который в письме к царевичу Давиду, написанном в средних числах октября 1800 года, без обиняков объясняет главную причину своего ополчения против Грузии, а именно тем, что трижды был обманут царем Георгием, не выплатившим ему дани. «...Если вы устоите в своем слове и нам деньги не удержите, — писал Омар-хан, — то я с войском своим пойду вниз[14]. Через два дня дядюшка ваш Александр сюда прибудет, который с посланцем получил от Баба-хана фирман, в коем написано, что сколько ему, царевичу, потребно войска и на оных провианта прислано будет»[15]. И далее: «Вам самим известно, что ежели я с войском возвращусь назад, то ни Баба-хан, ни царевич Александр без меня в границы ваши идти не осмелятся»[16].

---

[11] «Тифлисские ведомости», 1830 г., № 58, стр. 3. Установлено, что «при этом нападении было взято хищниками в плен до 860 и побито до 640 человек. Омар-хан предлагал Ираклию (царю) возвратить пленных по цене 50 руб(лей) за каждого. Ираклий давал по 45 руб. половину деньгами, половину парчами» (см. Институт рукописей АН Груз ССР. Ф. Е. Вейденбаума № 30, стр. 9—10; ср.: П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, СПб., 1809, часть II, стр. стр. 163, 181, 182).

[12] Из-за малочисленности русских войск в Грузии, составлявших тогда всего два батальона под начальством полковника Бурнашева.

[13] «Салеко» (в буквальном переводе с грузинского: предназначаемое для лезгин) — так называлась в Грузии денежная сумма, выделяемая ежегодно для выплаты Омар-хану Аварскому.

[14] Подразумевается направление в сторону Ганджинского ханства.

[15] Цитируется по книге Н. Дубровина «Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России», 1897 г., стр. 150.

[16] Там же. В другом располагаемом нами документе также подчеркивается непосредственная заинтересованность в походе на Грузию «Омар-хана Лезгинского, разными неудовольствиями на правительство здешнее (т. е. грузинское — Д. В.) возбужденного (см. АКАК, т. I, док. № 34, стр. 115).

Из этого письма нетрудно заключить, во-первых, что повторный поход Омар-хана на Грузию имел бы место независимо от участия в нем царевича Александра. Во-вторых, ссылка в письме на тесные связи царевича Александра с персидским шахом служит определенной цели — сделать более устрашающей для Грузии альтернативу, выставленную Омар-ханом. В реальность тесных взаимоотношений царевича Александра с недругами Грузии сомневаться не приходится. Нереальной и лживой представляется лишь сама альтернатива, содержащаяся в письме Омар-хана, ибо трудно допустить, что даже при условии выплаты ему царем Георгием «задолженности», многочисленное войско лезгин, собранное у самих границ Грузии, так и убралось бы восвояси, направив путь в ганджинское ханство или обратно в Дагестан. Трудно это допустить потому, что Омар-хан при повторном своем нашествии на Грузию преследовал наряду с экономическими определенные политические цели. О них будет сказано ниже.

Таким образом, основной причиной Какабетского сражения послужили вполне определенные политические и экономические цели, преследуемые Омар-ханом Аварским, а не «издавна существовавшая вражда» по отношению к «неверным» грузинам со стороны лезгин.

Что касается царевича Александра, он действительно «принял живейшее участие в предприятии лезгин на Грузию», но «главным виновником их вторжения в ее пределы», как утверждается в статье, он не был. Об этом свидетельствует приведенная выше выдержка из письма Омар-хана к царевичу Давиду. Нам кажется, что царевич Александр только ускорил осуществление готовившегося в 1800 году нападения лезгинских феодалов на Грузию.

Предпоследний потомок (по мужской линии) Ираклия II царевич Александр разделял кровное недовольство родных братьев и матери, царицы Дареджан «клятвопреступлением» старшего, но неединоутробного брата своего, царя Георгия XII, который нарушил завещание отца. Как известно, незадолго перед смертью царь Ираклий (под давлением царицы Дареджан), в отклонение от традиционного порядка престолонаследия, установил новую преемственность для своих наследников, в соответствии с которой грузинский престол от Георгия XII должен был перейти не к старшему сыну его, царевичу Давиду, а к старшему из здравствовавших братьев Георгия — царевичу Юлону. Дав сперва обещание подчиниться воле отца, Георгий впоследствии нарушил ее, добившись от Павла I утверждения в качестве наследника грузинского престола своего сына, царевича Давида. На этой почве и произошел окончательный раскол в грузинской царской фамилии, объективно способствовавший впоследствии упразднению грузинского престола вообще.

Среди братьев Георгия наиболее воинственным оказался царевич Александр, который проявлял определенное тяготение к Персии. «В самом начале своей «деятельности» в Грузии Александр Багратиони установил связь с врагами своего народа, рассчитывая на помощь этих врагов больше, чем на силы в самой Грузии»[17]. Пользуясь большим уважением среди горских народов Кавказа как сын «великого царя» Ираклия[18], царевич Александр основную надежду возлагал на персидскую помощь в «отвоевании» Грузии у русских и свержении Георгия XII. В условиях, когда «каждый член царского дома почитал себя уготованным

[17] О. П. Маркова. Восстание в Кахетии в 1812 г., М., 1951, стр. 21.

[18] АКАК, т. I, док. № 105, стр. 167.

к царствованию»[19], царевич Александр имел больше оснований рассчитывать на грузинскую корону при наличии у него мощных союзников среди немалого числа недругов своего отечества.

Побег царевича Александра в Персию имел место незадолго перед его участием в «предприятии» Омар-хана. В лагерь персидских войск под Карабагом он прибыл с твердым намерением уговорить шахского наследника, тогда еще несовершеннолетнего Аббаса-Мирзу, двинуть войска на Грузию. Лихорадочные поиски Александром путей к осуществлению своих планов через посредство персиян не имели успеха. Удрученный царевич направился в Карабаг, где в продолжение пяти недель пользовался радушным гостеприимством местного хана Ибраима, давнишнего друга его отца.

Здесь же царевич Александр получил фирман от персидского владетеля Баба-хана, о котором упоминает в своем письме к царевичу Давиду Омар-хан. Фирман должен был служить своеобразным моральным подкреплением царевичу Александру, близкого к отчаянию из-за ухода персидских войск из-под границ Грузии. Восхваляя Александра, награждая его ханским достоинством и обещая всяческую помощь, шах посылал царевичу наряду с богатым подарком «план на приступ к Тифлису с двух сторон, совместно с Омар-ханом Лезгинским, который находился в Белаканах... и ожидает в подкрепление себе войск»[20]. Однако, независимо от извещения царевича Александра шахским фирманом о намерениях Омар-хана в отношении Грузии, владетель Аварии сам предпринял шаги к налаживанию связи с Александром с целью пригласить его в стан своих войск. Вот что сказано об этом в собственноручном письме царевича Баграта, отправленном 12 октября 1800 года из Телави к генералу Лазареву: «Сего числа получили писмо[21] от Кизикского моурава князя Ендроникова, в коем он уведомлает, что Омархан расположился на ту стороне реки Алазани, назеваемом Урдо, и в Шуше (в Карабаг — Д. В.) отправил син Муртузалий Али (речь идет о сыне Омар-хана Муртуз-Али — Д. В.) к дедушки (читай: дядюшке — Д. В.) моей Александре, которого хочит взять ксебя»[22].

Примерно, то же и у Н. Дубровина, который пишет, что к Александру «приехал в Шушу сардарь Омар-хана[23], успевший уговорить царевича отправиться в его лагерь... Омар-хан принял очень ласково как царевича Александра, так и прибывшего вместе с ним сына Ибраим-хана Шушинского»[24].

Как видно из приведенных источников, Омар-хан добивался в полном смысле слова заполучить царевича Александра, конечно, не без определенного умысла, направив к нему с этой целью своего отпрыска. Тогда как Александр настолько был опечален «подвохом» персиян, что нуждался, оказывается, в том, чтобы его «уговорили» отправиться в лагерь лезгинских войск. Но если «ласковое» обхождение Омар-хана с Александром легко объяснимо, то не вполне ясно, почему царевич, перед тем, как отправиться к лезгинам, испытывал колебания? Видимо,

---

19 П. И. Иоселиани, «Жизнь царя Георгия XII» (на груз. яз.), стр. 16.

20 АКАК, т. I, док. № 65, стр. 147.

21 Орфография подлинника сохранена.

22 АКАК, т. I, док. № 87, стр. 159.

23 Н. Дубровин полагал, что посланцем Омар-хана к царевичу Александру был, видимо, не Муртуз-Али, сын владетеля Аварии.

24 Н. Дубровин, «Георгий XII последний царь Грузии и присоединение ее к России», 1897 г., стр. 149.

Омар-хан был для него не таким надежным единомышленником, как персияне.

Таким образом, действия «заблудшего» царевича Александра в ту пору и даже сам факт его участия в походе Омар-хана на Грузию не дают основания рассматривать царевича первопричиной и «главным виновником» похода. Небезынтересно, что как только командованию русских войск в Грузии стало известно о контактах царевича Александра с лезгинами, Омар-хан не замедлил воспользоваться царевичем для сокрытия истинных причин, побудивших его напасть на Грузию. В своей переписке с генералом Лазаревым за несколько дней до Какабетского сражения Омар-хан всячески старался заставить Лазарева поверить в то, что не он, владетель Аварии, ищущий покровительства и дружбы России, повинен в неприязненных действиях лезгин против Грузии, а царевич Александр — его «друг» и гость, которому он-де по азиатскому адату гостеприимства не в состоянии отказать в совместной борьбе с недругами[25].

Заверения Омар-хана в том, что многочисленное войско его выступило в поход исключительно с целью подчиниться воле царевича Александра, не сбили с толку генерала Лазарева. Однако эти заверения показались, видимо, убедительными Л. С. Исарлову, который в своих «Письмах о Грузии» вслед за автором рассматриваемой статьи, а может быть, и под его влиянием, что не исключено, писал: «В 1800 году царевич Александр вторгнулся с двадцатью тысячами лезгин[26] в Грузию, стремясь свергнуть брата своего Георгия с престола»[27].

Подобный комментарий причин Какабетского сражения поражает наивностью. Стремление Омар-хана «заслониться» царевичем Александром, изобразить его виновником похода лезгин на Грузию, нам кажется, лишний раз неоспоримо свидетельствует о том, что царевич Александр послужил Омар-хану лишь поводом к попытке добиться осуществления своих дальних целей.

Каковы же были действительные политические устремления Омар-хана Аварского? Являясь волеизъявителем и ставленником двух главенствующих ближневосточных магометанских держав — Турции и Персии, издавна вынашивавших идею о подвластном им мусульманском Кавказе, Омар-хан в своей деятельности маскировался, прежде всего, этой панисламистской идеей. Весьма характерно, что степень его верноподданнических чувств по отношению к этим державам, как отмечает один из его современников, определялась принципом — служить «то-

---

[25] АКАК, т. I, док. № 105, стр. 167.

[26] В книге Н. Дубровина «Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России» (издание второе, 1897 г., стр. 153) отмечено, что войско Омар-хана в Какабетском сражении насчитывало до 15 тыс. человек, а в рассматриваемой статье в связи с этим сказано: «В настоящем предприятии Омар-хан имел до восемнадцати тысяч войска пешего и конного и разные дагестанские владельцы с своими силами лично участвовали в его предприятии» (см. «Тифлисские ведомости», 1828 г., № 1, стр. 4).

[27] Л. С. Исарлов, «Письма о Грузии», Тифлис; 1899 г., стр. 301. Более точно степень активности участия царевича Александра в войске Омар-хана Аварского подчеркнута в труде Г. В. Хачапуридзе «Грузия в первой половине XIX века», где сказано: «Когда в ноябре 1800 года дагестанские феодалы (владетель Аварии Омар-хан и другие), имевшие в своем распоряжении более 15 тысяч вооруженных людей, вторглись в пределы Грузии, с ними находился и царевич Александр» (см. «Труды Тбилисского государственного университета, 1958 г., т. II, стр. 13).

му, кто больше дает»[28]. Именно из расчета определенной политической выгоды и предпринял Омар-хан повторный поход на Грузию при поддержке своих персидских вдохновителей. Уже тогда не составляло ни для кого тайны, что «настоящее ополчение Омар-хана, на границах грузинских собранное, без сомнения есть дело приглашения его единомышленниками Баба-хана»[29], что «сей вероломный владелец (Омар-хан) есть игралище посторонних внушений»[30].

В планах Омар-хана едва ли не первое место отводилось организации нападения на Грузию, которая мало того, что регулярно не выплачивала ему «законной» дани, являлась форпостом христианства на Кавказе, особенно после заключения Георгиевского трактата. В подобных условиях, по мысли Омар-хана, не следовало откладывать расправу с Грузией, тем более, что осуществлению намерения благоприятствовали следующие обстоятельства: ниспосланный богом «гость» Омар-хана царевич Александр, малое количество русских войск в Грузии в сравнении с многочисленными отрядами лезгин и, наконец, из рук вон плохое вооружение грузинского ополчения.

В этом «комплексе» благоприятных для нападения на Грузию условий Омар-хан, надо думать, не на последнее место ставил свои личные качества военачальника и положение, какое занимал он среди прочих дагестанских владетелей. В рассматриваемой статье в связи с этим сказано: «Лезгинский Омар-хан, человек способный к великим предприятиям, отважного духа, и известной храбрости, был в то время опаснейшим для Грузии неприятелем, из всех окружавших ее владельцев. Собственные его владения были не пространны, но умея кстати пользоваться временем и обстоятельствами, он приобрел сильное влияние на окрестные народы и весь Дагестан покорялся его воле. Привязанность к нему и слепое доверие, возбуждаемые удачными подвигами, при малейшем его движении привлекали к нему всех горских хищников»[31]. Кстати выясняется, что эта характеристика Омар-хана, почти дословно заимствованная автором из известной «Записки С. С. Коваленского о Грузии»[32], видимо настолько соответствовала личности Омар-хана, что от соблазна воспользоваться ею не удержался и Н. Дубровин при изложении истории Какабетского сражения[33].

Итак, какие же выгоды сулил Омар-хану повторный поход на Грузию? Разумеется, в случае успеха — овладение Тбилиси, изгнание оттуда русских и, тем самым подтверждение своих верноподданических чувств шаху Персии. С ведома последнего грузинский престол мог бы занять «кунак» самого Омара—царевич Александр.

В политическом облике Омар-хана Аварского явственно выступали черты авантюриста, но вернемся к анализируемой статье и к фактическому материалу по истории Какабетского сражения.

«В октябре месяце 1800 года, — говорится в статье, — получено известие, что Омар-хан Аварский, собрав значительные силы, намеревается сделать нападение на Грузию». Эта фраза, начавшая повествование о Какабетском сражении, нуждается в комментарии.

---

28 АКАК, т. I, док. № 34, стр. 122.

29 Там же, стр. 123.

30 Там же, до. № 111, стр. 170.

31 «Тифлисские ведомости», 1828 г., № 1, стр. 4.

32 См. АКАК, т. I, док. № 34, стр. 122.

33 См. Н. Дубровин, «Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России», 1887 г., стр. 147.

Как известно, решительный отказ Георгия XII на требование иранского властителя Баба-хана порвать с Россией и отослать к нему наследника грузинского престола царевича Давида крайне обострил грузино-персидские отношения. На случай «непослушания» Георгия, а также «для приведения в действие дел Ширвана и Дагестана»[34] к границам Грузии заблаговременно были стянуты персидские войска, возглавляемые шахским наследником Аббасом-Мирзой. С присущей его возрасту «наивной» откровенностью Аббас-Мирза известил царя Георгия об основной цели предпринимаемого им похода: «...Чтобы служителей вечносуществующей империи Персидской наградить многими милостями, а отрекающихся велеть попрать к подножию войск наших»[35].

Нетрудно догадаться, что под «отрекающимися» подразумевались, прежде всего, сам царь Георгий, а затем уже некоторые владетели Дагестана и соседних ханств, прибегнувшие по примеру Грузии к покровительству России. «Служителями» же являлись горские владетели и ханы, в том числе Омар-хан Аварский, сохранившие приверженность к Ирану.

Однако лояльность «служителей» по отношению к Ирану все больше уступала место трезвой политике из расчета собственной выгоды, вплоть до колебания в отдельных случаях в выборе «сюзерена» на Востоке (Иран, Турция), или на Севере (Россия). Бабахан и его приближенные отдавали отчет о том, что дальнейшая безнаказанность Грузии и других «отбившихся от рук» грозила подорвать престиж Ирана, оказать «дурное» влияние на Кавказских верноподданных Персии. Теперь ясно, почему Аббас-Мирза соединял поход на Грузию с «наведением порядка» в Дагестане и Ширване. В том, что эта проблема не была разрешена, немалую роль сыграла «поколебленная лояльность» местных ханов в отношении Ирана, которые активным действиям в поддержку Аббас-Мирзы предпочли занять выжидательную позицию, ориентируясь «на участь Грузии, дабы по тому располагать и свои движения»[36]. В самый критический момент, когда персидские войска находились под Эриваном и намерение Аббас-Мирзы продолжить поход на Грузию еще не определилось, соседние с Грузией ханства проиранской ориентации, в том числе и Аварское, предпочли изобразить политику «неутралитета, или, по крайней мере, явной на содействие персам решимости в сие время не оказали»[37]. Но «неутралитет» Омар-хана Аварского был показным. Как об этом свидетельствует письмо генерал-майор Лазарева к генерал-лейтенанту Кноррингу от 6 августа 1800 года, 10-тысячному войску Омар-хана, разумеется, с его ведома и согласия, в соответствии с планами персиян предназначалось «сделать диверсию» за Алазань, в результате которой «кахетинцы все принуждены будут возвратиться в домы для защиты своих селений»[38] вместо того, чтобы участвовать в совместном с русскими войсками отпоре персидским завоевателям.

Вторжение полчищ Омар-хана в Кахетию намечалось одновременно с выступлением персидских войск из-под Эривана на Тбилиси и при-

---

34 Н. Дубровин. «Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России», 1897 г., стр. 129.

35 Там же

36 АКАК, т. I, док. № 34, стр. 116.

37 Там же.

38 АКАК, т. I, док. № 38, стр. 128.

урочивалось к 15 августа 1800 года[39]. Инспектору Кавказской дивизии генералу Кноррингу было сообщено об этом из Тбилиси генералом Лазаревым еще 6 августа 1800 года. Выходит, что сообщение о намерении Омар-хана напасть на Грузию было впервые получено в Тбилиси не в октябре 1800 года, как утверждается в статье, а несколько раньше — в конце июля — начале августа того же года. Впоследствии, вплоть до начала Какабетского сражения, царь Георгий, а также царевичи Баграт и Иоанн, через посредство своих подвластных, главным образом, митрополита кизикского Бодбели, мелика Абова и кизикского старшины князя Андроникашвили регулярно получали сведения о движении лезгинских войск вдоль границ Грузии, доставляемые из неприятельского стана специально засланными лезутчиками. Большую помощь объединенным русско-грузинским войскам оказали также точные разведывательные данные о неприятеле, сообщенные непосредственно перед началом боя генералу Лазареву русскими дозорными, так называемыми «подсыльщиками», среди которых особенно отличился старшина моздокского казачьего полка Богаевский[40].

Благодаря хорошо поставленной разведке царю Георгию и генералу Лазареву стал известен обширный персидский план «отвоевания» Грузии у русских, который, в частности, предусматривал «...чтоб имеретинцы с войсками Ахалцыхского паши напали на Карталинию, — Омар-хан на Кахетию, а Александр (царевич Александр — Д. В.) с персами на казахов и татар — самые лучшие провинции царские, и потом следовать к Тифлису»[41].

Таким образом, с самого начала враждебные действия Омар-хана против Грузии были тесно связаны с завоевательскими планами персиян на Кавказе. Здесь, однако, обращает на себя внимание один факт, подчеркивающий в Омар-хане склонность к политическим ухищрениям и крючкотворству.

Известно, что русское правительство в ответ на готовящееся выступление персидских войск против Грузии и некоторых северо-кавказских ханств, вошедших под покровительство России, предприняло определенные шаги к укреплению своих позиций на Кавказе. 3 августа 1800 года, например, оно разослало грамоты Павла I северо-кавказским владетелям, в частности Мегди-шамхалу, табасаранскому кадию Рустему, Шейх-Али-хану Дербентскому и владетелю Каракайтакской области Рустем-Усмию, в которых «повелевается присоединить и свои силы к русским и грузинским, в случае действительного нападения персиян»[42]. Именно в эти дни, т. е. в первых числах августа 1800 года, Омар-хан Аварский, готовившийся к нашествию на Грузию в соответствии с персидскими планами, «присылает на имя императора Павла просьбу о покровительстве»[43], которая была удовлетворена рескриптом от 26 августа того же года[44]. Это был дипломатический маневр Омар-хана, рассчитанный на то, чтобы гарантировать себе безопасность со

---

39 Там же. (См. Post-scriptum письма ген. Лазарева к ген. Кноррингу от 6 августа 1800 г.). стр. 129.

40 АКАК, т. I, док. № 111, стр. 172.

41 Там же, док. № 69, стр. 150.

42 П. Г. Бутков, «Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год», часть третья, 1869г., стр. 321.

43 П. Г. Бутков, «Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год», часть третья,1869 г., стр. 321.

44 АКАК, т. I, док. № 60, стр. 144.

стороны России на случай поражения персиян, в противном случае он — верноподданный шаха, соучастник победы персидских войск на Кавказе, — в такой гарантии не нуждался.

Вскоре выяснилось, что тщательно разработанному персидскому плану завоевания Грузии не суждено было осуществиться, а «тонкий» дипломатический маневр Омар-хана был разгадан. Энергичные меры к обороне, предпринятые царем Георгием при поддержке и с помощью русских войск, отбили охоту у персиян заниматься опасными авантюрами. Отступив с войсками к Тавризу, Аббас-Мирза и приставленный к нему дядька-наставник Сулейман-хан предпочли реализовать новый, несколько видоизмененный план захвата Грузии, одобренный Баба-ханом. Они обратились к кавказским ханам, на приверженность которых все еще рассчитывали, с воззванием-призывом предпринять совместный поход на Грузию, разумеется, с обещанием активной поддержки со стороны Ирана. Иначе говоря, окончательно убедившись в том, что Россия не на шутку задалась целью охранять Грузию от персидских притязаний, а также полагая преждевременным серьезное столкновение с Россией из-за внутренних неурядиц в Персии, Баба-хан и его наследник попробовали загребать жар чужими руками.

Здесь нельзя не отметить совершенно иную трактовку вопроса о том, почему «Иран на этот раз воздержался от вторжения в Грузию», содержащуюся в труде О. П. Марковой «Восстание в Кахетии в 1812 г.». В первой главе работы — «Положение в Грузии в конце XVIII — начале XIX века», автор комментирует: «русская дипломатия проявляла в это время максимальную уступчивость, отозвав из Грузии, в угоду Ирану, своего представителя Коваленского. Этот факт не мог не иметь значения для иранской политики. Нападение дагестанских феодалов, которых привел затем в Грузию Александр Багратион, произошло без участия иранцев»[45].

Было бы наивным объяснить неучастие Ирана в предполагаемом совместно с лезгинами походе на Грузию отозванием Коваленского из Грузии[46] «в угоду Ирану». Толкование О. П. Марковой отказа Ирана от похода на Грузию тем более непонятно, что на предшествующей странице она справедливо отмечает, что «твердая позиция протектора имела несомненное значение для сохранения безопасности Грузии в этот момент»[47].

Как только стало известно, что персы на сей раз уклонились от похода на Грузию, мнимый «неутралитет» Омар-хана сменился явным недружелюбием к Грузии. Войдя в сговор с некоторыми северо-кавказскими владетелями в том числе с Сурхай-ханом Казикумыкским, Мегмед ханом Дженгутаем и с кадиями Акушинским и Андийским, слепо доверявшими ему, Омар-хан проявлял явное намерение «учинить нападение на Грузию»[48]. На этот шаг его толкало теперь не столько подстрекательство персов и, конечно, не забота об участи царевича Александра, а честолюбивое стремление стать главным, если не единоличным, обладателем лавров победителя при повторном походе на Грузию, который, кроме прочих выгод, сулил укрепить за ним «право» регулярно взымать с нее дань. Новая ситуация, созданная уходом персид-

---

[45] О. П. Маркова. «Восстание в Кахетии в 1812 г.» М., 1951, стр. 21.

[46] Кстати, отозвание Коваленского из Грузии, как известно, было вызвано злоупотреблениями по службе, допущенными им в период пребывания в Грузии.

[47] О. П. Маркова. «Восстание в Кахетии в 1812 г.». М., 1951, стр. 21.

[48] АКАК, т. I, док. № 48, стр. 136.

ских войск в Тавриз, заставила Омар-хана пересмотреть и свою дипломатию в отношении России, в подданстве которой он уже состоял. Чтобы придать вторжению своего войска в Кахетию «законный» характер, Омар-хан попытался противопоставить российскому покровительству Грузии свое покровительство беглому царевичу Александру. В одном из писем к генералу Лазареву, отправленном накануне Какабетского сражения, Омар-хан писал: «Хан Александр (царевич Александр — Д. В.) прибегнул под покровительство дагестанцев, которые из уважения к его просьбе и унижению, неменьше как и по гостеприимству, должны были ему оказать помощь»[49].

Предлог этот Омар-хан считал слишком благовидным, чтобы не воспользоваться им с определенной целью, тем более, что из-за проволочек и нерешительности Аббаса-Мирзы в августе 1800 года был упущен, пожалуй, наиболее удобный для нападения на Грузию момент, когда второй русский полк под начальством генерал-мойора Гулякова еще не успел прибыть с Кавказской линии в Тбилиси[50]. Не исключено, что некоторая поспешность Омар-хана в стремлении осуществить свой коварный замысел в отношении Грузии была вызвана и тем, что он прослышал о намерении царя Георгия увеличить контингент русских войск в Грузии до 6000 человек[51].

Между тем, царь Георгий и российский министр в Грузии Коваленский, не разобравшись пока в истинных намерениях аварского владетеля и его сподручных, полагали, что стягивание лезгинского ополчения у кахетинской границы было предпринято «для содействия покушению на Грузию войск персидских, следственно при настоящем сих последних удалении, предприятие сие может и рушится»[52]. Поэтому в своих письмах, отосланных к Омар-хану нарочным чиновником, они увещевали его, советуя, при наличии каких-либо справедливых притязаний к Грузии, «объясниться в том по соседственной дружбе миролюбиво»[53].

Примерно так же рассуждал тогда и генерал Лазарев, который, как видно, скорее допускал повторение персидского демарша в отношении Грузии, чем наглость покровительствуемого Россией Омар-хана. «Угрожающий же впадением Омар-хан Лезгинский, — писал он генералу Кноррингу 20 августа 1800 года,—узнав о отступлении персидских войск, думаю, не осмелится впасть в границы грузинские»[54]. Эта некоторая предвзятость в отношении возможных действий Омар-хана и была причиной того, что в плане обороны Грузии, предложенном в то время генералом Лазаревым[55], несколько недооценивалась угроза вторжения лезгин со стороны Кахетии. На участке «казах-татары»[56] намечалось сосредоточить вдвое больше войск, чем в Кизики, хотя непос-

---

49 Там же, док. № 108, стр. 168.

50 Полк генерала Гулякова прибыл в Тбилиси 23 сентября 1800 года (см. там же, т. I, док. № 78, стр. 154).

51 АКАК, т. I, док. № 64 стр. 146 (К моменту нападения войск Омар-хана на Грузию, т. е. к ноябрю 1800 г., русские войска в Грузии насчитывали 3000 человек с 7-ью артиллерийскими орудиями).

52 Там же, док. № 48, стр. 136.

53 Там же.

54 Там же, док, № 54, стр. 139.

55 АКАК, док. № 69, стр. 150.

56 Именно на этом участке по персидскому плану ожидалось вторжение в Грузию войск, предводительствуемых Аббасом-Мирзой и царевичем Александром (см. АКАК, т. I, док. № 69, стр. 150).

редственная опасность нашествия персов к тому времени уже миновала. План Лазарева, на наш взгляд, несколько неоправданно в той ситуации рассредоточивающий силы русских войск в Грузии, предусматривал: «...в Кизике, лежащем при лезгинской границе, поставить батальон, в Казахах и у татар два и в Гори один, кои могут быть подкреплением грузинским войскам, а неприятелю страшилищем; в Тифлисе же иметь три или два батальона — род резерва»[57].

План претерпел существенные изменения из-за его несоответствия дальнейшему развитию событий, поколебленной уверенности генерала Лазарева, будто «исключая бездельных набегов, нынешний год (1800 г.— Д. Б.) кажется уже ничего важного случиться не может, да и сии сумнительны»[58].

Сведения, поступавшие от засланного в лезгинский лагерь лазутчика, носили все более тревожный характер. В одном из его донесений, например, сообщалось, что отряды лезгин «день ото дня нарочито умножаются», что «конное и пешее воинство прибавляется ежедневно» и что Омар-хан разослал нарочных к различным владельцам Кавказа с просьбой о поддержке[59].

Учитывая стягивание войск Омар-хана у Алазани, генерал Лазарев, вопреки своему поспешному «прогнозу», приступил к деятельной подготовке для отражения противника. «По принятии всех возможных мер, дабы обезопасить столицу, средину Грузии и остальную ее границу, — говорится в статье, — генерал-майор Лазарев, взяв с собою два батальона[60]: один егерского, а другой мушкатерского полка и принадлежащую к оным артиллерию, 28 октября[61] выступил с генерал-майором Гуляковым к пределам Кахетии»[62]. 31 октября Лазарев с войсками прибыл в Сигнахи. За день до этого Омар-хан переправил свои отряды через Алазань, расположившись лагерем близ урочища Топ-Карагач в 16 верстах от Сигнахи.

Итак, несколько отклонившись от анализа конкретного материала в статье о Какабетском сражении ради предыстории, мы восполнили слишком скупо обрисованную автором политическую обстановку, в которой оно произошло. Конечно, ее можно оправдать строго ограниченными размерами газетного материала, газетным стилем и пр.

Автор, опустив сообщение о военном совете у Омар-хана до начала сражения, не сумел показать принципиальной стратегической позиции царевича Александра в этом походе. Опираясь на показание Турманидзе, находившегося вместе с царевичем Александром в стане лезгинских войск, Н. Дубровин утверждает, что на военном совете «Александр советовал идти на Калагиры, но лезгинские старшины требовали движе-

---

57 АКАК, т. I, док. № 69, стр. 150.

58 Там же.

59 АКАК, док. № 95, стр. 161.

60 «Егерского же Лазарева полка полковник Карягин оставался с двумя батальонами при нас в Тифлисе который все мои приказания исполнял с великим усердием, сохраняя благополучие города и будучи всегда готов к сопротивлению неприятелю» (Из письма Георгия XII Павлу I от 17 ноября 1800 г., см. АКАК, т. I, док. № 118, стр. 178).

61 Согласно другим данным Генерал Лазарев выступил с войском в Кахети 28 сентября 1800 г. (см. АКАК, т. I, док. № 80, стр. 156).

62 «Тифлисские ведомости», 1828 г., № 1, стр. 4.

ния на Сагареджо»[63]. В статье же сказано, что «царевич Александр вел оное (авангард войск Омар-хана — Д. В.) особым путем в намерении с двумя тысячами занять местечко Сагареджи»[64]. Получается, что на военном совете царило полное согласие между царевичем и лезгинскими старшинами. Это кажущееся противоречие между Н. Дубровиным и автором статьи вызвано тем, что последний перед вышеприведенной фразой не оговорил, что царевич Александр при своем особом мнении вынужден был подчиниться решению военного совета, приняв план движения лезгинских войск сперва на Сагареджо.

Кстати, это решение о маршруте (на Сагареджо) двухтысячного лезгинского авангарда, являющееся копией несуществленного персидского плана двустороннего приступа» на Тбилиси, предусматривало расчленение остальных войск Омар-хана на две части. Причем, «с одной половиною приступить к Тифлису, осадить сей город, и стараться завладеть оным; а другую половину переправить через р. Куру для соединения с имеретинами и с частью грузин, которых он полагал готовыми ему содействовать[65], и все сии совокупные силы двинуть на столицу Грузии, — если первое покушение будет неудачно»[66].

Этому плану, так же как и персидскому, не суждено было осуществиться. В противовес ему генералом Лазаревым был разработан план атаки неприятеля, в соответствии с которым 5 ноября русские батальоны совместо с грузинским пешим и конным ополчением, предводительствуемым сыновьями Георгия XII царевичами Иоанном и Багратом, двинулись навстречу противнику.

Сражение с Омар-ханом произошло 7 ноября 1800 года на правом берегу реки Иори, неподалеку от деревни Какабети. Статья подробно описывает основные перипетии Какабетского боя, в результате которого противник был разбит наголову. «Сражение продолжалось три часа, — говорится в статье, — лезгины претерпели страшное поражение, полторы тысячи человек убитыми и ранеными[67] найдено на месте сражения, до пятисот тел устилали путь, по коему спасался побежденный неприятель. Войско Омар-хана обратилось в бегство в таком беспорядке, что одна только невозможность к преследованию спасла оное от совершенного уничтожения»[68].

В статье названы некоторые конкретные участники сражения с обеих сторон, в том числе храбрые русские воины поручик Новицкий, который, «убив собственноручно одного знаменщика, взял знамя и умножил оным трофеи победителей»[69], поручик Котляревский, «прославившийся впоследствии в сей стране незабвенными воинскими подвигами»[70] и другие.

Автор особо подчеркивает роль грузинского ополчения в Какабетской битве. Он пишет: «Ни что не могло удержать ожесточения грузин, которые дрались против врожденных врагов своего отечества. В сра-

---

63 Н. Дубровин. «Георгий XII последний царь Грузии и присоединение ее к России», 1897, стр. 153.

64 «Тифлисские Ведомости». 1828 г., № 1, стр. 4.

65 Подразумеваются войска, которые, в случае надобности, должны были выставить братья Александра, царевичи Юлон, Вахтанг и Парнаоз.

66 «Тифлисские ведомости», 1828 г., № 1, стр. 4.

67 Там же.

68 Там же, № 2, стр. 4.

69 Там же, № 2, стр. 3.

70 Там же, стр. 4.

жении они показали опыты неустрашимой храбрости, по одержании победы никакия увещания не могли их заставить щадить побежденных, в коих они видели лютых варваров, привыкших издревле разорять их отечество, опустошать их поля и с неимоверным зверством терзать их семейства»[71].

К довершению биографии Омар-хана Аварского заметим, что некоторые полагали, будто «он помер» от тяжелой раны, полученной во время Какабетского сражения[72]. Вскоре однако выяснилось, что действительно тяжело раненный Омар-хан не только выжил и избежал пленения, но, перебравшись в январе 1801 года с 200 воинов в Шушу, вновь собирал войско[73]. Но «Омар-хан не предпринимал однако никаких покушений на Грузию, Предавшись своему обычному пороку, разврату и разгулу, он умер от пьянства в марте 1801 года»[74]. Существует также версия о том, что Омар-хан «был отравлен по подкупу русского начальства» и что он «погребен около мечети в сел. Джары»[75].

Если доискиваться причин, обусловивших поражение войск Омар-хана в Какабетском сражении, то они были следующие.

Первая — четко организованная при активной помощи кизикинцев подготовка русско-грузинских войск к сражению с лезгинами с учетом того, что «запас всех воинских снарядов и жизненных продовольствий есть душа всех предприятий, благословенным успехом при порядочных распоряжениях награждаемых»[76]. Соответственно недостаточное количество у лезгин провианта, частью скупаемого у джар-белаканцев, а частью добываемого охотой, и полное отсутствие фуража, заменяемого подножным кормом[77].

Вторая — справедливый характер войны со стороны грузинских и русских войск, — отсюда их высокий моральный дух, в определенных случаях служивший «эрзацем» вооружения у грузинского ополчения, в котором приходилось «на 10 человек два ружья, а прочие вооружены кизиловыми обожженными палками»[78].

Третья — боевой порядок русских войск, которые «построились в два каре: правое крыло составляли Егеря, левое Мушкетеры, пространство между обоими кареями занято было Грузинскою пехотою и конницею»[79], а также тактика ведения боя, отличавшаяся от азиатских традиций войны, полностью обескуражили противника, сведя на нет его значительное численное превосходство. Противопоставлением «необузданной толпе (лезгин), ободренной надеждою на превосходство своих сил»[80] четкой организованности русско-грузинских войск объясняется и несоразмерность в уроне, который понесли обе стороны[81].

---

71 Среди раненых были Омар-хан Аварский и царевич Александр (см. АКАК, т. 2, док. 109, стр. 168), которые однако избежали пленения.

72 АКАК, т. I, док. № 117, стр. 177; См. также П. Г. Бутков, «Материалы для новой истории Кавказа», часть III, 1869 г., стр. 326.

73 Там же, док. № 150, стр. 193.

74 Н. Дубровин, «Георгий XII...», 1897 г., стр. 157.

75 Институт рукописей АН Груз. ССР, Ф. Вейденбаума, № 24, стр. 268.

76 АКАК, т. I, док. № 102, стр. 165.

77 Н. Дубровин, «Георгий XII...», стр. 154.

78 АКАК, т. I, док. № 35, стр. 124.

79 «Тифлисские ведомости», 1828 г., № 2, стр. 3.

80 Там же.

81 Лезгины потеряли в бою полторы тысячи человек убитыми и ранеными (а по Н. Дубровину — до 2000 человек, см. его кн. «Георгий XII...», стр. 156). В русско-гру-

Четвертая — действенность разведки русско-грузинских войск, которая давала возможность предугадать намерения противника и вовремя обезвреживать его.

В совокупности эти условия предопределили победу объединенного русско-грузинского войска в Какабетском сражении.

По своему значению и последствиям победа над Омар-ханом явилась уроком для горских хищников, предпринимавших регулярные набеги на Грузию. «Эта победа не только спасла Кахетию от страшного разорения, но и способствовала поднятию авторитета русского имени и симпатий к нему среди грузинских крестьян»[82]. Русские воины в этой битве, как отмечено в «Тифлисских ведомостях», «запечатлели кровью братский союз с грузинами и доказали своим единоверцам готовность жертвовать жизнью для защиты их пределов, семейств и имущества с тем же рвением как и собственное отечество»[83]. Нам кажется, не будет преувеличением, если скажем, что поражение лезгинских войск в Какабетском сражении, пожалуй, впервые после заключения Георгиевского трактата столь эффектно подтвердившее стратегическую обусловленность союза Грузии с Россией, способствовало некоторому ускорению событий, имевших немаловажное значение для исторических судеб Грузии. В частности, вручение грузинским полномочным послом князем Гарсеваном Чавчавадзе 17 ноября 1800 года[84] российскому правительству так называемых «Просительных пунктов» царя Георгия и последовавшее за этим подписание 22 декабря того же года[85] в Петербурге манифеста о присоединении Грузии к России произошло под определенным впечатлением торжества русско-грузинского оружия в битве с лезгинскими феодалами при Иори 7 ноября 1800 года.

Статья «Нападение на Грузию Омар-хана Аварского и сражение при Иоре 7 ноября 1800 года» не носит «юбилейного» характера. Она написана не столько с целью отметить 28-ю годовщину победы над Омар-ханом, сколько с намерением восстановить в подробностях историю этого сражения. В статье заостряется внимание на деталях Какабетского боя, которые, несомненно, не были известны многим читателям «Тифлисских ведомостей», а если и были известны, то понаслышке. Нам представляется, что обращение к теме нашествия Омар-хана на Грузию в первых же номерах «Тифлисских ведомостей» не было случайным. Она возбуждала патриотические чувства, вселяла веру в неодолимость русско-грузинского военного содружества, что было актуально в самый разгар русско-турецкой войны 1828—1829 годов.

зинских войсках «кроме одного солдата и двенадцати грузин, горских жителей» не было убитых (см. АКАК, т. I, док. № 110, стр. 169). Среди раненых были: «один мушкатер, а в егерском батальоне контузнею в ногу один офицер — пор. Голованев, да сверх того один егерь очень легко и несколько подъемных лошадей» (там же, док. № 109, стр. 168).

82 О. П. Маркова. «Восстание в Кахетии в 1812 г.», М., 1951, стр. 20.

83 «Тифлисские ведомости» 1828 г., № 2, стр. 4.

84 П. Г. Бутков, «Материалы для новой истории Кавказа», часть III, 1869. стр. 327.

85 Н. Дубровин. «Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России», 1897 г., стр. 170.

ცნობები და შენიშვნები

ზაზა ალექსიძე

არსენი საფარელის ტრაქტატის — „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ — კრიტიკისათვის

(i. d. ანაქრონიზმები)

არსენი საფარელის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“[1] ერთადერთი წყაროა, რომელიც ქართულ ენაზე შემოგვრჩა ქართველთა და სომეხთა შორის მომხდარი საეკლესიო განხეთქილების შესახებ. მისი ცნობებისა და კონცეფციის სწორად შეფასებაზე, თხზულების ზუსტად დათარიღებაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი წარმოდგენა საშუალო საუკუნეებში ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის მესვეურთა პოლიტიკურ-იდეოლოგიური მრწამსის, ქართლის განათლებული წრეების ლიტერატურული ჰორიზონტისა და კულტურის, კავკასიაში იდეოლოგიურ სიტუაციათა ეტაპებისა და სხვ. შესახებ. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ხელახლა დავუბრუნდეთ იმ საკითხებს, რომელთა შესახებაც ლიტერატურაში უკვე იყო გამოთქმული შეხედულებები. ერთი ასეთ საკითხთაგანია ე. წ. ანაქრონიზმები არსენი საფარელის თხზულებაში.

„ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომში, არსენი საფარელისადმი მიძღვნილ პარაგრაფში, კ. კეკელიძე წერდა:

„ტექსტი თხზულებისა ძალზე დამახინჯებული უნდა იყოს. განსაკუთრებით შერყვნილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობა; შეიძლება ამით აიხსნებოდეს, რომ მასში მრავალი ანაქრონიზმია:

1. არკადი კეისრისა (395—408) და არშაკ მეფის (392—396) დროს, ესე იგი 395—6 წელს, ბერძნებმა სომხებს დახმარება არ აღმოუჩინეს სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში და ამიტომ განუდგნენ მათ სომხები და შეუერთდნენ სპარსელებსაო (ქრონიკები, გვ. 314—315). ნამდვილად კი ეს განდგომა მოხდა 450 წელს. სომხებმა იეზდიგერდის წინააღმდეგ შემწეობა სთხოვეს თეოდოსი მცირეს, ის დაპირდა, მაგრამ მისმა მოადგილემ მარკიანემ, სპასპეტის ანატოლისა და ასური ელვარიანის რჩევით, უარი უთხრა მათ; ეს იყო მიზეზი ბერძენთაგან განდგომისა (ეღიშე ვარდაპეტი, III, 117—121).

2. პეროზ მეფემ (458—484) სომხებს გამოუგზავნა 9 კაცი მწვალებელი, მათ შორის იყო სევეროზიც, რომელთაც თან ჰქონდათ წიგნი იელიანე ჰალიკარნასელისა და ფილოქსენისაო (გვ. 316). სევეროსი და ფილოქსენი არიან მოღვაწენი მეექვსე საუკუნისა, ისინი მართლმადიდებლობას განუდგნენ 522 წლიდან. იმავე დროისაა იელიანე ჰალიკარნასელიც.

3. როდესაც პეროზს სომხებისაგან მოუთხოვია ან სჯულის გამოცვლა ან გადასახლება, მაშინ კათალიკოსად იყო ნერსე, რომელსა ეწოდა მეჯინ ან შუა (გვ. 316), ესე იგი ნერსე მეორე (524—553); სხვა ადგილას კი ამ ნერსეს ის თელის ხეასრო I-ის (577—579) თანამედროვედ (გვ. 322—323).

4. ამ ნერსეს არსენი თელის ქართლის კათალიკოსის კირიონის თანამედროვედ და ამ დროს ქართველ-სომეხთა ეკლესიური ცილობის დამწყებად (გვ. 319—320).

5. ხაჩეცარი და ალაჯორი სომხებში შემოიღოო, ამბობს არსენი, კათალიკოსმა ნერსე მეჯინმა, და ეს შემოღება თითქოს მომხდარა დვინის პირველ კრებაზე 527 წ. (გვ. 316—318), მაგრამ სხვა ადგილას აღნიშნავს (გვ. 323), რომ ეს მოხდა დვინის მეორე კრებაზეო (551 წ.).

---

1 თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, თბ., 1892, გვ. 313—332.

6. ნამდვილად ხაჩეკარი შემოღებულია მეხუთე საუკუნის გასულს, ხოლო ალაჯორი უძველესი აღმოსავლეთის მარხვაა, რომლის ფესვები შორეულ წარსულში უნდა ეძიოთ.

7. წყალშეურევნელი ღვინო ზიარებისათვის შემოიღო იოანე კათალიკოსმა მანასკერტის კრებაზეო 726 წ. (გვ. 323), ნამდვილად კი ამას, როგორც სომეხთა პრაქტიკის განმასხვავებელ მოვლენას, აღნიშნავს მეექვსე მსოფლიო კრების (692 წ.) აქტები"[2].

კ. კეკელიძის მიერ აღნიშნული ანაქრონიზმები ძირითადად გაიზიარა, სხვაც დაუმატა და თავ-თავის ადგილზე აღნიშნა ლ. მელიქსეთ-ბეგმა არსენი საფარელის თხზულების სომხური თარგმანისათვის დართულ კომენტარებში[3].

ლ. მელიქსეთ-ბეგის ნაშრომმა საშუალება მისცა კავკასიოლოგიაში მომუშავე იმ სპეციალისტებს, რომლებიც ქართულს თუ არა სომხურს მაინც ფლობდნენ, რომ გასცნობოდნენ და გაეზიარებინათ კ. კეკელიძის შეხედულებები. სტ. მალხასიანთან პაექრობაში, მოსე ხორენელის ქალკედონიტობის სასარგებლოდ არსენი საფარელის ცნობების გასაქარწყლებლად, ე. ტერ-მინასიანმა სწორედ ზემოთ მოტანილი შეხედულებები მოიშველია:

„საკმარისია სულ მცირე ყურადღებით წაკითხვა არსენი საფარელის ნაწარმოებისა იმის დასანახად, რომ მასში ყველაფერი ერთმანეთშია არეული, შეშლილია ქრონოლოგია და სომეხ კათალიკოსთა პირები-საქმიანობა: ნერსე II გამოდის ხან პეროზის თანამედროვე (458—484), ხან კირიონ ქართველთა კათალიკოსისა (VI—VII ს.), ხან სოსრო I-ისა (გარდ. 579 წ.). მარტო ის რად ღირს, რომ არსენის მიხედვით პეროზ მეფე 9 იაკობიტ მოძღვარს აგზავნის სომხეთში, რომელთა შორის არიან აბდიშო, ფილოქსენოს ნაბუკელი, იულიანოს ჰალიკარნასელი და სხვ., ყველა VI ს-ის მოღვაწენი[4].

ქვემოთ ყველა ამ ანაქრონიზმს ცალ-ცალკე განვიხილავთ იმავე თანმიმდევრობით, როგორც მოცემული აქვს კ. კეკელიძეს.

1.1. თ. ჟორდანია და კ. კეკელიძე არშაკის მეფობის მცდარ თარიღებს (392—396) ასახელებენ. მათთვის არკადი კეისრისა (395—408) და არშაკის მეფობის თარიღები 395—396 წწ-ში ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ ისინი ამ შემთხვევაში არსენის ნაწარმოებში ანაქრონიზმს ვერ ამჩნევენ.

დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ქრონოლოგიით არკადის კეისრობისა (395—408) და არშაკის მეფობის (378—387) თარიღებს შორის მცირე შეუსაბამობა აშკარაა და იგი შენიშნა კიდეც ლ. მელიქსეთ-ბეგმა. მანვე ეს ანაქრონიზმი იმავე რიგის ანაქრონიზმებს მიაკუთვნა, რომლებითაც, მისი აზრით, „სავსეა არსენის ნაშრომი"[5].

არკადი კეისრისა და არშაკ სომეხთა მეფის თანამედროვეებად დასახელება არსენის თხზულებაში შესაძლებლობას გვაძლევს მივაკვლიოთ ქართველი ისტორიკოსის სომხურ წყაროებს. მთელ ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში ამ ორ ისტორიულ პირს ერთმანეთის თანამედროვეებად აცხადებენ მხოლოდ მოსე ხორენელი და სებეოსი. სებეოსი არ უნდა იყოს არსენის წყარო, ვინაიდან მის „ისტორიაში" მხოლოდ თარიღებია დასახელებული („იმპერატორ არკადის მე-6 წელს... სომხეთში მეფდებიან არშაკი და ვაღარშაკი"; „არკადის

[2] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 140—141.

[3] Լ. Մելիքսեթ-Բեկ, վրաց աղբյուրները Հայաստանի յեվ հայերի մասին, I, Ցերեվան, 1934, գ.: 47—48, შენ. 27 და 11.

[4] Ե. Տեր-Մինասյան, Մովսես Խորենացու քաղկեդոնական լինելու առասպելի շուրջ: Պատմա-բանասիրական հետազոտություններ. Եր., 1971, գ. 241.

[5] Լ. Մելիքսեթ-Բեկ, վրաց աղբյուրները.... գ. 47, შენ. 2.

მე-9 წელი, არშაკისა და ვაღარშაკის — მე-3“)[6], ხოლო არსენი მოგვითხრობს კიდეც ამავე პერიოდში ბერძენთა, სპარსელთა და სომეხთა ურთიერთობის შესახებ.

ჯერ-ჯერობით არსენის წყაროდ შეგვიძლია მივიჩნიოთ მხოლოდ მოსე ხორენელი, რომლის ბევრად უფრო ვრცელ მონათხრობს მოკლედ და თავისებური ინტერპრეტაციით გადმოგვცემს არსენი საფარელი[7].

ამრიგად, **არსენი საფარელის ანაქრონიზმში „დამნაშავეა“ მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია“**[8]. მას ვერ მივაწერთ იმ ანაქრონიზმებს, რომლებითაც თითქოს სავსეა „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“. თავის მხრივ, აღნიშნულმა ქრონოლოგიურმა შეუსაბამობამ ჩვენ მნიშვნელოვანი სამსახური გაგვიწია არსენი საფარელის თხზულების ერთი წყაროს **დადგენაში.**

1.2. კ. კეკელიძის ვარაუდით, არსენი საფარელი IV საუკ-ის ბოლო ათეულში არკადი კეისარსა და **არშაკ** მეფეს მიაწერს იმ ამბებს, რაც სომხური წყაროების მიხედვით (ეღიშე) მოხდა V ს-ის II ნახევრის დასაწყისში, როდესაც ბიზანტიას ჯერ თეოდოსი მცირე მართავდა, ხოლო შემდეგ მარკიანე, ხოლო სომხეთში **უმეფობა იყო.**

არსენი საფარელის ცნობები **არსებითად** განსხვავდება ეღიშეს მიერ გადმოცემული 450 წლის ამბებისაგან. ამ ორ ცნობას საერთო მხოლოდ ისა აქვს, რომ ბერძნები **არ დაეხმარნენ სომხებს სპარსელების** წინააღმდეგ ბრძოლაში. **სამაგიეროდ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არსენი** მოკლედ გადმოსცემს იმას, რისი ამოკითხვაც **შეიძლება** მოსე ხორენელთან სწორედ IV საუკუნის მიწურულის ამბებთან **დაკავშირებით** არკადისა **და** არშაკის ზეობაში.

განყოფისათჳს	**მოსე ხორენელი**
„ქამთა არკადი მეფისათა ბერძენთა ზედა და სომხითს მეფობასა არშაკისსა იყვნეს სომეხნი ნაწილად ბერძენთა, სჯულსა ზედა მათსა მტკიცედ, ვითარცა ასწავა მათ წმიდამან გრიგოლი პართელმან. და სიმხნით ეპყრა ქუეყანაჲ მათ ფრიადითა ღუაწლითა მოახლეობისაგან სპარსთაჲსა, და მეფენიცა ბერძენნი შეეწეოდეს ლაშქრითა და ოდესვე მცველად უდგიან ძალითა დიდითა მახლობელად.	არკადი კეისრის ხელშეწყობით სომხეთის ბიზანტიურ ნაწილში ზის არშაკ III, ხოლო შაპუჰ სპარსთა მეფის დახმარებით სომხეთის სპარსული ნაწილი უკავია ხოსროს. სომხეთის ამ ორი ნაწილის მეფეთა შორის მოხდა შეტაკება. შაპუჰი და არკადი არცერთს არ დაეხმარნენ (არშაკის მომხრე ისტორიკოსის თვალში — ასეთია არსენი — არკადის საქციელი უფრო გაზვიადდა).
და ესრეთ იყო საქმე მათი: ხოლო მეფემან არკადი, ძემან თეოდოსისმან, დაიცონა საქმე მათი და მოერინეს სპარსნი სომეხთა და იოტნეს ქუეყანით მათით. და ლტოლ ვილნი მრავალ ქამ მწიროობდეს ელეკეციით კერძოთა ქუეყანათა და ეევდრებოდეს არკადის, რაჲთამცა მოუელინა ძალი, რომლითა შეუძლონ	არშაკი დამარცხდა და ეკელეცში გაიქცა (ეღიშეს ამის მსგავსი არაფერი აქვს), სადაც გარდაიცვალა კიდეც. ამით ისარგებლეს ბიზანტიელებმა და სომხეთის ამ ნაწილში მეფობა გააუქმეს. აღშფოთებულმა სომეხმა ნახარარებმა სპარსული ნაწილის მეფეს ხოსროს მიმართეს ერთგულების ფიცით და თავიანთი წარმომეული სამფლობელოების დაბ-

[6] Ներսեսի եպիսկոպոսի Պատմութիւն, Եր., 1939, გვ. 19.

[7] Մովսէսի Խորենացւոյ Պատմութիւն Հայոց, Տփ., 1913, III, §§ 41—46, გვ. 309—316.

[8] მსგავს შემთხვევებში შეიძლებოდა მსჯელობა კიდევ რაიმე შუალედური, დაკარგული წყაროს შესახებ, მაგრამ ამისათვის რეალური რამ საყრდენები არ გაგვაჩნია.

დაპყრობად ქუეყანაჲ მათი. მაშინ იძიეს ღონე სომეხთა და მოხარკე ექმნეს სპარსთა. და არწმუნეს მეფესა სპარსთასა ფიციისა მიერ და თაესდებით მოწყუედა ბერძენთაგან და შეერთებად მათდა. და განიხარა ფრიად მეფემან ესე და მრაველითა სიხარულითა და ბოძითა უკუნ-სცა ქუეყანაჲ მათი"[9].

რუნება სთხოვეს. ხოსრომ მათი თხოვნა დააკმაყოფილა, თვითონ კი არკადი კეისარს დაუახლოვდა და გაყოფილი სომხეთი დროებით გააერთიანა[10].

როგორც ვხედავთ, არსენი საფარელის ცნობები ემთხვევა მოსე ხორენელისას. განსხვავებული მხოლოდ ის არის, რომ ანტიბერძნული ძალების მეთაურად არსენი ხოსროს მაგიერ სპარსეთის მეფეს ასახელებს. მაგრამ ეს მისი საერთო პოზიციაა: გაამართლოს სომეხი ხალხი და მისი პოლიტიკოსები, ბრალი დასდოს ირანს.

არსენი საფარელის თხზულების მონაცემების შეხვედრა მოსე ხორენელის ცნობებთან ამით არა მთავრდება:

ხოსრო მეფის დაარსებულებამ არკადი კეისართან შეაშფოთა შაპუჰი და მის წინააღმდეგ დიდი ლაშქარი დასძრა არტაშირის მეთაურობით. „როდესაც **არკადიმ უარი** უთხრა ხოსროს მხარდაჭერაზე და ხოსრომ ვერავინ ნახა სხვა უცხო მეფეიაგან, შეშწედ, ეახლა მას (შაპუჰს), ვინაიდან აღარც წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო და აღარც მისგან ვაქცევა" ხოსრო ჩამოაგდეს ტახტიდან და მის მაგიერ სომხეთში ვრამშაპუჰი გაამეფეს. შაპუჰის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრემ არტაშესმა კვლავ დაიბრუნა ხოსრო სომხეთის მეფის ტახტზე[11].

არსენი საფარელს მოსე ხორენელის ვრცელი მოთხრობა სულ რამდენიმე წინადადებით აქვს გადმოცემული. ის მთლიანად სომხეთის შესახებ ლაპარაკობს და ამიტომ აღარ გამოყოფს ერთმანეთისაგან არშაკსა და ხოსროს. მთავარი მისთვის ის არის, რომ როდესაც ხოსრო ირანის ინტერესებს იცავდა, არკადი არ დაეხმარა არშაკს. არ დაეხმარა იგი ხოსროსაც, როდესაც მან ირანის წინააღმდეგ ერთობა შესთავაზა. სომეხი ნახარარები იძულებული გახდნენ მტერს დამორჩილებოდნენ. ამ გზით დაიბრუნეს მათ თავიანთი ქვეყნები[12].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლ. მელიქსეთ-ბეგმა მცდარად თარგმნა ერთი წინადადება ჩვენთვის ამჟამად საინტერესო კონტექსტიდან;

„მოერინეს სპარსნი სომეხთა და იოტნეს ქუეყანით მათით. და ლტოლვილნი მრავალ ჟამ შწირობდეს ელეკეცით კერძოთა ქუეყანთა".

ლ. მელიქსეთ-ბეგის თარგმანი:

„... պարսիկները հաղթեցին հայերին ու բշնցին իրենց յերկրից, **իսկ փախստականները Ցեկեղյաց (Ելեկեցի) [գաւառից] բազմիցս անցել են հարևան յերկիրները:** [13]

სპარსელებმა დაამარცხეს სომხები და განდევნეს თავისი ქვეყნიდან, ხოლო ეკელეცის გაეარიდან გაქცეულები ხშირად გადადიოდნენ მეზობელ ქვეყნებში.

---

9 თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, თბ., 1892, გვ. 314—315. ციტირებულია ჩვენ მიერ კრიტიკულად დადგენილი ტექსტიდან, იხ. ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, თბ., 1972.

10 Մովսէս Խորենացի, გვ. 309—316. გადმოცემულია მოკლედ, ჩვენი სიტყვებით.

11 იქვე, გვ. 319—321.

12 იხ. შაპუჰის ეპისტოლე სომეხი ნახარარებისადმი, Մովսէս Խորենացի, გვ. 311.

13 Վրաց աղբյուրները..., I, გვ. 35.

ლ. მელიქსეთ-ბეგმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა: 1. ვერ გაითვალისწინა მოსე ხორენელის ცნობა, რომელიც გვაუწყებს, რომ არშაკმა თავი შეაფარა სწორედ ეკელეცს და არა პირიქით. მან მცდარად დაათარიღა არსენის ცნობები (458—484) და, ცხადია, ანაქრონიზმი მიიღო. 2. არსენის ფრაზაში „ელეკეცით კერძოთა ქუეყანათა" ერთმანეთს დააცილა „ელეკეცი" და „კერძო", ხოლო მოქმედებით ბრუნვაში დასმული „ელეკეცით" გამოსვლითად მიიჩნია (შდრ. იმავე წინადადებაში „ქუეყანით მათით"). 3. წინადადება რომ აზრიანი გამოსულიყო იძულებული გახდა „კერძოთა ქუეყანათა" „მეზობელ ქვეყნებად" ეთარგმნა.

გაუჭირდა აღნიშნული ადგილის თარგმნა რუსულად მ. საბინინსაც. სხვა გარემოებებს თავი რომ დავანებოთ, მისთვის გაუგებარი აღმოჩნდა „ელეკეცი" (resp. „ეკელეცი"). ამიტომ ფრაზა თავისუფლად თარგმნა:

> Персы... напали на Армению и победили её. Жители Армении, избегшие оружия неприятельского, рассеялись по всем землям греческим"[14].

საქმე ის არის, რომ არსენი საფარელის ფრაზაში „კერძო" თანდებულია და ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით კანონზომიერად მოითხოვს შესაბამისი სახელის მოქმედებით ბრუნვაში დასმას („ელეკეცით კერძოთა"), რათა მიმართულება (-კენ, მხარეს) უჩვენოს[15]. არსენის წინადადება ახალ ქართულ ენაზე ასე უნდა გადმოვიღოთ:

> „სპარსელებმა დაამარცხეს სომხები და განდევნეს თავისი ქვეყნიდან. გაქცეულები ხშირად გადადიოდნენ ეკელეცის მხარის ქვეყნებში".

2: კ. კეკელიძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი და ე. ტერ-მინასიანი ფიქრობენ, რომ არსენი საფარელის ცნობით პეროზ სპარსელთა მეფემ (458—484) სომხებს გამოუგზავნა ისეთი ცხრა მწვალებელი, რომლებიც ნამდვილად VI საუკუნეში მოღვაწეობდნენ. ეს კი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ანაქრონიზმია.

აქ ჩვენ ერთი ზოგადი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ. არსენი საფარელის მთელს ნაშრომში, რომელიც ქრონოლოგიურად ხუთ საუკუნეს (IV ს-ის დამდეგი — VIII ს-ის დამდეგი) მოიცავს, სპარსეთის მხოლოდ ორი მეფეა სახელით მოხსენიებული: პეროზ და ხოსრო. მთლიანად თხზულება სტილისტურად ისე მჭიდროდ არის დაწერილი, ისეა ფოკუსირებული „განყოფილებიდმი" მკითხველის ყურადღება, რომ ისტორიული პირების დაუსახელებლობა, ან მათი ზოგადი სახელებით მოხსენიება (მეფე, კეისარი, სომეხთა კათალიკოსი, უპისკოპოსი და სხვ.), როგორც უმეტესად აკეთებს კიდეც ავტორი, ნაწარმოების ქრონოლოგიურად გამიჯვნას აძნელებს. ამის გამოა, რომ მკვლევრები ზოგჯერ ორი საუკუნის ფარგლებში ანაქრონიზმს დაუმსახურებლად მიაწერენ ხოლმე არსენი საფარელს.

სწორედ ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე განსახილველ შემთხვევაშიც. არსენის მიერ პეროზის დასახლებასა („აიძულნა მეფემან პეროზ სომეხნი მსახურებად სჯულსა ნისტორის ულმრთოჲსასა") და სპარსეთის მეფის მიერ ცხრა იაკობიტი მოძღვრის გამოგზავნას („ხოლო მეფე დაჯერებულ იქმნა და მიუვლინნა მოძღუარნი იაკობნი ბოროტნი ცხრანი...") შორის, თ. ჟორდანიას გამოცემის მიხედვით, მთელი ერთი ფურცელია თხრობა[16].

14 ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—24, გვ. 552.

15 იხ. ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, ნაწ. I, თბ., 1970, გვ. 304.

16 ქრონიკები, I, გვ. 315—316.

ჩვენი აზრით, არსენის ძალიან კარგად ესმოდა, რომ სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა ამბების შესახებ ლაპარაკობდა, როდესაც სპარსეთის მეფეთა მიერ სომხების გამონოფიზიტებაში ნათამაშები როლის შესახებ მოგვითხრობდა; ამას მოწმობს:

1). ცოტა მოგვიანებით, არსენი საფარელი იხსენებს იმ ამბებს, რის გამოც მას ანაქრონიზმი მიაწერეს, და ამბობს:

„რამეთუ სპარსთა მეფენი აიძულებდეს სომეხთა, რაჲთა განეშორნენ ბერძენთა სარწმუნოებასა, ვითარ პირველ ვაქსენეთ".

ცხადია, არსენის მხედველობაში აქვს ის ისტორია, რომელიც მან მოგვითხრო თ. ჟორდანიას გამოცემის 315—317 გვ-ზე, ე. ი. სწორედ ის, რაც მკვლევრებმა მას ანაქრონიზმად ჩაუთვალეს. როგორც ვხედავთ, არსენი საფარელმა მშვენივრად იცოდა, რომ V ს-ის II ნახევრიდან VI ს-ის II ნახევრამდე სპარსეთში რამდენიმე მეფე გამოიცვალა და ამიტომ ამბობს გარკვევით „სპარსთა მ ე ფ ე ნ ი აიძულებდეს სომეხთაო".

2). არსენის მიხედვით, სომხეთის მიმართ პეროზ მეფის რელიგიური პოლიტიკა სულ სხვა ხასიათისაა და სულ სხვა ხასიათისაა იმ სპარსეთის მეფის ქმედება, რომელმაც სომხეთში 9 მწვალებელი გაგზავნა.

„აიძულნა პეროზ სომეხნი მსახურებად სჯულსა ნ ი ს ტ ო რ ი ს უ ღ მ რ თ ო ჲ ს ა" — წერს არსენი. ნესტორიანობა უკიდურესი მემარცხენე დიოფიზიტური მიმდინარეობაა ქრისტოლოგიაში. წარმოუდგენელია, ეს არა სცოდნოდა არსენი საფარელს, კათალიკოსს, რომელიც მწვავე რელიგიურ-პოლიტიკურ პოლემიკაში ჩარევას კისრულობდა და ანტიმონოფიზიტური თხზულებაც დაწერა. მაგრამ იგივე არსენი საფარელი სპარსეთის მეფის მიერ გამოგზავნილი ცხრა მწვალებლის შესახებ გვამცნობს, რომ ისინი იყვნენ „მოძღუარნი ი ა კ ო ბ ნ ი ბ ო რ ო ტ ნ ი ცხრანი". იაკობიტობა მონოფიზიტობის მემარჯვენე სექტაა და, რა თქმა უნდა, არსენი მას ნესტორიანობაში არ აურევდა. დავანებოთ, ახლა თავი იმას, მართლა იაკობიტი იყო თუ არა არსენის მიერ ჩამოთვლილი ყველა მწვალებელი (რომ ყველა მონოფიზიტი იყო, ეჭვი არ არის); მთავარი ის არის, რომ **ა რ ს ე ნ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა მ ე ფ ი ს ა და ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა მ ო ვ ლ ე ნ ი ს შ ე ს ა ხ ებ ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ს**: სპარსეთის ორივე მეფეს (პეროზსა და ანონიმს) მიზნად ჰქონდათ სომხეთი სარწმუნოებრივად ბიზანტიისათვის ჩამოეცილებინათ. ამისათვის ერთი ნესტორიანობას სთავაზობდა, მეორე მონოფიზიტობის ერთ-ერთ სექტას — იაკობიტობას. მთავარი იყო, სომხებს აერჩიათ „ყოველთა ასურთაგან სჯული თჳნიერ მელქთაჲსა, რომელნი არიან სჯულითა ბერძენ".

უძველეს სომხურ წყაროებში (ეღიშეს „ვარდანელთა ისტორია", ლაზარე ფარპელის „სომხეთის ისტორია") არა გვაქვს რაიმე ცნობა V ს-ის II ნახევარში სომხეთში ნესტორიანობის გავრცელების თუნდაც ცდის შესახებ. ამიტომ იყო, რომ სტ. მალხასიანი კატეგორიულად უარყოფდა სომხეთში ნესტორიანობის არსებობის ნაკვალევსაც კი[17].

არსენი საფარელის ჩვენებას პეროზ მეფის მიერ სომხეთში ნესტორიანობის შეტანის შესახებ ამართლებს მხოლოდ ერთი ცნობა თომა არწრუნის „არწრუნთა სახლის ისტორიიდან" (X ს.).

---

[17] Ս. Մալխասյան, «Մ. Խորենացին քաղկեդոնական էր» հոդված, Տեղեկագիր ՀՍՍՀ ԳԱ, 1944, № 3—4, გვ. 39.

თომა არწრუნი

„პეროზ მეფეთა-მეფის დროს იყო ვინმე ბარწუმა, ნესტორის წვალების მიმდევარი, რომელიც ეპისკოპოსის სახელს ატარებდა და ნესტორიანულ წვალებას ძლიერ შეეპყრო. მან ცბიერებით სომეხთა ნახარარები პეროზთან წაასხა და მრავალი სისხლისმღვრელი ტანჯვა მიაყენა. მაშინ გაძლიერდა წმინდა გრიგოლის ბრწყინვალე საყდრისმპყრობელობით ქრისტაფორე კათალიკოსი, მისწერა ასურეთის მხარეში, რომ გაფრთხილებულიყვნენ და არ შერეოდნენ ნესტორიანებს, იგივე მისწერა ხუზისტანს შეკრებილ მართლმადიდებლებსაც. შემდეგ მისწერა დერჯანისა და ქალდიის ხევის მცხოვრებთ, ქეყნისმპყრობელ უფალთ და ეპისკოპოსებს. მისი წერილი ცბიერებით ხელთ იგდო ბარწუმამ, გაუგზავნა პეროზ მეფეს, და უთხრა: „ყოველივე, რასაც წერს სომეხთა კათალიკოსი და სომეხთა ნახარარებს ურჩევს, რომ შენ განიდგნენ და ბერძენთა მეფეს დაემორჩილონ, თვითონ უნდა ნახო". თვითონ ბარწუმა თავის ეასამართლებლად ჩავიდა არზნარზიესა და შოკელთა ქვეყანაში, რათა იქ დაეთესა თესლი ნესტორიანული"[18].

არსენი საფარელი

ხოლო ეშმაკმან, რომელი მარადის პბრძავს სიკუდილად კაცთა ნათესაესა, აღძრა ნათესავი უღმრთოჲ ნისტორის წვალებისაჲ და დიდძალითა ქრთამითა ოქროჲსაჲთა ითხოეს მეფისაგან კეთილად მიქცევად სომხითი სჯულსა მათსა. და ვანდრიკეს ეული მეფისაჲ და არწმუნეს ესრეთ, ვითარმედ: „რაკამს პოონ ჟამი სომეხთა მიქცევად კუალად ბერძენთავე, არა ერიდნენ ყოელადვე ფიცსა, არცა თავს-დებითა სიყუარულისათჳს და სიმტკიცისა სჯულისა, და მოიკიცხოს საქმე შენი მათ მიერ. არამედ უცავლე სჯული და დაპკრენ შორის მათსა სიყუარული უკუნისამდე, რომელიცა იქ�მახითა ეშმაკისაჲთა". და აიძულნა მეფემან პეროზ სომეხნი მსახურებად სჯულისა ნისტორის უღმრთოჲსაჲსა[19].

როგორც ვხედავთ, არსენის ტექსტი თომა არწრუნის მოთხრობისგან საგრძნობლად განსხვავდება, მაგრამ შეხვედრები მაინც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამ უკანასკნელს „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა"-ს წყაროდ გვავარაუდებინებს.

შეხვედრები: 1). პეროზ მეფის მრჩეველი (მრჩევლები) ნესტორიანია მრწამსით. 2). პეროზის მრჩეველი აფრთხილებს სპარსეთის მეფეს, რომ თუ იგი დროზე არ გადაწყვეტს სომხების საკითხს, ისინი კვლავ შეუერთდებიან ბერძნებს. 3). სპარსელები ცდილობენ სომხეთში ნესტორიანობა დათესონ.

განსხვავებები: 1). არსენისთან არა ჩანს, ვინ არის პეროზ მეფის მრჩეველი სომეხთა სარწმუნოების საკითხში. თომა არწრუნთან ეს არის ბარსუმა. 2). არსენისთან არა გვაქვს დეტალები ქრისტაფორე კათალიკოსის წერილების ხელში ჩაგდებისა და პეროზთან გაგზავნის შესახებ.

თუ არსენი საფარელის წყარო არის თომა არწრუნის „არწრუნთა სახლის ისტორია", მაშინ რას უნდა გამოეწვია ასეთი საგრძნობი განსხვავებები ამ ორი ძეგლის ჩვენებებს შორის?

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ არსენი საერთოდ ზოგადად გადმოსცემს ისტორიას, იშვიათად ასახელებს ისტორიულ პირებს. გარდა ამისა, თომა არწრუნის თხზულებაში სერიოზული ანაქრონიზმები გვაქვს: ქრისტაფორე კათალიკოსი VI ს-ის 30—40-იანი წლების მოღვაწეა, ხოლო პეროზ მეფე და ბარსუმა კი V ს-ის II ნახევრისა[20]. შესაძლოა, ითვალისწინებს ასეთ გარემოებას

[18] Թովմայի Վարդապետի Արծրունեաց Պատմութիւն տան Արծրունեաց, Պ., 1887, გვ. 80—81.

[19] ქრონიკები, I, გვ. 315.

[20] იხ. Ե. Տեր-Մինասյան, Նեստորականություն Հայաստանում: Պատմա-բանասիրական հետազոտություններ, Եր., 1971, გვ. 349—350.

არსენი საფარელი, რომელიც კარგად იცნობს „სომეხი კათალიკოსების სიას“[21], რომელშიაც V საუკ-ში ქრისტაფორე საერთოდ არ არის დასახელებული, და ანაქრონიზმის თავიდან ასაცილებლად გვერდს უვლის ბარსუმა-ქრისტაფორეს წყვილის დასახელებას.

მაშასადამე, დღემდე ჩვენთვის ცნობილ სომხურ წყაროთაგან არსენი საფარელის თხზულებას V ს-ის II ნახევარში სომხეთში ნესტორიანობის შეტანის ცდის შესახებ ცნობის პარალელი მოეპოვება მხოლოდ X საუკუნის სომეხი მწერლის თომა არწრუნის „არწრუნთა სახლის ისტორიას“[22]. სანამ სხვა რამ წყარო არ გამოჩენილა, უნდა ვივარაუდოთ, რომ არსენი საფარელი თავისი თხზულების წერისას ამ ნაწარმოებს იყენებდა. ასეთი ვითარება საფუძველს გვაძლევს ერთხელ კიდევ დავაყენოთ ეჭვქვეშ არსენი საფარელისა და არსენი დიდი კათალიკოსის იდენტიფიკაციის საკითხი[23].

3. ზემოთ დასახელებული სპეციალისტების აზრით, არსენი საფარელი სომეხთა კათალიკოს ნერსე II-ს, რომელიც ნერსე მიჯინის სახელითაც არის ცნობილი (524—553), შეცდომით ხან პეროზ მეფის თანამედროვედ თვლის, ხან ხოსრო I-სა (577—579).

3.1. კ. კეკელიძე და ლ. მელიქსეთ-ბეგი ნერსე II-სა და ხოსრო I-ის ზეობის თარიღებს მცდარად მიუთითებენ. თანამედროვე ქრონოლოგიით ნერსე II კათალიკოსობდა 548—557 წწ-ში, ხოლო ხოსრო I მეფობდა 531—579 წწ-ში. მათი მოღვაწეობა ერთმანეთს ემთხვევა და ამ მხრივ არავითარ ანაქრონიზმთან არა გვაქვს საქმე. ნერსე II-ისა და ხოსრო I-ის თანამედროვეებად გამოცხადებაში არსენი საფარელთან სოლიდარულია ყველა სომხური თუ არასომხური წყარო.

3.2. არსენი საფარელისათვის ნერსე II-ის პეროზ მეფის თანამედროვედ გამოცხადების მიწერა ისეთივე გაუგებრობის შედეგია, როგორიც იყო პეროზის მიერ 9 იაკობიტი მოღვაწის გამოგზავნის მიწერა, და ისტორიკოსის განთავისუფლებაც ამ „ბრალდებისაგან“ იმავე არგუმენტებით შეიძლება. ნერსე მიჯინის მოღვაწეობა არსენი საფარელთან უკავშირდება არა პეროზის მიერ სომხეთში ნესტორიანობის შეტანის ცდას, არამედ ანონიმი სპარსელი მეფის მიერ იაკობიტი მოძღვრების გამოგზავნას.

4. მართლები არიან არსენი საფარელის კრიტიკოსები, როდესაც წერენ, რომ არსენი საფარელი ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილების

---

[21] სიის ბერძნული და ძველი ქართული ვარიანტებისათვის იხ. G. Garitte, La Narratio de rebus Armeniae, Louvain, 1952, გვ. 408—409; ქართული ტექსტისათვის იხ. აგრეთვე თ. ყორდანია, ქრონიკები, I, გვ. 336—341.

[22] პეროზ მეფის დროს სომხეთზე ნესტორიანობის მოძალების შესახებ შეიძლება ირიბად მიუთითებდეს ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის 506 წლით დათარიღებული ეპისტოლე „სპარსელი მართლმადიდებლებისადმი“ (Գիրք թղթոց, Տփ., 1901, გვ. 41—46). ეპისტოლედან ჩანს, რომ პეროზის მეფობის 27-ე წლიდან სპარსეთში გაძლიერებული ნესტორიანები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ სხვა ქრისტიანული აღსარების მიმდევართათვის, რომ სომხური ეკლესია ნესტორიანულია. იხ. Ե. Տեր-Մինասյան, Նեստորականություն Հայաստանում, გვ. 354—356.

[23] იხ. ზ. ალექსიძე, არსენი საფარელის ტრაქტატის — „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ — დათარიღებისათვის: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის VIII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1966, გვ. 10; მისივე, „ნაწილი სომხითისაჲ“ არსენი საფარელის თხზულებაში „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“, მაცნე, № 2, 1972.

დასაწყისად მიიჩნევს ნერსე II-ის ხანას (VI ს-ის შუა წლები). ამ ადგილას არსენის მართლაც აქვს ცდა შეკუმშოს მოვლენები ისე, რომ ნერსე II-ისა და კირონ ქართლის კათალიკოსის (VII ს-ის დამდეგი) ზეობა ერთმანეთს დაუახლოვდეს. მიუხედავად ამისა, იგი მაინც კეთილსინდისიერად აღნიშნავს:

„და ესე ცილობაჲ იყო შორის სომეხთა და ქართველთა დღეთა ნერსე კათალიკოზისა სომეხთასა და აღსრულებასა ნერსესსა. ნერსე, რომელსა ეწოდა „შუაჲ", განვიდა ბოროტად ცხორებისაგან და დაჯდა აბრაჰამ საყდარსა მისსა. და განდევნა კჳრიონ ქართლისა კათალიკოზმან მოსე ეპისკოპოსი ცურტაველისაჲ..."

როგორც ეხედავთ, არსენი საფარელმა ძალიან კარგად იცის, რომ საეკლესიო განხეთქილება ქართველებსა და სომხებს შორის მოხდა აბრაამისა და კირონის დროს. მაგრამ მას არ შეუძლია დაუშვას ქართველთა რელიგიური ერთობა სომხებთან თუნდაც „დღეთა ნერსე კათალიკოზისა სომეხთასა და აღსრულებასა ნერსესსა". საქმე ის არის, რომ სომეხთა მონოფიზიტობა ქალკედონური სამყაროსათვის აშკარა გახდა ნერსე მიჯინის მიერ მოწვეული დვინის ადგილობრივი საეკლესიო კრების შემდეგ. ბუნებრივია, რომ ქართველებს, თუ კი სურდათ დაესაბუთებინათ ქალკედონიანობისათვის არასოდეს არ გვიღალატიაო, უარი უნდა ეთქვათ მთელი VI ს-ის მეორე ნახევრის მანძილზე სომხებთან რელიგიურ ერთობაზე და ემტკიცებინათ — მაშინვე დავუპირისპირდითო სომხებს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ილუზია ანაქრონიზმისა, რომელიც მკითხველს ექმნება არსენი საფარელის ნაწარმოების შესაბამისი ადგილის კითხვისას.

5—6. კ. კეკელიძესთან მეხუთე და მეექვსე ჯგუფად გაყოფილი ანაქრონიზმები შეიძლება გაერთიანდეს და პასუხი ერთად გაეცეს, ვინაიდან ფაქტიურად იქ მსჯელობაა ერთიდაიმავე საკითხის შესახებ: რას ამბობს არსენი სომხურ სამღვდელთმსახურო პრაქტიკაში ხაჩეცარისა და ალაჯორის შემოღების შესახებ და როგორია ნამდვილი ვითარება.

კ. კეკელიძე მიუთითებს, რომ ხაჩეცარი და ალაჯორი არსენი საფარელს ხან დვინის I (527 წ.) კრებაზე ჰგონია შემოღებული, ხან კი II-ზე (551 წ.), როდესაც სინამდვილეში ხაჩეცარი შემოღებულია V ს-ის გასულს, ხოლო ალაჯორის „ფესვები შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ". სხვა ავტორები არსენი საფარელის თხზულებაში ასეთი ანაქრონიზმის შესახებ არაფერს ამბობენ.

5—6.1. კ. კეკელიძე მცდარი და დიდი ხნის მოძველებული ქრონოლოგიებით სარგებლობს როგორც ნერსე II-ის ზეობის, ისე დვინის კრების თარიღების განსაზღვრისას (შესაძლოა იგი თ. ჟორდანიას კომენტარებს შეჰყავს შეცდომაში). სომხური ეკლესიის მეცნიერულმა ისტორიამ დვინის 527 წლის ადგილობრივი კრების შესახებ არაფერი იცის და ამ წელს დიდად არის დაცილებული ნერსე მიჯინის მოღვაწეობის ხანაც (548—557).

5—6.2. არსენი საფარელი ოთხჯერ მოგვითხრობს ნერსე II-ის დროს შემდგარი დვინის საეკლესიო კრების შესახებ. ორ შემთხვევაში იგი კრებებს რიგით სათვალავსაც აძლევს:

I. „არამცირედი აღთქუმაჲ ყო ხუასრო მეფემან ნერსე კათალიკოზისა მომართ, რომელსა ეწოდა «შუა» (ესე არს სომხურად «მიჯინ»). რომლითა შეარყია უგულისჴმოჲ გული მისი, ქმნა კრება პირველი დვინს და ვანეშორნეს სჯულითა ბერძენთა და იერუსალემს"[24].

[24] ქრონიკები, I, გვ. 322—323.

2. „აუწყა ნერშაპო ეპისკოპოსმან ნერსე კათალიკოზსა, რომელი იყო აშხარაკალი (resp. აშტარაკელი) — ესე იყო ბოროტად მწვალებელი — და პეტრეს ეისმე ქერდულსა, სხუათაცა ეპისკოპოსთა და აზნაურთა, და ბრძანეს მეორედ კრებაჲ დიდი ყოფად მუნვე დვინს მისეე ნერსეს ზე"[25].

არსენის ცნობა ერთადერთია, რომელიც ნერსე II-ის დროს დვინში კრების ორჯერ მოწვევას გვაუწყებს, თუმცა კრებების დღის წესრიგი, ოთხივე ჩვენების მიხედვით, იდენტურია (მეტ-ნაკლები დეტალებით).

საგულისხმოა, რომ სომხეთის ეკლესიის ისტორიის ცნობილ მკვლევარს კ. ტერ-მკრტჩიანს დვინში ნერსეს დროს კრების ორჯერ მოწვევის ვარაუდი გაუჩნდა სომხური წყაროების ირიბ ჩვენებათა ანალიზის შედეგადაც[26].

საქმე შემდეგშია. რამდენიმე სომხური წყარო გვაუწყებს, რომ სომხური ეროვნული წელთაღრიცხვა შემოღებულ იქნა ნერსე II-ის დროს დვინის კრებაზე:

1. იოანე ოძუნელი, „სომხეთში შემდგარ კრებათა შესახებ":

„სომეხთა წელთაღრიცხვის დასაბამს უფალმა ნერსემ მეექვსე კრება მოიწვია დვინში — თავისი კათალიკოსობის მე-4 წელს, ხოსრო სპარსელთა მეფის შეფობის 24-ე წელსა და იუსტინიანე კეისრის მე-14 წელს, ეს კრება უფალმა ნერსემ ქალკედონის კრების საწინააღმდეგოდ მოიწვია"[27].

2. ასოღიკი, „მსოფლიო ისტორია":

„მან (ნერსემ) თავისი პატრიარქობის მეოთხე წელს და მეკეკის მთავრობის მეათე წელს, მოიწვია კრება ქალაქ დვინში. კრებას მეთაურობდნენ პეტრე სივნიელთა ეპისკოპოსი ქერდოლი და ნერშაპუ ტარონიდან. დაადგინეს სომხთა წელთაღრიცხვა მე-14 წელს იუსტინიანესი, რომელმაც წმინდა სოფია ააშენა, და სპარსელთა შეფის ხოსრო კავატის ძის 24-ე წელს, როდესაც იზიტ-ბოზიტი აღესრულა ქრისტეს მიერ. სომხები იმ წელსა და იმ დროს ვანდგნენ ბერძნებთან ზიარებისაგან... ჩვენი მაცხოვრის დაბადებიდან ღვინის კრებამდე და სომეხთა წელთაღრიცხვამდე გავიდა ჯუმლად 553 წელი, წმინდა გრიგოლის მიერ განათლებიდან, რომელიც არის სომხეთში ღმრთისმეცნიერების დასაბამი, 252 წელი"[28].

3. ვარდან დიდი, „მსოფლიო ისტორია":

„ვასილის (ბასილ II) დროს იყო ფოტი, რომელმაც წერილი მოსწერა [სომხებს] და უთხრა, რომ [ჩვენ] შორის წინააღმდეგობა არ იყო [იმ] უკანასკნელ ნერსემდე, რომელმაც დადო სომხური წელთაღრიცხვა ასმეოთხე წელს, რომელმაც შემდეგ კრება მოიწვია დვინში აბდიშო ასურის მიერ, რომელიც სასუნიდან მოსულიყო..."[29]

ვარდანის ცნობა განსაკუთრებით საგულისხმოა იმით, რომ იგი ახდენს ფოტიოსის წერილის ციტირებას, რომლის ჩვენამდე მოღწეულ ძველ სომხურ ტექსტში ნერსეს მიერ სომხური წელთაღრიცხვის დადების შესახებ არაფერია ნათქვამი.

---

25 ქრონიკები, I, გვ. 324—325.

26 Կարապետ Թ. Վարդապետ, Հայոց եկեղեցւոյ պատմութիւն, Վ., 1908, გვ. 205—218.

27 Գիրք թղթոց, გვ. 221.

28 Ստեփանոսի Տարօնեցւոյ Ասողկան՝ Պատմութիւն տիեզերական, Պ., 1885, გვ. 82—83.

29 Մեծին Վարդանայ, Պատմութիւն տիեզերական, 1861, გვ. 115.

ყველა მოტანილ წყაროს უპირისპირდება სხვა ცნობები (იოანე დრასხანაკერტელი)[30], რომლებზე დაყრდნობითაც სომხურ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ სომხურ ეროვნულ კალენდარს საფუძველი დაუდო მოსე ელიეარდელმა (574—604).

კ. ტერ-მკრტჩიანის მოსაზრებით, სომხური წელთაღრიცხვის 552 წლიდან დაწყება იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ ამ დროს მართლაც შემდგარა კრება სომხეთში. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი 554 წლიდან უნდა იწყებოდეს. მანვე აჩვენა, რომ პირველ მოწვევაზე (552?) ყველა სომეხი ეპისკოპოსის შეგროვება ვერ მოხერხებულა, რის გამო ხუჟიკი ნესტორიანების დასაგმობლად საჭირო გახდა ეპისკოპოსების კვლავ შეკრება (554). შესაძლოა პირველ შეკრებაზე მხოლოდ კალენდრის საკითხი განიხილესო, ასკვნის კ. ტერ-მკრტჩიანი[31]. სომხური კალენდრის შექმნას როგორც ნერსე, ისე მოსე კათალიკოსების სახელს უკავშირებს ჰრ. აჭარიანიც[32].

ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ VI ს-ის შუა ხანებში დვინში ორი საეკლესიო კრება იყო და თარიღები წყაროებში არეულია უკვე IX საუკუნეში. ამის დამადასტურებლად მას მიაჩნია წყაროების განსხვავებული ცნობები კრებაზე განხილული ძირითადი საკითხის (ქალკედონიტობა თუ ნესტორიანობა) შესახებ: „ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ 555—6 წ. დვინის კრება, როდესაც ერთობის აღთქმა დაიდვა და ნესტორიანთა წინააღმდეგ იყო მიმართული, სხვა კრებაა და ქალკედონიანთა საწინააღმდეგო დვინის კრება კიდევ სხვა კრება უნდა ყოფილიყო. ეს უკანასკნელი კრება სომეხთა წელთაღრიცხვის პირველ წელიწადს, ანუ 551—2 წ. მომხდარა, ნერსესის კათალიკოზობის მეორე, თუ მეოთხე ინდიქტიონს, ე. ი. 550, ან 551—2 წ. სწორედ ამ წელიწადს უწამებიათ და მოუკლავთ იზიდ-ბოზიდი“[33].

არსენი საფარელის თხზულება ყურადღებას იპყრობს სწორედ იმით, რომ ყველა არსებულ წყაროთაგან ერთადერთი პირდაპირ მიუთითებს ნერსე II-ის დროს შემდგარი ორი კრების შესახებ სომხეთში. მართალია არსენისთან სომხური კალენდრის შემოღების შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ სხვას რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები, რომლებიც მან ათქმევინა დვინის კრების მესვეურებს: „ესე არს დღე პირველი სარწმუნოებისა ჩუენისაო“[34]. ჩანს, არსენი ვარაუდობდა, რომ სომხები დვინის კრებიდან იწყებდნენ თავიანთ ეროვნულ წელთაღრიცხვას სწორედ იმიტომ, რომ ქალკედონის კრებასაც მაშინ განუდგნენ.

ამრიგად, სავსებით შესაძლებელია, რომ არსენი საფარელის ცნობა დვინში მოწვეული ორი კრების შესახებ სწორია, ოღონდ ამ კრებების თარიღები უნდა იყოს 551 და 554 წლები და არა — 527 და 551. სავსებით შესაძლებელია, რომ სომეხი სამღვდელოებისათვის ამ ორ შეკრებას საბოლოოდ ერთი კრების

---

[30] Հովհաննու Կաթողիկոսի Դրասխանակերտցւոյ Պատմութիւն Հայոց, Մ., 1853, გვ. 65.

[31] Հայոց եկեղեցւոյ պատմութիւն, გვ. 211—212.

[32] Հայոց անձնանունների բառարան, III, Եր., 1946, გვ. 434.

[33] ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, გვ. 62. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვება დვინის კრებისა და იზიდ-ბოზიდის მარტვილობის თარიღებზე მეტად საყურადღებოა. რაც შეეხება მის ამოსავალ დებულებას ნესტორიანობა-ქალკედონიტობის ერთმანეთში აურევლობის შესახებ მონოფიზიტის მიერ, შდრ. ეპისტოლეთა წიგნი, 1968, გვ. 018—020.

[34] ქრონიკები, I, გვ. 318.

მნიშვნელობაც მიეღო[35]. ასეთ შემთხვევაში, არსენის ბრალს ვეღარ დავდებთ, რომ ხაჩეცარისა და ალაჯორის შემოღებას ხან ერთ კრებას მიაწერს და ხან მეორეს.

5—6.3. მონოფიზიტური თეზისისი ὁ σταυρωθεὶς δι' ἡμᾶς სამღვდელთმსახურო პრაქტიკაში პეტრე მკაწრვალის (Κναφεύ, Fulon) შემოღებულად ითვლება. „სამწმიდაობის“ ფორმულისათვის („წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო“) „რომელი ჩვენთჳს ჯუარს ეცუ“-ს დამატება ქალკედონურმა ეკლესიამ სამების ჯვარცმულად გამოცხადებად მიიჩნია, რის გამოც მათ მონოფიზიტებს „თეოპასქიტები“ შეარქვეს.

როდესაც არსენი საფარელის ანაქრონიზმზე მიუთითებს, კ. კეკელიძე ეყრდნობა კ. ტერ-მკრტჩიანის ვარაუდს, რომ „ხაჩეცარი“ („ჩვენთვის ჯვარცმულო“) სომხურ სამღვდელთმსახურო პრაქტიკაში შემოსულია V ს-ის II ნახევარში იოანე მანდაკუნის დროს და არა ნერსე II-ის მიერ დვინის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე. კ. ტერ-მკრტჩიანის არგუმენტი ასეთია: „ხაჩეცარი“ იხსენიება ნერსე II-ის ეპისტოლეში სირიელებისადმი[36], რომელიც დვინის II კრებაზე ადრე უნდა იყოს დაწერილი. ამდენად სომხებს იგი უფრო ადრე ჰქონიათ შეთვისებული, ვიდრე ამას წყაროები გვიდასტურებენ[37].

კ. ტერ-მკრტჩიანის არგუმენტები არ არის საკმარისი წყაროთა ჩვენებების გასაბათილებლად: 1. სომხური, ბერძნული და ქართული ტრადიცია „ხაჩეცარის“ დვინის II კრებაზე შემოღების შესახებ ძალიან მტკიცეა. ასე აქვთ იოანე ოძუნელ-სიბრძნისმოყვარეს[38], სამუელ ანელს[39], სტეფანოზ ორბელიანს[40], Narratio-ს[41], ფოტიოს პატრიარქს[42], არსენი საფარელსა და სხვ. 2. არ არის საკმარისად დასაბუთებული, რომ ეპისტოლე დაიწერა ნამდვილად დვინის კრებაზე ადრე. 3. ეპისტოლე კრებაზე ადრეც რომ იყოს გაგზავნილი, მხოლოდ ორი წლით ადრე თუ იქნება შედგენილი, რადგან ნერსე მიჯინი 548/9 წწ-ში გახდა კათალიკოსი და ამ წერილში „ხაჩეცარის“ შეტანა შეიძლებოდა გაგვეხილა სწორედ როგორც კრებისათვის ნიადაგის მომზადება. ცხადია, მას რომ დოგმატური ფორმულის ძალა შეეძინა, კრებას უნდა დაემტკიცებინა.

5—6.4 „არაჯორი“ ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება სხვა ფორმებითაც: „არაჯვორი“, „ალაჯორი“. ბერძნები მას უწოდებენ ἀρτοκλασία-ს. ყველა ეს სახელწოდება წარმომდგარია სომხური მარხვის სახელიდან *աւաջաւոր* (არაჯა-

---

[35] შდრ. ტრულის 692 წლის კრების კანონები, რომლებსაც კონსტანტინეპოლის VI მსოფლიო კრების (680—681 წწ.) კანონებად თელიან ხოლმე. დვინის კრების თარიღებთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე Ն. Ակինեան, Պետրոս եպիսկոպոս Սիւնեաց, Հանդէս Ամսօրեայ, 1903, გვ. 252; 1904, გვ. 18—20.

[36] Գիրք թղթոց, გვ. 56.

[37] Կնիք հաւատոյ, Էջմ., 1914, გვ. LXXIII—LXXV.

[38] Գիրք թղթոց. გვ. 221.

[39] Սամուէլի քահանայ Անեցւոյ Հաւաքմունք ի գրոց պատմագրաց, Վաղ., 1893, გვ. 73.

[40] Պատմութիւն Նահանգին Սիսական, Թիֆ., 1911, გვ. 97. სტეფანოზი ნერსეს მაკიერ მოსე კათალიკოსს ასახელებს.

[41] Narratio..., გვ. 35—36.

[42] Թուղթ Փաւտայ պատրիարքի առ Զաքարիայ կաթուղիկոս Հայոց: ППСб., XI, в. 1, С.-Пет., 1892, სომხური ტექსტი, გვ. 121, რუსული თარგმანი—გვ. 229.

ვორ) -f(ქ). ქართულად იგი ითარგმნება როგორც „წინასწარი“, „წინამავალი“, „პირველი“[43].

სომხურ საეკლესიო პრაქტიკაში „არაჯავორ“ არის მარხვა, რომელიც წინ უსწრებს „დიდმარხვას“ სამი კვირით, ხოლო აღდგომას 70 დღით[44]. ზოგი სპეციალისტი ამ მარხვის სახელწოდებას მართლაც ასე შიფრავს: „დიდმარხვის წინასწარი“.

ქალკედონიტმა პოლემისტებმა „არაჯავორის“ („ალაჯორის“) მარხვას დამცინავი ისტორია შეუთხზეს, თითქოს იგი დაეწესებინოს პეტრე ანტიოქელს თავისი ძაღლის (სახელად „ალაჯ“) მოსახსენიებლად. აღნიშნული ვერსია ქართულ პოლემიკურ მწერლობაშიც დამკვიდრდა[45].

კირაკოზ განძაკელს შემონახული აქვს ნერსეს შნორალის (1166—1173) „სარწმუნოების წერილი“, რომელშიც იგი სომხურ საეკლესიო პრაქტიკას იცავს ქალკედონური ეკლესიის ბრალდებებისგან. სხვათა შორის იგი ეხება „არაჯავორქის“ მარხვასაც. ლეგენდა, რომლის გაბათილებასაც წარმატებით ცდილობს ნერსეს შნორალი, ოდნავ განსხვავდება ქართული ვარიანტისაგან. მასში ძაღლის პატრონია პეტრეს ნაცვლად სარგისი (არაჯავორის მარხვისა და სურბსარგისის // სუფსარქისის დამთხვევამ სხვადასხვა ლეგენდა ერთმანეთში აურია).

ჩვენთვის ამჟამად უფრო საინტერესოა, თუ როგორ ხსნის ნერსესი „არაჯავორქ“-ის მარხვას.

> „ხოლო არაჯავორქი იმიტომ ეწოდება, რომ სომხეთის პირველი მარხვაა. ამის მიზეზი ასეთია: ჩვენი წმინდა გრიგოლ განმანათლებელი როცა ხაროდან ამოვიდა და მის წინაშე შეიკრიბა თრდატ სომეხთა მეფე, ღმერთის სასჯელით ეშვის სახე მიღებული, ყველა მთავარი და ერი ეშმაკეული, დაუდგინა ყველას ხუთდღიანი მარხვა უსნილობით, რათა არაფერი ჭამონ ნინეველთა მსგავსად. ასე განიკურნენ ისინი მის მიერ. ეს მარხვა, რომელიც ამის გამო დაადგინა წმინდა გრიგოლმა, თვით განმანათლებელმა გარდამოსცა სომხურ ეკლესიას“[46].

ამრიგად, სადაც არ უნდა იყოს საძიებელი „ალაჯორის“ ფესვები, ერთი რამ უდავოა: სომხური ტრადიცია მას ეროვნულად და მხოლოდ სომხური ეკლესიისათვის დამახასიათებლად მიიჩნევს. მაგრამ ეს ტრადიცია გვიან არის გაჩენილი და უძველეს წყაროებში გამართლებას ვერ პოულობს. ასეთი მარხვა საერთოდ არა გვხვდება ძველ სომხურ და უცხო წყაროებში. ამიტომ ძნელია დღეს რაიმე ითქვას გარკვევით, როდის იქნა „ალაჯორის“ მარხვა შემოღებული. ქართულ ენაზე არსებული პოლემიკური ლიტერატურა კი უფრო გვიანდელ თარიღზეც მიუთითებს, ვიდრე არსენი საფარელი. მაგალითად, „თავნი ოცდაათნი სომეხთა წვალებისანი“ მისი შემოღების თარიღად მანაზკერტის კრებას (726) ასახელებს[47]. ცხადია, ამის შემდეგ ა რ ს ე ნ ი ს ც ნ ო ბ ი ს ა ნ ა ქ რ ო-

---

[43] იხ. Л. Меликсет-Беков. Грузинский извод сказания о посте „араджавор“, ХВ., V, в. II, 1917, გვ. 78—79.

[44] В. Болотов, Об армянском церковном годе. ХВ, I, გვ. 269, 271.

[45] იხ. „პეტრეს მკაწრვალისაჲ და ალაჯისთჳს თხრობა“, საქართველოს სამოთხე, გვ. 629—631; Л. Меликсет-Беков, Грузинский извод..., გვ. 85—90.

[46] Կիրակոս Գանձակեցի, Պատմութիւն Հայոց, Եր., 1961, გვ. 144—145.

[47] იხ. ზ. ალექსიძე, არსენი ვაჩეულიძის „დოგმატიკონში“ შესული ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი და მისი გამოძახილი ძველ სომხურ მწერლობაში: მრავალთავი, I, თბ., 1971, გვ. 154.

ნიზმად გამოცხადება სპეციალური ძიების გარეშე, მეტი რომ არა ვთქვათ, ჩვენი ისტორიკოსის ღვაწლის დაუფასებლობა იქნებოდა.

7. არსენი საფარელის ტრაქტატის ერთ-ერთ ანაქრონიზმად კ. კეკელიძეს მიაჩნია ცნობა იოანე კათალიკოსის მიერ მანაზკერტის 726 წლის კრებაზე წყალშეურევნელი ღვინით ზიარების შემოღების შესახებ.

7.1. მანაზკერტის კრების კანონების VIII მუხლი ითვალისწინებს კანონს ზიარებისათვის უცომო პურისა და წყალშეურევნელი ღვინის გამოყენების შესახებ[48]. თუ კი არსენი ამ კრების კანონებს იცნობდა, სრული უფლება ექნებოდა ეთქვა ის, რაც თქვა კიდეც:

> „ქმნა კრებაჲ სომეხთა კათალიკოზმან იოანე მანაწკერტს და წყლისა-რთეაჲ და პურისა ცომი გააშორნა წმიდასა საიდუმლოსა და ბალარჯი და ურწყოჲ დაამტკიცა, რომელი არა ესწავა წმიდათა კრებათაგან პირველთა და წინა-აღუდგა საღმრთოთა წერილთა“[49].

7.2. V მსოფლიო კრების (ტრულის 692 წლის კრების) კანონების 32-ე მუხლი მართლაც მიძღვნილია სომხების საეკლესიო პრაქტიკაში ზიარებისათვის წყალშეურევნელი ღვინის გამოყენების წინააღმდეგ. საქმე შემდეგშია: ზიარების ღვინოში წყლის გარევა დიოფიზიტებისათვის ქრისტეს ორი ბუნების — ღვთაებრივისა და კაცებრივის სიმბოლოა. წყალგაურეველი ღვინო („ურწყო“) ქრისტეს მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებაზე მიუთითებს და მონოფიზიტების სიმბოლოა. ცხადია, ეკლესია, რომელიც დოგმატურ პლატფორმას შეიცვლის, შეცვლის საწესო პრაქტიკასაც. მთელი VII საუკუნის მანძილზე, ეზრა კათალიკოსიდან მოყოლებული, სომხეთში საკათალიკოსო საყდარზე ხან ქალკედონიტები სხედან და ხან კი მონოფიზიტები. უპირატესობა ქალკედონიტებს აქვთ კიდეც. აი, ასეთი მდგომარეობა საბოლოოდ გასწორდა იოანე ოძუნელის დროს მანაზკერტის 726 წლის კრებაზე, როდესაც სომხურმა ეკლესიამ უკვე სამუდამოდ მიიღო მონოფიზიტური დოგმატიკაცა და ლიტურგიკაც. ყველაფერი ეს ზუსტად აისახა XI ს-მდე სომხური წყაროებიდან მხოლოდ ასოღიკის „მსოფლიო ისტორიაში“:

> „მან (იოანე ოძუნელმა) კრება ჰყო ქალაქ მანაზკერტში, ჰარქის საზღვარზე, მთელი სომხეთის ეპისკოპოსებითურთ (რომელთა შორისაც იყვნენ არშარუნთა ქორეპისკოპოსი გრიგორის ფილოსოფოსი და ასურთა ექვსი იაკობიტი ეპისკოპოსი მათი პატრიარქის ბრძანებით), სმბატის მთავრობის დროს, რომ გაეწმინდათ ჩვენი ქვეყანა ორბუნებიან ქალკედონიანთა აღთქმისა და გარდამოცემისაგან, რომელიც ცომით და წყლით ბილწავდა წმინდა საიდუმლოს, ხოლო თევზით, ზეთითა და ღვინით — დიდმარხვას და სხვა დაკანონებულ დღეებს, რაც ეზრადან აქამდე დარჩენილიყო სომეხთა ქვეყანაში, ბერძენთა ნაწილში. ეს ყველაფერი მოიშორეს როგორც ძველი ცომი და განსაზღვრეს სარწმუნოების აღსარება: ერთი ბუნება განხორციელებული სიტყვა-ღმრთისა, წმინდა საიდუმლოს აღსრულება ცომისა და წყლის გარეშე, მარხვის დღეების წმინდად შესრულება“[50].

ამრიგად, არსენი საფარელს, ისტორიული სიტუაციის გათვალისწინებით, სრული უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ ზიარებისათვის წყალგაურეველი ღვინო შემოიღო იოანე კათალიკოსმა 726 წლის მანაზკერტის კრებაზე. ის-

---

48 Կանոնագիրք Հայոց. Ա, 1964, გვ. 510.
49 ქრონიკები, I. გვ. 323.
50 Պատմութիւն տիեզերական, გვ. 102—103.

ტორიული სიტუაცია კი, რომელსაც ის ანგარიშს უწევდა, თვითონ მის თხზულებაშივე კარგად არის ასახული (იხ. ცნობები ეზრა და ნერსე III კათალიკოსების შესახებ). როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ასევე ამჯერადაც არსენი საფარელი ანგარიშს უწევს სომხურ წყაროებს, რომელთაგან უძველესი, ჩვენთვის ახლა მნიშვნელოვანი თვალსაზრისით არის ასოღიკის „მსოფლიო ისტორია", რომელიც XI ს-ის დამდეგს დაიწერა.

ამით ჩვენ ამოვწურეთ ე. წ. ანაქრონიზმებთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც დასმულია სამეცნიერო ლიტერატურაში. როგორც დავინახეთ, სპეციალისტებმა დაუმსახურებლად მიაწერეს სერიოზული ანაქრონიზმები ჩვენს ისტორიკოსს ან მის რედაქტორ-გადამწერებს. *არსენის ანაქრონიზმების კვლევამ ისეთ წყაროებამდეც მიგვიყვანა, რომელთა გამოყენებას ვერ შეძლებდა IX საუკუნის მოღვაწე არსენ დიდი კათალიკოსი.* არსენი საფარელი უფრო გვიან მოღვაწე ქართლის კათალიკოსებს შორის უნდა ვეძებოთ.

З. М. БУНИЯТОВ

МАТЕРИАЛЫ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ В СОЧИНЕНИИ КУТБ АД-ДИНА АЛ-ЙУНИНИ «ЗАЙЛ «МИР'АТ АЗ-ЗАМАН»

Средневековые арабские источники хранят в себе много таких сведений, которые часто раскрывают современному исследователю новые интересные страницы из истории наших предков, их жизни и деятельности. Часто эти сведения можно перепроверить и сопоставить с материалом местных хроник и сочинений, но иногда они доносят до нас неизвестный факт или событие, которые не имеют параллелей в местных источниках и от этого их значение возрастает. И таким образом история народа пополняется новой, и иногда весьма ценной страничкой, которая заставляет исследователя заново взглянуть на известное и дополнить его тем, что обнаружено недавно.

Подобного рода материал, отчасти известный по другим источникам, но частично совершенно новый, дает нам сочинение Кутб ад-Дина Мусы ибн Мухаммада ал-Йунини (ум. в 1326 г.) «Зайл «Мир'ат аз-заман» («Дополнение к «Зеркалу времен»). Как отмечает сам ал-Йунини, он поставил себе задачу дополнить сочинение Шамс ад-Дина Йусуфа Сибта ибн ал-Джаузи (1186—1256), который закончил его изложением событий 654 г. х., т. е. годом, когда его застала смерть[1].

Сочинение ал-Йунини охватывает политические события, происходившие в 654—686 гг. х. (1256—1287) в Иране, Ираке, на Кавказе, в Малой Азии, Сирии, Палестине и Египте после монгольского нашествия. Особый интерес это сочинение представляет для историков, занимающихся изучением деятельности администрации государства Хулагуидов в захваченных монголами странах.

Сочинение Кутб ад-Дина ал-Йунини состоит из четырех частей. Издано оно в Хайдарабаде (Индия) Османийским университетом[2].

Во время правления второго ильхана Абака-хана (1265—1282) среди потомков Чингиз-хана разгорелась междоусобная борьба: правитель чагатайского улуса Барак (1266—1271) сделал попытку вторгнуться в иранские владения Абака-хана, что соответствовало также желаниям и стремлениям золотоордынского хана Менгу-Тимура (1266—1280). Зимой 1267/68 гг. Барак направил к Абака-хану своих послов, которые имели, кроме всего прочего, чисто разведывательные задания. В их числе было указание Барака, установить контакт с внуком Чагатая — царевичем Тегюдером, который со своим личным тюменом нахо-

---

[1] Cl. Cahen, Ibn al-Djawzi, EI, NE, стр. 752—753.

[2] ذيل مرآة الزمان للشيخ قطب الدين موسى بن محمد اليونيني، المجلد الاول —١٩٥٤؛ المجلد الثاني—١٩٥٥؛ المجلد الثالث—١٩٦٠؛ المجلد الرابع—١٩٦١، حيدر آباد الدكن الهند،

дился на службе у Абака-хана. Эмиссары Барака передали Тегюдеру специальную стрелу (тогана), в которой находилось послание следующего содержания: «Да ведает Тегюдер-ага, что я собрал многочисленное войско и иду на владения Абака-хана. Надеюсь, что когда он поднимется, чтобы отразить меня, ты не пойдешь вместе с ним и сделаешь так, что у него не будет возможности сойтись и сразиться с нами, дабы мы каким угодно путем захватили его владения»[3].

Ознакомившись с посланием Барака, Тегюдер возвратился в Грузию, которая считалась его владением, где и стал ожидать развития событий. Затем, посоветовавшись со своими эмирами, Тегюдер направился через Дербенд на соединение с Бараком. Однако на пути к Дербенду он был перехвачен войсками Абака-хана под командованием Ширемюна и Абатая и без боя отошел в Грузию. Здесь, по сообщению Рашид ад-Дина, в одном из лесов Тегюдер был окружен грузинскими войсками и по предложению царя Давида вышел из леса, был настигнут войсками Ширемюна, разбит и взят в плен.

Осенью 1269 г. Тегюдер был доставлен к Абака-хану, который сослал его на остров на оз. Урмия. Из заточения Тегюдер вышел через год, после разгрома Барака и до самой смерти находился под надзором в ставке Абаки[4].

Отмеченные события нашли свое отражение и в сочинении грузинского историка XIV в., где они обрамлены весьма любопытными деталями[5].

Ниже приводится сообщение ал-Йунини о восстании Тегюдера и участии грузинских войск в его подавлении.

I

том II, стр. 410. Рассказ о важнейших событиях этого [667] года, имевших место в странах Севера и ал-Аджама.

Среди них (событий) было восстание Тегюдера — сына дяди Барака, а говорят, его брата[1] — против Абака-хана. Причиной этого было то, что Барак отправил своему дяде секретное [послание], в котором наказывал ему выйти из повиновения Абака-хану и примкнуть к Менгу-Тимуру.

Абака узнал об этом и вызвал к себе упомянутого (Тегюдера), но тот отказался прибыть. С упомянутым находилось некоторое число войск Абаки, который вытребовал их к себе. Они ответили ему положительно, ибо боялись его (Абаки).

Тегюдер (стр. 411) направился с ними в сторону земель Менгу-Тимура, и когда войска достигли округов Тбилиси, то здесь они оказали ему неповиновение. Их было три тысячи всадников. Они отправили человека к Абаке и уведомили его об этом. Абака собрал вельмож своего государства и стал с ними советоваться. Они посоветовали ему послать войска для его (Тегюдера) преследования.

Абака выслал Абатая[2] с тремя тысячами всадников и вызвал с этой целью Перване[3] и Самагара[4] с войсками. Когда эти войска прибыли, то к ним присоединился Абатай и число войск достигло тридцати тысяч.

---

[3] Рашид ад-Дин, Сборник летописей, т. III, пер. А. К. Арендса, М., 1946, стр. 72.

[4] См. Рашид ад-Дин, стр. 72; ср. А. А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII-XIV вв., Баку, 1956, стр. 256; I. A. Boyle, Dinastic and politicae history of the H-Khons. The Saljuq and Mongol Periods, Cambridge, 1968, стр. 356—357.

[5] См. Histoire de la Georgie I, 2,, стр. 575—583.

Они вступили в страну Папа Саргиса — владетеля (малик) Грузии[5], который присоединился к ним с двумя тысячами всадников.

Когда стороны встретились, то войска Тегюдера были разбиты и он бежал, спасаясь, с тремястами всадниками[6]. Остальная часть его войск перешла на сторону Абаки. Тегюдер направился в сторону Грузинских гор[7], где росли ядовитые растения. Его кони объелись ими и погибли. У него осталось только 14 лошадей и он направился к Абаке, сдался ему и тот помиловал его.

Затем Абака направился в страну. Папа Саргиса и завладел рядом ее крепостей, которые были захвачены грузинами у ал-Малика ал-Ашрафа ибн ал-Адыля[8] — да помилует его Аллах! Это — крепости Беркри (بركرى), Мамреван (مامرون) и Олти[9] (اولتى). В них находилось некоторое число грузин и муслимов. Грузины ушли из крепостей, а мусимы остались. Войска Абаки возвратились [после этого] в свою орду, а Самагар и Перване — в свою страну.

II

Следующее сообщение ал-Йунини касается пленения грузинского царя в 672 г. х. (1273/4) в Палестине, когда он направлялся на поклонение святым местам.

том III, стр. 32. Рассказ об аресте грузинского царя[10].

Он выехал из своей страны в одежде монаха, намереваясь посетить благородный Иерусалим. С ним было немного людей из числа его приближенных. Он проследовал через страну ар-Рум и прибыл в Сис[11], откуда на корабле прибыл в Акку[12]. Отсюда он выехал в Иерусалим.

О его намерении узнал находившийся в Яффе[13] эмир Бадр ад-Дин ал-Хазинадар[14], который направился к нему, чтобы задержать его. Когда он (царь) попал к нему в руки, то он отправил его (царя) с эмиром Рукн ад-Дином Менгюбарсом к султану[15].

Он прибыл в Дамаск 14 раби' I (672 г. х.)[16]. К нему пришел султан и стал расспрашивать его до тех пор, пока тот не признался, [что он царь Грузии]. Затем [султан] заточил его в одну из башен дамасской крепости и приказал ему отправить от себя в свою страну [людей], которые оповестили бы о его пленении. И он отправил двух человек.

ПРИМЕЧАНИЯ

1. Тегюдер был сыном Муджи Яя, внуком Чагатая и правнуком Чингиз-хана. Барак был сыном Йисун-Дувы, внуком Мутугена, правнуком Чагатая и праправнуком Чингиз-хана.

2. Абатай-нойан — один из военачальников монголов, командовал центральным тюменом их войск. Умер в июле 1280 г.

3. Му'ин ад-Дин Сулейман Перване — вазир Сельджукского государства Малой Азии. В правление Хулагу-хана был назначен наместником монголов в Румском султанате. 2 августа 1277 г. был казнен по приказу Абака-хана за тайный сговор с мамлюкским султаном Египта Бейбарсом против монголов.

4. Самагар-нойан — был монгольским шихной и командующим монгольскими войсками в Румском султанате. Умер в 1282 г.

5. Грузинский анонимный историк (Жамтаапмцерели) также называет князя Саргиса Джакели Папа Саргисом (Картлис цховреба, II, Тб., 1959, стр. 246, 248 (на груз. яз); Histoire de la Georgie, 1, 2, стр. 563). Имя Папа носил и другой Джакели (внук Кваркваре) Иване (см. Картлис цховреба, II, стр. 214; Histoire de la Georgie, 1, 2, стр. 533). Быть

может Папа Саргис именовался монголами Маликом потому, что его владение Самцхе было независимым от царской власти (см. История Грузии, т. I, Тбилиси, стр. 242—243).

6. Магакия дает цифру в 700 всадников (см. История монголов инока Магакии, СПб., 1871, стр. 54).

7. По сообщению епископа Степаноса Тегюдер «пошел в Абхазию и скрылся там» (см. Армянские источники о монголах, М., 1962, стр. 36). Мхитар Айриванеци сообщает, что «Тегюдер бежал в Сванетию» (там же, стр. 91; ср. Ибн Халдун, Ибар, V, стр. 1155).

8. Ал-Малик ал-Ашраф Музаффар ад-Дин Муса ибн ал-Адыль (1182—1252) — эйюбидский владетель Джазиры, Дамаска и Хомса. Некоторое время владел Хилатом и рядом грузинских крепостей.

9. Все эти крепости находятся в Южной Грузии.

10. Установить имя этого царя не удалось. Вероятно, это был один из царевичей багратиони.

11. Сис — современная Адана на юге Турции.

12. Акка — город в Палестине, на берегу Средиземного моря.

13. Яффа — прибрежный город в Палестине.

14. Эмир Бадр ад-Дин Бейлик ал-Хазинадар — командующий войсками и наместник султана Бейбарса в Сирии. Отравлен 7 августа 1277 г.

15. Речь идет о мамлюкском султане ал-Малике аз-Захире Рукн ад-Дине Бейбарсе ал-Бундукдари (1260—1277).

I

ذكر ماتجدد فى هذه السنة (٦٦٧)
من حوادث بلاد الشمال و العجم

منه عصيان تاكودر بن عم برق وقيل اخوه على ابغا وسبب ذلك ان برق بعث الى عمه سرًّا يشير عليه ان يخرج من طاعة أبغا و ينضم الى منكوتمر فاطلع ابغا على ذلك فاستدعى المذكور فامتنع من الحضور و كان بقربه طائفة من عسكر أبغا فبعث طلبهم فأجابوه خوفًا منه فرحل / بهم نحو بلاد منكوتمر خلما بلغوا اعمال تفليس اظهروا الخلف عليه و كانوا ثلاثة آلاف فارس و بعثوا الى أبغسا يعرفونه فجمع اكابى دولته و استشارهم فاشاروا بارسال عسكر يقفوا اثره فبعث أباطى و معه ثلاثة آلاف فارس و استدعى البرواناه و صمغار ومن معهما من العساكر فلما حضروا اردف بهم أباطى فلحقوه فكانت عدتهم ثلاثين الفا و دخلوا بلاد باباسركيس مالك الكرج و عضدهم بالفى فارس، فلما التقى الجمعان كانت الكسرة على تاكودر ونجا بنفسه فى ثلاثمائة فارس و انحاز باقى عسكره اى عسكر أبغا و أخذ تاكودر نحو جبال الكرج وكان بها نبات مسموم فرعته دوابه فهلكت فلم يبق معه غير أربعة عشرفرسًا فقصد أبغا مستسلما فصفا عنه، ثم قصد أبغا بلاد بابا سركيس و استولى منها على قلاع كان قد تغلب عليها الكرج و اخذوهامن الملك الاشرف بن العادل رحمه الله و هى بركرى و قلعة مامرون و قلعة اولتى وكان بها بعض الكرج و طائفة من المسلمين فجلا الكرج عنها وابقى المسلمين و عاد عسكر أبغا الى اردوه و صمغار و البرواناه الى بلادهم

II

ذكر قبض ملك الكرج

كان قد خرج من بلاده قاصداً زيارة القدس الشريف فيزى الرهبان و معه جماعة من خواصه، فسلك بلاد الروم الى سيس و ركب فى البحر الى عكّا ثم خرج منها الى بيت المقدس فاطلع الامير بدر الدين الخزندار وهو على يافا—على امره، فبصث اليهمن قبض عليه؛ فلما حضر بين يديه بعث بهمع الامير ركن الدين منكوبرس الى السلطان فوصل دمشق فى رابع عشر جمادى الاولى، فأقبل عليه السطان و سأله و استنزله حتى اعترف، فحبسه فى برج من ابراج قلعة دمشق، و أمره ان يبعث من جهته الى بلاده من يصرفهم بأسره، فبعث نفرين.

თინათინ ჟუთელია

ზაგემში მოჭრილი მონეტები

XVII ს. სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის თხზულებამ „თარიხ-ე ალამ-არა-ჲე აბბასი“ („ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორია“) შემოინახა ცნობები კახეთის სამეფოში მონეტის მოჭრის შესახებ. შაჰ-თაჰმასბ I საქართველოში ლაშქრობებთან დაკავშირებით ისტორიკოსი წერს, რომ „შვიდი საქართველოდან კახეთმა, ქართლმა, მესხეთმა, რომელთა ურწმუნო ქართველები რჯულის მოსახელთებელთა (ე. ი. ყიზილბაშების) ისრებით დაიხოცნენ, ქედზე მორჩილების უღელი დაიდგეს. იმათმა მმართველებმა ქვეშევრდომობა იკისრეს, იმ დიდებული ბატონის ხელიდან მიიღეს ძალაუფლება, ხარაჯისა და ჯიზიას გადახდა დაივალეს, ხუტბა იმ სახელოვანი და მაღალადგილოვანი ბატონის სახელზე აღავლინეს და ფულიც იმის სახელით დაამშვენეს“[1] (ხაზი ჩვენია — **თ. ჟ.**).

როგორც ცნობილია, ხუტბისა და სიქის უფლება სპარსეთის სეფიან ხელმწიფეთა უმნიშვნელოვანესი რეგალია იყო და ამ უფლების ხელშეუხებლობას ისინი მკაცრად იცავდნენ: სეფიანთა ირანის ტერიტორიაზე და მისი გავლენის სფეროში ვერავინ გაბედავდა საკუთარი მონეტის მოჭრას, თუ არა სეფიანი შაჰის სახელით[2]. ასე რომ მონეტის მოჭრა შაჰის სახელით ნიშნავდა შაჰის ხელისუფლებისადმი ვასალური დამოკიდებულების აღიარებას ქართული სამეფო-სამთავროებისაგან. ამჟამად ამ საკითხის პოლიტიკური და იურიდიული ასპექტები არ წარმოადგენს ჩვენი განხილვის საგანს, ისქანდერ მუნშის ზემოთ მოყვანილ ცნობაში **ჩვენთვის საინტერესოა თვით ფაქტი** კახეთის სამეფოში მონეტის მოჭრისა.

კახეთის სამეფოში ფულის **მოჭრის** შესახებ მეორე ცნობაც შემოგვინახა ისქანდერ მუნშიმ: ჰიჯრის 1011 **წელს** (=1602—1603 წწ.) კახეთის მეფე ალექსანდრე (1574—1605 წწ.) ეახლა შაჰ-აბას I (1567—1629), რომელსაც ერევნის ციხისათვის ალყა ჰქონდა შემორტყმული, „ხელში აიღო თაბახი ოქროს ფულებით, რომელიც თავის ქვეყანაში მოეჭრა შაჰის სახელზე, და თავზე დააფრქვია ხელმწიფეს, როგორც ეს წესჩვეულებად აქვთ საქართველოში, სადაც ხელმწიფეს თავზე აფრქვევენ [ფულს]“[3].

ამგვარად ეჭვგარეშეა, რომ XVI—XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში ფული იჭრებოდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებამდე კახეთის სამეფოში მოჭრილი

---

[1] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბილისი, 1959, გვ. 14.

[2] Reginald St. Pool, Catalogue of Coins of the Shahs of Persia in the British Museum, London, 1887, გვ. XX.

[3] ისქანდერ მუნში, გვ. 43. ეს წესი დაკავშირებული ყოფილა მეფედ კურთხევასთან, იქვე, გვ. 61.

მონეტები არ იყო ცნობილი. მხოლოდ რამოდენიმე წლის წინ აზერბაიჯანელმა ნუმიზმატმა ა. რაჯაბლიმ ბირკიანის (ახმეტის რაიონი, პანკისის ხეობა) განძის ორ მონეტაზე ამოიკითხა ზარაფხანის სახელწოდება „ზგმ“, რომელიც მაშინვე დ. კაპანაძის მიერ გაიგივებულ იქნა კახეთის ქალაქ ზაგემთან[4].

ვიძლევით ბირკიანის განძის ამ ორი მონეტის აღწერილობას.

ორივე მონეტა აბაზია.

I. № 11952. წონა — 7,52 გ, დიამეტრი — 22 მმ (სურ. № 1).

Av. წერტილოვან და ხაზოვან რკალებში ჩასმული სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი შიიტური ფორმულით:

لا اله الا الله محمد رسول الله علی ولی الله

არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამედი მოციქულია ალლაჰისა, ალი თანაგამზრახია ალლაჰისა.

Rv. ასეთივე რკალებში მოქცეული ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი (თარიღის მხოლოდ ორი უკანასკნელი ციფრია შერჩენილი):

بندهٔ شاه ولایت صفی ضرب زگم ۳۹

სიწმინდის ხელმწიფის მონა სეფი. იჭედა ზაგემს. [10]39 (=1629—30 წწ.).

2. № 11953. წონა — 7,47 გ, დიამეტრი 21 მმ (სურ. 2).

Av. ისეთივე როგორც № 1.

Rv. ხაზოვან რკალში ჩასმულია ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი (თარიღის მხოლოდ ორი უკანასკნელი ციფრია შერჩენილი).

هست از جان غلام شاه صفی ضرب زگم ۴۱

სულით და გულით შაჰის მონა სეფი. იჭედა ზაგემს. [10]41 (=1631—32 წ.).

აღწერილი მონეტების ზურგზე მოთავსებული ფორმულა ცნობილია არა მარტო შაჰ-სეფის სახელით მოჭრილ მონეტებზე, არამედ მის პირად ბეჭდებზეც. სიტყვები „სიწმინდის ხელმწიფე“ და „შაჰი“ გულისხმობს შიიტების სათაყვანებელ იმამ ალის[5].

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟის, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმისა და აზერბაიჯანის ისტორიის მუზეუმის ფონდებში მივაკვლიეთ შაჰ-აბას I სახელით მოჭრილ ვერცხლის 42 მონეტას, რომლებზედაც აღბეჭდილია ზარაფხანის სახელწოდება ზაგემი. ამ მონეტათა უმრავლესობის აღმოჩენის ადგილი ცნობილია: ისინი შეადგენენ ამბროლაურის[6], რაჭის[7] და ჭიკაანის[8] განძების ნაწილებს. საქართველოს ტერიტორიაზე უნდა იყოს აღმოჩენილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკური განყოფილების ძირითად ფონდში

---

[4] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 139; თ. ქუთელია, კახეთის სამეფოს უცნობი ზარაფხანა, „ძეგლის მეგობარი“, № 23, 1970, გვ. 31.

[5] ვ. ფუთურიძე, სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი I, თბ., 1961, გვ. 44, 47.

[6] საქ. სახელმწიფო მუზეუმი, საინვენტარო №№ 7122, 7123, 7125, 7126.

[7] საქ. სახელმწიფო მუზეუმი, საინვ. №№ 3573, 3574, 3576, 3577, 3578, 3580, 3586, 3594, 3599, 3606.

[8] სახელმწიფო ერმიტაჟი, საინვენტ. №№ 33495, 33498, 33499, 33501, 33502, 33522, 33523, 33524.

დაცული ზაგემის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტებიც, რომელთა აღმოჩენის ადგილი ცნობილი არ არის[9].

42-ივე მონეტა ვერცხლის აბაზიანებია. მათი წონა მერყეობს 7,76 გრამიდან 7,49 გრამამდე; საშუალო წონა 7,64 გრამია, რაც ძალიან ახლოა აბაზის იმდროინდელ სტანდარტთან (7,7 გ.)[10]. ერმიტაჟის 3 მონეტაზე იკითხება თარიღი — ჰიჯრის 1012 წ. (=1603—4 წწ.)[11]. მონეტები სხვადასხვა სიქითაა მოჭრილი, მაგრამ ლეგენდები ყველასათვის საერთოა.

Av. ხაზოვან რკალში მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი შიიტური ფორმულით:

لا اله الا الله محمد رسول الله علی ولی الله

არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამედი მოციქულია ალლაჰისა, ალი თანაგამზრახია ალლაჰისა.

ზოგიერთ მონეტაზე სიტყვა رسول (მოციქული) შეცვლილია ექვივალენტური სიტყვით نبی

Rv. უბეებიან რკალში მოცემულია ხუთსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი:

بندهٔ شاه ولایت عباس ضرب زگم

სიწმინდის ხელმწიფის მონა აბასი. იჭედა ზაგემს.

ზოგიერთი მონეტის არე შემკულია წერტილოვანი ყვავილებით. ზოგიერთი მონეტის ავერსზე და იშვიათად რეკერსზეც აღბეჭდილია ნიშანი ან (სურ. № 6). ანალოგიური ნიშნები ცნობილია სელჩუკების[12], ჯუჩიდების[13] და ჯელაირიდების[14] მონეტებზე. ზოგი ავტორი მათ ქალაქის ნიშნად სთვლის[15], სხვები უბრალოდ დამღას უწოდებენ.

ზარაფხანის სახელწოდების დაწერილობა ოთხი სხვადასხვა ვარიანტითაა წარმოდგენილი. მეხუთე ვარიანტი მოცემულია ბირკიანის ვანქის ზემოთ აღწერილ მონეტებზე.

პირველი ვარიანტი زگم : — „ზ გ მ “.

ე. პახომოვი ამ სახელწოდებას კითხულობდა РКМ-დ, გახმოვანების გარეშე. ასეა წარწერილი ე. პახომოვის ხელით პაკეტზე, რომელშიც ინახება მის კოლექციაში მოხვედრილი მონეტა ამბროლაურის განძიდან. აშკარაა, რომ მკვლევარმა უგულებელყო გრაფემა „ზ“-ს წერტილი, რომელიც მან ალბათ

---

9 ძირითადი ფონდი, აღმოსავლური მონეტები, საინვ. №№ 2479, 2480, 2481, 2490, 2491, 2492, 2493, 2494, 2495.

10 А. М. Раджабли, Монетное дело в сефевидском государстве (XVI—начало XVIII вв.), автореферат, Баку, 1963, გვ. 11.

11 სახელმწიფო ერმიტაჟი, საინვ. №№ 33495, 33496, 33497.

12 А. К. Марков, Инвентарный каталог мусульманских монет Императорского Эрмитажа, СПб., 1896, გვ. 179, 384.

13 Ch. M. von Fraehn, Die Münzen der Chane vom Ulus Dschutschi's oder von der Goldenen Horde, St. Peterburg, 1852.

14 А. К. Марков, Каталог джелаиридских монет, СПб,, 1897.

15 H. L. Rabino di Borgomale, Album of Coins, Medals, Seals of the Shahs of Iran (1500—1948), Oxford, 1951, გვ. 31.

მონეტის მინდვრის შემკულობად მიიჩნია და „ზ“ (ز) წაიკითხა როგორც „რ“ (ر). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განძების ფონდში დაცული მონეტები (საინვენტარო № 3574 და № 3577) ეჭვს აღარ ტოვებენ ჩვენი წაკითხვის სისწორეში (სურ. № 3, № 4). მათი სამონეტო მინდორი სადაა და წერტილები ნაწილდება ასოებს შორის.

პირველი ვარიანტით ზაგემის სახელწოდება მოცემულია 19 მონეტაზე.

მეორე ვარიანტი زكم — „ზ გ მ“.

პირველი ვარიანტისაგან განსხვავდება — „გ“ (گ) ფორმით და გარდა ამისა „გ“, გადაჭრილია სიტყვა بنده - ს ასო „ნ“-ით (ن) რაც ერთი შეხედვით აძნელებს „გ“-ს ამოცნობას. როგორც ჩანს, ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ ა. მარკოვმა თავის დროზე ჭიკაანის განძის მონეტებზე ამგვარი დაწერილობა წაიკითხა როგორც „რემმ“ (رمّ), მიიჩნია რა გრაფემა „გ“-ს (گ) ბოლო თარიღის ციფრად — I[17], თუმცა ამით თარიღი 5-ციფრიანი გამოვიდა: 21011 (თარიღი მონეტაზე უკუღმაა დაწერილი. უნდა იყოს 1012. იხ. სურ. № 5). ა. მარკოვის წაკითხვა გაიმეორეს ე. პახომოვმა და ო. კოდრინგტონმა. ამ უკანასკნელმა ა. მარკოვის „რემი“, რატომღაც, შეცვალა „რიმით“ და მოახდინა მისი ლოკალიზაცია ფარსისტანში, ქურთების რაიონში[18].

მეორე ვარიანტით ზაგემის სახელწოდება მოცემულია 4 მონეტაზე.

მესამე ვარიანტი زكم — „ზ გ მ“.

ეს დაწერილობა წინა ორი ვარიანტისაგან განსხვავდება „ზ“-ს (ز) **ადგილით**. იგი სიტყვის ბოლოშია გადატანილი (სურ. № 6): ცალკეული ასოების გადაადგილება სეფიანების დროის მონეტებზე ჩვეულებრივი მოვლენაა. საყურადღებოა, რომ ეს დაწერილობაც ა. მარკოვმა „რემად“ წაიკითხა[19] ისევე, როგორც ზემოთ განხილული.

ამგვარი დაწერილობა სულ 9 მონეტაზეა მოცემული.

მეოთხე ვარიანტი زكم — „ზ გ მ“.

აქაც „ზ“ (ز) გადატანილია სიტყვის ბოლოში მესამე ვარიანტის მსგავსად, მაგრამ მისგან განსხვავდება გრაფემა „გ“-ს (گ) გამოსახულებით (სურ. № 7).

ა. მარკოვმა ასეთ მონეტაზე ზარაფხანის სახელი ვერ განსაზღვრა და მოცემული აქვს მხოლოდ გადმონაწერი[20].

ზაგემის დაწერილობის მეოთხე ვარიანტი 10 მონეტაზეა მოცემული.

ზარაფხანის სახელწოდების ჩვენი წაკითხვის სისწორეს უეჭველსა ხდის რაჭის განძის შემადგენლობაში მოხვედრილი მონეტა № 3576, რომლის ორივე მხარეზე ორი სხვადასხვა რევერსის სიქაა დარტყმული. ერთ მათგანზე ზაგე-

---

[17] А. К. Марков, Инвентарный каталог мусульманских монет Имп. Эрмитажа СПб., 1896, გვ. 712, № 82, (ერმიტაჟის საინვ. №№ 33495, 33496, 33497); Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. VIII, Баку, 1959, გვ. 84.

[18] O. Codrington, A Manual of Musliman Numismatic, London, 1904, გვ. 159.

[19] А. К. Марков, დასახ. ნაშრ., გვ. 713, №№ 91 (ერმიტაჟის საინვენტ. № 33500), 92 (№ 33499), 93 (№ 33502), 94 (№ 33498, 33501).

[20] А. К. Марков, იქვე, №№ 88 (ერმიტაჟის № 35522), 89 (33523), 90 (33524).

1

2

3

4

5

6

7

8

მის ზარაფხანის სახელწოდება პირველი ვარიანტითაა მოცემული, ხოლო მეორეზე — მეოთხე ვარიანტით.

ვიძლევით ამ საინტერესო მონეტის აღწერილობას.

ვერცხლის აბაზი, წონა — 7,70 გ, დიამეტრი —23—25 მმ (სურ. № 8).

ერთი მხარე: უბეებიან ჩარჩოში მოთავსებული ხუთსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი:

بندهٔ شاه ولایت عباس ضرب زگم

სიწმინდის ხელმწიფის მონა აბას. იჭედა ზაგემს.

ზარაფხანის სახელწოდება პირველი ვარიანტითაა მოცემული.

მონეტის არე წერტილოვანი ვარდულებითაა შემკული.

მეორე მხარე ისეთივეა, როგორც პირველი. მონეტის არე სადაა. ზარაფხანის სახელწოდება მეოთხე ვარიანტითაა მოცემული.

მეხუთე ვარიანტს განეკუთვნება ბირკიანის განძის ზემოთ აღწერილი 2 მონეტა.

ისტორიული წყაროების მიხედვით XVI საუკუნეში ზაგემი, გრემსა და თელავთან ერთად წარმოადგენდა კახეთის მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს[21]. ქართული წერილობითი წყაროები ამ პუნქტს არ ასახელებენ[22], მაგრამ მის შესახებ ცნობები უხვადაა გაბნეული XVI—XVII საუკუნეების უცხოურ წყაროებში.

XVI ს. სპარსელი ისტორიკოსი ჰასან რუმლუ წიგნში „ახსან ათ-თავარიხ“ („უმშვენიერესი ისტორიათაგანი“) ლევან კახთა მეფეს უწოდებს „ზაგემისა და გრემის ჰაქიმს“[23]. ისქანდერ მუნში წერს, რომ ზაგემი არის კახეთის მეფეების „სატახტო ადგილი და იმ სამეფო გვარის ადგილსამყოფელი“[24]. XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი 1578 წლის ამბების აღწერისას ალექსანდრე კახთა მეფეს მოიხსენიებს, როგორც „ზაგემ და გრემად წოდებული ორი დიდი ქალაქისა და საქართველოს რამოდენიმე პროვინციის სახელოვან ემირს“[25]; იგივე ავტორი რამოდენიმე ადგილას წერს: „ზაგემის მფლობელი ლევან ხანის შვილი ალექსანდრე ხანი“[26].

„ჯეჰანნუმას“ კავკასიის რუკაზე საქართველოს სხვა ქალაქებს შორის მოხსენიებულია ზაგემიც[27]. ზაგემის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ გოლშტინიელი ელჩი შაჰის კარზე ადამ ოლეარიუსი კა-

---

21 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 76.

22 გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზაგემი ქართულ წყაროებში მოხსენიებული ქალაქი ბაზარია, იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, მ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ს ხ ი ა, პ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1958, გვ. 293.

23 ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 26.

24 ი ს ქ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი, გვ. 57.

25 იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბილისი, 1964, გვ. 42.

26 იქვე, გვ. 61, 72.

27 გ. ა ლ ა ს ა ნ ი ა, საქართველო — „ჯეჰან-ნუმას“ კავკასიის რუკაზე, „მაცნე“, № 2, 1971, გვ. 105.

ხეთს მოიხსენიებს Seggen-ის სახელწოდებით[28]. ალექსანდრესა და თეიმურაზ კახთა მეფეების კარზე მყოფი რუსი ელჩები ზაგემს თვლიან კახეთის საუკეთესო ციხედ[29], რომელშიც კახეთის მეფეები იღებდნენ რუსეთის ელჩებს[30] და რომელშიც თეიმურაზის დროსაც კი, კახეთის აოხრების შემდეგ, ქარვასლა შერჩენილა[31].

კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე ზაგემი აღნიშნულია საინგილოში, ზაქათლის სამხრეთით 20 კმ მანძილზე, სოფელ თასმალოსთან, გზაჯვარედინზე, სადაც თავს იყრის სამი მიმართულებით მიმავალი გზები: ჩრდილოეთით — ალიაბადისაკენ, სამხრეთით — ალიბეგლოსაკენ და დასავლეთით — კახისაკენ. წერილობითი წყაროების ანალიზით სწორედ აქ უნდა არსებულიყო კახეთის სამეფოს ქალაქი ზაგემი[32]. ჰასან რუმლუსა და ისქანდერ მუნშის ცნობების მიხედვით, ზაგემი მდებარეობდა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, შირვანში მიმავალ გზაზე, ალაზნის მარცხენა ნაპირას: 1520—21 წწ. ლევან კახთა მეფის წინააღმდეგ შაჰს გამოუგზავნია დივ-სულთანი, რომელმაც „ყანუყი და ყაბრი (ალაზანი და იორი)[33] გადაიარა, ზაგემი და გრემი დაარბია"[34], ხოლო 1616 წელს კახეთის დასარბევად წამოსული იუსუფ-ხანი და შირვანელი ამირები „საქართველოს აღმოსავლეთით ზაგემის მხრიდან მოდიოდნენ"[35]. რუს ელჩებს გრემიდან ზაგემამდე 4 დღე უვლიათ, გზაში გაუვლიათ ყვარელი და გავაზი[36]; ელჩები, ეტყობა, ძალიან არ ჩქარობდნენ, მაგრამ ამ ცნობაში აშკარად ჩანს გზის მიმართულება გრემიდან ზაგემისაკენ აღმოსავლეთით.

როგორც დავინახეთ, ავტორიტეტული ისტორიკოსებისა და თვითმხილველების ცნობები ზაგემს წარმოგვიდგენენ კახეთის მნიშვნელოვან ქალაქად, კახეთის მეფეთა ერთ-ერთ რეზიდენციად, სადაც სრულიად რეალური იყო მოეჭრათ მონეტაც. ამდენი ცნობის მოტანა იმიტომ დაგვჭირდა, რომ დაახლოებით ამავე პერიოდში არსებობდა მეორე პუნქტიც, რომლის სახელწოდებაც სპარსულად ისევე უნდა დაწერილიყო, როგორც ზაგემისა. ესაა ძეგამი, მტკვრის მარჯვენა შენაკადის ძეგამ-ჩაის შესართავთან (ყაზახსა და განჯას შორის) მდებარე პუნქტი[37], რომელიც XVII—XVIII საუკუნეებში შამშადილის სახანოში

---

[28] „Шах Аббас девять месяцев простоял в Грузии где, в области Сегген (Seggen), лежащей в середине Грузии, явился Тамерас Хан". Адам Оллеарий, Подробное описание путешествия гольштинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 годах, Москва, 1870, გვ. 854.

[29] „С одной стороны турецкое войско под предводительством султана Магмута сына князя Шевлака, а с другой кумыки приближаются к пределам Грузии с намерением взять лучшую ея крепость Загем". Переписка грузинских царей с русскими государями от 1659 до 1770 гг, (შემდეგში შემოკლებით: Переписка...), СПб., 1861, გვ. 15.

[30] „Государь Давид (ძე ალექსანდრე კახთა მეფისა—თ. ქ.) разгневался и велел отвесть послов русских в Загем", იქვე. გვ. IX.

[31] „12-ого приехали в Загем. Им отвели квартиру в гостинном дворе, обведенном каменною стеною длиною в 200 саженей, იქვე, გვ. XXXVI.

[32] საქ. სსრ ატლასი, თბ.-მოსკოვი, 1964, გვ. 25; ჯ. გვასალია, თ. თოდრია, გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, საქ. ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971, გვ. 26.

[33] მდინარეთა იდენტიფიკაცია იხ. იბრაჰიმ ფეჩეი, ს. ჯიქიას კომენტარი 69, გვ. 122.

[34] ჰასან რუმლუ, გვ. 21.

[35] ისქანდერ მუნში, გვ. 106.

[36] Переписка..., გვ. 37. „Королева" უნდა ნიშნავდეს ყვარელს.

[37] კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე ამ ადგილას აღნიშნულია პუნქტი Старый Дзегам.

შედიოდა სომეხი ისტორიკოსები ესაი ჰასან ჯალალიანცი (XVIII ს. დასაწყისი) და ზაქარია კანაკერცი (XVII ს. მე-2 ნახევარი) შამშადილის სახანოს ძაგემად მოიხსენიებენ: „ამირ შამშადილუს ქვეყანა, რომელიც იგივე ზაკამია“[38]. შესაძლებელია, შამშადილის ძეგამს გულისხმობს ისქანდერ მუნშიც თავის ნაშრომის ერთ ადგილას, სადაც მასთან დაკავშირებით შამს ად-დინლუს და ყაზაყლარის ამირებს ახსენებს[39].

სომეხი ისტორიკოსის ზაქარია კანაკერცის ცნობა ეხება მოგვიანო პერიოდს, როდესაც კახეთის ზაგემმა დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა და იმ ტერიტორიაზე უკვე დაღისტნელი ტომები იყო ჩამოსახლებული[40]. ამავე პერიოდისაა (1705 წ.) ზაგემის მმართველისა და შამს ად-დინლუს (შამშადილის) ვაზირის მოხსენება შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანებში[41].

ჩვენთვის საინტერესო ხანაში კი, როდესაც მოიჭრა ზემოთ განხილული მონეტები, ყველა მეტ-ნაკლებად კომპეტენტური წყაროს ცნობა უპირატესობას აშკარად კახეთის ზაგემს ანიჭებს. ჩვენც ჯერჯერობით, სანამ სხვა რაიმე პირდაპირი ცნობა აღმოჩნდებოდეს, კახეთის ზაგემის სასარგებლოდ ვიხრებით.

კახეთის ზაგემის შესახებ უძველესი ცნობა ეკუთვნის 1520—21 წლებს[42] და თეიმურაზის მეფობამდე იგი სისტემატიურად იხსენიება, როგორც კახეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქი და ციხე. 1614 წლის კახეთის აოხრების შემდეგ ზაგემს ერთხანს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა: როდესაც კახეთის მმართველად დანიშნული ისა-ხანი ქართველთა შიშით გაიქცა კახეთიდან არდებილში, „ამიტომ ბეგთაშ-ბეგ იუზბაში თურქმანი დიდებული ყორჩიების რაზმით ზაგემში გაგზავნეს იმ ქალაქის დასაცავად“[43]. 1616 წელს ზაგემელი ქრისტიანები შეებნენ შირვანის ჯარს და დამარცხდნენ: „ღაზიებმა საცხოვრებელი დააქციეს და ქალაქ ზაგემში კვალიც კი არ დატოვეს მოსახლეობისა“[44]. გადარჩენილი მოსახლეობა შაჰ-აბასმა აჰყარა და ირანში გადაასახლა[45].

შაჰ-აბასის მიზანი იყო საქართველოს მოთხრა და გაყიზილბაშება, მაგრამ „ქართველი ხალხის შეუდრეკელმა და თავგადადებულმა ბრძოლამ შაჰ-აბასი აიძულა ხელი აეღო საქართველოს გაყიზილბაშებაზე. ქართველი ხალხის ბრძოლამ შაჰი დაარწმუნა, რომ „საქართველოს მოთხრა“ მის შესაძლებლობას აღე-

---

38 ესაი ჰასან ჯალალიანცი, აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა და კომენტარები დაურთო კ. კუციამ, თბილისი, 1971, გვ. 22, იხ. აგრეთვე, 1679 წ. ამბებთან დაკავშირებით: Захарий Канакерци, Хроника, перевод с армянского, предисловие и комментарий М. О. Дарбинян-Меликян, Москва, 1969, გვ. 197.

39 „შაჰმა შამს ად-დინლუს, ყაზაყლარის და სხვა ამირები, რომელნიც თბილისში, ზაგემში და აქსანაბადში იმყოფებოდნენ, დანიშნა მისთვის დახმარებისა და თანადგომის გასაწევად“, ისქანდერ მუნში... გვ. 72 (1609 წლების ამბებთან დაკავშირებით).

40 ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან (მოკლე პოლიტიკური ცნობა), საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბილისი, 1966, გვ. 270.

41 სპარსული ისტორიული საბუთები საქ. წიგნთსაცავებში, გვ.გვ. 29, 84, 85, 87.

42 ჰასან რუმლუ, გვ. 26.

43 ისქანდერ მუნში, გვ. 92.

44 იქვე, გვ. 107.

45 „ენისელების ტომის ერთი ჯგუფი და გუნდი ქართველებისა, რომლებიც ზაგემსა და იმ სანახებში იმყოფებოდნენ, რიცხვით ორი-სამი ათასი ოჯახი დახოცეს და დატყვევებადარბევის შიშით გადასახლებაზე დათანხმდა და უენებლობის სახლში — მაზანდარანში წასვლა განიზრახა“, ისქანდერ მუნში, გვ. 109.

ზაგემის ზარაფხანაში მოჭრილი ვერცხლის აბაზების სია

№№ რიგ.	ზაგემის დაწერილობის ვარიანტი	შაჰი	თარიღი ჰიჯრით	წონა გრამებში	დიამეტრი მილიმეტრებში	აღმოჩენის ადგილი	აღმოჩენის წელი	სად ინახება	საინვენტარო ნომერი	სად არის გამოცემული	სურათის ნომერი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	I	აბას I	—	7,68	24—27	ამბროლაური	1930	საქ. სახ. მუზეუმი	7125 გ. ფ.	Клады, III	—	—
2	„	„	—	7,62	23	რაჭა	?	„	3574 გ. ფ.	—	4	—
3	I, IV	„	—	7,70	23—25	„	„	„	3576 გ. ფ.	—	8	მონეტა მოჭრილია 2 სხვადასხვა რევერსის სიქით
4	I	„	—	7,62	23—25	„	„	„	3577 გ. ფ.	—	3	—
5	„	„	—	7,60	21—22	ჭიკაანი	1895	ერმიტაჟი	33499	Каталог; Клады, VIII	—	—
6	„	„	—	7,77	21—23	„	„	„	33500	„	—	—
7	„	„	—	7,64	22—25	„	„	„	33502	„	—	—
8	„	„	—	7,69	21	ამბროლაური	1930	აზერბაიჯანის ისტ. მუზეუმი	პახომოვის კოლექცია	—	—	—
9	„	„	—	7,56	23	?	—	„	„	—	—	—
10	„	„	—	7,56	24—25	?	—	„	„	—	—	—
11	„	„	—	7,59	24—25	—	—	საქ. სახ. მუზეუმი	2479 ძ. ფ.	—	—	—
12	„	„	—	7,63	23—25	—	—	„	2480 ძ. ფ.	—	—	—
13	„	„	—	7,57	21—22	—	—	„	2481 ძ. ფ.	—	—	—
14	„	„	—	7,56	23	—	—	„	2490 ძ. ფ.	—	—	—
15	„	„	—	7,49	23—24	—	—	„	2491 ძ. ფ.	—	—	—
16	„	„	—	7,76	22—23	—	—	„	2492 ძ. ფ.	—	—	—
17	„	„	—	7,53	22—23	—	—	„	2493 ძ. ფ.	—	—	—
18	„	„	—	7,63	22—23	—	—	„	2494 ძ. ფ.	—	—	—
19	„	„	—	7,62	21—23	—	—	„	2495 ძ. ფ.	—	—	—
20	II		1012 (=1603—4)	7,66	22—25	ჭიკაანი	1895	ერმიტაჟი	33495	Каталог; Клады, VIII	5	თარიღის ციფრების თანამიმდევრობა შებრუნებულია
21	„	„		7,55	24—25		„		33496	„	—	„
22	„	„		7,66	19—22		„		33497	„	—	„

23	II	აბას I	—	7,65	21—23	რაჭა	?	საქ. სახ. მუზეუმი	3586 გ. ფ.	—	—	—
24	III	„	—	7,70	21—23	ამბროლაური	1930	„	7122 გ. ფ.	Клады, III	—	—
25	„	„	—	7,67	21—23	„	„	„	7126 გ. ფ.	„	6	—
26	„	„	—	7,75	22—23	რაჭა	?	„	3573 გ. ფ.	—	—	—
27	„	„	—	7,65	22—23	„	„	„	3578 გ. ფ.	—	—	—
28	„	„	—	7,66	21—22	„	„	„	3580 გ. ფ.	—	—	—
29	„	„	—	7,69	20	ჭიკაანი	1895	ერმიტაჟი	33498	Каталог Клады, VIII	—	—
30	„	„	—	7,63	22	„	„	„	33501	„	—	—
31	„	„	—	7,70	22	—	—	მოსკოვი, სახ. ისტ. მუზეუმი	547538	—	—	—
32	„	„	—	7,69	?	—	—	აზერბაიჯანის ისტ. მუზეუმი	—	—	—	—
33	IV	„	—	7,70	20—23	ამბროლაური	1930	საქ. სახ. მუზეუმი	7123 გ. ფ.	Клады, III	—	—
34	„	„	—	7,67	22	რაჭა	?	„	3594 გ. ფ.	—	—	—
35	„	„	—	7,57	21	„	„	„	3599 გ. ფ.	—	7	—
36	„	„	—	7,70	18—21	„	„	„	3606 გ. ფ.	—	—	—
37	„	„	—	7,56	?	—	—	ერმიტაჟი	33522	Каталог	—	—
38	„	„	—	7,58	21—22	—	—	„	33523	„	—	—
39	„	„	—	7,63	22—23	—	—	„	33524	„	—	—
40	„	„	—	7,56	23	—	—	აზერბაიჯანის ისტ. მუზეუმი	პახომოვის კოლექცია	—	—	—
41	„	„	—	7,68	23	—	—	„	„	—	—	—
42	„	„	—	7,50	20	—	—	მოსკოვი, სახელმწიფო ისტ. მუზეუმი	547539	—	—	—
43	V	სეფი I	[10]39 (=1629—30)	7,51	21—22	ბირკიანი	1967	საქ. სახ. მუზეუმი	11952 გ. ფ.	ძეგლის მეგობარი	1	თარიღის ციფრები უკუღმაა ამოკვეთილი
44	„	„	[10]41 (=1631—32)	7,47	19—21	„	„	„	11953 გ. ფ.	—	2	„

მე-11 გრაფაში შემდეგი შემოკლებებია: 1. Клады, III—Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, III, Баку, 1940, № 288; 2. Клады, VIII—Е. А. Пахомов, Монетные клады..., VIII, Баку, 1959, № 1, 196. 3. Каталог—А. К. Марков, Каталог мусульманских монет Императорского Эрмитажа, СПб., 1896. 4. ძეგლის მეგობარი—თ. ქუთელია, კახეთის სამეფოს უცნობი ზარაფხანა, ძეგლის მეგობარი, № 23, თბილისი, 1970.

მე-10 გრაფაში: „გ. ფ.“—განძების ფონდი; „ძ. ფ.“—ძირითადი ფონდი.

ერმიტაჟის მონეტების ანაბეჭდები მოგვაწოდა ერმიტაჟის ნუმიზმატიკური განყოფილების აღმოსავლური ფონდის მცველმა მ. სევეროვამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

მატებოდა. შაჰი იძულებული იყო თავი დამარცხებულად ეცნო"[46]. კახეთის აოხრებიდან (1614—16 წწ.) ათიოდე წლის შემდეგ, შაჰ-აბასის მეფობის დასასრულსა და შაჰ-სეფი I მეფობის დასაწყისში თეიმურაზ I მოახერხა დროებით სპარსეთის ძალადობისაგან თავის დაღწევა და შეტევითი საგარეო პოლიტიკის წარმოებაც კი სცადა[47]. კახეთი თანდათან მოშენებულა და ზაგემშიც ცხოვრება კვლავ განახლებულა. თეიმურაზ მეფის კარზე მყოფი რუსი ელჩები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მეფემ ზაგემში დააბინავა[48].

განახლებულ ზაგემში 1629—30 წლებში, როგორც ჩანს, მონეტაც მოუჭრიათ.

ამგვარად, ჩვენ ხელთა გვაქვს ზაგემის ზარაფხანაში მოჭრილი 44 მონეტა; 42 შაჰ-აბას I სახელითაა მოჭრილი, ხოლო 2 — შაჰ-სეფი I სახელით. ზაგემის ზარაფხანის პროდუქციას უნდა ეკუთვნოდეს ჭიკაანის განძის 18 მონეტაც, რომელიც ა. მარკოვის განსაზღვრის შემდეგ გადაუდნიათ[49]. როგორც ჩანს, ზაგემის ზარაფხანა საკმაოდ ინტენსიურად მუშაობდა, რაზედაც მეტყველებს მონეტის სიქების მრავალფეროვნება.

---

46 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, გვ. 362.

47 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბილისი, 1953. გვ. 19.

48 Переписка..., გვ. 37.

49 Е. А. П а х о м о в. Монетные клады..., вып. VIII, გვ. 84.

პ უ ბ ლ ი კ ა ც ი ა

ვალერი სილოგავა

ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში

ქართული ეპიგრაფიკული დიპლომატიკის საკითხები საგანგებოდ არავის უკვლევია. გამონაკლისს წარმოადგენს ეპიგრაფიკული დიპლომატიკის სპეციფიკური ტერმინი „ჰელი“ და ეპიგრაფიკული და ჩვეულებრივი, რბილ საწერ მასალაზე შესრულებული სამართლის ძეგლებისათვის საზიარო ტერმინი „დაწერილი“, რომელთაც აკად. ნ. ბერძენიშვილმა ვრცელი და მის დროს არსებული მასალების მიხედვით ამომწურავი გამოკვლევები უძღვნა[1]. ტერმინი „ჰელი“, ქვაზე დაწერილი რამდენიმე იურიდიული საბუთი და ხელის გამოსახულებანი სტელების გავრცელების ტერიტორიული და ქრონოლოგიური ფარგლები სპეციალურად არის შესწავლილი ვ. ცისკარიშვილის სადისერტაციო ნაშრომში[2]. გარდა ამისა, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემისას, სხვა ხასიათისა და შინაარსის წარწერებთან ერთად, ქვასა და ლითონზე შესრულებული იურიდიული საბუთებიც ქვეყნდებოდა. ამ პუბლიკაციებში პირველ რიგში ყურადღება ექცეოდა მათში დაცული ისტორიული ცნობების განხილვას და მათ გამოყენებას პოლიტიკური ისტორიის საკითხების შესასწავლად. თუმცა, ჯერ კიდევ ექ. თაყაიშვილისეულ პუბლიკაციებში ვხვდებით საგანგებო მითითებებს ზოგიერთ მათგანზე, როგორც იურიდიული შინაარსის შემცველ აქტზე[3].

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენს 616—619 წწ. დათარიღებული ცნობილი წარწერა წყისედან — ჯვარი კოსტანტი სტეფანესა და გუდასძისა, რომლის მონაცემები ადრეფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხების განხილვისას ფართოდ გამოიყენა აკად. ს. ჯანაშიამ, ხოლო შემდეგ ცალკე

---

1. ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართული დიპლომატიკის საკითხებიდან („ჰელი“ და „დაწერილი“), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია, 1943, 28—29. VI, თეზისები. (შემდგომში ეს მოხსენება დაიბეჭდა სახელწოდებით „მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში“, ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს „საქართველოს ისტორიის საკითხების“ III წიგნში, თბ., 1966, გვ. 135—249).

2 ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 66—93.

3 აი, მაგალითად, რას აღნიშნავს ექ. თაყაიშვილი თონეთის ერთ-ერთ წარწერასთან—დაწერილი კავთელ ნადირაგსძეთა, დაკავშირებით: „Подобного рода акты, обыкновенно писались на пергаменте и на бумаге и давались царями. Это редкий пример начертания декрета на камне“. (იხ. Е. Т а к а й ш в и л и, АЭРЗ, ИКОИМАО, вып. III, Тб., 1913, გვ. 130, იგივე, იხ. მ ი ს ი, АЭРЗ, вып. IV, Тб., 1913). შდრ. აგრეთვე, მ ი ს ი, ორი ქვაზედ დაწერილი გუჯარი, გაზ. «ცნობის ფურცელი», 1901, № 1362.

შეეხო მას აკად. ნ. ბერძენიშვილი ს. ჯანაშიას ნაშრომისადმი მიძღვნილ რეცენზიაში[4].

ქვაზე დაწერილი იურიდიული საბუთების მონაცემები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის განხილულია ნ. ბერძენიშვილის, როგორც ზემოთ დასახელებულ ნაშრომში „ჟელისა" და „დაწერილის" შესახებ, ასევე მის წერილებში ქართული ეპიგრაფიკის საკითხებზე[5].

ამავე თვალსაზრისით საგანგებოდ შეისწავლეს აკად. ნ. მარმა და განსაკუთრებით ვ. დონდუამ ქართული საეკლესიო სამართლის უმნიშვნელოვანესი ეპიგრაფიკული ძეგლი — 1218 წლის დაწერილი ეტიფანე კათალიკოსისა, რომელიც 1910 წელს აღმოჩნდა ნ. მარის ხელმძღვანელობით ძველი სომხეთის დედაქალაქ ანისში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს, ერთ-ერთი ქართული ეკლესიის გაწმენდისას[6].

ქართული სამართლის ეპიგრაფიკული ძეგლების ერთი ნაწილი თავმოყრილია ანა ბაქრაძის სადისერტაციო ნაშრომში[7], სადაც მოცემულია ამ სახის 15-მდე ქართული ლაპიდარული წარწერის იმ დროს არსებულ გამოცემათა განმეორება ზოგიერთი მათგანისათვის საყურადღებო შენიშვნების დართვით. მასვე ეკუთვნის ქართული ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი ძეგლის — ჟელი გიორგი მეფეთა მეფისას, ცალკე პუბლიკაცია[8].

ქვაზე დაწერილი ოთხი იურიდიული საბუთი, სამი საერო და ერთი საეკლესიო სამართლის ძეგლი, ადრე არსებულ პუბლიკაციებზე დაყრდნობით გამოსცა აკად. ი. დოლიძემ[9].

---

4 წარწერა აღმოაჩინა გ. ბოპორიძემ 1925 წელს, ადიგენის რ-ში, წყისის ციხის ნანგრევებში. ის პირველად გამოსცა აკ. შანიძემ (იხ. მისი, ძველი ქართულის ქრესტომათია, I, ტფ., 1935, გვ. 25, 108) და ამჟამად ამ უმნიშვნელოვანესი წარწერის ათზე მეტი პუბლიკაცია არსებობს ქართულ, რუსულ, ფრანგულ და ლათინურ ენებზე. ს. ჯანაშიამ ის განიხილა ნაშრომში „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში", ტფ, 1935, გვ. 92; იგივე, იხ. მისი, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 98—99; ხოლო ნ. ბერძენიშვილი მას შეეხო ამ ნაშრომის შესახებ 1938 წლის 23. VI წაკითხულ რეცენზიაში, რომელიც დაიბეჭდა „მიმომხილველის" III ტომში, თბ., 1953 და მისი „საქართველოს ისტორიის საკითხების" III წიგნში, თბ., 1966, გვ. 361—384, განსაკ. გვ. 382—383.

5 მაგ. ნ. ბერძენიშვილი, აძიკვის წარწერის გამო (1948), იხ. მისი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბ., 1964. გვ. 274—275, სადაც აეტორი ზოგადად ეხება მონაცემებს ქვაზე შედგენილი იურიდიული აქტისას — დაწერილი ვარაზ-ბაკურისა აძიკვის ეკლესიისათვის თავნარული მიწის შეწირვის შესახებ.

6 Н. Марр, Надпись Епифания, каталикоса Грузии (Из раскопок в Ани 1910 г.), ИИАН, 1910, № 17, გვ. 1433-1412. წერილს დართული აქვს წარწერის მაღალხარისხოვანი ფოტო, რომელიც საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმის ფოტოკაბინეტში დაცულ №11655/1806 ნეგატივთან ერთად, წარმოადგენს ამჟამად დაკარგული წარწერის შესწავლისათვის უმთავრეს მასალას. В. Дондуа, К социально-экономической жизни средневековой Грузии по аниской надписи (1218) Епифания, сб. „Академия наук СССР академику Н. Я. Марру", М—Л., 1935, გვ. 643-660, იგივე, იხ. ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, 1, თბ., 1967, გვ. 48-78.

7 ა. ბაქრაძე, ქართული ეპიგრაფიკა, როგორც ისტორიული წყარო (V—XIII სს.), 1954, ხელნაწერი, გვ. 182—215. А. К. Бакрадзе, Грузинская эпиграфика как источник для изучения истории Грузии (V—XIII вв.), Автореферат диссертаций на соискание ученной степени кандидата исторических наук, Тб., 1955.

8 ა. ბაქრაძე, XIII საუკ. წარწერა გუნია-ყალადან, სსმ, XVII-B, 1953, გვ. 220—225., შდრ., კატალოგი, № 26, გვ. 25—26, ტაბ. XII, სურ. 1—2.

9 ქართული სამართლის ძეგლები. II, გამოსცა ი. დოლიძემ, თბ., 1965, №№ 3, 14, 17; ქართული სამართლის ძეგლები, III, გამოსცა ი. დოლიძემ, თბ., 1970, № 11.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემისას, რომელიც დღემდე, უმთავრესად გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით წარმოებს[10], სხვადასხვა წარწერებთან ერთად ქვაზე შედგენილი იურიდიული საბუთებიც იბეჭდებოდა. ყველა ამ პუბლიკაციაში ეს წარწერები განიხილებოდა მხოლოდ როგორც საისტორიო წყარო, ხოლო ეპიგრაფიკული დიპლომატიკის საკითხები, ორი ტერმინის — „ქელისა" და „დაწერილის" გამოკლებით მკვლევართა ყურადღების გარეთ რჩებოდა. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ქართული ეპიგრაფიკული დიპლომატიკა, გარდა ამ ორი ტერმინისა, რამდენიმე სხვა, და რაც მთავარია მისთვის სპეციფიკურ ტერმინსაც შეიცავს. ეს ტერმინები, აგრეთვე ქვაზე შესრულებული იურიდიული საბუთებისათვის დამახასიათებელი ნიშნები საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ქართულ ეპიგრაფიკულ დიპლომატიკაზე, როგორც დამოუკიდებელ ცნებაზე.

ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ძეგლში იგულისხმება არა მარტო იურიდიული საბუთი — დაწერილი ან ქელი, არამედ ყველა სახის წარწერა, რომელშიც წარმოდგენილია იურიდიული აქტი, დადასტურებულია სამართლებრივი ურთიერთობა ორ მხარეს შორის. ეს ურთიერთობა და ამ ურთიერთობის გამოხატვის ფორმები სხვადასხვა, ერთიმეორისაგან განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი ქართული სამართლის ეპიგრაფიკულ ძეგლებში. სამართლებრივი ურთიერთობების და ამ ურთიერთობათა გამოხატვის ფორმების მიხედვით ქართული ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ძეგლები შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

1. ჯვრები.
2. ქელები.
3. დაწერილები.
4. წარწერები ქვის მოღების, ქვის შეწირვის და სხვა საეკლესიო შეწირულებათა შესახებ.
5. სააღაპე წარწერები[11].

ქართული სამართლის უძველესი თარიღიანი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელმაც სრული სახით მოაღწია ჩვენამდე, არის ზემოთ დასახელებული 616—619 წწ. წარწერა წყისედან — ჯვარი კოსტანტი, სტეფანესა და გუდას-

---

[10] ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს აკად. ე. თოფურიას ერცელი წერილი „ქვა—ჯვარანი საქართველოში" (იხ. **მს�აი**, ნაკ. 4, თბ., 1943), რომელშიც მოცემულია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ჯვრის გამოსახულებიანი სტელების და მათი თანმხლები წარწერების პუბლიკაცია და ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ შედგენილი კორპუსი „Рельефы руки на памятниках материальной культуры феодальной Грузии" (იხ. **მსე**, IX, თბ., 1957), რომელშიც ხელის გამოსახულებიანი სტელები და მათი თანმხლები წარწერებია ერთად თავმოყრილი და გამოცემული.

[11] ქვაზე შესრულებული იურიდიული საბუთის აღსანიშნავად „ჯვარის", „ქელის" და „დაწერილის" გვერდით გვხვდება ტერმინები „ბრძანებაჲ" (მაგ. „ესე ბრძანებაჲ ჩემი არს, რუსუდან"; ბრძანება რუსუდან მეფისა კათის მამულის შეუვალობის შესახებ, იხ. კატალოგი, № 58, ტაბ. XIII, სურ. 1.) და „დაწერილი და ნიშანი" (მაგ. „ესე დაწერილი და ნიშანი მე, დმანისისა მამამთავარმან ეკლესიისა კარისბჭესა დაუდე", (იხ. XIII ს-ის შუა ხანების დაწერილი და ნიშანი დმანისის უცნობი მამამთავრისა; ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", თბ., 1938, გვ. 387—389).

10. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1972, № 4.

ძისა. მასში ნათქვამია: „ესე ჯ(უარ)ი ქ(რისტ)Კსი, მე, კოსტანტი, ძ(ემა)ნ სტეფანესმან და გუდას|მან აღᲰუმართე სახელს|ა მცხეთისა ჯ(უარ)ისასა, ნასყი|დევსა ქუეყანასა (ზედ)ა,| შაᲰრამანსა ა, ს(ალო)ც(ველად) ჩ(უე)ნ|და, ცოლისა და შვილთა, ნოენ[ბე]რსა, იᲜ, ა(მე)[ნ]“[12]. როგორც ვხედავთ აქ აღნიშნულია, რომ ნასყიდ მიწაზე აღიმართა ჯ ვ ა რ ი ქ რ ი ს ტ ე ს ი მცხეთის ჯვრის სახელზე. როგორც ნასყიდ მიწაზე აღმართული, წყისეს ქვა-ჯვარი ერთადერთია ამ სახის დღეისათვის ცნობილ ეპიგრაფიკულ ძეგლებს შორის, მაგრამ, როგორც „ფეოდალური საადგილმამულო უფლების გარეგანი გამომხატველი“ (ს. ჯანაშია) ის, ამ ტიპის სხვა წარწერების მრავალრიცხოვან ჯგუფში შედის[13]. წყისეს წარწერის მითითება ჯვრის აღმართვის შესახებ ნასყიდ. ე. ი. ყველაზე მიუცილებელ მიწაზე, საშუალებას გვაძლევს, რომ ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ძეგლის აღმნიშვნელ ერთ-ერთ ტერმინად ძველ საქართველოში ჯ ვ ა რ ი ვიგულისხმოთ. ამრიგად, ჯვრის აღმართვის სხვა აქტებიც, მიუხედავად იმისა, რომ მათში არ არის აღნიშნული მიწის შეძენის თუ მოპოვების კონკრეტული შემთხვევა, უნდა განვიხილოთ როგორც იურიდიული საბუთი იმ მიწის მფლობელობისა, რომელზედაც ჯვარია აღმართული[14].

პალეოგრაფიკული ნიშნების მიხედვით V—VI სს. მიჯნით თარიღდება ერთ-ერთი უძველესი ქართული წარწერა— ჯვარი თათვარაზისა[15]. მისი თანადროულია მეორე წარწერა — ჯვარი თათვარაზისა და მარიამისა[16]. VII ს-ის დასაწყისით თარიღდება მცხეთის ჯვრის წარწერა — ჯვარი სტეფანოს პატრიკიოსისა, დემეტრე Თპატოსისა და ადრნერსე Თპატოსისა[17]. VII ს-ით თარიღდება სტელა წმ. სტეფანეს რელიეფური გამოსახულებით დავით გარეჯის უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტრიდან, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა — ჯვარი მარვუვოსი[18]. 616—619 წლებისაა ზემოთ განხილული წარწერა წყისე-

---

12 კ ა ტ ა ლ ო გ ი, № 16, გვ. 19, ტაბ. IV, სურ. 2.

13 შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი: „სალოცავი ჯვარი უმრავლეს შემთხვევაში ამავე დროს მიწის (ქვეყნის) საკუთრების ნიშანიც იყო“, იხ. მ ი ს ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 157, შენ. 52 (სქოლიო გვ. 156-დან).

14 შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 157, ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშარომი, გვ. 74—75.

15 მიაკვლია ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა 1936—1937 წწ. დაზვერვითი არქეოლოგიური ექსკურსიების დროს უკანგორის (დმანისის რ-ნი) ეკლესიის სასაფლაოზე. გამოცემულია მის მიერ (იხ. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უკანგორის ისტორიული ნაშთები, ენიმკის Წოამბე, X, 1941, გვ. 164; იგივე, იხ. მ ი ს ი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, თბ., 1941, გვ. 12, ტაბ. 11, სურ. 3) ორი უკანასკნელი სტრიქონის დაკლებით და ასევე არის განმეორებული მასზე დაყრდნობილ სხვა გამოცემებში. წარწერიანი ქვის კვარცხლბეკი ამჟამად დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ქვის ძეგლების ფონდში. მისი წარწერა იკითხება შემდეგი სახით: „† პეტრᲬს ხუცსობას[ა],|მე, თათვარაზ აღხ|უმ[ა]რთე ესე ჯუარი სახე|[ლით]ა ღ(მრთისა)Ჲ[თა], შე|წ|ევნითა ი(ესო)ჯ Ჩ(რისტ)-|Წსი|თა], რ(ომელმა)ნ თ[ა]ვ|ყანისᲩ|ცე[თ] ლ[ო]ცვასა [მომ]ᲩᲗ|ᲡᲔ[ნ]Თ“.

16 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უკანგორის ისტორიული ნაშთები, გვ. 166; მ ი ს ი, არქეოლოგიური ექსკურსიები, გვ. 13.

17 Н. Г. Ч у б и н а ш в и л и, Памятники типа Джвари, Тб., 1941, გვ. 43, 83—84.

18 კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, კრებული შეადგინა თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ მ ა, თბ., 1961. № 102, გვ. 53—54. Н. Г. Ч у б и н а ш в и л и, Хандиси, Тб., 1972, გვ. 90, ტაბ. 63.

1968 წელს დაბლუტის წყლის ხეობის (დმანისის რ-ნი) ერთი პატარა ეკლესიის გათხრი-

დან — ჯვარი ‹ოსტანტი, სტეფანესა და გუდასძისა. 895 წლის წარწერაში ხუნამისიდან ჯვრის აღმართვის ნაცვლად და იმავე მნიშვნელობით გვხვდება ტერმინი — „ძ ე ლ ი ც ხ ო რ ე ბ ი ს ა ‹ ს ა ს ‹ ა ღ მ ა რ თ ვ ა“. წარწერაში ნათქვამია: **„† ესე ძ ე ლ ი ც ხ ო რ ე ბ ი ს ა ‹ ‹ ა ე მ ა რ თ ა ქ რ ო ნ ი ‹ ო ნ ს ა რ ი ე, უ ფ ლ ებ ა ს ა ს ს უ ლ ‹ ‹ ‹ ს ა, ჯ ‹ ‹ ფ ა რ ი ს ძ ი ს ა ს“**[19]. X ს-ით თარიღდება წარწერა აბასთუმნიდან — ჯვარი ქავთარ ერისთავისა[20] და სხვ. ამრიგად, ქართული დიპლომატიკის უძველეს ტერმინად, რომელიც V—X სს. გვხვდება და მიწის მფლობელობის დამადასტურებელ აქტს აღნიშნავს **ჯვარი** უნდა მივიჩნიოთ.

„ჯვარი“ ფართო მნიშვნელობით გულისხმობს შემდეგ ელემენტებს: ბაზისს, სტელას და მასზე მოთავსებულ საკუთრივ ჯვარს[21]. წარწერა („ჯვარი“ ვიწრო მნიშვნელობით) შეიძლება მოთავსებული იყოს ბაზისზე (როგორც ეს უძველეს „ჯვრებში“ გვაქვს, მაგ.: წყისეს, პანტიანის, ბრდაძორის, ხუნამისის, აბასთუმნის და სხვა), ან სტელაზე (დავით-გარეჯის ნათლისმცემლის, ანუხვის, ყველის ციხის, საყდრიქედის და სხვა).

„ჯვრების“ ერთი ნაწილის წარწერებში არ არის პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ ისინი **აღმართულია მიწისმფლობელობის ამა** თუ იმ სახის (ყიდვა, შეწირვა, გადაცემა, „საკმრად გადაქცევა“) დასადასტურებლად. ასეთი „ჯვრების“ წარწერებში მხოლოდ ჯვრის აღმართვის ფაქტი და აღმმართველის მიერ ღმრთისადმი შეწყალების (ან „დიდების“, ან რომელიმე წმიდანის მიერ ღმრთის წინაშე მეოხეობის) თხოვნაა აღნიშნული. ასეთი „ჯვრების“ წარწერები, თითქოს იურიდიული შინაარსის მატარებლები არ არიან და ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც საკულტო ნაგებობების ძეგლებზე მოთავსებული მემორიალური ან სამშენებლო წარწერები. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯვრის აღმართვა (ან აშენება) აღმმართველს საკუთარ მფლობელობაში (არა აქვს მნიშვნელობა დროებით თუ მუდმივ) **არსებულ მიწაზე შეეძლო**, მაშინ ის ჯვრის აღმართვის აქტით, „ჯვრისა“, **რომელშიაც** არ იყო მიწისმფლობელობის შესახებ აღნიშნული (შეიძლება **იმიტომ, რომ** ეს თავისთავად იგულისხმებოდა) არაპირდაპირ ადასტურებდა თავის უფლებას იმ მიწაზე, რომელზედაც ჯვარი აღმართა. აქედან გამომდინარე, ყველა

სას (არქეოლოგიური სამუშაოების ხელმძღვანელი ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე) აღმოჩნდა ჯვრების ჩასადგმელი ორი კვარცხლბეკი, რომელთა წარწერებშიც ჯვრის აღმართვაა აღნიშნული (ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლები ქვემო ქართლიდან, **ძმ**, 20, 1970, გვ. 52—63, ფოტოები — 52—53 და 60—61 გვერდებს შორის ჩაკრული ტაბულებზე; ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ვ. ა რ თ ი ლ ა ყ ვ ა, გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში, კრ. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები“. II, თბ., 1971, გვ. 68—69, ტაბ. X, სურ. 1, 2; ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის მოკლე ანგარიში, იქვე, გვ. 75—88. ტაბ. VI. სურ. 1). ორივე კვარცხლბეკი ადრეფეოდალური ხანით თარიღდება. სამწუხაროდ, წარწერები ორივე მათგანზე ძლიერ დაზიანებულია.

[19] А. Г. Ш а н и д з е, К разъяснению хунамисской надписи, **ხმამ**, ტ. VII, № 4, 1946, გვ. 223-230; ‹ ა ტ ა ლ ო გ ი, №15, გვ. 18-19, ტაბ. VI, სურ. 2.

[20] წარწერის უკანასკნელი გამომცემელი თ. ბარნაველი მას VI ს-ით ათარიღებს (იხ. თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, აბასთუმნის ერთი წარწერის შესახებ, „მაცნე“, 5, 1965, გვ. 139—142), მაგრამ ეს უთარიღო წარწერა, როგორც პალეოგრაფიული ნიშნების, ისე საერთოდ თავისი რეალიების მიხედვით X ს-ით უნდა დავათარიღოთ (ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, აბასათუმნის წარწერის წაკითხვისა და დათარიღებისათვის, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1970, გვ. 12).

[21] შდრ. Н. Г. Ч у б и н а ш в и л и, Хандиси, გვ. 12-13.

„ჯვრები“, ზოგი პირდაპირ და ზოგიც არაპირდაპირ მიწისმფლობელობის ამა თუ იმ სახის დამადასტურებელ იურიდიულ აქტებად გვევლინებიან.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება დავუშვათ, რომ თითქოს ასეთი ვარაუდის შემთხვევაში ეკლესიებზე მოთავსებული სამშენებლო წარწერებიც იურიდიული აქტებია. ჯერ ერთი, ამ დაშვებიდან ერთი ნაბიჯია ჯერ კიდევ ვ. შეფერის მიერ გამოთქმულ იმ უკიდურესობამდე, რომ „ყველა წარწერა უნდა განვიხილოთ, როგორც იურიდიული დოკუმენტი“[22]. მეორეც, „ჯვარი“, როგორც მიწისმფლობელობის დამადასტურებელი ძველ საქართველოში დადგენილი ფაქტია და ზემოთ აღნიშნული შენიშვნა იმ „ჯვრებს“ შეეხება, რომლებშიც ამის შესახებ პირდაპირ არ არის მითითებული; მაშინ როდესაც, სამშენებლო წარწერები აქტების მნიშვნელობით არასოდეს არ ყოფილა განხილული, რადგან ისინი სხვა კატეგორიის წერილობით ძეგლებს წარმოადგენენ და მათ დანიშნულებას არ წარმოადგენს რაიმე სახის იურიდიული მომენტის დადასტურება.

* * *

ქართული სამართლის იმ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში გვხვდება ჯვრის აღმართვის გვერდით XI საუკუნიდან გვაქვს ტერმინი ჯ ვ რ ი ს ა შ ე ნ ე ბ ა. წარწერები ჯვრის აღმართვის და აშენების შესახებ, დასავლეთ საქართველოს ამჟამად ცნობილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში სამია: 1. ჯვარი ქუველისა, 2. ჯვარი გიორგი ბასილისძისა და 3. ჯვარი ლუკა მარტინევასი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. XII ს. ჯრუჭი (საჩხერის რ-ნი). ჯვარი ქუველისა. (სურ. 1)

ნუსხური; ექვს სტრიქონად; ამოკვეთილი ქვის ფილაზე, რომელიც ეკლესიის დასავლეთ კედელში, ქვემოდან ქვების პირველ (ქუსლის შემდეგ) და კარებიდან მარჯვნივ მეოთხე წყობაში არის ჩასმული. ფილის ზომები: 41,5×26 სმ,. ღრმა კვეთით შესრულებულ წარწერას უჭირავს ფილის ზედა ნახევარი. ფილის ზედა და მარჯვენა კიდის ატკეცვის შედეგად წარწერა დაზიანებულია. მისი სტრიქონები მოთავსებულია საგანგებოდ გავლებულ პარალელურ, ჰორიზონტალურ ხაზებს შორის. წარწერის ნაკლული ტექსტის აღდგენა (პირველი სტრიქონის გამოკლებით) შესაძლებელია ძეგლთა დაცვის სამმართველოს № 2139 ფოტოს მიხედვით, რომელზედაც ის შედარებით სრული სახითაა წარმოდგენილი. ასოების სიმაღლე: 1—3,5 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი — სწორი, განივი ხაზი.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XII ს-ით.

არ გამოც.

— — — — — | ჯ(რუ)ჭ(ი)სა
ჯᲔᲡᲘᲡ ᲘᲛᲐᲡᲗᲘᲗ | ერისთ(ა)ვ|ისა ᲩᲔᲚᲛᲬᲘ|ᲤᲔᲑᲐᲡ(ა)
ᲠᲐᲡ ᲧᲘᲗᲝᲚᲘ | აღმარ[თ]|ა ქუველ ჯ(უა)რი|
ᲥᲘᲧᲐᲡ ᲔᲛᲝᲔᲡᲗ[Თ] | წ(�d)ისა გ(იორგ)ისი.
5. Ე ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲯᲯᲐᲠᲘᲡ
ᲠᲐᲡᲘᲡ ᲯᲯᲐᲠᲘ

2. XI ს-ის I ნახ. ანუხვა (გუდაუთის რ-ნი). ჯვარი გიორგი ბასილისძისა (სურ. 2).

ასომთავრული; ათ სტრიქონად; ამოკვეთილი თეთრი კირქვის სვეტზე. სვეტი გათლილია ოთხკუთხად, უხვად არის მოჩუქურთმებული გეომეტრიული და სტილიზებული მცენარეული

[22] Н. И. Новосадский, Греческая эпиграфика, ч. I, М., 1909, გვ. 7.

ორნამენტით. ის, როგორც ჩანს ჯვრის ჩასადგმელ სტელას წარმოადგენდა. ამჟამად მისი ქვედა კიდე მოტეხილია, უმნიშვნელოდ არის დაზიანებული აგრეთვე სეეტის ზოგიერთი სხვა ნაწილიც; სეეტის ზომები: 220×28×23 სმ. გეომეტრიული ჩუქურთმები სტელას, სიგრძეზე, თავიანთი ნაირსახეობების მიხედვით ოთხ რეგისტრად ჰყოფენ[23]. გიორგი ბასილისძის წარწერა ამოკვეთილია ქვემოდან პირველ-მეორე რეგისტრში. წარწერას უკირავს ფართობი: 31×23,5 სმ. ის შესრულებულია საშუალო სიღრმის კვეთით, კიდურწაისრული, თითქმის თანაბარი სიმღალის ასოებით. ასოების სიმაღლე: 3,5×2 სმ. განკვეთილობის ნიშანი ტექსტს არ ახლავს; მხოლოდ ციფრის აღმნიშვნელი **გ**-ანის (მე-7 სტრ.) ორ მხარეს ორ-ორი წერტილია დასმული; აგრეთვე, წარწერის ბოლოს დასასრულის ნიშნად დასმულია სამი წერტილი — განლაგებული მარცხნივ წაწვეტებული სამკუთხედის სახით. ქარაგმის ნიშანი — კიდურწაისრული, განივი ხაზი.

აღმოჩენილია 1930-იან წლებში მხარეთმცოდნე ი. ა ძ ი ნ ბ ა ს მიერ, გუდაუთის რ-ნის სოფელ ანუხვაში, ეკლესიის ნანგრევების მახლობლად. ამჟამად ინახება დ. გულიას სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XI ს-ით.

გამოც.: 1. Х. С. Б г а ж б а, Из истории письменности в Абхазии, Труды АбИЯЛИ, XXX, 1959, გვ. 253-254, სურ. 8 (გვ. 253). 2. ი გ ი ვ ე, ცალკე გამოცემა, თბ., 1967, გვ. 15 (სურ. 7), 16 (ლ. შ ე რ ვ ა შ ი ძ ი ს წაკითხვით) (-**ზ**).

ᲡᲔᲚᲖᲘᲠ ᲘᲠᲘᲡᲫᲘᲠ
ᲢᲗᲣᲜᲘ ᲯᲧᲠᲘ ᲧᲚᲘ ᲡᲔᲚᲖᲘᲠ
ᲚᲠᲘ ᲘᲠᲘᲠ ᲨᲨᲠᲘᲠ
ᲨᲘᲠᲘᲠ ᲡᲚᲠᲘᲠᲘᲠ ᲩᲠᲘᲡᲘᲠ
5. **ᲨᲧ ᲚᲠᲘ ᲧᲠᲘᲡᲨᲘᲨᲠᲗ**
ᲢᲩ ᲗᲘᲜᲪᲢ ᲧᲗᲘᲨ
ᲨᲧᲠᲨᲘ ᲗᲠᲘᲡᲘᲠᲘᲡ
ᲨᲨᲠᲨᲠᲗ ᲚᲠᲠᲗᲘᲠ
ᲡᲘᲠᲨᲨᲠᲘᲠᲘᲡᲘᲠᲘᲡ
10. **ᲩᲘᲜᲘᲨ ᲢᲠ ᲘᲧᲠᲗᲠ·:**

ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრ)თის(ა)ჲთა,| ავ(ა)შ(ე)ნე ჯუ(ა)რი ესე ს(ა)ხ(ე)ლსა | ზ(ედ)ა ღ(მრთი)სა— მ(ა)მისა,| ძისა (და) ს(უ)ლისა წ(მი)დ(ი)სსა, | მე, გ(ი ორგ)ი ბ (ა)ს(ი)ლისძემ(ა)ნ.|
5. **აწ, ვინცა ევედ|რ(ე)ბ(ო)დ(ე)თ, ჩ(უე)ნ გ-ნივე| ძმანი ლ(ო)ცვა|სა მოგუიჴსე|ნენით, ა(მე)ნ იყ(ა)ვნ!**

2. ჯ^{ᲠᲘ} **წრწ**. 3. და—**Თ**; სოკლისა **Თ**; წმიდისასა **Თ**. 5. **გ**-ნივე| სამნივე **Თ**. 6. მოგოუიჴსენენით **წრწ**; ამინ **Თ**.

3. XII ს. წებელდა (გულრიპშის რ-ნი). ჯვარი ლუკა მარტინევასი.

ასომთავრული; ხუთ სტრიქონად; ამოკვეთილი იყო ფილაზე, რომელიც ხ. ბღაუბას ცნობით 1938 წელს აღმოჩნდა წებელდის ტაძრის ნანგრევებში. ფილის ზომები და მისი ადგილსამყოფელი უცნობია. წარწერის შემონახული ფოტოსურათის მიხედვით ფილის ცენტრში წარმოდგენილი იყო ქვედა მკლავდაგრძელებული რელიეფური ჯვარი. სწორკუთხად გათლილი ფილა ჩასმული იყო ტეხილი გეომეტრიული ხაზებით შექმნილ ორნამენტირებულ ჩარჩოში. ასეთივე ორფერდა ჩარჩოთი იყო გადახურული ჯვარი ზემოდან. არათანაბარი სიმაღლის ასოებით და ღრმა კვეთით შესრულებული წარწერა მოთავსებული იყო ჯვრის ჰორიზონტალურ მკლავებს ქვემოთ, ვერტიკალური მკლავის ორივე მხარეს. განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი, ადგილ-ადგილ; ქარაგმის ნიშანი — კლაკნილი, განივი ხაზი.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XII ს-ით.

გამოც.: 1. Х. С. Б г а ж б а, Из истории письменности в Абхазии, Труды АбИЯЛИ, XXX, 1959, გვ. 258-260, სურ. 14 (გვ. 260). ი გ ი ვ ე, ცალკე გამოცემა, თბ., 1967, გვ. 21, სურ. 13 (გვ. 22) (-**ბ**).

---

[23] სტელის დაწერილებითი აღწერა იხ. И. А. А д ж и н д ж а л, Материалы к изучению резьбы по дереву, рогу, кости, камню и металлу в дореволюционной Абхазии, ТАбГМ, вып. II, Сухуми, 1957, გვ. 137-138.

ᲩᲨᲘᲡ ᲯᲠᲘᲡᲨ
ᲨᲨᲨᲗᲘᲗᲘᲗᲘ
ᲜᲘᲨᲨ ᲜᲠᲙᲘ ᲨᲠᲫ
ᲔᲜᲘᲗᲩᲨᲘᲡ* ᲧᲠᲩ
5. **ᲨᲘᲘ:ᲘᲠᲩ:ᲨᲠᲩ**

ამის ჯ(უარ)ისა | მაშენებე|ლსა, ლ(უ)კ(ა)ს მ(ა)რ|ტინევას, შ(ეუ)ნ|დოს ღ(მერთმა)ნ, ა(მე)ნ.

ბ: 2. მარტინევას; ამინ.

* **ᲩᲗ** გადმოცემულია ლიგატურით.

იმის მიხედვით, თუ როგორ აღვადგენთ ნაკლულ ტექსტს შეიძლება ჯვრის აშენება დავადასტუროთ დასავლეთ საქართველოს კიდევ ერთ ეპიგრაფიკულ ძეგლში:

4. XI ს. ღუმურიში (გალის რ-ნი). ჯვარი საგდუხტ დეოფალთა დეოფლისა.

ასომთავრული; ფრაგმენტი ოთხ სტრიქონად; ამოკვეთილი კირქვის ფილაზე. ფილაზე გამოსახული ყოფილა რელიეფური ორნამენტირებული ჯვარი, რომლის ზედა და განივი მკლავები მომტვრეულია. ფილის ზომები: 36×31×17 სმ. დაახლოებით თანაბარი სიმაღლის ასოებით შესრულებული წარწერა ამოკვეთილია ჯვრის დარჩენილი ქვედა ვერტიკალური მკლავის ორივე მხარეს. ასოების სიმაღლე: 3,5—3 სმ. განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი, ადგილ-ადგილ; ქარაგმის ნიშანი — სწორი, განივი ხაზი.

დაცულია დ. გულიას სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XI ს-ით.

გამოც.: 1. Х. С. Бгажба, Из истории письменности в Абхазии, Труды АБИЯЛИ, XXX, 1959, გვ. 251, სურ. 6. 2. ი გ ი ე ე, ცალკე გამოცემა, თბ., 1967, გვ. 13-14, სურ. 5 (გვ.13) (-ბ)

— — — —
— — — — —
— — — — —
ᲜᲨ|ᲨᲨᲗᲨᲗᲨ|ᲜᲨᲘ Შ
ᲦᲜᲨᲨᲨ ᲨᲠᲦ[ᲜᲘ]
ᲜᲠ|ᲨᲨᲔᲔ ᲘᲠᲘᲡ [Ჩ]
ᲜᲜᲘ: ᲨᲠᲩ

[ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ჯ(უარ)ისა ამი]|ს ამშ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლი, დ(ეო)|ფალთა დ(ეო)ფ(ა)[ლი] | ს(ა)გდ(უ)ხტ, ნ(ია)ნ(ია)ს [ა]|ს(უ)ლი, ა(მე)ნ.

1. ნაკლული ტექსტი შეიძლება აღვადგინოთ შემდეგი სახითაც: [„ღ(ერ)ო, შ(ე) ამის ტაძრი]სა მ(ა)შ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლი...“ 1. ქრისტე... ამის—ბ. 2. მშენებელი ბ; დედოფალთა დედოფალი ბ; საგდუხტ ბ. 3. ნიანის ბ; ასლ. **ᲩᲠᲩ**; ამინ ბ.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ჯვრის აღმართვა იურიდიული აქტია და წარმოადგენს ჯვრის აღმმართველის მიერ იმ მიწის მფლობელობის დადასტურებას, რომელზედაც მან ჯვარი აღმართა. ჯვრის ამშენებელი კი, პირველ რიგში, წარმოგვიდგება, როგორც საკულტო ძეგლის ამგები. ის არის პირი, რომელმაც ჩაატარა „მშენებლობა“, ოღონდ უფრო მცირე მაშტაბისა ვიდრე ეს ეკლესიის აგებაა. მოცემულ შემთხვევაში ჯვრის აშენება, რომ ეკლესიის აშენების მნიშვნელობით წარმოებს, გვიჩვენებს გიორგი ბასილისძის წარწერის დასკვნითი ფრომულა: **„აწ, ვინცა ეჵედრებოდეთ, ჩუენ სამნივე ძმანი ლოცვასა მოგუიკსენენითო“**; ასეა ვეჟან ატენელის წარწერაშიც: **„ესე ჯუარი ქრისტჱსი მე, ვეჟან ატენელ მამასახლისმან აღვმართე შესავედრებლად და საკსრად სულისა ჩემისა და ყოველთა-**

თკს თავყუანისმცემელთა ქრისტეანთა"[24]. ასევე „თაკუანისაცემელად" არის აღმართული ჯვარი თათვარაზის მიერ (უკანგორი, V—VI სს. მიჯნა)[25].

მაგრამ ჯვრის აშენება, ისევე როგორც ეკლესიის აგება ფეოდალს შეეძლო მის მფლობელობაში არსებულ მიწაზე, ამიტომ ის წარწერები, რომლებშიც ჯვრის აშენებაა აღნიშნული თავისი დანიშნულებით იურიდიული მნიშვნელობისანი არიან და წარმოადგენენ ჯვრის ამშენებლის მიერ იმ მიწის ფლობის დადასტურებას, რომელზედაც მათ ჯვარი ააშენეს[26].

* * *

ქართული ეპიგრაფიკული დიპლომატიკის განსაკუთრებით საყურადღებო ძეგლებს წარმოადგენენ ჟ ე ლ ე ბ ი და დ ა წ ე რ ი ლ ე ბ ი. ორივე მათგანი შესწავლილია ნ. ბერძენიშვილის და ვ. ცისკარიშვილის ზემოთ დასახელებულ გამოკვლევებში. არსებული მასალების დამუშავების შემდეგ „ჟელის" შესახებ ავტორებმა შემდეგი დასკვნები მიიღეს:

1. „ჟელი" ეწოდებოდა მიწაზედ უფლების მაჩვენებელ მატერიალურ ნიშანს, მიწაზე უფლების აღსადგენად „ჟელს ამართავდნენ" ხოლმე, ხოლო ამ უფლების დამრღვეველი „ჟელს მოგლეჯდა"... მაგრამ „ჟელი" ამავე დროს და ამავე საბუთებში თვით იმ უფლებასაც ეწოდებოდა, რომელსაც ეს მატერიალური ნიშანი გამოხატავდა"[27].

2. „X—XI სს. გვხვდება სპეციალური ტერმინი „ჟელი", რომელიც მხოლოდ ქვაზე ამოჭრილი იურიდიული ხასიათის საბუთების აღსანიშნავად იხმარება"[28].

---

24 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 167. ამ წარწერაში, ისევე როგორც XIV ს-ის I ნახევრით დათარიღებულ, დმანელი ამირას იობ მიხრიკისძის წარწერაში (იხ. ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან, სმამ, XXXIII:3, 1964. გვ. 745—752) ჯვრის აღმართვაა აღნიშნული, მაგრამ ეს აღმართვა პირველ რიგში, თავისი დანიშნულებით სხვა წარწერებში **აღნიშნული** ჯვრის აშენების მნიშვნელობისაა.

25 შდრ. ბოლნისის სიონის 493/494 წწ. სამშენებლო წარწერაში: „...[რ](ომელმა)ნ აქა შინა თ ა კ უ ა ნ ი ს ხ ც ე ს, ღ(მერთმა)ნ შეიწყალენ...".

26 ქვემო ქართლის არქეოლოგიური ძეგლების (ბოლნისის სიონი, ლამაზი გორის ეკლესია) გათხრისას აღმოჩნდა ადრეფეოდალური ხანით დათარიღებული რამდენიმე ქვის ფილა ბოლნური ჯვრების გამოსახულებით. ამ ფილებზე მოთავსებულია ზოგჯერ რელიეფური და ზოგჯერ ამოკვეთილი წარწერები, რომლებშიც მათზე გამოსახული ჯვრების რომელიმე პირისადმი მიკუთვნებაა მითითებული. ასე მაგალითად: **„ესე ჯუარი ვარსქენ ნაბაპეტისაჲ, „ესე ჯუარი შუშანიკისი"**. (იხ. ლ. მ ე ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ბოლნისი, **ენიმკის** მოამბე, III, 1938, გვ. 332, 339, სურ. 14, 19. Г. Н. Чубинашвили, Болнисский сион, **ენიმკის** მოამბე, IX. 1940, გვ. 185, სურ. 113). **„ესე ჯუარი ბარნაბაჲსი, რომელმან აღმოიკითხოს..."** (ჯ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1968, გვ. 34, სურ. 9). ყველა ეს წარწერები, რომლებშიც ჯვრის კუთვნილებაა მითითებული მ ე მ ო რ ი ა ლ უ რ ი წ ა რ წ ე რ ე ბ ი ა და მათ ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ძეგლებთან საერთო არაფერი აქვთ. ის სტელები, რომლებზედაც ბოლნური ჯვრებია გამოსახული დამზადდა მათ წარწერებში დასახელებული პირების: ვარსქენ ნაპაპეტის, შუშანიკის, ბარნაბას და სხვათა შეკვეთით. ამიტომ ამ წარწერებში დასახელებული პირების წმინდანებად მიჩნევა, კერძოდ ლამაზი გორის ეკლესიის გათხრისას აღმოჩენილი სტელის წარწერაში აღნიშნული ბარნაბას გაიგივება ქრისტეს ერთ-ერთ მოციქულ ბარნაბა კვიპროსელთან (ჯ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 35) სწორი არ არის.

27 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 143—144, 157.

28 ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 76.

დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში მოგვეპოვება ქვაზე დაწერილი ერთი იურიდიული საბუთი, რომელიც წარწერაში იწოდება, როგორც „ჟელი“. განვიხილოთ ის:

XI ს. ზემო კრიხი (ამბროლაურის რ-ნი). ჟელი სოფელ კრიხისა (სურ. 3).

ნუსხური; შვიდ სტრიქონად; ამოკვეთილი ეკლესიის სამხრეთი მინაშენის სამხრეთ კედელზე, სარკმლის წარბს ქვემოთ. წარწერის პირველი ორი სტრიქონი ამოკვეთილია წარბის ქვაზე, ხოლო მომდევნო ხუთი სტრიქონი — მის ქვემოთ ჩასმულ ქვის ფილაზე. წარწერას უჭირავს ფართობი: 40—29×19—20 სმ. ასოების სიმაღლე: 0,5—2,3 სმ. განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XI ს-ით.

გამოც.: 1. გ. ბოკერიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, სმმ, VII, 1933, გვ. 236, № 7, ტაბ. VI, სურ. 3 (-ბ). 2. ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 77 (-ც). 3. ვ. ცინცაძე, ზემო-კრიხის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქხ, 6-A, 1963, გვ. 92—93, სურ. 24 (გვ. 93, გრაფიკული გადმონახაზი) (-ც₁).

† სალ(ა)ოთ ითოსალთ ესე	† სახელითა ღ(მრ)თისა(ჲ)თა, ესე
ყოთო ბალოთ ბალოთ ი´ნ ესოდ	ჟელი
სალ(ა)ბ, ოინ ესოდ ბ	დავწერეთ ჩ(უე)ნ, კრიხ ან
ალ(ა)ბ ოინ ესოდ ბ	სოფელ₁ბ₁(ან).
ალ(ა)ბ ოინ ესოდ ბ	ვინცა ნაწირავი და
ალ(ა)ბ ოინ ესოდ ბ	ჰჭუთოს, საბერო
ალ(ა)ბ ოინ ესოდ ბ	და წილ(ი)
5. სალ(ა)ბ ოინ ესოდ ბ	5. ალ(ა)ბ ოინ ესოდ ბ
ალ(ა)ბ ოინ ესოდ ბ	ალ(ა)ბ ოინ ესოდ ბ
ალ(ა)ბ ოინ ესოდ ბ	ალ(ა)ბ ოინ ესოდ ბ
ალ(ა)ბ ოინ ესოდ ბ	ალ(ა)ბ ოინ ესოდ ბ
7. ოინ ესოდ ბ	1. ალ(ა)ბ ოინ ესოდ ბ

1. †] ქ ბ, ც; ღვთისაითა ბ; ღმრთისათა ც. 2. ჩვენ ბ, ც; სოფელმა ბ, ც. სოფელმა[ნ] ც₁. 3. დაჰჭოთოს წრწ, გაჰჭოთოს ბ, ც, და ჰჭოთოს ც₁. 4. წილი საღ-მრთო] ვილსაჩნო (?) ბ, ფილსაჩნო (?) ც; სალაპირო(?) ბ, და ლაპირო(?) ც,]სა(ა)ღაპოი ც₁; 5. არა] არ ც; მის-ცეს ც₁. 6. კროლია წრწ, ბ, ც; ღვთისა ბ. ხეთის ც; ვინცა] ვინგა წრწ, ვ-ნ ც; ვინცა მისცეს] აწცა ამის ც₁.

* **საბერო წილი საღმრთო, სალაპირო** — საეკლესიო გადასახადები, როგორც ჩანს ნატურით. სამივე მათგანი სხვა წყაროებით უცნობია. მათი სახეობის ან მოცულობის შესახებ ცნობების არ არსებობის გამო დანამდვილებით რაიმეს თქმა ძნელია. ამათგან სალაპირო დღეს ჩვენთვის სემანტიკურადაც გაუგებარ სიტყვას წარმოადგენს. წარწერაში ამ სიტყვის ადგილას ვ. ცინცაძე „სააღაპო“-ს კითხულობს[29]. ასეთი წაკითხვის შემთხვევაში, მართალია წარწერის ტექსტში თითქოს ყველაფერი გასაგები გახდება, მაგრამ სამაგიეროდ ეს წაკითხვა სინამდვილის ამსახველი არ იქნება.

მეორე იურიდიული საბუთი, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ძეგლებში გვაქვს არის — დაწერილი გიორგი ერისთავთა ერისთავისა სავანის სოფლისადმი. „დაწერილი“, როგორც აღვნიშნეთ „ჟელისაგან“ განსხვავებით, არ წარმოადგენს მხოლოდ ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ძეგლების აღმნიშვნელ სპეციფიკურ ტერმინს და ის, ჩვეულებრივ, რბილ საწერ მასალაზე შესრულებული იურიდიული საბუთების აღსანიშნავადაც იხმარებოდა. ნ. ბერძენიშვილის დასკვნით „XI—XIII

29 ვ. ცინცაძე. ზემო-კრიხის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 92.

საუკუნეთა მანძილზე ქართულ დიპლომატიკაში ყოველ იურიდიულ დოკუმენტს „დაწერილი“ ეწოდებოდა, თუ ის მეფისაგან არ არის გაცემული“[30]. მეფის სახელით შედგენილ იურიდიულ დოკუმენტს კი „სიგელი“ ეწოდებოდა[31].

ქართული სამართლის ეპიგრაფიკულ ძეგლებში „დაწერილები“ ათზე მეტია ცნობილი. ყველა ისინი ეპიგრაფიკული დიპლომატიკის სხვა ძეგლებთან ერთად გამოსაცემად მზადდება „ქართული ისტორიული დოკუმენტების კორპუსის“ I ტომში. ამათგან დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში ერთია — დაწერილი გიორგი ერისთავთა ერისთავისა.

1046 წ. სავანე (საჩხერის რ-ნი). დაწერილი გიორგი ერისთავთა-ერისთავისა სავანის სოფლისადმი. (სურ. 4).

ასომთავრული; ცამეტ სტრიქონად; ამოკვეთილი ყვითელი ქვიშა-ქვის ფილაზე, რომელიც ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადში, სარკმლის მარცხნივ, ამ უკანასკნელის წარბს ქვემოთ არის ჩასმული. ფილის ზომები: 55×48 სმ. მას ირგვლივ მაღალი ჩარჩო შემოუყვება. წარწერა შესრულებულია კიდურწაისრული და ნაწილობრივ კიდურწერტილოვანი დამწერლობით. მისი პირველი და ბოლო სტრიქონი, აგრეთვე სხვა სტრიქონთა დასასრული ასოები ამოკვეთილია ფილის ჩარჩოზე. ასოების სიმაღლე: 2—3—3,5 სმ. განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი, ადგილ-ადგილ; ქარაგმის ნიშანი — კიდურწერტილოვანი, სწორი, განიეი ხაზი.

წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით და თავისი რეალებით ეკლესიის სამშენებლო წარწერის თანადროულია. ამიტომ სამშენებლო წარწერის თარიღი **„ქრონიკონი იყო სჲ“**[32], შეიძლება ამ წარწერაზედაც გავავრცელოთ და მაშინ გიორგი ერისთავთა ერისთავის დაწერილი 1046 წლით დათარიღდება.

გამოც.: 1. M. Brosset, Notice détaillée sur les églises de Sawané et de Manglis, „Bullet. hist.-phil“. ტ. XIV, 1857, სვ. 161—168., № 1 (-ბრ). 2. იგივე, M. Brosset, MA, t. III, livr. I, 1857, გვ. 43, pl. 1, 3 (-ბრ). 3. [გ. წერეთელი]. არხეოლოგიური ექსკურსიიდან, სავანის ეკლესია, „კვალი“. 1895, № 27, გვ. 9, № 3 (-ნ). 4. Г. Церетели, Археологическая экскурсия по Квирильскому ущелью, МАК, VII, 1898, გვ. 102—103, № 29 (-ნ). 5. E. Taqaichvili, Four basilican churches of the Qvirila valley, „Georgica“, vol. I, № 2—3, London, 1936, გვ. 157 (-თ). 6. ვ. ბერიძე, სავანე, ქხ, 1, 1942, გვ. 91—92, ტაბ. 25_1 ($-ბ_1$). 7. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 242 (-ბ).

---

30 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 209. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926, გვ. 25—29.

31 ნ. ბერძენიშვილი, იქვე; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26. უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის რამდენიმე ძეგლში ეს პრინციპი თანმიმდევრულად გატარებული არ არის და მეფის მიერ გაცემულ იურიდიულ საბუთსაც ზოგჯერ „სიგელთან“ და „ბრძანებასთან“ ერთად „დაწერილიც“ ეწოდება: 1. „თქუენ... ქართლისა კათალიკოზმან დაწერილი ესე ჩუენი დაამტკიცეთ“. „ვითა მათსა დაწერილსა სწერია, უქციოს და შალოს დაწერილი მათი... კრულმცა არიან“, „ვინ დაამტკიცოს და არა შალოს ბრძანებული და დაწერილი მათი, მიიღენ კურთხევაი“ (1057 წლის შეწირულების სიგელი ბაგრატ მეფისა შიომღვიმისადმი; ქართული სამართლის ძეგლები, II, გამოსცა ი. დოლიძემ, თბ., 1966, გვ. 6, 7). 2. „თქუენ... ქართლისა კათალიკოზო... დაუმტკიცეთ დაწერილი და სიგელი ესე“ (1072 წლის შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი მეფისა შიომღვიმისადმი; იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 11).

32 ტექსტის უკანასკნელი პუბლიკაცია იხ. ვ. ბერიძე, სავანე, ქხ, 1, 1942, გვ. 89—90.

† სახელითა ღ(მრ)თ|ის(ა)ჲთა, მე ე(რისთავ-
თა) ე(რისთავმან) გ(იორგ)ი, | დაუწერე და|მი-
ვეც ამის ე|კლესიისა ნ(ა)ხ(ე)ვ(ა)რ|ი ს(ა)ვ(ა)-
ნ(ი)სა ს(ო)ფ(ე)ლსა*. | თ(ა)ნადამიდგე|ს, ოდეს
5. შ(ე)ნ(ე)ბ(ა)ჲ და|ვ(ი)წყ(ე)თ,** — მ(უ)შ(ა)ობ(ი)-
თა, ფ|ასითა და ყ[ოვ)|ლითა | ფ(ე)რ(ი)თა,
ღ(მერთმა)ნ უბ(ე)დნ(ი)ერ(ე)ნ| უკ(უნისამდ)ე.
ვინ უ ციოს, | ბრ(ი)სხ(ავ)სმცა ღ(მერთ)ი და
წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი.

† ᲡᲮᲔᲚᲗᲜᲘᲗ ᲘᲗᲘ
ᲜᲡᲗᲘᲗ ᲨᲘ:ᲗᲗᲘ ᲚᲗᲘ
ᲗᲔᲘᲒᲘᲨᲘ: ᲗᲔ
ᲨᲘᲗᲘᲔ:ᲔᲨᲘᲡ Ი
5. ᲙᲘᲜᲘᲡᲔ:ᲩᲔᲨᲘᲗᲘ
Ი:ᲡᲗᲩᲡᲔ:ᲡᲒᲘᲡᲔ
ᲘᲗᲩᲔ:ᲗᲔᲨᲘᲗᲔᲚᲘ
Ს:ᲘᲗᲘᲡ ᲧᲩᲚᲘ: ᲗᲔ
ᲗᲔᲒᲘᲗᲔᲨᲘᲗᲔᲨᲘᲗᲔ Გ
10. ᲔᲡᲘᲗᲔ:ᲗᲔ ᲒᲘ|ᲜᲔᲚᲘᲗᲔ
ᲒᲘᲨᲘᲗᲔ: ᲘᲩ:ᲘᲨᲔᲗᲩᲨᲘᲨᲩ
ᲘᲩᲚᲘ: ᲗᲘᲩ ᲘᲩᲒᲘᲘᲨ:
ᲜᲨᲘᲡᲔᲨᲔᲒᲔᲗ:ᲘᲩᲘ ᲗᲔ ᲒᲔᲗ
ᲚᲘᲩ:

1—4.†... დაეიწყეთ—ბრ. 1.†] ქ წ, — თ, ბ, ბ[1]; ღვთისათა წ, წ[1]. 1—2. ერისთავთერისთავმან თ, წ, წ[1], ბ[1]. 3. ეკკლესიისა წ, წ[1]; სავანის წ, წ[1]; 4. სოფელსა. თანა] სოფლისათანა წ[1]. 5. შენობაჲ წ, ბ, შენობაი წ[1]. მუშაობითა] მშობელთა ბრ, წ, წ[1], ბ; 6. ფასათა ბ, ბ[1]; ფრით ბრ, ფრითა წ, წ[1]. 7—9. უკუნისამდე... გიორგი—წ, წ[1]. 8. ვინთ ბრ; უქციოს] ქოიოს ეე ბრ. 8—9. უქციოს... გიორგი—ბრ. 8. ჰრისხავსმცა] ღ თ; ღმერთი... გიორგი—თ.

1—2.ᲘᲩᲘ|ᲡᲔᲩᲔᲗ ბრ, ᲘᲩ|ᲜᲡᲗᲔᲗ ბ. 2. ᲗᲘ ᲚᲘ]ᲚᲚᲜ ბრ. 4. ᲗᲨᲘ ბრ. 5—6. ᲘᲩᲘᲨᲘ|ᲘᲩᲘᲨᲘ|Ი ბრ. 8—9. ᲗᲔ|ᲨᲩᲒᲘ|ᲗᲔ|ᲨᲩᲒᲘᲩ ბრ. 9—10. ᲒᲘᲡᲘᲗᲔ|ᲒᲘᲒᲨᲘᲩᲔ ბრ, ᲒᲘᲡᲔᲩᲔ ბ. 11. ᲘᲩᲘᲨᲘᲨᲘᲨ|ᲘᲩᲔᲜᲘᲩᲔ ბრ. 12. ᲘᲩᲘ|ᲘᲩᲚᲘ ბრ; ᲘᲩᲘᲡ|ᲘᲩᲘᲘ ბრ. სტრ. 13—ბრ.

* **„მივეც ამის ეკლესიისა ნახევარი სავანისა სოფელსა“** — გიორგი ერისთავთა ერისთავმა ამ დაწერილით სავანის ეკლესია სანახევროდ სამრევლო ეკლესიად გადააქცია, იმ დახმარებისათვის, რომელიც მას სოფელმა გაუწია ეკლესიის მშენებლობის დროს. წარწერაში, ვ. ბერიძე „მუშაობითა“-ს (სტრ. 9) ნაცვლად (წარწერის ყველა გამომცემლის მსგავსად ექ. თაყაიშვილის გამოკლებით) „მშობელთა“-ს კითხულობს და აღნიშნავს: „მშენებლობაში, რომელიც ერისთავთ ერისთავს თავისი მშობლების დახმარებით დაუწყია (დაყოფა ჩემია — **ვ. ს.**), მონაწილეობდა სოფელიც, — როგორც ჩანს, მან სანახევროდ გაიღო ხარჯები[33].

** **„თანადამიდგეს ოდეს შენებაჲ დაეიწყეთ“.** — გიორგი ერისთავთა ერისთავს ეკლესიის აგებაში, მისივე აღნიშვნით, ეხმარებოდა სოფელი მუშაობით, ფულით და ყველაფრით. მსგავსი ფაქტები, როდესაც ეკლესიის აგებაში ან მოხატვაში სოფელიც იღებს მონაწილეობას სათანადო სახსრების გაღების სახით, ფეოდალური ხანის საქართველოში სხვაც გვხვდება[34]. ასე მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით „ტფილისისა მკვდრთა დიდსა ეკლესიასა დაიწყეს: ნახევარსა იქმოდა ყოველი ერი და ნახევარსა ერისთავნი“[35] „გრიგოლ ხანცთელის ცხორებაში“ დაცული ცნობის მიხედვით „გურგენ, ძმის-წული აშოტი-

33 ვ. ბერიძე, სავანე. გვ. 130.

34 იქვე, გვ. 93, შენ. 1 სქოლიო.

35 მოქცევაჲ ქართლისაჲ, Ш, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, I, თბ.. 1964, გვ. 95_{20-23}.

სი, დიდი იგი ჴელმწიფჱ ფრიადთა ნათესავთაჲ, ღმრთისა მიერ დაჯდა ერისთავთა-ერისთავად. და მან განასრულა ეკლესიაჲ იგი ახალი ხანცთისაჲ და მის თანა ყოველთა დიდებულთა ჴელმწიფეთა და აზნაურთა და ყოველმან ერმან მორწმუნეთამან და უფალმან კეთილი მოუკლებელი მიეცინ ყოველთავე!"[36]. ხოლო სუმბატ დავითის ძის ცნობით, როდესაც „ტფილისის მკვდრთა ეკლესიის გებად იწყეს... ნახევარსა ყოველი ერი აშენებდა და ნახევარსა ერთი ვინმე დედაკაცი"[37]. მთელი სოფელი აშენებს ეკლესიას ნავარძეთში[38]. ასევე ერისთავთა-ერისთავისა და სოფლის მიერ ეკლესიის ერთობლივად აშენებაზე უნდა იყოს აღნიშნული საორბისის ეკლესიის 1152 წლის სამშენებლო წარწერაში[39], მთელი სოფელი აშენებს მიქარწმინდის ეკლესიას რაჭაში[40] და სხვ.

ყველა ეს შემთხვევა, ეკონომიური მომენტების გარდა, შეიძლება ღმრთის წინაშე ერთობლივი სამსახურის გაწევის სურვილითაც იყოს განპირობებული.

* * *

დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ძეგლთა ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ჰქმნიან წარწერები ქვის მოღების, ქვის შეწირვის და სხვა საეკლესიო შეწირულებათა შესახებ.

წარწერები ქვის მოღების ან ქვის შეწირვის შესახებ წარმოადგენენ საბუთებს, რომლებშიც ეკლესიისათვის გაწეული სამსახურია აღნიშნული. ეს სამსახურია, მოცემული შემთხვევებში, საამშენებლო ქვის შეწირვა. ასეთი წარწერები დასავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკულ ძეგლებში ექვსია. მათი ქრონოლოგიური ფარგლები მოიცავს XI—XVIII სს. ყველა ისინი ქვემოთ წარმოდგენილია მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით.

1. XI ს. უბისი (ორჯონიკიძის რ-ნი). ქვის მომღების წარწერა.

ნუსხური; სამ სტრიქონად; ამოკვეთილი ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადში, სარკმლის ზედანის მარცხნივ ჩასმულ ქვის ფილაზე. წარწერა მოთავსებულია ფილის ზედა და მარჯვენა კიდეებში. ზედა კიდეში, სადაც ამოკვეთილია წარწერის ორი სტრიქონი, ის იკითხება

---

36 ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ, იქვე, გვ. 277_{18-22}.

37 სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოსცა ექ. თაყაიშვილმა, **მხკი**, ნაკვ. 27, თბ., 1949, §-12. ქ"ცა. I. 374_{16-17}. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, სუმბატის ეს ცნობა უნდა ჰქონდეს დადებული საფუძვლად ანალოგიური ცნობის შემცველ ჩანართს ჯუანშერის თხზულებაში, იხ. ქ"ცა, I, 222_{3-6}, სქოლიო შენ. 4.

38 ამჟამად სოფელს რგანი ეწოდება, ნავარძეთი მისი მეზობელი მეორე სოფელია. რგანის ეკლესიის წარწერა, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით XI ს-ის I ნახევრით თარიღდება, გამოცემული არ არის. მისი ტექსტი ასეთია:

„სახელითა ღ(მრთ)ისაჲთა, მ|ეოხებითა წ(მიდ)ისა გ(ა)ბრ(ი)ელ(ს)ა(ჲ)|თა, ს(ო)ფ(ე)ლ(მა)ნ ნ(ა)ვ-(ა)რძ(ე)თ(მა)ნ ა(ა)გო ტ(ა)ძ(ა)რი ესე ღ(მრთ)ისა(ჲ).

ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ს(ო)ფ(ე)ლ(ი) აქა ბ(ო)რ(ი)ლ(ა)ჲ, მ(უ)ნ ს(ე)ლ(ე)ბ(ა)ლ".

39 Г. Чубинашвили, Саорбисская церковь, см. Его, „Вопросы истории искусства", I, Тб., 1970, გვ. 282; **ძმ**, 10—11, გვ. 56—წარწერის გრაფიკული გადმონახატი.

40 გ. ბოკორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, **სმმ**, VII. თბ., 1933, გვ. 209.

ჰორიზონტალურად, ხოლო მარჯვენა მხარეს ზემოდან ქვემოთ. წარწერას უჭირავს ფართობი: ზედა კიდეში — 4×41 სმ, მარჯვენა მხარეს — 3×20 სმ. ასოების სიმაღლე: 0,7—2 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი — სწორი, განივი ხაზი.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XI ს-ით.

გამოც.: 1. M. Brosset. Rapports, XII, გვ. 100, c (-ბ). 2. Е. Такайшвили, АЭРЗ, ИКОИМАО, вып. IV, Тб., 1915, გვ. № 7 (-თ).

ესე ფიცხ ბე ბაფა⁚ი⁚ე⁚ [ფრნ⁚ [ფ⁚ალ⁚ფ
თაკ[ათ]
ფალფალ ყფა[თ]

---

1. **ᲮᲜᲨ ბ, ᲮᲜᲝ თ; ბე ბაფალ]ᲨᲘᲨᲐᲜᲘᲘᲠ ბ, ᲨᲐᲜᲘᲚᲠ თ; ᲜᲘᲜᲡᲨ ბ, ᲜᲘᲜᲡ თ.** 1—2. **ალალ⁚ალ[ათ]]ᲚᲜᲘᲨᲐᲨ ბ. თ.** 3. **ᲨᲜᲨ** (sic) **ბ, ᲡᲨᲜᲨᲨ თ.**

ეს ქვაჲ მე მოვი⁚ლე⁚,—[ვ⁚ი⁚ნ⁚ ⁚წ⁚აიკი[თხ[ოთ]]—ლოცვაჲ ყ(ა)ვი(თ).

თ: მოეგე; ვინც; ი[კითხოთ]; ყაეთა, ყ᾽ვაჲ **ᲠᲜᲠ**.

2. XI. ს. კაცხი (ჭიათურის რ-ნი). წარწერა ქვის მოღების შესახებ. (სურ. 5).

ნუსხური; ოთხ სტრიქონად; ამოკვეთილი ქვის ფილაზე, რომელიც ეკლესიის გარშემოსასვლელის სამხრეთ-დასავლეთ წახნაგშია ჩასმული. ფილის ზომები: 67×58 სმ. ქვა ჩასმულია გვერდშექცევით: წარწერა იკითხება ზემოდან ქვემოთ. მისი გაგრძელება მოთავსებულია ქვია ბეორეს ფილზე (მისი ზომაა: 62×66 სმ), რომელიც პირველის გვერდით არის ჩასმული. მასზე შემორჩენილია ოთხივე სტრიქონის დასასრული ნაწყვეტები: ტექსტი აქ იკითხება ქვემოდან ზემოთ. მ. ბროსეს დროს, ორივე ეს ფილა ერთ ფილას ჰქმნიდა, მაგრამ, როგორც ჩანს XIX ს-ის დასასრულს, ტაძრის შეკეთების დროს ორად გააპეს და ჩასვეს გარშემოსასვლელის წახნაგში. ამ დროს გადათალეს ალბათ ფილები, კედლის ქვების საერთო წყობაში მათი მორგების მიზნით. ამის გამო, თავდაპირველად ღრმა კვეთით შესრულებული წარწერა გადათლილია და ნაწერი ადგილ-ადგილ ქვის დამუშავების ხაზებში ირეკება. ასოების სიმაღლე 3—9 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს, ქარაგმის ნიშანი — სწორი, განივი ხაზი.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XI ს-ით.

გამოც.: M. Brosset, Rapports, XII, გვ. 95, (-ბ).

ᲠᲐ ᲡᲔᲑᲘᲧᲔᲡ Ყ[ᲘᲜ]ᲠᲘᲧ⁚
ᲚᲝᲡᲘᲜ ᲡᲘᲧ⁚ᲛᲘ .ᲡᲘᲧ⁚.Ე ᲨᲔ
ᲑᲘᲡᲘᲡᲔ ᲧᲘᲜ⁚ᲛᲘᲜᲘᲡᲔ ᲥᲣᲥᲘᲡᲔ
ᲨᲐ᾽ᲛᲔ ᲔᲡᲔ ᲤᲘᲤᲘᲡᲔ ᲑᲐᲜᲘᲡ

Წ(ᲛᲘᲓᲐ)Ო ᲡᲐᲛᲔᲑᲐᲝ, Შ[ᲔᲘ]Წ⁚ᲧᲘ(Ა)⁚ ᲚᲔᲜ ᲡᲣᲚᲘ .ᲡᲘ⁚ᲨᲘ⁚.Ე ᲓᲐ | ᲛᲘᲡᲘᲡᲐ ᲨᲕᲘ⁚ᲚᲘᲡᲐ ᲮᲣᲪᲘᲡᲐ, | Რ(ᲝᲛᲔ)Ლ ᲔᲡᲔ ᲥᲕᲐᲜ ᲛᲝᲘᲚᲝ.

ბ: 1. Ქ + წმიდაო; შეიწყალე + სალ. 2. სული].....; .ᲡᲘᲨᲘ⁚.Ე] ხილგს + ა; და—; მისისა] მისი; შვილისა] ...სი. 3. ხუცისა] ხურსი; რომელ] ძე, ᲥᲕᲐᲜ] ქვა.

3. XIII ს. ბაჯითი (საჩხერის რ-ნი). სამების ეკლესია. მიქაელის მიერ ქვის შეწირვა.

ნუსხური; ფრაგმენტი — სამი სტრიქონი; ამოკვეთილი თეთრი კირქვის ფილაზე, რომელიც ეკლესიის დასავლეთ ფასადში, ქვების ზემოდან მეოთხე და ჩრდილოეთის კიდედან მეხუთე წყობაშია ჩასმული. ფილის ზომები: 20×25 სმ. მისი ზედა და მარცხენა კიდეების ჩამოპრის შედეგად წარწერა შემონახულია ნაკლული სახით. ასოების სიმაღლე, 1—3 სმ. წარწერის ქვემოთ, ფილაზე ღრმა კვეთით გამოყვანილია ჯვარი. ფილის ზედაპირს გადას-

მული ჰქონია ამჟამად გადასული წითელი საღებავი; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი — სწორი, განივი ხაზი.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XIII ს-ით.

არ გამოც.

— — — ყu. ⁞ყŋ⁞ ბŋ — — —	[წ(�იდა)ო ს(ა)მ(ე)]ბ(ა)ო, შ(ეიწყალ)ე
ŋხŋ ᲫŋᲣᲪ ბ— — — — — —	მი[ქ(ა)ელ], | ესე ქვაᲐ მ[ან] | [შ]ესწირა.
—⁞ŋ⁞Ს⁞Რ⁞ŋᲫᲣ Ძ´ŋ Ყ´ŋ Შ´ŋ	ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე გ(იორგ)ი.

4. XIII ს. ბაჯითი (საჩხერის რ-ნი). სამების ეკლესია. გიორგის მიერ ქვის შეწირვა.

ნუსხური; ფრაგმენტი — ოთხი სტრიქონის ნაწყვეტები; ამოკვეთილი ქვის ფილაზე, რომელიც ეკლესიის დასავლეთ ფასადში, სარკმლიდან მარცხნივ, ქვების მეორე წყობაში არის ჩასმული. ფილის ზომები: 23×24,5 სმ. მისი ზედა ნაწილის გადანაკვეთს წარწერის პირველი სტრიქონი გაჰყოლია. ასოების სიმაღლე: 1—2,5 სმ. წარწერის ქვემოთ ფილის მთელ სიგრძეზე გაელებულია ღარი. ფილის ქვედა მარჯვენა ნაწილში გამოსახულია ღრმა კვეთით შესრულებული ჯვარი (ზომა: 4×7,5 სმ.), რომლის მკლავების ბოლოები სტილიზებულია წიწვოვანი მოტივით. ქვის წარწერიან ზედაპირს და ასოებს გადასმული აქვს ამჟამად გადასული წითელი საღებაი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი — სწორი, განივი ხაზი.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XIII ს-ით.

არ გამოც.

— — — — — — — —	[წ(ეიდა)ო სამებაო], | ⁞შ⁞(ეიწყალ)⁞ე⁞
⁞ყŋ⁞ ᲧŋᲣ´ŋᲣ ŋᲡŋ Ძ	გი(ორ)გი, ესე ქ⁞ვაი მათ შᲔ. | ŋᲫᲣ შᲔ
ᲫŋᲣᲪ ბ´ᲨᲣ შᲔ.	
ŋᲫᲣ შᲔ	2. გᲐ´გი წრწ.

5. XV—XVI სს. გელათი, ქუთაისის მიდამოები. ქვის შეწირვა იაკობ ფანჩულიძის მიერ.

ასომთავრული; ერთ სტრიქონად; ამოკვეთილი ქვის სვეტზე. ამჟამად სვეტი დგას გელათის მონასტრის ეზოში, ჩრდილოეთის შესასვლელის პირდაპირ, ხელმარცხნივ. სვეტის ზომებია: სიმაღლე — 135 სმ, გარშემოწერილობა — 146 სმ. ფუძე და თავი სვეტისა შემკულია სხვადასხვა სახის წნული გეომეტრიული ჩუქურთმით, რომელიც რამდენიმე ადგილას ატკეცილია. მოგრძო ასოებით და კიდურწერტილოვანი დამწერლობით შესრულებული წარწერა ამოკვეთილია სვეტის ზედა ნაწილზე, ჩუქურთმის მაღალი რელიეფით შესრულებულ ორმაგ ლილვს ქვემოთ. მას უჭირავს სვეტის გარშემოწერილობის 113 სმ. წარწერის დასაწყისში დასმულია კვარცხლბეკზე შემდგარი რვაწახნაგა ჯვარი (ზომა: 16×13 სმ). ასოების სიმაღლე: 3—11 სმ. განკვეთილობის ნიშანი — სამწერტილი, ადგილ-ადგილ, განლაგებული მარჯვნივ წაწვეტებული სამკუთხედის სახით; ქარაგმის ნიშანი — სწორი, განივი ხაზი.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XV—XVI სს-ით.

გამოც.: 1. Г. Церетели, ПСН, ДВ, т. I, вып. II, М., 1891, გვ. 226, № 2, (-ნ). 2. ბ. ლომინაძე, გელათი, თბ., 1955, გვ. 58 (ნ-ის მიხ. (-ლ). 3. Р. Меписашвили, Архитектурный ансамбль Гелати, Тб., 1966, გვ. 164.

†: ᲩᲡ: ᲫᲨᲢ: ᲘᲪᲮ ᲨᲣᲦ: ᲦᲩᲰᲮᲡ⁞ᲨᲰᲨᲢᲡ ᲘᲢ ᲢᲨᲰ

† ეს ქვა იაკ(ო)ბ, მოგ(ართუა), ფ(ა)ნჩ(უ)ლ(ი)ძ(ე)მ(ა)ნ, შ(ე)უნდ(ო)ს ღ(მერ-თმ)ა(ნ), ამ(ე)ნ.

ნ: 1. ესე: ⁞ᲠᲣᲔᲢᲐᲜᲜᲘᲜ: ფანჩულიემან —; შეუნდის ღმერთმან ამენ] ამხაზეთის: (აბხაზეთის ლ) კათალიკოზმან: ღმერთო: შეუნდვენ: ცოდვანი: მისნი: ამინ:

6. 1777 წ. ვარძია (ორჯონიკიძის რ-ნი), სამრეკლო. ქვის შეწირვა ჩერგეზის მიერ.

მხედრული; ოთხ სტრიქონად; ამოკვეთილი თეთრი კირქვის ფილაზე. რომელიც სამრეკლოს სამხრეთი შესასვლელის ტიმპანს ზემოთ არის ჩასმული. ფილის ზომები: 68×55 სმ. მასზე გამოყვანილია რელიეფური ჯვარი (ზომა: 32×35 სმ). ქვედა მარჯვენა კუთხე ფილისა მოტეხილია. ღრმა კვეთით შესრულებული წარწერა მოთავსებულია ჯვრის მკლავებს შორის. ასოების სიმაღლე: 1—7 სმ. განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XVIII ს-ის II ნახევრით. ამავე სამრეკლოს სამშენებლო წარწერაში (ტექსტი იხ.: გ. ცქიტიშვილი, **მსკი**, ნაკვ. 31, **გვ.** 59) დასმული თარიღი — 1777 წ. შეიძლება ამ წარწერასაც მივაკუთვნოთ.

გამოც.: გ. ცქიტიშვილი, წარწერა იმერეთის სოფ. ვარძიის მონასტრის სამრეკლოზე, **მსკი** ,ნაკ. 31, თბ., 1954, გვ. 7 (-ც).

ᲫᲔᲡᲔ ᲡᲐᲛᲐᲠᲙᲚᲐᲓ (sic) [ᲨᲔᲜ]
ᲛᲔ ᲛᲝᲒᲠᲘ ᲩᲔᲠᲒᲔᲖᲛᲐ
ᲩᲔᲛᲘᲡᲐ ᲡᲣᲚᲡᲐᲗᲘᲡ ᲐᲛᲘᲜ ᲣᲒᲐᲚ
ᲐᲛᲘᲡ ᲫᲕᲐ ᲑᲠ[ᲔᲗᲓᲐᲚᲛᲐ [ᲛᲝᲛᲘᲢᲐᲜᲘᲐ

ქ. ესე სამრ(ე)კლოდ [შენ] | მე მოგ(ა)რ(თვ)ი—ჩერგეზმა, | ჩემისა სულ(ი)სათ(ვი)ს. ამინ უგალ(ობეთ)!
ამის ქვა ბრ[ეთ(ი)დალმ(ა) [მ]ომიტანია.

1. სამარკლად **ᲠᲠᲬ**; მე მოგართვი ჩერგეზმა— ც. 3. უგალობეთ—ც. 4. ამის ქვა ბრეთიდალმა] ეს (ამი) სიპი საბრეთ დალმა ც.

* * *

მრავალფეროვნებით გამოირჩევა დასავლეთ საქართველოს ქართულ ლაპიდარულ წარწერებში ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ის ძეგლები, რომლებიც საეკლესიო შეწირულებებს ეხება. დასავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკულ ძეგლებში ექვსი ასეთი **წარწერა** გვაქვს.

1. XI ს. ზემო კრიხი (ამბროლაურის რ-ნი). კვირიკე კალატოზის წარწერა ეკლესიისათვის 25 დრამის შეწირვის შესახებ. (სურ. 6).

ნუსხური; ექვს სტრიქონად; ამოკვეთილი ეკლესიის სამხრეთი მინაშენის, — **კარიბჭის** სამხრეთ კედელში, აღმოსავლეთი სარკმლის მარჯვნივ ჩასმულ ქვის ფილაზე. ფილის ზომები: 27×22 სმ. წარწერის სტრიქონები ამოკვეთილია დახრილად, ღრმა კვეთით; რიცხვის აღმნიშვნელი ასოები **კე** ჩასმულია წერტილებში. ასოების სიმაღლე: 0,7—3 სმ. განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები **არ** ახლავს.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XI ს-ით.

გამოც.: 1. ს. კაკაბაძე. წინასწარი ცნობა დასავლეთ საქართველოს **ზოგიერთ ეპიგ**რაფიული მასალის **შესახებ, სკ,** IV, 1929, **გვ.** 107 (-კ). 2. **გ. ბოჭორიძე,** რაჭის **ისტორიული ძეგლები, სმმ,** VII, 1933, **გვ. 236, № 6, ტაბ. VI, სურ. 3** (-ბ), 3. ვ. **ცინცაძე, ზემო-კრიხის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ᲕᲮ,** 6-A, 1963, **გვ,** 91, **სურ.** 23 (**გვ.** 91), **ტაბ.** 36 (-ც). 4. ვ. **ბერიძე,** ძველი ქართველი ოსტატები, **თბ.,** 1967, **გვ.** 140 (-ბრ).

ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲐ Ღ(ᲛᲠ)ᲗᲘᲡᲐ|ᲘᲗᲐ, ᲛᲔ, Კ(ᲖᲠᲘᲚ)Ე* ᲩᲔᲛᲘ|ᲗᲐ ᲙᲐᲚᲐᲢᲝᲖᲝ|ᲑᲘᲗᲐ ᲨᲔᲕᲡᲬᲘᲠᲔ | ᲐᲛᲐᲡ ᲔᲙᲚ(ᲔᲡᲘᲐ)ᲡᲐ ᲙᲔ ! ᲓᲠᲐᲛᲐᲘ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲐ ᲦᲛᲠᲗᲘᲡᲐ
ᲘᲗᲘᲡ ᲨᲔ ᲙᲔ ᲩᲔᲛᲘ
ᲗᲘᲡ ᲙᲔᲠᲐᲢᲝᲖᲝ
ᲧᲕᲗᲘᲡ ᲧᲝᲤᲚᲘᲡᲐᲨᲘ
5. **ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲙᲔ**
ᲨᲘᲠᲔᲑᲔᲠ

* შეიძლება: კ(ოსტანტინ)ე, ან კ(ვირილ)ე.

1. სახელითა ბ (კორ. შეცდ.); ღთისაითა კ, ბ, ც, ბრ; კ᾽ე კ, ბ, კვირიკე (ან კირილე) ც, კვირიკე ბრ; 3. ეკლსა ბ, კე დრამაი] კედრამდი კ.

ვ. ცინცაძის დაკავირვებით კვირიკემ „თავისი ხელობით გამომუშავებული 25 დრამა“ შესწირა ეკლესიას. მაგრამ, როგორც ჩანს „ჩემითა კალატოზობითა შევსწირე“ შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: კვირიკემ ეკლესიის მინაშენის სამუშაო, რომელიც 25 დრამის გასამრჯელოს მოითხოვდა, უფასოდ შეასრულა, რის გამოც მოიპოვა უფლება ამოეკვეთა სათანადო შინაარსის წარწერა საკმაოდ თვალსაჩინო ადგილას.

2. 1046 წ. სავანე (საჩხერის რ-ნი). საურმაგ აქუნისძის წარწერა ეკლესიისათვის აკაზმულობის შეწირვის შესახებ. (სურ. 7).

ასომთავრული; შესრულებული; რვა აბოოქონად; ამოკვეთილი მოკლეალო ტვიშაქვის ფილაზე, რომელიც ეკლესიის სამხრეთ ფასადში, კარიბჭის ზემოთ, აღმოსავლეთის კუთხიდან მეორე და მესამე სარკმლებს შორის არის ჩასმული. ფილის ზომები: 60×42,5 სმ. ფილა რამდენიმე ადგილას, განსაკუთრებით ქვედა მარჯვენა კუთხეში გადარეცხილია. წარწერა შესრულებულია კიდურწაესრული და ნაწილობრივ კიდურწერტილოვანი დამწერლობით. ასოების სიმაღლე: 3—4 სმ. განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი, ადგილ-ადგილ; ქარაგმის ნიშანი — კიდურწერტილოვანი, სწორი, განივი ხაზი.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XI ს-ით. შეიძლება დათარიღდეს 1046 წლით, ამავე ეკლესიის სამშენებლო წარწერაში (ტექსტის უკანასკნელი გამოც.: ვ. ბერიძე, ქხ, 1, გვ. 89). დასმული თარიღით („ქრონიკონი იყო ხავ“ — 266=1046 წ.) რადგანაც, როგორც პალეოგრაფიული ნიშნებით, ისე თავიანთი რელიეფით ორივე ეს წარწერა თანადროულია.

გამოც.: 1. [გ. წ ერ ე თ ე ლ ი], არხეოლოგიური ექსკურსიიდან, სავანის ეკლესია, „კვალი“, 1895, № 27, გვ, 9,5 (-წ). 2. Г. Церетели, Археологическая экскурсия по Квирильскому ущелью, МАК, VII, М., 1898, გვ. 103 (-წ[1]). 3. E. Taqaichvili, Four basilican churches of the Qvirila valley, „Georgica“, vol. I, № 2—3, London, 1936, p. 160 (-თ). 4. 3. ბ ერ ი ძ ე, სავანე, ქხ, 1, 1942, გვ. 92, ტაბ. 30_3 (-ბ).

† ᲬᲐ ᲥᲗ ᲫᲗ ᲡᲐᲮᲠᲘᲥ ᲮᲗ
ᲨᲭᲐᲩᲘᲡᲨ: ᲝᲨ ᲥᲨᲐ
ᲡᲩᲗ ᲡᲬᲡᲨ ᲨᲫᲥᲬᲘᲨ:Შ
ᲘᲡᲨᲨᲡᲨ ᲨᲨᲘᲡ ᲘᲗᲩᲬᲡᲨ
5. ᲥᲬᲡᲨ:ᲫᲬᲨ:ᲨᲗᲔᲨᲬᲥᲘ:ᲨᲬ: 5.
[Შ]ᲮᲘᲨᲗ:ᲥᲬᲡᲘ ᲡᲥᲘᲡᲨ:ᲘᲡ:
ᲗᲘᲩ ᲬᲨᲘᲗᲘᲨ ᲨᲐ[ᲗᲬᲡᲨ
ᲥᲨᲐᲨᲘᲡᲩᲘᲨ [ᲨᲬᲩ] ᲥᲬᲗᲥ[ᲩᲩ] ᲩᲬᲩ:

† წ(მიდა)ო გ(ორგ)ი, შ(ეიწყალ)ე ს(ა)ურმ(ა)გ, ძე | აქ(ᲣᲜ)ნისა და გა(ნ)უ|ს(უე)ნე ს(ᲣᲚ)ლსა მშ(ო)ბ(ე)ლთა მ|ისთასა. ამის ეკლეს(ი)ა|Გ(Ე)Ბ(Ა)ᲡᲐ Შ(ᲔᲛᲝᲡ)Წ(ᲘᲠ)Ა ᲐᲙ-(Ა)ᲮᲛ(Უ)Ლ(Ო)Ბ(Ა)Ა* ა, | მძიმე, გ(ო)ლ(ია)-თ(ი)ს ს(უ)ლისათ(Ვ)ს.|

ვინ წაიკ(ი)თხ(ო)თ, ლო(ც)ვ(ა)სა |მოიკს(ე)ნ(ე)თ. ა(მე)ნ გ(უე)ყ(ა)ვნ ჩ(უე)ნ!

წ[1]: 1. ᲥᲗ]Ძ. 3. ᲮᲨᲐᲩᲘᲨᲘᲨᲬᲨ. 4. ᲨᲨᲘᲡᲨᲨᲡᲨᲬ. 5. ᲫᲬᲮᲬ; ᲥᲨᲬᲡᲨ; ᲨᲗᲔᲨᲬᲥᲘ; ᲨᲬ—. 6. ᲮᲨᲐᲩᲘᲨ; ᲥᲨᲬᲡᲨ; ᲡᲩᲘᲡᲨᲮᲡ. 7. ᲮᲗᲩ; ᲬᲨᲐᲨᲘᲡᲩᲘᲨ; ᲨᲬᲗᲥᲩᲩ Ჩ. 8. ᲮᲨᲐᲨᲡᲩᲮ; ᲥᲮᲩᲩ.

1. †] Ძ წ, თ, ბ; 2. სორმაგ (საურმაგ) წ; ძეᲐ თ; აქონისა წ, თ, ბ; გაუსვენე წ, განუსვენე თ, ბ. 4. ეკკლესიისა წ; შეწირა წ, ბ, შეეწია თ. 5. აკაზმულობითა თ; ა (1) -წ, თ,] ერთი ბ. 6. სულისათვის წ, ბ. 7. მოიხსენეთ წ, მოიხსენებდეთ თ. 8. ამინ წ, თ; გვეყავნ წ, თ, ბ; ჩვენ წ.

* **აკაზმულობა** — შეიძლება იყოს ცხენის, ან ჯორის მორთულობა. წარწერაში დასახელებული „მძიმე აკაზმულობის“ ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოთ მხედრის მორთულობა ჯავშნით, ანუ „ყველა აბჯრით“, როგორიცაა: „ჯაჭვი,

მუზარადი, კმალი, ქაფა, საბარკული, მშვილდ-კაპარჭი, ლახტი, შუბი, სრულად ყოველივე უნაგირი, მოჭედილი და ხამი, საცხენე ჯავშანი“ და სხვ[41]. როგორც ჩანს, საურმაგ აქუნისძემ ეკლესიას შესწირა გარდაცვლილი გოლიათის ნიშანი.

3. XII ს. ჯრუჭი (საჩხერის რ-ნი). წმ. გიორგის ეკლესია. ფალდონი კალატოზის წარწერა (სურ. 8).

ასომთავრულნარევი ნუსხური; ხუთ სტრიქონად; ამოკვეთილი ქვის ფილაზე, რომელიც ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთი გუმბათქვეშ, სვეტის სამხრეთ წახნაგშია ჩასმული; ფილის ზომები: 34×29 სმ. ასოების სიმაღლე: 2,5—6 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი — სწორი, განივი ხაზი.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XII ს-ით.

გამოც.: 1. M. Brosset, Rapports, XII, 1851, 83, d (-ბ). 2. ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 20 (ბ. მიხ.) (-კ).

ჩᲾ ᲣᲨ ᲨᲣᲦ ფოᲨᲜ
Უ ᲣᲮᲚᲐ ᲨᲔ Ყ
ᲠᲝᲮᲐ ᲨᲘᲡᲐ Უ
ᲡᲣ ᲡᲐᲥᲚᲐ ᲐᲣᲤᲡᲨ
5. **ᲧᲥᲨᲜᲔ**

წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე ფ(ა)ლდ(ო)-
ნ|ი გ(ა)ლ(ა)ტ(ო)ზი და შ|ვილნი მისნი, ე|სე
სუეტი უფ(ა)ს(ო)დ | შ(ე)ქმნა.

კ: 1. ფალავანდიანი (ფლდნი). 2. გალატოზ] გლეხაკ; 3. სუეტი] სქეტი; უფასოდ] ჯრუჭ-სად.

ბ: 2. **ᲣᲮᲚᲐ**]**ᲦᲔᲥᲚ**. 4. **ᲡᲐᲥᲚᲐ**] **ᲡᲕᲦᲔᲚ**; **ᲐᲥᲔᲡᲨ**]**ᲧᲐᲡᲨ**.

4. XII ს. ჯრუჭი (საჩხერის რ-ნი). წმ. გიორგის ეკლესია. გიორგი კალატოზის წარწერა. (სურ. 9).

ასომთავრულნარევი ნუსხური; ექვს სტრიქონად; ამოკვეთილი ქვის ფილაზე, რომელიც ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი გუმბათქვეშა სვეტის დასავლეთ წახნაგშია ჩასმული. წარწერას უჭირავს ფართობი: 30×25,5 სმ. სტრიქონები ამოკვეთილია საგანგებოდ გავლებულ ჰორიზონტალურ, პარალელურ ხაზებს შორის. ასოების სიმაღლე, 1—4 სმ. დამწერლობა — ადგილ-ადგილ კიდურწერტილოვანი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი — კიდურწერტილოვანი, სწორი, განივი ხაზი.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XII ს-ით.

არ გამოც.

ᲩᲐ ᲣᲨ ᲨᲘᲩᲧᲝᲨ
ᲨᲘᲡᲔ ᲧᲘᲩᲘ ᲣᲨ
ᲣᲔᲝᲔᲥᲚᲐᲨ ᲨᲔ
ᲧᲝᲮᲘᲡᲘ ᲨᲘᲡᲘᲡ
5. **ᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲚᲐ ᲐᲥ**
ᲔᲡᲐᲨ ᲔᲨᲘᲡ ᲔᲨᲘ

წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შე(ი)წყ(ა)ლე | მონა
შენი გ(იორგ)ი | გალატოზი და | შვილნი მის-
ნი, | ესე სუეტი უ|ფასოდ ა(ა)გეს, ა(მე)ნ.

5. 1751—1784 წწ. ტობანიერი (ვანის რ-ნი). სოლომონ მეფის წარწერა სამიჯნე ქვაზე, I.

მხედრული; ოთხ სტრიქონად; ამოკვეთილი ქვის სვეტზე, რომელიც სოფლის გზასაყარზე არის ჩასმული. სვეტის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან — 47 სმ, სიგანე — 33 სმ, სის-

41 იხ. „ჰელმწიფის კარის გარიგება“: ქართული სამართლის ძეგლები, გამოსცა ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 40_{20-23}.



სურ. 1. XII ს. ჯრუჭი (საჩხერის რ-ნი), ჯვარი ქუეელისა.

სურ. 2. XI ს-ის I ნახ. ანუხვა (გუდაუთის რ-ნი), ჯვარი გიორგი ბასილისძისა.



სურ. 3. XI ს. ზემო კრიხი (ამბროლაურის რ-ნი), ჭელი სოფელ კრიხისა.



სურ. 4. 1546 წ. სავანე (საჩხერის რ-ნი), დაწერილი გიორგი ერისთავთა ერისთავისა სავანის სოფლისადმი.

სურ. 5. XI ს. კაცხი (ჭიათურის რ-ნი), წარწერა ქვის მოღების შესახებ.



სურ. 6. XI ს. ზემო კრიხი (ამბროლაურის რ-ნი), დაწერილი კვირიკე კალატოზისა.



სურ. 7. 1046 წ. საკანე (საჩხერის რ-ნი), საურმაგ აქუნისძის წარწერა ეკლესიისათვის აკაზ მულობის შეწირვის შესახებ.



სურ. 8. XII ს. ჯრუჭი (საჩხერის რ-ნი). ფალდონი გალატოზის წარწერა.



სურ. 9. XII ს. ჯრუჭი (საჩხერის რ-ნი). გიორგი გალატოზის წარწერა.



სურ. 10. XIV ს-ის II ნახ., შეიძლება 1367—1393 წწ. ქორეთი (საჩხერის რ-ნი). ანა დედოფალთა დედოფლის სამშენებლო-საალაპე წარწერა.

ქე 16 სმ. ზემოდან ის გათლილია ნახევარწრიულად. მისი ზედაპირი ადგილ-ადგილ ატკეცილია. ასოების სიმაღლე: 3—4 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი — კლაკნილი, განივი ხაზი.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XVIII ს-ით. წარწერაში დასახელებული მეფე სოლომონი, იმერეთის მეფე, ალექსანდრე V-ის ძე, სოლომონ პირველია და წარწერაც მისი მეფობის წლების მიხედვით 1751—1784 წწ. თარიღდება.

არ გამოც.

— — — — — ან
ˈსˈოლˈო[მ]ონ
გაეˈნˈათს´ˈა
— — სწირე

[მეფემ]ან | ˈსˈოლˈო[მ]ონ | გაეˈნˈათس[ა] |
[შევ]სწირე (ესე მიწანი).

6. 1751—1784 წწ. ტობანიერი (ვანის რ-ნი). სოლომონ მეფის წარწერა სამიჯნე ქვაზე, II.

მხედრული; ოთხ სტრიქონად; ამოკვეთილი კირქვის სვეტზე. ის ტობანიერ — შუამთის გზასაყარზე არის ჩასმული, სვეტის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან — 57 სმ, სიგანე — 30 სმ. სისქე — 22 სმ. ის ზემოდან ნახევარწრიულად არის გათლილი. ასოების სიმაღლე: 3—8 სმ. განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XVIII ს-ით, წარწერაში დასახელებული მეფე სოლომონი, იმერეთის მეფე სოლომონ პირველია და წარაწერაც მისი მეფობის წლების 1751—1784 წწ. თარიღდება.

არ გამოც.

მეˈფეˈ[მა]ˈ[ნ]
ს[ო]ლ[ო]ˈმ[ო]ن
გავნათს
შეგˈწˈ[ი]რე

მეˈფეˈ[მ]ˈ[ن] | ˈسˈ[ولو]ˈمون | گاونات (sic) |
شگˈوˈ[س]ˈرˈ[ي]ˈرˈ[ه] | (ئسه مي[ن]ان).

* * *

საეკლესიო სამართლის საყურადღებო ძეგლებს წარმოადგენენ ს ა ა ღ ა პ ე წ ა ა ر წ ე ر ე ბ ი. თუ ზემოთ განხილულ წარწერებში საეკლესიო შეწირულებათა შესახებ წარმოდგენილი იყო იურიდიული აქტის ერთი — შემწირველი მხარე, საალაპე წარწერებში, რომლებიც ასევე საეკლესიო შეწირულებებს აღნიშნავენ, წარმოდგენილია ორივე მხარე. მათში აღნიშნულია შეწირვა და ამ შეწირვის სამაგიერო სამსახური — აღაპის გადახდა გარკვეულ დროს, გარკვეული წესებით. ამიტომ, საალაპე წარწერებს საეკლესიო შეწირულებათა აღმნიშვნელი ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ძეგლების ჯგუფიდან ცალკე გამოვყოფთ.

1. XI ს. უბისი (ორჯონიკიძის რ-ნი). სტეფანეს საალაპე წარწერა.

ნუსხური; ათ სტრიქონად; ამოკვეთილი ქვის ფილაზე, რომელიც ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში, სარკმლის ზემოთ, მის მარცხნივ არის ჩასმული. ფილის ზომები: 46×36 სმ. ფილას სამ მხარეს შემოუყვება გრეხილი, ხოლო ერთ, მარჯვენა მხარეს კუთხოვანი გეომეტრიული ორნამენტის ულაზათო არშია. წარწერა შესრულებულია წვრილი, ღრმა კვეთით. დამწერლობა-კიდურწერტილოვანი. ასოების სიმაღლე: 1—3,5 სმ. განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი, ადგილ-ადგილ; ქარაგმის ნიშანი — სწორი, განივი ხაზი.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, თარიღდება XI ს-ით.

გამოც.: 1. M. Brosset, Rapports, XII, 1851, p. 100—111, I (-ბ). 2. E. C. Такайшвили, АЗРЗ, ИКОИМАО, вып. IV, გვ. 13, № 5, სურ. 10 (გვ. 14) (-თ). 3. რ. შმერლინგი, უბისის ტაძრის დათარიღებაზე საკითხისათვის, **სმომ**, ტ. XVI, № 2, 1955, გვ. 169—171, სურ. 6 (გვ. 172) წარწერის ვრაფიკული გადმონახატზე; იგივე რუსული გამოც.

† ყსტრის: ოᲜᲠᲘ:
ყᲠᲐᲜᲘᲡᲗᲣ
ᲙᲗᲠᲝᲣ ᲧᲠᲘᲡᲗ
ᲔᲜ: ᲡᲓᲥᲘᲗ ᲨᲔ
5. ᲫᲗ: ᲨᲘᲠ ᲐᲛᲧᲠᲗᲗ
ᲝᲜᲠᲘᲡᲔ: ᲡᲓᲥᲘᲡᲔ:Თ
ᲜᲘᲓᲔ ᲫᲠᲫᲔᲡᲓᲝ
ᲜᲠᲘᲡᲔ ᲧᲡᲠᲗᲘᲗᲝ: ᲧᲡᲠᲧᲨᲗ
ᲗᲐᲛᲧᲠᲗᲔ ᲝᲜᲘ ᲫᲧᲨᲘ
10. ᲔᲜᲘ

ბ: 1. ᲧᲠᲘᲢᲘᲡ. 2. ᲫᲗᲐᲜᲘᲡᲬᲘᲠᲘᲗ. 3. ᲙᲐᲜᲔ. 6. ᲝᲜᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡᲔᲗ.

† ბრძ(ა)ნ(ებ)ს წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი. |
შ(ე)მოს(ა)წ(ი)რ(ა)ვი | კ(ე)თ(ი)ლი შ(ე)მ(ო)ს
წ(ი)რ|ა სტ(ე)ფ(ა)ნე და | მე ღ(ა)ღ ე)ჲ უბ(ო)ძე |
წ(მიდ)ისა სტ(ე)ფ(ა)ნ(ᲪᲘ)სი*. ვ|ინცა მ(ა)მას(ა)ხ-
5. ლ|ისი ბრძ(ა)ნ(დებოდე)თ | გ(ა)რ(დაი)ᲬᲔ(იდე)თ, |
—თუ(ა)რა ღ(მერთმა)ნ მ(ო)გᲫ(ა)დ(ო)ს, | ა(მე)ნ.

1. †] ქ თ; ბერძნ. თ; გᲠᲔ წრწ. გიორგისაჲ თ. 2. შმოოსწრᲜᲘ წრწ, შემოოისაწირავი (sic) თ. 3. ოᲜᲑᲠᲫᲔ წრწ. 4. წმ-დაჲსა თ, წᲠᲔსა წრწ; სტეფანესი თ. 5. გარდიᲬᲘდეთ თ; 6. ᲗᲝ,ᲠᲐ წრწ; აძინ თ.

* წმ. სტეფანეს ღღეა 14 ანვარ.

2. XIV ს-ის II ნახ., შესაძლოა 1367—1393 წწ. ქორეთი (საჩხერის რ-ნი). ღმრთაების ეკლესია. ანა დედოფალთა დედოფლის სამშენებლო-სააღაპე წარაწერა (სურ. 10).

ნუსხურნარევი ასომთავრული; თორმეტ სტრიქონად; ამოკვეთილი ქვის ფილაზე, რომელიც ეკლესიის სამხრეთი მინაშენის — კარიბჭის კედელში, აღმოსავლეთის მხარეს არის ჩასმული. ოთხკუთხად გათლილი მოყვითალო ქვიშაქვის ფილა გვერდებზე არასწორადაა ჩამოჭრილი. ფილის ზომები: 50×47—43 სმ. წარწერა შესრულებულია არათანაბარი სიმაღლის ულამაზო ასოებით. ასომთავრულ ტექსტში ნუსხური დამწერლობის ასოების შერევით. მეექვსე სტრიქონიდან დასასრულამდე წარწერას გადასმული აქვს მუქი შავი საღებავი. ზოგან მეტად უშნოდ და სქლად. ასოების სიმაღლე: 2—4,5 სმ. ვანკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი, ადგილ-ადგილ (სულ სამ ადგილას), ქარაგმის ნიშანი — სწორი. განივი ხაზი

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XIV ს-ით, უფრო მისი მეორე ნახევრით. აქედან გამომდინარე, წარწერის დედოფალთა დედოფალი ანა, ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს მეფის — ბაგრატ V-ის (1360—1393 წწ) მეორე თანამეცხედრედ, ტრაპიზონის კეისრის ალექსი III კომნენოსი (1349—1390 წწ.) ასულ ანა კომნენოსად უნდა მივიჩნიოთ. ბაგრატ V-ის პირველი თანამეცხედრე ელენე დედოფალი 1366 წელს გარდაცვლილა შავი ჭირისაგან[42], ხოლო ერთი წლის შემდეგ ბაგრატ V ანა კომნენოსი შეირთო ცოლად[43]. ბაგრატ V საქართველოს სამეფო ტახტზე 1393 წლამდე ჩანს. რადგანაც ანა დედოფლის გარდაცვალების წელი უცნობია, წარწერის ზედა ქრონოლოგიური ჩარჩო, პირობითად, შეიძლება 1393 წლით შემოვსაზღვროთ. ამდენად, თუ წარწერაში დასახელებული ანა დედოფალთა-დედოფალს ბაგრატ V-ის მეორე თანამეცხედრესთან გავაიგივებთ წარწერა 1367—1393 წწ. დათარიღდება.

არ გამოც.

42 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 277, 407—408.

43 იქვე, გვ. 278. ალ. გამყრელიძის აზრით, (მიქელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, გამოსცა ალ. გამყრელიძემ, **მსკი**, ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 80, შენ. 134) ამ დროს ანა კომნენოსი მხოლოდ 10 წლისა იყო და 1367 წელს ის ბაგრატ მეფეზე მხოლოდ დაინიშნა, ხოლო ქორწინება კი უფრო გვიან მოხდა.

† ჰ1 ბ1ბ2ფ1ზ1ს1
ბ1ბ2ფ1ზ1ჰ1 ს1ჰ1
ს1ბ1ჰ1 ბ1ბ1ჰ1: ᲑᲔᲪ:ᲰᲗᲔ
ᲜᲔᲨᲘᲗ ᲜᲔᲗ ᲰᲔᲔᲔᲰᲘᲜᲔ
5. ᲥᲨᲗᲔᲗ ᲡᲘᲔᲗ ᲥᲔᲰᲔᲔᲔᲑᲔᲜᲔ
ᲑᲘᲜᲔ ᲥᲘᲗᲘ ᲔᲔᲰᲘ ᲨᲘᲘᲔᲨᲘᲥᲘ ᲜᲘ
ᲥᲘᲗᲘ ᲜᲔᲨᲑᲘ ᲨᲘᲘᲘ: ᲥᲓᲫᲜᲘ
ᲜᲔᲜᲔ ᲘᲘᲥᲜᲔ ᲔᲰᲜᲔ ᲰᲘᲔᲘ ᲨᲘᲰ
Ე ᲥᲔᲔᲘᲘᲨᲔᲨᲜᲔ ᲨᲘᲰᲨ ᲜᲨᲜᲔᲔᲰᲓᲓ
10. ᲰᲔ ᲔᲰᲔᲦᲘᲰᲘ ᲔᲰᲨ ᲨᲰᲔ ᲰᲗᲔ
ᲔᲰᲘᲜᲨ ᲘᲗᲘᲔᲔ ᲨᲔᲗᲔᲔ ᲘᲜᲘᲔ ᲨᲘ.
.ᲠᲘᲘᲜ — — — — — — — — — —

+ მე, დედოფ(ა)ლთ[ა] | დედოფ(ა)ლ(ა)ნ ანა, | აღვ(ა)შენე წ(მიდა)ჲ მ(ო)ნა|-
სტერი ესე მ(ა)ცხ(ოვ)რისა. | გა(ვი)ჩინე აღ(ა)პი გამ(ო)ცხადებ(ა)სა | დღ(ე)სა:
ერთი ცხ(უა)რი შეუხებელი, | ერთი კაბიწი* პური, ექჯსი | კოკა ღვინო—**
ამის მეტი არ|ა ეთხოებოდეს არა; სალაშქ|რო არაფერი არა (ეთხოებოდეს) ამა
5. **მ(ო)ნა|[ს]ტრისა გლეხ(თ)ა. ვინცა ესე შ(ა)·|·ᲠᲘᲘᲜ— —**

წრწ: 2. გამოცხადობსა; 5. გლეხია.

* **კაბიწი** — მარცვლის საწყაო. ივანე ჯავახიშვილის გამოანგარიშებით კაბიწი 10 ლიტრის ტოლი იყო[42].

** **კოკა** — სითხის საწყაო. ივ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით ქართული კოკა თავდაპირველად 8 ან 10 ლიტრიანი იყო, ხოლო XIII ს-ის დამდეგიდან — 24 ლიტრიანი[45].

3. XVII—XVIII სს. გიორგი ლაშკიშვილისა და მარიამ ინასარიძის სააღაპე წარწერა.

მხედრული; თექვსმეტ სტრიქონად; ამოკვეთილი ქვიშაქვის ფილაზე. ფილის ზომები: 26—31×43×6 სმ, ფილის მთელს სიგრძესა და სიგანეზე ამოკვეთილია ჯვარი. ფილა გატეხილია ჯვრის განივი მკლავების გასწვრივ. წარწერა ამოკვეთილია ჯვრის მკლავებს შორის. ასოების სიმაღლე: 0,5—5 სმ. განკვეთილობის ნიშანი — სამი, ადგილ-ადგილ ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ: ქარაგმის ნიშანი-განივი, ტეხილი ხაზი.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XVII—XVIII სს.

დაცულია ნ ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ინვენტარის № 5917. მუზეუმში შემოსვლის დრო და ვითარება უცნობია. არ გამოც.

Ძ ᲰᲘ:· ᲡᲐᲛᲔᲑᲐᲝ: ᲔᲠᲗᲐᲠᲡᲔᲑᲐᲝ:· ᲫᲚ
ᲘᲔᲠᲔᲑᲐᲝ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚ[Ო:] ᲦᲗᲝ: ᲛᲐᲛᲐᲝ.
[ᲫᲘᲔᲘ]:· ᲓᲐ ᲬᲛᲘ[ᲓᲐᲝ:·] ᲡᲣᲚᲝ: ᲛᲔ ᲛᲘᲝ]
ᲜᲐᲛᲔᲜ ᲐᲛᲐᲜ ᲨᲔᲜᲛᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲕᲛᲐᲜ ᲦᲗᲘᲔᲑ[ᲘᲡᲐ]
5. ᲨᲔᲜᲘᲡᲐ:· ᲚᲐᲨᲙᲘᲨᲕᲘ[ᲚᲘ]ᲛᲐᲜ:· ᲒᲘᲝᲠᲒᲘ[Ი]Მ:· ᲗᲐᲜᲐ
ᲛᲔᲪᲮᲔᲓᲠᲔᲛᲐᲜ:· ᲩᲔᲛᲐᲜ:· ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲘᲡᲘ:· ᲐᲡᲨ

---

44 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფასაზომთა მეცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925, გვ. 104—106.

45 იგ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117—120.

ლმან:· მარიამ და ქემან:· ჩვენმან: პირმ
შომან: სვიმონ: და.· მამუკამ და ⌈ნ⌉იკ[ო]
ლოზ: შემოწრეთ მცირე ესე შესაწ[ირი: [ამა]
10. ღლეგ[ა]ს:· დღეს: ცხრა:· გორო: ღვი⌈ნ⌉ო: ერთ[ი]
ღორი და:· მისი პური:· თემი:· ამას:· დახ[არჯ]
ებდეს: და ჩვენ: ჟამს: გვიწი[რ]ე[ბ]დ[ე]ს:
შენდობას: გვეტყოდეს: ყოვ[ელთა:·] წ⌐დს
ამაღ[ლებას]:· დღეს ვინც:· ეს·: მო⌈გ⌉[ვაკლო]ს:
15. ჩვენის: ცოდის პასუხი [მან გას]
ცეს ღ⌐თს:

ქ. ჯი, სამებაო ერთარსებაო, ძლ|იერ|ებაო განუყოფელ[ო], ღ(მერ)თო მამაო, | ძეო და წმი[დაო] სულო, მე, ბ|ო⌉|ნამან ამან ზენმან და მოსავმან ღ(მრ)⌈თ⌉(ა`ებ|ისა] | შენისა, ლაშვიშვი⌈ლ⌉მან გიორ|გ|[ი]მ, თანა|მეცხედრ(ე)-ზან ჩემ(მ ან, ინასარიძი|ს| ასუ|ლმან მარიამ, და ძემან ჩვენმან, პირმ|შომან
5. სვიმონ და მამუკამ და ⌈ნ⌉იკ[ო]||ლოზ, შემო(ვ)წ(ი)რეთ მცირე ესე შესაწ|ირი: [ამა]||ღლებ[ა]ს დღეს* ცხრა გორო ღვი⌈ნ⌉ო**, ერთ[ი] | ღორი და მისი პური. თემი ამას დახ[არჯ]||ებდეს და ჩვენ ჟამს გვიწ|ირ|[ე]ბ[დ]ს; | შენდობას გვეტყოდეს ყო⌈ვ⌉[ელთა] წ(მი)დ(ა)|ს ამაღ|ლებას] დღეს.

ვინც ეს მო⌈გ⌉[ვაკლო]|ს; | ჩვენის ცოდ(ვ)ის პასუხი [მან გასცეს] |
10. ღ(მერთ)ს.

* ამაღლება დღე — მეორმოცე დღე აღდგომის შემდეგ.

** **გორო**, ანუ **გორა** — ღვინის საწყაო. ივ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით ერთი გორა 20 ლიტრის ტოლია[46].

* * *

ქართული სამართლის ა) წარმოდგენილი ეპიგრაფიკული ძეგლები იყოფიან ს ა ე რ ო და ს ა ე კ ლ ე ს ი ო სამართლის ძეგლებად. კერძოდ, საერო სამართლის ძეგლებია: წარწერები ჯ ვ რ ი ს ა ღ მ ა რ თ ვ ი ს და ჯ ვ რ ი ს ა შ ე ნ ე ბ ი ს შესახებ, წარწერები ქ ვ ი ს მ ო ღ ე ბ ი ს, ქ ვ ი ს შ ე წ ი რ ვ ი ს დ ა ს ხ ვ ა შ ე წ ი რ უ ლ ე ბ ა თ ა შესახებ, კ ე ლ ე ბ ი და დ ა წ ე რ ი ლ ე ბ ი ს ერთი ნაწილი, ხოლო საეკლესიო სამართლის ძეგლებს განეკუთვნება ს ა ა ღ ა პ ე ბ ი წ ა რ წ ე რ ე ბ ი და დ ა წ ე რ ი ლ ე ბ ი ს მეორე ნაწილი.

სტატიის მიზანს არ შეადგენდა ამ ძეგლების დაწერილებითი დიპლომატიკური ანალიზი, ან, მით უფრო მათი განხილვა სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით. ზოგადი ხასიათის რამდენიმე შენიშვნა ქართული დიპლომატიკის სფეროდან, რომელიც ზოგიერთ წარწერას, ან წარწერათა ჯგუფს აქვს დართული მხოლოდ აუცილებლობით იყო ნაკარნახევი; ხოლო მეტი გამოწ-

[46] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87, 122.

ლულვით გაცნობილვა ამ საკითხებისა, საჭირო არგუმენტაციის წარმოდგენით, შესაძლებელი იქნება ქართული ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ყველა ძეგლის ერთად თავმოყრისა და შესწავლის შემდეგ.

შემოკლებანი და პიროგბითი ნიშნები:

1. **ენიმკის მოამბე** — აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე.
2. **მსე** — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.
3. **მსკი** — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.
4. **სკ** — საისტორიო კრებული.
5. **სმამ** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.
6. **სმმ** — საქართველოს მუზეუმის მოამბე; აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.
7. **ქხ** — ქართული ხელოვნება, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები.
8. **ძმ** — ძეგლის მეგობარი.
9. **ქ"ცა** — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, ტ. II, თბ., 1959.
10. კ ა ტ ა ლ ო გ ი — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ა. ბაქრაძის და ს. ბოლქვაძის მიერ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1953.
11. ДВ—Древности Восточные. Труды Восточной коммиссии Императорского Московского Археологического общества.
12. ИИАН—Известия Императорской Академии Наук.
13. ИКОИМАО—Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического Общества.
14. МАК—Материалы по Археологии Кавказа.
15. ТАбГМ—Труды Абхазского Государственного музея.
16. Труды АбИЯЛИ—Труды Абхазского института истории, языка и литературы.
17. Е. С. Такайшвили, АЭРЗ—Е. С. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки.
18. Г. Церетели, ПСН—Г. Церетели. Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатского монастыря.
19. M. Brosset, Rapports—Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, éxecuté en 1847-1848, par M. Brosset.
20. MA—Mélanges Asiatiques, tirés du Bulletin Historico-philologiques de l'Académie Imperiale des sciences de St-Péterbourg.

არ გამოც. — არ გამოცემულა.
გამოც. — გამოცემულია.
წრწ — წარწერაშია.
( ) — დაქარაგმებული ადგილები.
⦃ ⦄ — დაზიანებული ადგილები.
⟨ ⟩ — ტექსტში არ არის.
[ ] — ნაკლული ადგილების აღდგენა.
..... — ნაკლული ასოების რაოდენობა.
- - - ნაკლული ასოების რაოდენობა გაურკვეველია.
— გამოცემაში ტექსტს აკლია.
+ გამოცემაში ტექსტს დამატებული აქვს.
| — სტრიქონების გამყოფი ხაზი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ისტორია დოკუმენტებში

წარილ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა რელსებზე საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ ისტორიულ პროცესს წარმოადგენდა, რომელმაც კომუნისტური პარტიისა და მშრომელთა მთელი ძალების დაძაბვა მოითხოვა. ამ დიდი მიზნის მისაღწევად საჭირო იყო აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოფლის მეურნეობის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, გლეხობაში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კერძო-მესაკუთრული ტენდენციების დაძლევა, კულაკთა წინააღმდეგობის გადალახვა, მრავალწყობიანობის ლიკვიდაცია და, ამრიგად, სოფლის მეურნეობაში ძველი, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის შეცვლა ახალი, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობით. „ეს საწარმოო გადატრიალება რომ არ მომხდარიყო, ჩვენი სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალები... გაიყინებოდნენ“ (ი. ბ. სტალინი).

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის ისტორიას არა ერთი მონოგრაფია, სტატია და ნარკვევი მიეძღვნა, მაგრამ, ამის მიუხედავად აღნიშნული საკითხი მაინც არ არის სრულყოფილად შესწავლილი. ამიტომ მისასალმებელია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საერთო ძალებით მომზადება და გამოცემა დოკუმენტების კრებულისა „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ისტორია“[1]. ეს კრებული წარმოადგენს საკავშირო სერიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს.

სარეცენზიო კრებულს წინ უძღვის პროფ. ბ. ხასიას ვრცელი შესავალი წერილი, რომელშიც გაშუქებულია ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის ძირითადი არსი, საქართველოში ამ გეგმის განხორციელების რთული, სპეციფიკური პირობები. ავტორს მოაქვს საკმაო ფაქტობრივი მონაცემები საქართველოში ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელების ისტორიიდან.

სარეცენზიო დოკუმენტების კრებული შედგება სამი განყოფილებისაგან. პირველი განყოფილება ეთმობა დოკუმენტებს, რომლებიც ასახავენ უმთავრესად სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მომზადებას (1927—1929 წწ.), მეორე განყოფილებაში მოთავსებული დოკუმენტები და მასალები ასახავენ მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკის განხორციელებას (1929 წ. შემოდგომა — 1933 წ.) და ბოლო, მესამე ნაწილში, თავმოყრილი მასალა აშუქებს კოლექტივიზაციის დამთავრებას (1934—1937 წწ.), საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებას საქართველოში. დოკუმენტები დალაგებულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

სარეცენზიო კრებულში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საკ. კპ(ბ) და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტების დადგენილებებს, საქართველოს კპ(ბ) ყრილობების რეზოლუციებს, საქართველოს სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებებს, საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მოხსენებებს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ.

საქართველოში მწვავედ იგრძნობოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოსაღეგი მიწის ნაკლებობა, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციასა და კოოპერირებას, შრომატევადი ტექნიკური კულტურების გაშენებას, მილიო-

[1] „История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР (1927—1937 гг)“. Под редакцией П. В. Гугушвили (глазный редактор), А. М. Совидзе, А. И. Коч. лавашвили, Е. Г. Курцикидзе, С. В. Миглакелидзе, В. Н. Мерквиладзе, Н. И. Стуруа, Г. Д. Тавамайшвили, Ш. К. Чхетия. Тб., 1970.

რაციულ სამუშაოთა ფართოდ გაშლას და სხვ. ამ დარგში პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს კარგად ასახავენ სარეცენზიო კრებულში შესული მასალები და დოკუმენტები. აქვეა დოკუმენტები, რომლებიც გვიჩვენებენ თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდნენ პარტია და მთავრობა სოფლის მეურნეობის აღჭურვას ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებას, მიწათმოწყობის დროზე დამთავრებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას, მათ გამსხვილებასა და სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებას, მათ უზრუნველყოფას კადრებით, შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას.

სარეცენზიო კრებულში შესულია დოკუმენტები, №№ 6, 11, 12, 19, 20, 21, 22, 24, 35, 37, 43, 48, 50, 58, 61, 68, 69, 72, 81, 83, 91, 92, 96, 97, 100, 101, 104, 113, 117, 120, 127, 134, 142, 145, 148, 149, 153, 165, 172, 174, 176, 178, 191, 195, 196, 209, 211, 215, 216, 221, 243, 244, 246, 247, 261), რომლებიდანაც ჩანს, რომ პარტია და მთავრობა ზემოაღნიშნული მიზნის განსახორციელებლად ბევრ შრომასა და თანხებს ხარჯავდნენ. სოფლად აგზავნიდნენ გამოცდილ პარტიულ და სამეურნეო მუშაკებს, მითითებებს აძლევდნენ კოლმეურნეენტრს, მიწსახკომს და სასოფლო-სამეურნეო ბანკს თუ როგორ და რა ფორმით დახმარებოდნენ კოლმეურნეობებს.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი თავიდანვე აფრთხილებდა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს არ გამოდევნებოდნენ რაოდენობრივ მაჩვენებლებს, არ დაენერგათ კოლმეურნეობათა მშენებლობაში ადმინისტრირების მეთოდი, გაეთვალისწინებინათ თითოეული რაიონის სპეციფიკურობა, ებრძოლათ როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე" გადახრის წინააღმდეგ. ამასთან იგი ავალებდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებას უღარიბეს და ღარიბ გლეხთა შორის, მათთვის საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკის არსის განმარტებას, ქალების ჩაბმას საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში, ამავე დროს, რაც მთავარია, გაეტარებინათ ფრთხილი პოლიტიკა საშუალო გლეხობის მიმართ და მხოლოდ მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე განეხორციელებინათ კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკა.

პარტია და მთავრობა არა მარტო უზრუნველყოფდნენ კრედიტით კოლმეურნეობებს, არამედ თვალყურს ადევნებდნენ იმასაც, თუ როგორ იყენებდნენ ეს უკანასკნელნი მას; იკლევდნენ კრედიტის სრულყოფილად აუთვისებლობის მიზეზს და დროზე ასწორებდნენ კოლმეურნეობათა მუშაობის ამ ნაკლს. პარტიისა და მთავრობის ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებიდან ჩანს ის ვალდებულებებიც რომლებიც ეკისრებოდათ კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს სახელმწიფოს წინაშე.

სარეცენზიო კრებულის ავტორებმა წარმოგვიდგინეს ის დოკუმენტებიც, რომლებიც ნათელყოფენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დიდ მუშაობას აღნიშნულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის. უდავოდ სწორად მოქცეულა ავტორთა კოლექტივი, რომელმაც უხვად წარმოგვიდგინა ადგილებზე კოლმეურნეობათა მშენებლობის ამსახველი მასალა. კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დოკუმენტებს (№№ 2, 3, 25, 26, 31, 36, 39, 41, 44, 45, 46, 49, 53, 63, 64, 65, 71, 77, 80, 84, 87, 89, 94, 121, 122, 125, 126, 133, 135, 143, 147, 150, 168, 136, 189, 193, 198, 200, 205, 219, 222, 235, 249), რომლებიც შეიცავენ ინფორმაციებს სამაზრო კომიტეტების, აღმასკომების, კომუჯრედების, ღარიბთა ჯგუფების მუშაობის შესახებ, ცალკეული კოლმეურნეობების, კომუნების, მიწის საზოგადო შრომითი დამმუშავებელ ამხანაგობათა, კოოპერაციულ გაერთიანებათა და სამანქანო ამხანაგობათა და სხვ. დახასიათებას მათი სამეურნეო-ორგანიზაციული მდგომარეობის, წევრთა სოციალური და პარტიული შემადგენლობის, წარმოების საშუალებებით მათი უზრუნველყოფის და სხვ. ნიშნების მიხედვით.

კოლმეურნეობები თანდათან ძლიერდებოდნენ როგორც ეკონომიურად, ისე ორგანიზაციულად, ავითარებდნენ ინტენსიურ მეურნეობას, ნერგავდნენ ტექნიკურ და სუბტროპიკულ კულტურებს, ჩნდებიან მოწინავე მილიონერი კოლმეურნეობები. ყოველივე ამას ხელი შეუწყო მიწათმოწყობამ, შრომის სწორმა ორგანიზაციამ და აღრიცხვამ, სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მიღებამ, გლეხთა მასობრივმა ლტოლვამ კოლმეურნეობებისაკენ და მათი შრომის მაღალმა ანაზღაურებამ. დოკუმენტებიდან ჩანს, თუ როგორ გაიზარდა კოლმეურნეობების წევრთა შემოსავალი ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებთან შედარებით.

სარეცენზიო კრებულის ავტორებს სწორად გაუმახვილებიათ ყურადღება იმ დოკუმენტების შერჩევაზე, რომლებიც ადასტურებენ გლეხთა მასობრივ ლტოლვას კოლმეურნეობებისაკენ 30-იან წლებში, მათ ინიციატივასა და აქტიურ მონაწილეობას საკოლმეურნეო წყობილების შექმნასა და განვითარებაში. მოტანილი მასალები ნათელყოფენ, რომ გლეხობა ამ

ღროს უკვე დარწმუნებულია კოლექტიური მეურნეობის უპირატესობაში ერთპიროვნულ წვრილ მეურნეობასთან შედარებით, ამანაც განაპირობა მისი აქტიურად ჩაბმა საკოლმეურნეო ცხოვრების ფერხულში.

სარეცენზიო კრებულში თავმოყრილი მასალები (№№ 128, 173, 175, 187. 214, 238, 241, 247, 256 და ა. შ.) ასახავენ საკოლმეურნეო ცხოვრების ისეთ დიდმნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიცაა კოლმეურნეობებისათვის მიწების მუდმივ სარგებლობაში გადაცემის შესახებ აქტების ჩაბარება; დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობების მუშაობა, მოწინავე კოლმეურნეობათა დაჯილდოება და სხვ.

საკოლმეურნეო წყობილების შექმნა მოასწავებდა არა მარტო ძველი საკუთრებითი ურთიერთობის შეცვლას, არამედ მუშებისა და გლეხობის საზოგადოებრივ აღზრდასაც, მათი ideologiiის გარდაქმნას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ კულტმასობრივ და პოლიტიკურ-აღმზრდელობით ღონისძიებებს, რომლებიც ტარდებოდა კოლმეურნეობებში, რაც გამოიხატებოდა ქოხ-სამკითხველოების, ბიბლიოთეკების, სკოლების, წითელი კუთხეების, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების გახსნაში, კინო-სურათების ჩვენებასა და ლექცია-საუბრების ჩატარებაში. კრებულში უხვად გვხვდება ამის ამსახველი დოკუმენტები.

მშრომელ გლეხთა საზოგადოებრივი აღზრდისა და კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საქმეში დიდი როლი ითამაშა საკოლმეურნეო გაზეთმა. საქართველოს კპ(ბ) ცკ სამდივნოს 1930 წლის 30 მარტის დადგენილებით გაზეთების — „კომუნისტი“, „კოლექტივიზაცია“, „მუშა“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და სხვ. რედაქციებს დაევალა საკოლმეურნეო გაზეთების ორგანიზაცია (დოკ. № 103).

კრებულის ავტორებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ ის დიდი მუშაობა, რომელიც მიწსახკომმა და „კოლმეურნცენტრმა“ ჩაატარეს ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის განხორციელებისათვის. საქართველოში სწორედ „კოლმეურნცენტრის“ შექმნის (1928 წ.) შემდეგ დაიწყო კოლმეურნეობათა გეგმიანი მშენებლობა. სარეცენზიო კრებულში შესული დოკუმენტები (№№ 7, 8, 10, 30, 32, 33, 34, 59, 60, 62, 75, 78, 79, 82, 90, 93, 105, 130, 131, 136, 137, 139, 141, 144, 146, 152, 154, 155, 156, 159, 160, 161, 163, 169, 183, 212, 220, 225, 241, 256, 258, 259), ნათელს ფენს მიწსახკომისა და „კოლმეურნცენტრის“ ნამდვილად დიდ მუშაობას სოფლის მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებისათვის, კომუნებისა და კოლმეურნეობების ორგანიზაციისათვის. ამ დოკუმენტებით ერთხელ კიდევ ნათელი ხდება თუ როგორ მოუმზადეს, კოოპერაციის მარტივმა ფორმებმა — სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა, ნიადაგი კოოპერაციის უფრო მაღალ ფორმებს — საწარმოო კოოპერატივებს — კომუნებსა და კოლმეურნეობებს.

როგორც აღნიშნული დოკუმენტებიდან ჩანს, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და „კოლმეურნცენტრი“ დიდ ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდნენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის, რაზმავდნენ რესპუბლიკის აგრონომიულ ძალებს კოლმეურნეობათა ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცებისათვის, ამარაგებდნენ კოლმეურნეობებსა და საერთოდ სოფლის მეურნეობას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, გაუმჯობესებული თესლით, სასოფლო-სამეურნეო კულტურებითა და ჯიშიანი საქონლით და ა. შ.

სარეცენზიო კრებული შეიცავს დოკუმენტებს, რომლებიც შუქს ჰფენენ კოლმეურნეობათა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას. 1931 წლის მარტში საქართველოსა და სომხეთის კოლმეურნეობათა ყრილობების რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს სოციალისტური შეჯიბრების გენერალურ ხელშეკრულებას საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარების შესახებ. ამიერკავკასიის კოლმეურნეობათა ბრიგადებმა, რომლებიც ეჯიბრებოდნენ აზოვ-შავი ზღვის პირას არსებულ კოლმეურნეობებს, 1934 წლის ივლისში წერილი მისწერეს ბორჯომში დასასვენებლად მყოფ გ. დიმიტროეს, რომელმაც მათ აღფრთოვანებული წერილით უპასუხა (დოკ. № 201). საქართველოს მშრომელები დიდად აღფრთოვანა აგრეთვე ა. სტახანოვის 1935 წლის 17 დეკემბრის წერილმა ჩაისა და ციტრუსოვანი პლანტაციების დამკვრელებისადმი (დოკ. № 226).

სოციალისტური შეჯიბრება ხელს უწყობდა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებასა და გამარჯვებას. სოციალისტური შეჯიბრების ისტორიაში დიდი მოვლენა იყო დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო I და II ყრილობები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოდან წარგზავნილები. ამ ყრილობებზე და რაიონულ შეკრებაზე დამკვრელი კოლმეურნენი ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას და სახავდნენ შემდგომი წარმატების ამოცანებს, რაც სათანადო დოკუმენტებით ნაჩვენებია სარეცენზიო კრებულში.

საკოლმეურნეო მშენებლობის გარიჟრაჟზე როგორც ცნობილია, დიდ პრობლემას წარმოადგენდა კოლმეურნეობათა უზრუნველყოფა კადრებით. ამ დროს სოფელი კადრების დიდ შიმშილს განიცდიდა. დოკუმენტები (№№ 165, 203, 220 და სხვ.) ნათლად გვიჩვენებენ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას საკოლმეურნეო კადრების შესაქმნელად. პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად აღიზარდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და საკოლმეურნეო მოძრაობის ორგანიზატორთა დიდი არმია. მიუხედავად ამისა, გამოცდილი სამეურნეო და პარტიული მუშაკების სიმცირე, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებდა შეცდომებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სოფლად სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის დამკვიდრების პერიოდში. ნაწილობრივ ამის გამოც ირღვეოდა ზოგჯერ ნებაყოფლობის პრინციპი კოლმეურნეობათა მშენებლობის დროს, ზოგჯერ უგულებელყოფდნენ კოოპერაციის მარტივ ფორმებს და პირდაპირ გადადიოდნენ უფრო მაღალ ფორმებზე და ა. შ. კრებულში შეტანილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი ორგანოები დროზე ღებულობდნენ ზომებს საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომებისა და გადახრების აღსაკვეთად.

საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ შეცდომებს მარჯვედ იყენებდნენ კულაკები და ახალ სიძნელეებს ქმნიდნენ საკოლმეურნეო მოძრაობის ფრონტზე. კულაკობა ეწეოდა გაფთრებულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების და განსაკუთრებით, კოლმეურნეობათა წინააღმდეგ. კულაკები ხოცავდნენ აქტიურ საბჭოთა, პარტიულ და სამეურნეო მუშაკებს, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებსა და აქტიურ წევრებს, ანადგურებდნენ საკოლმეურნეო ქონებას, შენიღბულად იპარებოდნენ კოლმეურნეობებში და შიგნიდან ცდილობდნენ მათ აფეთქებას კოლექტივიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში კულაკები ცდილობდნენ ღარიბ და საშუალო გლეხთა მიმხრობას, რასაც ზოგჯერ ახერხებდნენ კიდეც. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ სიძნელეებს არ შეეძლო შეეჩერებინა ლენინის კოოპერაციული გეგმის განხორციელება (იხ. დოკუმენტები №№ 3, 35, 80, 107, 109, 159, 167, 178 და სხვ.).

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი როლი, რომელიც მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა შეასრულეს საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებასა და გამარჯვებაში. მათი საშუალებით ამარაგებდა სოციალისტური სახელმწიფო კოლმეურნეობებს ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. ამასთან მტს-ები ხელს უწყობდნენ კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმტკიცებას ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან პოლიტგანყოფილებები, რომლებიც 1933 წელს შეიქმნა მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ისინი წარმოადგენდნენ გლეხთა პოლიტიკური აღზრდის საუკეთესო სკოლებს (იხ. დოკ. №№ 102, 114, 177, 180, 181, 188, 203, 204, 205, 206, 207, 212, 230 და ა. შ).

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა მიმდინარეობდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, იგი მჭიდროდ რაზმავდა ღარბ და უღარიბეს გლეხობას კულაკობის წინააღმდეგ. განამტკიცებდა კავშირს საშუალო გლეხობასთან, დაუღალავად იღვწოდა მშრომელი მასების სოციალისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის. ამიტომ იყო რომ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ფხიზლად ადევნებდა თვალს საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 15 მაისის დირექტივის — „კოლმეურნეობათა მშენებლობაში პარტიული და კომკავშირული ძალების გამოყენების შესახებ“ ცხოვრებაში გატარებას. საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე გადასროლილ იქნა 1500 კომუნისტი. ამის შედეგად კოლმეურნეობებში მომუშავე კომუნისტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ეს ჯერ კიდევ არ მიაჩნდა საკმარისად. ამიტომ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებს, ადიგენის, ახალციხის, ბაღდადის, ბორჩალოს, ბორჯომის, ვანის, ზუგდიდის, კასპის, ონის, სიღნაღის, ყაზბეგის, ცაგერის, ჩხარისა და სხვა რაიკომებს გადაესროლათ კომუნისტები საოლქმეურნეო მშენებლობის მნიშვნელოვან უბნებზე.

ასევე დიდ მუშაობას ეწეოდნენ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის. კომკავშირული ორგანიზაციები აწყობდნენ კოლმეურნეობებისათვის დახმარების ორკვირეულს, სხვადასხვა სახის საუბრებს, აგროვებდნენ მათთვის წიგნებს, რვეულებს, სასწავლო ნივთებს, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სასოფლო-სამეურნეო კამპანიების წარმატებით ჩატარებაში და საერთოდ, დიდ მუშაობას ეწეოდნენ კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცებისათვის (იხ. დოკუმენტები №№ 89, 108, 109, 164, 197, 245, 246 და სხვ.).

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება სოფლად შეუძლებელი იყო სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელების გარე-

შე, სოფლისადმი ქალაქის, მუშათა კლასის დახმარების, ხელმძღვანელობის გარეშე. მუშათა კლასის გლეხობისადმი დახმარების ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა საშეფო მოძრაობა. პარტია მასობრივად გზავნიდა მუშებს სოფლად დროებით სამუშაოდ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1929 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ გაერთიანებებში გაიგზავნა 400 მუშა. რომელთაც ჰქონდათ საკმაო ორგანიზაციულ-პოლიტიკური გამოცდილება. სოფლისადმი შეფობის დაწესებაში ქარხნებსა და ფაბრიკებს შორის იმართებოდა შეჯიბრება.

საშეფო ორგანიზაციები ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებს და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს მათი ორგანიზაციულ-პოლიტიკური და სამეურნეო განმტკიცების საქმეში, ასწავლიდნენ რთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებას, არემონტებდნენ მას, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თესვისა და მოსავლის აღების კამპანიებში, ეწეოდნენ კულტმასობრივ მუშაობას, თაეიანთ გამოცდილებას ნერგავდნენ სოფლის მეურნეობაში (იხ. დოკუმენტები №№ 52, 86, 107, 112, 115, 158, 171, 179, 182, 185, 194 და სხვ.).

სარეცენზიო კრებული შეიცავს სტატისტიკურ მასალებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფორმების, მათი რაოდენობის შესახებ, ამ კოოპერაციაში გაერთიანებულთა სოციალური და პარტიული შემადგენლობის, მიწითა და ინვენტარით უზრუნველყოფის, კოლმეურნეობებში გაერთიანებულთ მეურნეობათა რაოდენობის, კოლმეურნეობათა საწარმოო ხასიათის, მათი შემოსავლის, პროდუქციის განაწილების და სხვათა შესახებ. აქვეა მასალები განსაზოგადოებული სექტორის მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ, აგრეთვე უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისა და მუშფაკების მსმენელთა რაოდენობის შესახებ, სამეურნეო ინვენტარის შემოტანის, მტს-ბის რაოდენობის და მათი ტექნიკური ბაზისა და საქმიანობის შესახებ (იხ. დოკუმენტები №№ 4, 40, 42, 54, 55, 56, 65, 67, 110, 111, 116, 119, 123, 170, 190, 228, 229, 231, 232, 233, 234, 242. 254, 260, 262, 263. 264, 265, 266 და სხვ.).

ამრიგად, კრებულის შემდგენელთა მიერ ოსტატურად შერჩეულ დოკუმენტები მკითხველს ნათელ წარმოდგენას აძლევს საქართველოში სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის, საკოლმეურნეო წყობილების წარმოშობისა და გამარჯვების შესახებ.

მაგრამ კრებულს, ჩვენი აზრით, ზოგიერთი ნაკლიც გააჩნია:

1. კოლმეურნეობათა მშენებლობა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდან დაიწყო. მართალია, ეს ხდებოდა რამდენადმე სტიქიურად, ორგანიზაციული ზემოქმედების გარეშე, მაგრამ სოციალისტური მეურნეობა თანდათან და მტკიცედ იკიდებდა ფეხს საქართველოს სოფელში. ამიტომ დოკუმენტების კრებულში უნდა შესულიყო მასალები 1921 წლიდან.

2. კრებულში, სამწუხაროდ არ შესულა ისეთი პარტიული დოკუმენტები, როგორიცაა საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 5 იანვრის დადგენილება „კოლექტივიზაციის ტემპისა და საკოლმეურნეო მშენებლობისადმი სახელმწიფოს დახმარების ღონისძიებათა შესახებ“, 1931 წლის 2 აგვისტოს დადგენილება „კოლექტივიზაციის შემდგომი ტემპებისა და კოლმეურნეობათა განმტკიცების ამოცანების შესახებ“, 1930 წლის 14 მარტის — „პარტიის ხაზის დამახინჯებებთან ბრძოლის შესახებ საკოლმეურნეო მოძრაობაში“, საკ. კპ(ბ) XVI ყრილობის რეზოლუცია „საკოლმეურნეო მოძრაობასა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის შესახებ“, 1932 წლის 4 თებერვლის დადგენილება — „კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების მორიგ ღონისძიებათა შესახებ“, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის 25 ივნისის დადგენილება „კოლმეურნეობათა მიერ ნატურით იმ სამუშაოს ანაზღაურების შესახებ, რომელიც შეასრულეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით“, 1933 წლის 2 აგვისტოს — „კოლმეურნეობების საპიროებისათვის ფონდების შექმნის წესისა და კოლმეურნეთა შორის მარცვლეულის შრომადღეების მიხედვით განაწილების შესახებ“ და სხვ.

3. დასანანია, რომ კრებულში არ არის შეტანილი ისეთი მასალები, როგორიცაა საბჭოთა კავშირის საბჭოების V ყრილობის 1929 წლის 28 მაისის დადგენილება „სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სოფლად კოოპერაციული მშენებლობის გზების შესახებ“, საბჭოთა კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 21 ივნისის დადგენილება „საკოლმეურნეო სისტემის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“, 1932 წლის 3 სექტემბრის — „კოლმეურნეობათა მყარი მიწათსარგებლობის შექმნის შესახებ“, სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1929 წლის 5 ივნისის დადგენილება — „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ორგანიზაციის შესახებ“ და სხვ.

4. კრებულში, ჩვენი აზრით, უნდა შეეტანათ სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება, რომელიც მიიღო დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო II ყრილობამ და, რომელიც დაამტკიცეს საკ. კპ(ბ) ცკ და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ 1935 წლის 17 თებერვალს.

5. კრებულში ვერ ჰპოვა ასახვა საკ. კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და აფსარ სახალხო კომისართა საბჭოს რიგმა დადგენილებამ, რომლებიც შეეხებიან კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებას, მათ მიწათმოწყობას, სპეციალისტებითა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფას და სხვ., ყველა ეს დოკუმენტი დაცულია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის, საქართველოს ფილიალის პარტარქივში. კრებულში აგრეთვე არ არის ასახული საქ. კპ(ბ) ცკ-ისა და სახკომსაბჭოს ზოგიერთი დადგენილება, ღონისძიება და დირექტივა საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე, აგრეთვე საქართველოს ეკონომიური საბჭოს დადგენილებები, საქართველოს აგრონომთა 1929 წლის თათბირის რეზოლუციები და სხვ.

კრებულის დოკუმენტები შეიძლებოდა შევსებულიყო აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მიწსახკომის არქივში დაცული დოკუმენტებით, რომლებიც შეეხება კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების მდგომარეობას.

6. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა მიმდინარეობდა კულაკებთან გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში. ამ უკანასკნელ ექსპლუატატორულ კლასთან ბრძოლა ბევრ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. სოციალისტური სახელმწიფო მათ წინააღმდეგ მრავალ ღონისძიებას მიმართავდა, ამიტომ ჩვენი აზრით, საკმარისი არ არის ის ორიოდე დოკუმენტი, რომლებიც კოლმეურნეობების წინააღმდეგ კულაკობის ბრძოლას გვიჩვენებენ. კულაკობა კოლმეურნეობათა წინააღმდეგ მრავალი მეთოდებით იბრძოდა. ამიტომ ეს უნდა ასახულიყო დოკუმენტების კრებულში. ამასთან შეიძლებოდა მოგვეტანა ის დოკუმენტები, რომლებიც მიგვითითებს კულაკების შეზღუდვისა და გამოდევნის, აგრეთვე მათი ლიკვიდაციის პოლიტიკაზე.

7. ცნობილია აგრეთვე, რომ საბჭოთა მეურნეობები დიდ დახმარებას უწევდნენ კოლმეურნეობებს: ამარაგებდნენ მათ საუკეთესო ხარისხის თესლით, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, ჯიშიანი საქონლით, ასწავლიდნენ რთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებას, ამზადებდნენ სპეციალისტებს და სხვ. კრებულში ამ მოვლენების ამსახველი დოკუმენტები არ არის შეტანილი.

8. როგორც ვიცით, საბჭოთა და ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში დიდი კამათი მიმდინარეობს იმის შესახებ, რომ არსებობდა თუ არა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჩვენში საკოლმეურნეო წყობილების შექმნისათვის. ამიტომ კრებულის ავტორებს ეკალებოდათ უხვად წარმოედგინათ სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვის ამსახველი დოკუმენტები.

9. როგორც ჩანს, კრებულის ავტორები იმ აზრისა არიან, რომ საქართველოში მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა დაიწყო 1929 წლიდან (იხ. შესავალი). კრებულში მოტანილი დოკუმენტები კი გვიჩვენებენ რომ გლეხთა მასობრივი ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ 1930 წლის შემდეგ იწყება. ეს კრებულის ნაკლია.

10. ჩვენი აზრით, შეიძლებოდა დოკუმენტების დალაგება პრობლემების მიხედვით (ქრონოლოგიის დაურღვევლად), ვთქვათ, კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება, მტს-ების და პოლიტგანყოფილებათა მოღვაწეობა, სოციალისტური შეჯიბრება, შეფობა და სხვ.

11. გარდა ამისა, კარგი იქნებოდა, რომ კრებულში შეტანილიყო ი. სტალინის ზოგიერთი სტატია, მაგალითად, „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“ და სხვ.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, კრებული ქართული ისტორიული მეცნიერების კარგი შენაძენია, იგი დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევრებსა და სპეციალისტებს, სტუდენტებს, ამ საკითხებით დაინტერესებულ ყველა პირს.

რობერტ კოხლამაზაშვილი

საყურადღებო გამოკვლევა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიიდან

ე. ალექსეევას ნაშრომი[1] ეძღვნება თანამედროვე ყარაჩაი-ჩერქეზეთის მიწა-წყალზე მცხოვრებ ხალხთა ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ეთნიკური შედგენილობა, ეთნოგენეზი და სოციალურ-ეკონომიური განვითარების თავისებურებანი თითქმის მთელი ფეოდალური ხანის მანძილზე.

ნაშრომის შესავალში (გვ. 6—33) ავტორს განსაზღვრული აქვს კვლევის მიზანი, სადაც მის მიერ დასმულ სხვა საკითხთა შორის განსაკუთრებით ეთნოგენეზისა და ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების საკითხია გამოყოფილი. შემდეგ მოცემულია თანამედროვე ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიის აღწერა, მისი ცალკეული ზონების და რესურსების დახასიათება. წიგნის ქვაკუთხედს წარმოადგენს არქეოლოგიური მასალა, რომელთა საგრძნობი წილი ე. ალექსეევას ხელმძღვანელობითაა მოპოვებული. ფართოდაა გამოყენებული არა მარტო ყარაჩაი-ჩერქეზეთის, არამედ მთელი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის არქეოლოგიური ძეგლები, საველე დოკუმენტაცია და ის ნაშრომებიც, რომლებიც ამ მასალას შეისწავლის. არქეოლოგიური მასალის გვერდით ე. ალექსეევა იყენებს წერილობით წყაროებს და ძირითად ნაშრომებს, რომლებიც შეეხება ჩრდილო-დასაელეთ კავკასიის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს და მათ კრიტიკულ ანალიზსაც იძლევა.

მონოგრაფიის პირველი ნაწილი[2] შედგება ორი თავისაგან. პირველ თავში[3] ძალზე მოკლედაა განხილული ყარაჩაი-ჩერქეზეთის და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვის ხანის ძეგლები, ხოლო შემდგომ, შედარებით უფრო ვრცლად — სპილენძ-ბრინჯაოს ხანა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნაიკოპის კულტურის შესწავლის საკითხებს. ასევე საკმაოდ საინტერესოდაა განხილული შუა ბრინჯაოს (ძვ. წ. II ათასწლეული) ხანის ძეგლები. ე. ალექსეევას მიაჩნია, რომ II ათასწლეულისათვის ყარაჩაი-ჩერქეზეთის მიწა-წყალი წარმოადგენდა იმ ზონას, სადაც თავს იყრიდა არქეოლოგიურ კულტურათა სხვადასხვა ვარიანტები.

პირველი თავის ბოლო პარაგრაფში განხილულია ბრინჯაოს ხანის დასასრულისა და ყობანისა და ყუბანისპირეთის კულტურათა ადრეული ეტაპის (ძვ. წ. XII—X) ძეგლები. ამ ნაწილში საყურადღებოა მსჯელობა ყუბანისპირეთისა და განსაკუთრებით კი ყობანის კულტურის გენეზისისა და მათი ეთნიკური კუთვნილების შესახებ. ე. ალექსეევას თვალსაზრისით, ყუბანისპირეთისა და განსაკუთრებით ყობანის კულტურა აღმოცენებულია ადგილობრივ ტრადიციებზე; მიუხედავად კოლხურ კულტურასთან გარკვეული მსგავსებისა, ყობანის კულტურის ყველა ელემენტი უკვე ადგილობრივ ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ II ათასწლეულში.

პირველი ნაწილის მეორე თავში[4] (გვ. 50—76) განხილულია ყობანისა და ყუბანისპირეთის კულტურების შუა ეტაპის ძეგლები (ძვ. წ. IX—VII). განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რკინის მეტალურგიის საწყისი პერიოდის შესწავლას, ამასთანავე დაკრძალვის წესჩვეულებათა თავისებურებებს, სამარხეული კომპლექსის ძირითადი ელემენტებისა და განსაკუთრებით კერამიკის შესწავლის საკითხს და სხვ.

გვიანი ბრინჯაოს შუა და ბოლო ეტაპის ძეგლების შესწავლის შედეგად ე. ალექსეევა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ყარაჩაი-ჩერქეზეთის მიწა-წყალზე ყუბანისპირეთის კულტურის კვალის არსებობა მიუთითებს ამ მხარეში უძველესი დროიდან პროტოადიღური მოსახლეობის არსებობაზე და მოსახლეობის ეს ნაწილი მას მიაჩნია აბაზელთა და ჩერქეზთა წინაპრებად; რაც შეეხება ყობანური კულტურის მატარებლებს (ყარაჩაი-ჩერქეზეთის მიწა-წყალზე), მათი გაიგივება პროტოადიღურ ეთნიკურ მასივთან მას არამართებულად მიაჩნია. „ყობანელები", მისი აზრით, **„явились главным субстратом для формирования другой этнической общности, из которой в последствии сложилась карачаево-балкарская народность(!) в результате включения и иных компонентов". (გვ. 56—57).**

---

[1] **Е. П. Алексеева, Древняя и средневековая история Карачаево-Черкесии, М., 1971.** მონოგრაფიის ავტორი ე. ალექსეევა დიდი ხანია იკვლევს ჩრდ. კავკასიის ხალხთა უძველეს წარსულს. სარეცენზიო წიგნის შედგენას მან 20 წელზე მეტი მოანდომა. ამასთანავე საყურადღებოა, რომ იგი ჩრდ. კავკასიაში, ქ. ჩერკასკში მოღვაწეობს და ეკუთვნის ისტორიკოსთა ადგილობრივ სკოლას.

[2] **Древний период (с древнейших времен до конца IV в. н. э.), გვ. 34—65.**

[3] **Каменный и бронзовый века в истории Карачаево-Черкесии, გვ. 34-49.**

[4] **Эпоха раннего железа на территории Карачаево-Черкесии, გვ. 50—73.**

ამაეე თავში საკმაოდ ვრცლადაა განხილული გვიანყობანური ხანის (ძვ. წ. VII—IV) არქეოლოგიური ძეგლები, კერძოდ სამარხები და სამარხეული კომპლექსები, დაკრძალვის წესები, რამაც წინა პერიოდთან შედარებით ცვლილება განიცადა. აქ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია კატაკომბურ სამარხებზე და კატაკომბური კულტურის ელემენტთა გავრცელებაზე კავკასიონის ჩრდილოეთ ნაწილში და ყოველივე ეს დაკავშირებულია კავკასიაში სარმატების და სარმატული კულტურის შემოჭრასთან. ე. ალექსეევას მოსაზრებით, სარმატთა ალანური ტომების განსაკუთრებული მომძლავრება იწყება ძველი წელთაღრიცხვის დასასრულიდან, თუმცა, მისივე ვარაუდით, ყარაჩაი-ჩერქეზეთის მაღალმთიან ზონაში ახ. წ. IV საუკუნემდე მათ არ შეუღწევიათ.

წიგნის II ნაწილი[5] აგრეთვე შედგება ორი (III—IV) თავისაგან.

III თავში განხილულია ყარაჩაი-ჩერქეზეთის ეთნიკური ისტორიის ძირითადი საკითხები ადრეფეოდალურ ხანაში.

როგორც ცნობილია, ახ. წელთაღრიცხვის I საუკუნეებში კავკასიაში სარმატულ-ალანური ეთნიკური მასების შემოჭრას მოგვიანებით (IV ს.) თან მოჰყვა ჰუნების შემოსევა, რამაც ალანური ტომები მთებში შერეკა. კავკასიონის ჩრდილოეთი ფერდობები და მათ შორის ყარაჩაი-ჩერქეზეთი თითქმის მთლიანად ალან-ოსთა ხელში გადავიდა და შესაბამისად დიდი ცვლილებები გამოიწვია როგორც ეთნიკურ შემადგენლობაში, ასევე მატერიალურ კულტურაშიც. ყოველივე ეს საკმაოდ კარგადაა ასახული არქეოლოგიურ მასალებში, რომლის შესწავლასაც ე. ალექსეევა მრავალი ათეული წელია ემსახურება.

ვიდრე არქეოლოგიურ მასალას შეეხებოდეს, ავტორი მოკლედ იხილავს იმ წერილობით წყაროებს, რომლებიც შუქს ფენენ ალანთა ისტორიის ყველაზე უფრო ძველსა და ბურუსით მოცულ საკითხებს. კერძოდ, აქ განხილულია მენანდრეს, პროკოფი კესარიელის, „სომხური გეოგრაფიის“ ცნობები კავკასიის ხალხთა და განსაკუთრებით ალანთა შესახებ.

ადრეფეოდალური ხანის ყარაჩაი-ჩერქეზეთის ეთნიკური ისტორიის შესწავლისათვის გამოყენებული არქეოლოგიური მასალები ე. ალექსეევას სამ ეტაპად აქვს განხილული: 1. V—VII სს., 2. VIII—IX სს. და 3. X—XIII საუკუნის პირველი ნახევარი.

არქეოლოგიური მასალის ერთობლივი ანალიზი ავტორს საშუალებას აძლევს დაკრძალვის ამა თუ იმ წესისა და სამარხეული კომპლექსის შედგენილობის მეშვეობით გამოჰყოს ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფთა კუთვნილი კულტურები. ამ მასალის მიხედვით ძირითადი და წამყვანი ჩანს ალანური ელემენტი. ამასთანავე, ავტორის აზრით, კვლავ განაგრძობს არსებობას ადგილობრივი „ყობანური“ ეთნოსი. ხოლო ამ ორი ეთნიკური მასივის გვერდით კავკასიონის ჩრდილო ფერდობებზე და მთისწინეთში ჩნდება თურქულენოვანი მოსახლეობის საკმაოდ საგრძნობი მასა.

ნაშრომის IV თავში[6] განხილულია ადრეფეოდალური ხანის ყარაჩაი-ჩერქეზეთის მიწა-წყალზე მცხოვრები ხალხების ეკონომიური მდგომარეობა (მეურნეობა, მეტალურგია, ხელოსნობის სხვადასხვა დარგები, გაცვლა-გამოცვლა, სავაჭრო გზები, უმთავრესი სახელოსნო და პოლიტიკური ცენტრები და სხვ.) და შედარებით უფრო ვრცლად — საზოგადოებრივ ურთიერთობათა საკითხები.

ე. ალექსეევას აზრით, პირველყოფილი თემური წყობილების რღვევა და სამხედრო დემოკრატიის ხანა ყარაჩაი-ჩერქეზეთში V—VII საუკუნეებზე მოდის, ხოლო VIII—XIII საუკუნეებში ხდება ფეოდალურ ურთიერთობათა წარმოშობა და განვითარება. ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების მაჩვენებელია საკმაოდ დაწინაურებული ეკონომიური ურთიერთობები, საქალაქო ცხოვრების არსებობა, ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია, სახელმწიფოებრიობის მთელი რიგი ნიშნები და ქრისტიანული ეკლესიის არსებობა.

წიგნის III ნაწილი[7] შედგება ორი თავისაგან. ამათგან V თავი[8] ეთმობა ყარაჩაი-ჩერქეზეთის მიწა-წყალზე მცხოვრებ ხალხთა ეთნიკურ ფორმირებას და ჩამოყალიბებას.

ე. ალექსეევას მტკიცებით, ყოველი ხალხი (ეროვნება) რთულ ისტორიულ მოვლენათა პროდუქტია, მისი ჩამოყალიბება აუცილებლად გულისხმობს დიდ ეთნიკურ გადაადგილებათა ბაზაზე ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფთა ურთიერთშერევას, ხშირად ეთნოგენეზი და გლოტოგენეზი სხვადასხვა გზებით ვითარდება და ცალ-

[5] Период раннего средневековья (V—первая половина XIII в. до монгольского нашествия), გვ. 77-158.

[6] Экономика и общественные отношения в Карачаево-Черкесии эпохи раннего средневековья. გვ. 109—137.

[7] Период позднего средневековья (вторая половина XIII—XVII в.). გვ. 158.

[8] Формирование народностей Карачаево-Черкесии, გვ. 158-219.

კეულ ეროვნებათა ეთნიკური ფორმირებისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელი კომპონენტი დომინირებს — მოსული, დამპყრობი ხალხისა თუ დამხვედრი, აბორიგენული მოსახლეობისა.

ე. ალექსეევას შეხედულებით, ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნებათა ჩამოყალიბება ამასთანავე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარებასთან. სწორედ ამიტომაცაა, რომ ყარაჩაელთა, აბაზელთა, ჩერქეზ-ადიღეელთა, ნოღაელთა და კიდევ სხვათა ცალკეულ ეროვნებად ჩამოყალიბებას იგი ფეოდალურ ურთიერთობათა დადგომას უკავშირებს. ამასთან, მას ტერმინი „ძველი ეროვნება“ შემოაქვს ამ პროცესის დასაწყისი სტადიისათვის.

აღნიშნული პოზიციებიდან წერილობითი და ძირითადად კი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ავტორი განიხილავს: ყარაჩაელებს, ადგილობრივ მთიელთა ეთნიკურ კომპონენტს, რომელსაც უფრო ადრეული ხანისაგან „ყობანელები“ ეწოდებათ, ალანებს, ხულგარელებს და სხვა თურქულენოვან წინაყიჩაღურ ეთნიკურ ჯგუფებს, ყიჩაღებს, ადიღებს, აბაზელებს და ნოღაელებს, რომლებმაც, მისი აზრით, მონაწილეობა მიიღეს ყარაჩაი-ჩერქეზეთის მიწა-წყალზე მცხოვრები ოთხი ძირითადი ეროვნების — ყარაჩაელების, აბაზელების, ჩერქეზებისა და ნოღაელების ჩამოყალიბებაში.

აღნიშნული თავის ძირითადი დასკვნები ასეთია: ყარაჩაელები და ბალყარელები წარსულში ერთი ხალხი იყო. ძირითად ბირთვს ამ ეროვნების ჩამოყალიბებაში წარმოადგენდნენ უძველესი „ყობანელები“, ე. ი. ჩრდილო კავკასიის აბორიგენები. IV საუკუნიდან ჯერ ამ ყობანელთა ნაწილობრივი ირანიზაცია მოხდა და ძველ ეთნიკურ მასივს ალანური მოსახლეობა „გადაეფარა“, ხოლო მერე, VII—VIII საუკუნეთა მიჯნიდან დაიწყო თურქულენოვან ტომთა ინფილტრაცია, რამაც დასაბამი მისცა ყობანურ-ალანური მოსახლეობის თურქიზაციას. აღნიშნული პროცესი დასრულეს ყიჩაღებმა X—XIII საუკუნეებში, ამიტომაც XIII—XIV საუკუნეთა მიჯნა, ე. ალექსეევას აზრით, არის ის ხანა, როცა ყალიბდება ყარაჩაი-ბალყარული ეროვნება, რომლის დასავლეთ ნაწილს უწოდებდნენ ალანებს, ხოლო აღმოსავლეთ შტოს კი ასებს(!).

ჩერქეზთა და აბაზელთა წინაპრები ძველი ადიღები არიან. ეს ხალხი უძველესი დროიდან ცხოვრობს ყუბანისპირეთში. საკუთრივ ჩერქეზები ჩამოყალიბდნენ ზოგიერთი ყაბარდოელი ტომებისაგან XIII—XIV საუკუნეთა მიჯნაზე.

რაც შეეხება აბაზელებს, ისინი ე. ალექსეევას მიაჩნია აფხაზების განაყოფად. ცალკეულ ეროვნებად აბაზელები ჯერ კიდევ X საუკუნეში ჩამოყალიბებულან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე და, როდესაც ჩრდილო კავკასიაში გადასახლებულან, ისინი უკვე „აბაზელები“ იყვნენ და არა „აფსუა“. აბაზა სწორედ ჩრდილოეთით გადასახლებულთა ბაზაზე ჩამოყალიბდა, მაგრამ შედარებით მოგვიანებით — XVII—XVIII საუკუნეთა შორის.

რაც შეეხება ნოღაელებს, ისინი, წერილობითი წყაროების მიხედვით, XVII საუკუნის 30-იან წლებში ჩასახლებულან ყარაჩაი-ჩერქეზეთის მიწა-წყალზე, თუმცა არქეოლოგიური მონაცემებით ე. ალექსეევა ცდილობს ეს ზღვარი XVI საუკუნემდე ჩაიტანოს.

სარეცენზიო ნაშრომის ბოლო, VI თავი ეძღვნება გვიანფეოდალური ხანის ყარაჩაი-ჩერქეზეთის მიწა-წყალზე მცხოვრებ ეროვნებათა ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიური განვითარების თავისებურებანი. საყურადღებოა, რომ ავტორი გვიანფეოდალურ ხანას ჩრდილო კავკასიის ამ კუთხისათვის იწყებს XIII საუკუნის ბოლოდან თუ მეორე ნახევრიდან(!).

ნაშრომის ბოლო თავში ავტორს თანმიმდევრობით აქვს განხილული ყარაჩაელთა, ადიღეაბაზელთა და ნოღაელთა ეკონომიური ყოფა, მეურნეობის ძირითადი დარგები, ვაჭრობა, ხელოსნობა და სხვ. დახასიათებულია სოფლის მეურნეობა და ყოველივე ამაში, გარდა წერილობითი წყაროებისა, უხვადაა გამოყენებული არქეოლოგიური მასალა. მასალის ერთობლივი ანალიზიდან ჩანს, რომ გვიანფეოდალურ ხანაში მთის მოსახლეობის მეურნეობამ განიცადა დიდი ზიანი და ნგრევა, რაც თათარ-მონღოლთა და შემდგომ თემურ-ლენგის მძიანეარე შემოსევათა ნაყოფი იყო. თუმცა, როგორც ავტორი ფიქრობს, ყარაჩაი-ჩერქეზეთში საწარმოო ძალები და საწარმოო ურთიერთობები კი არ მოშლილა და გაყინულა, არამედ ნელა, მაგრამ მაინც ვითარდებოდა.

მიუხედავად ნაშრომის მრავალი ღირსებისა, ჩვენ გვაქვს შენიშვნებიც, რომელთა შორისაც გამოვყოფთ რამდენიმეს, რომლებსაც, ვფიქრობთ, არსებითი მნიშვნელობა აქვთ.

1. ნაშრომის სათაური მთლიანად არ შეეფარდება მის შინაარსს. სათაური გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე ეს ნაშრომშია მოცემული. წიგნი, რომელსაც ასეთი სახელწოდება აქვს, უნდა აშუქებდეს არა მარტო ეთნოგენეზს და სოციალურ-ეკონომიური საკითხების შედარებით ვიწრო წრეს, არამედ პოლიტიკური ცხოვრების, ეკონომიკის (უფრო ფართო თვალთახედვით), კულტურის და სხვა საკითხებსაც.

2. უნაკლო არ არის წიგნის სტრუქტურაც. ჯერ ერთი, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ნაშრომი წარმოადგენს ორი მონოგრაფიის *მექანიკურ შეერთებას. მონოგრაფიის პირველი* ნაწილი მოიცავს საკითხთა ისეთ წრეს, რომელიც სრულიად დამოუკიდებელ და დასრულებულ სახეს ატარებს. მისი შინაარსობრივი მხარის გათვალისწინება და საკითხის რეალური ვითარება გვიჩვენებს, რომ დღევანდელი ყარაჩაი-ჩერქეზეთის მიწა-წყალზე მცხოვრებ ეროვნებათა ეთნოგენეზის საკითხის კელევისას სულაც არ იყო საჭირო საკითხის ქვის ხანიდან დაწყება. ის ძირითადი ეთნიკური მასივები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს თანამედროვე ყარაჩაი-ჩერქეზეთის ხალხოვნებათა ჩამოყალიბებაში, იქ გაცილებით გვიან, სულაც შუასაუკუნეებში მოვიდა (ადიღები XIII—XIV საუკუნეთა მიჯნაზე, აბაზელების ნაწილი XVII ს., ნოღაელები XVII საუკუნის დამდეგს. რამდენადმე უფრო ადრე დაიწყო თურქულენოვან ტომთა ინფილტრაცია, თუმცა ყარაჩაელთა ეროვნება, ალბათ, XIII—XIV საუკუნეებზე ადრე ვერც გაფორმდებოდა).

არ არის სწორი ნაშრომის მეორე და მესამე ნაწილთა თავებად დალაგების სტრუქტურაც. ორთავე ნაწილში შესაბამისად პირველი თავები ეხება ეთნიკურ საკითხებს, ხოლო მეორე თავები კი სოციალურ-ეკონომიურს. საკითხები დალაგებული უნდა იყოს პირიქით. ეთნიკური საკითხების კვლევა უნდა ხდებოდეს სოციალურ-ეკონომიურის ბაზაზე. მარქსის ცნობილი დებულებით, ეკონომიური კონცენტრაცია აპირობებს პოლიტიკურ და ეროვნულ კონცენტრაციას.

3. გაურკვეველია, თუ ისტორიის პერიოდიზაციის რა ქრონოლოგიურ შკალას ეყრდნობა ე. ალექსეევა, საკუთრივ ჩრდ. კავკასიისათვის შემუშავებულს, საერთო კავკასიურს, რუსეთისას თუ ზოგადს. გაურკვეველია, თუ რატომაა XIII საუკუნის I ნახევრამდე მოტანილი ადრეფეოდალური ხანა. თუ ეს ჩრდ. კავკასიის ვითარების ამსახველია, მაშინ როგორ გავიგოთ გვიანფეოდალური ხანის ავტორისეული განსაზღვრება?

ჯერ ერთი, გვიანფეოდალურ ხანაზე მსჯელობა უკვე თავისთავად გულისხმობს განვითარების შუაფეოდალური სტადიის გავლას. მეორეც, სრულიად გაუგებარია, რატომ იწყებს ავტორი გვიანფეოდალურ ხანას ასე ადრე — XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, მაშინ როდესაც თვით ევროპაში გვიანფეოდალური ხანა იწყება გაცილებით გვიან — XV საუკუნის შუა ხანებიდან. კიდევ უფრო არსებითი ხასიათის შეუსაბამობას იწვევს ტერმინ „გვიანფეოდალური“-ს ავტორისეული მომარჯვება. ეს ტერმინი თავისთავად გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების გარკვეულ *საფეხურს. საზოგადოებას,* სადაც გვიანფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობებია გაბატონებული. ასეთი რამ კი, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ჩრდილო კავკასიაში არ ყოფილა, პირიქით, ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა XVI—XVIII საუკუნეებშიც კვლავ ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ადრეულ სტადიაზე იმყოფებოდა.

გაუგებარია მონოგრაფიის ზედა ქრონოლოგიური საზღვარი — რატომ მაინცა და მაინც XVII საუკუნემდეა მოტანილი. ეს არაა მარეგულირებული, თუნდაც იმიტომ, რომ ამ საუკუნეში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეროვნებათა ჩამოყალიბება. მაგალითად, ნოღაელების ეროვნებად ჩამოყალიბების პროცესი XIX საუკუნეშიც კი გრძელდებოდა. იგივე ითქმის აბაზელებზეც. მაგალითად, აშხარელები, რომლებმაც გარკვეული როლი შეასრულეს აბაზას ეროვნების ჩამოყალიბებაში ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს გადასახლდნენ. ასევე არ იყო დასრულებული XVII საუკუნისათვის ჩერქეზთა ეთნიკური ჩამოყალიბება. ამიტომაც, ჩვენი აზრით, სასურველი იქნებოდა ავტორს ნაშრომის ბოლო ნაწილი თუ XIX საუკუნემდე არა, XVIII საუკუნის ჩათვლით მაინც განეერცო, მით უმეტეს, რომ სარეცენზიო მონოგრაფიის ძირითად საკითხს სწორედ ეთნოგენეზი და ეთნიკური განვითარების ისტორია წარმოადგენს.

4. გარკვეული შენიშვნა გვაქვს წყაროებით სარგებლობის თვალსაზრისითაც. როგორც ცნობილია, ისტორიულ წყაროებში ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და საერთოდ მთელი ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ მეტად მცირე ცნობებია დაცული. ამიტომაც ამ უაღრესად რთული საკითხის გადასაჭრელად საჭირო იყო სხვა გზების ძიება. პირველ რიგში საჭირო იყო ეთნოგრაფიული მასალების შეძლებისდაგვარად ფართოდ გამოყენება, რაც, სამწუხაროდ, მონოგრაფიაში არ შეინიშნება. ამასთანავე, მონოგრაფიაში დასმული მთელი რიგი საკითხების შესწავლას უთუოდ გაუადვილებდა ავტორს ქართული წყაროების ცოდნაც. მართალია ქართული წყაროები რუსულად ნაკლებადაა თარგმნილი, მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს ავტორს, რომ მისი ყურადღების მიღმა დარჩა ქართული წერილობითი წყაროები. ამასთანავე ე. ალექსეევას, როგორც ჩანს, არ უსარგებლია უკვე არსებული ყველა თარგმანითაც კი. მაგრამ

ნერილობით წყაროებსაც რომ თავი გავანებოთ, იგი ძალიან ძუნწად სარგებლობს ამიერკავკასიური არქეოლოგიური პარალელური მასალებითაც. კერძოდ, ნაშრომის პირველი ნაწილი გაცილებით უფრო მოიგებდა და ეთნიკურ ურთიერთობათა საკითხზეც მსჯელობა უფრო საგულისხმო იქნებოდა, რომ ავტორს საფუძვლიანად გამოეყენებინა კოლხურ კულტურასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალა, რომლის შესახებ რუსულ ენაზეც საკმაოდ მნიშვნელოვანი ლიტერატურა არსებობს.

კავკასიონის მთა, ჩვენ ხალხების და კულტურების გადაულახავ ბარიერად კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია, არამედ პირიქით, დამაახლოებელ ფაქტორად, სადაც კავკასიონის ორივე მხარის მოსახლეობა უძველესი დროიდანვე ძალზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული როგორც მეურნეობრივად, ასევე პოლიტიკურად და ეთნიკურად. ასეთ ვითარებაში ავტორისათვის უფრო ნათელი იქნებოდა ზოომორფულ ყურებიანი ან კიდევ რელიეფურ ორნამენტიანი თიხის ჭურჭლის გავრცელების გზები და თავისებურებანი, ან კიდევ ავტორს უფრო ნათლად წარმოუდგებოდა მდ. ტებერდას სათაეებში, დომბაის ველზე, ბანაკ „სოფრუჯუს“ მახლობლად გათხრილი ქვაყრილიანი ყორღანების არქეოლოგიური კომპლექსების კავშირ-ურთიერთობანი. სხვათა შორის, ამ მასალას, გარდა ყაზბეგის „განძისა“, მეტად ახლო კავშირი აქვს წინარე ანტიკური ხანის დასასრულისა და ადრეანტიკური ხანის იმ ძეგლებთან, რომლებიც უპირატესად ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალზეა მოპოვებული (დაბლაგომი, ვანი, ინგურის ნაპირები, მთიანი რაჭა და სხვ.).

5. იხილავს რა ყარაჩაელთა ეთნიკური წარმომავლობის საკითხს, ე. ალექსეევა თვლის, რომ ძველი ყობანელები იყვნენ თანამედროვე ყარაჩაელთა წინაპრები (გვ. 56—57). თურმე „ყობანელები“ წარმოადგენდნენ იმ ძირითად სუბსტრატს, „из которого в последствии сложилась карачаево-балкарская народность“ (გვ. 56). აღნიშნული დებულება, ჩვენი აზრით, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. საქმე იმაშია, რომ ძველ ყობანელებსა და თანამედროვე ყარაჩაელებს შორის, რომლებიც ცალკე ეროვნებად ალბათ XIV საუკუნეზე ადრე არც კი იყო ჩამოყალიბებული, ძალზე დიდი ქრონოლოგიური წყვეტილია. და რაც მთავარია, ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში მოხდა არსებითი ხასიათის ცვლილებები. შესაძლებელია ალანოსთა გაბატონების თავდაპირველ საფეხურზე ალანთა გეერდით აქა-იქ კვლავ არსებობდა ძველ ყობანელთა ეთნიკური მასა, მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც ყარაჩაელთა ეროვნების ჩამოყალიბებას ეყრება საფუძველი, ძნელი სავარაუდოა ვიგულისხმოთ, რომ ძველ ყობანელებს კიდევ ჰქონოდათ შემონახული ეთნიკური თვითმყოფადობა. ძველი მოსახლეობის ალანიზაცია (არა მარტო ენობრივი, არამედ ეთნიკურიც) შუა ფეოდალური ხანის დამდეგისათვის ალბათ უკვე მომხდარი ფაქტი იყო. თურქულენოვანი ტომების განსახლება კი კავკასიონის მთისძირეთში, მართალია, ადრეული ხანიდანვე (VII—VIII სს.) დაიწყო, მაგრამ დასაწყისში ამ მოვლენას შედარებით სპორადული ხასიათი ჰქონდა. თურქულენოვანი მოსახლეობის მომძლავრება თანამედროვე ყარაჩაი-ჩერქეზეთის მიწა-წყალზე განსაკუთრებით ყიჩაღების აქტივიზაციის ხანას ემთხვევა, ხოლო თავის კულმინაციას მონღოლთა შემოსევების დროს აღწევს, როდესაც მათი რისხვის შიშით მრავალი ხალხი და მათ შორის თურქული წარმოშობის ცალკეული ტომებიც კავკასიონის ხეობათა ზემო ნაწილში აღმოჩნდნენ შერეკილი.

7. ნაშრომში ძალზე უფერულად და ხშირად შეცდარადაა წარმოდგენილი საქართველოს და კერძოდ, მისი მთიანი ნაწილის, აფხაზეთისა და სვანეთის კავშირურთიერთობანი ყუბანის სათაეებში მცხოვრებ ხალხებთან და კერძოდ, ყარაჩაელებთან და ჩერქეზებთან. ავტორი მეტად მკრთალად და უფერულად წარმოგვიდგენს ძლიერი ფეოდალური საქართველოს გავლენას ჩრდილო კავკასიის იმ მონაკვეთზე, სადაც ზემოხსენებული ხალხები ცხოვრობდნენ, მაგალითად, დღეს უკვე კარგადაა ცნობილი, თუ განვითარების რა მაღალ დონეს მიაღწია ინგურის სათაეებში მდებარე სვანეთმა. ფეოდალურ ხანაში სვანეთის ბრწყინვალე ხუროთმოძღვრება ერთი საუკეთესო ნაწილთაგანია საერთო ქართულისა. ხოლო იქ დაცული მონუმენტური ფერწერის და ჭედურობის ძეგლები კი ქართული კულტურის საუკეთესო ნიმუშებადაა მიჩნეული. ზემო სვანეთი იყო ქართული ქრისტიანული კულტურის ერთი უმძლავრესი კერათაგანი, განსაკუთრებით შუაფეოდალური ხანიდან და ჩრდილო კავკასიის მიმართ ერთიანი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური მიზნების განხორციელებაში ამ კუთხეს, როგორც ჩანს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. სწორედ ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ სვანეთს „გადაღმა“, ყუბანის სათაეებში თავს იჩენს ისეთი არქეოლოგიური და მიწისზედა ძეგლები, რომლებიც მატერიალურად გვისაბუთებენ საქართველოს მთიანეთის მჭიდრო ურთიერთობას აღნიშნულ მხარესთან. კერძოდ, აქ მხედველობაში გვაქვს სენტის (სეტის) და სხვა სამაროვნები, რომ-

ლებიც სამარხეული ინვენტარის მიხედვით ძალზე ახლოა საქართველოს ფეოდალური ხანის სამაროვნებთან (გვ. 85, ტაბ. 26 ა, 26 ბ). ამასთანავე საყურადღებოა, რომ ყუბანის სათავეებში მრავლად გვხვდება სვანური კოშკების ნანგრევები. ყოველივე ეს ზოგიერთ ტოპონიმიკურ მონაცემთან ერთად გვავარაუდებინებს, რომ ქედს გადაღმა, თანამედროვე ქლუხორის რაიონში, ამ დროს შეიძლება არსებობდა გარკვეული სვანურ-ქართული მოსახლეობა. ამიტომაც არასამართლიანად მიგვაჩნია ავტორის მიერ გ. ზარდალიშვილის მოსაზრებათა ხელაღებით უარყოფა (გვ. 24), სადაც სვანური წარმოშობის ტოპონიმების ანალიზზე დაყრდნობით ქედს გადაღმაც იყო ნაგულისხმევი ქართული ეთნიკური ელემენტი.

სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით, ეფიქრობთ, უფრო სასარგებლო იქნებოდა ავტორს ამ მიმართულებით მეტად გაემახვილებინა ყურადღება, რადგანაც საქართველო-ჩრდილო კავკასიის ურთიერთობათა სათანადო სიღრმით გარკვევა ხელს შეუწყობდა მას მრავალი უაღრესად საყურადღებო მოვლენის გაშუქებაში. მაგალითად, რატომ იყო, რომ ეკონომიური თვალსაზრისით ყუბანის სათავეები უფრო დაწინაურებული იყო, ვიდრე ჩრდილო კავკასიის მთისძირა ზოლი (გვ. 151); ან კიდევ, რატომ განვითარდა ხუროთმოძღვრება უფრო მძლავრად ყუბანისა და მის შენაკადთა სათავეებში, ვიდრე მის ქვემოწელზე (გვ. 115), მაშინ როდესაც სხვა ვითარებაში პირიქით უნდა ყოფილიყო (ე. ი. ქვეყნის შინაგანი განვითარების ტონის მიმცემი ბარი უნდა ყოფილიყო); ან კიდევ, რატომ მაინცა და მაინც მთიან ალანეთში უფრო ადრე განვითარდა ფეოდალური ურთიერთობები და სხვ.

8. როცა ავტორი განიხილავს საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ეკონომიური ურთიერთობის საკითხებს, განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას მინის სამაჯურების გავრცელებაზე (გვ. 119) და მიიჩნევს, რომ ისინი ძირითადად საქართველოდან შემოჰქონდათ. ასეთი მოსაზრება ამ ბოლო წლებში ფართოდ დამკვიდრდა საბჭოთა არქეოლოგიურ ლიტერატურაში, მაგრამ საქართველოსა და კავკასიონის გადაღმა არსებულ ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის დაყვანა მხოლოდ მინის სამაჯურებით ვაჭრობაზე არ მიგვაჩნია მართებულად. ძნელი წარმოსადგენია, რომ მარუხსა და დარიალს შორის არსებულ უღელტეხილებზე მხოლოდ მინის სამაჯურებით დატვირთული ქარავნები მოძრაობდნენ. ბუნებრივია, რომ ამ ურთიერთობებს უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა და არქეოლოგ ე. ალექსეევას ამის დასაბუთება ნივთიერი მასალით არ უნდა გასჭირვებოდა. ამასთანავე, მოულოდნელი დასკვნებია გამოტანილი ნაშრომის 123-ე გვერდზე, სადაც სულ რამდენიმე გვერდით წინ ქართულად მიჩნეული სამაჯურები უცბად ბიზანტიურადაა გამოცხადებული.

9. წიგნში ადგილი აქვს ზოგიერთ უზუსტობასაც. მათ შორის არის არსებითი ხასიათისაც. მაგალითად, 63-ე გვერდზე ყარაჩაი-ჩერქეზეთის არქეოლოგიური ძეგლების ჩამოთვლისას ავტორი წერს, რომ იქ მრავალფეროვან სამარხთა შორის ანტიკური ხანისათვის გვხვდება უყორღანო ორმოსამარხები, რაც სავსებით შეესაბამება სინამდვილეს, ხოლო 64-ე გვერდზე კი კატეგორიულად უარყოფს ამ მოსაზრებას და წერს, რომ ყარაჩაი-ჩერქეზეთში სრულებით არ გვხვდება უყორღანო ორმოსამარხები, ესოდენ დამახასიათებელი მეოტური კულტურისათვის. სხვათა შორის, აღნიშნული მოვლენა ავტორს მიაჩნია გვიანყობანური და მეოტური კულტურების ერთ-ერთ ძირითად განმასხვავებელ ნიშნად.

10. აჭტორის აზრით, ეროვნებად ჩამოყალიბება შესაძლებელია მომხდარიყო მხოლოდ ფეოდალურ ურთიერთობათა წიაღში. მრავალ ხალხისათვის შესაძლებელია ეს ასეც მოხდა, მაგრამ, ეფიქრობთ, საკითხის ასე კატეგორიულად დასმა არამართებულია. ეროვნება შესაძლებელია ჩამოყალიბებულიყო წინაფეოდალურ ხანაში და შესაძლოა იგი ჩამოყალიბდეს ღღესაც, სოციალიზმის ეპოქაში.

ჩვენ შეგვეძლო კიდევ არა ერთ საკამათო საკითხზე გაგვემახვილებინა ყურადღება, მაგრამ ეფიქრობთ, რომ ნაშრომის ზოგადი შეფასებისათვის ზემოთქმულიც საკმარისია. მიუხედავად არსებითი ხასიათის შენიშვნებისა, ე. ალექსეევას წიგნი ჩვენ მაინც სასარგებლო ნაშრომად მიგვაჩნია.

მარინე ცინცაძე
ზურაბ ანჩაბაძე

ქრონიკა და ინფორმაცია

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალები

ქართველი და უკრაინელი ხალხი ოდითგანვე კარგად იცნობდა ერთმანეთს და გარკვეული კულტურულ-პოლიტიკური კონტაქტებიც ჰქონდა დამყარებული. საუკუნეთა მანძილზე მსგავსი ისტორიული ბედით დაკავშირებული ამ ორი ხალხის მეგობრული კავშირი თანდათანობით მტკიცდებოდა და ღრმავდებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ძირეულად შესცვალა რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალი ხალხების ურთიერთობანი და ახალი შინაარსი მისცა მათ, ხოლო საბჭოთა კავშირის შექმნამ დიდ და პატარა ერებს საშუალება მისცა დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ, აეყვავებინათ თავიანთი ეროვნული კულტურა, ეკონომიკა და ერთმანეთისათვის დახმარების ხელი გაეწოდებინათ.

დღეისათვის, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა კომუნიზმს აშენებს, საბჭოთა კავშირის ხალხების ურთიერთობათა შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ამდენად, გასაგებია, თუ რაოდენ გამართლებული იყო ის მჭიდრო თანამშრომლობა, რომელიც დამყარდა უკრაინისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ისტორიკოსთა შორის.

1967 წლის აპრილში, თბილისში, ჩატარდა გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომლის მუშაობაშიაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის იე. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა. ეს იყო პირველი სესია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ორი მოძმე რესპუბლიკის ისტორიკოსთა ნაყოფიერ თანამშრომლობას.

აღნიშნული სესია მიზნად ისახავდა უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის საკითხების გარკვევას. იგი მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-წლისთავს. მოხსენებათა საინტერესო თემატიკამ თავიდანვე მიიქცია ისტორიკოსთა ყურადღება. მოგვიანებით სესიის მასალები თბილისში ცალკე წიგნად გამოქვეყნდა[1].

ქართველი და უკრაინელი ისტორიკოსების ასეთ პრაქტიკულ დაახლოებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. სასარგებლო კონტაქტებმა, პირადმა გაცნობამ, აზრთა გაცვლა-გამოცვლამ ერთხელ კიდევ დაადასტურა წლების მანძილზე დაგროვილი მეცნიერული გამოცდილების გაზიარების აუცილებლობა. მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ ერთი შეხვედრა არ იქნებოდა საკმარისი ქართველი და უკრაინელი ხალხების საუკუნოვანი მეგობრობისა და ურთიერთობის ისტორიის გაშუქება-შესწავლისათვის.

1969 წლის ივნისში ქ. კიევში ჩატარდა მეორე გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. აღნიშნული შეხვედრაც, პირველის მსგავსად, მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა, ხოლო სესიის მასალები 1971 წელს ქ. კიევში გამოქვეყნდა[2].

ამ სამეცნიერო სესიების მნიშვნელობა მარტო იმაში არა მდგომარეობდა, რომ მონაწილეთა შორის მეცნიერული მიღწევებისა და ნაზრევის გაზიარება ხდებოდა, არამედ იმაშიაც, რომ ასეთი კოლექტიური მუშაობის პროცესში მრავალი ახალი საკითხი, პრობლემა და კითხვა დაიბადა, რომლებზე პასუხის გაცემასაც არა ერთი და ორი თვე სჭირდებოდა. ანან თავისთავად ახალი შეხვედრების მოწყობის მოთხოვნილება წარმოშვა.

1972 წლის 27—30 ივნისს ქ. ბათუმში მოეწყო მესამე გაერთიანებული სამეცნიერო სესია. იგი მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილეს. სესიაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ უკრაინისა და კავკასიის ხალხების ურთიერთ-

[1] Из истории украино-грузинских связей. Тб., 1968.
[2] Из истории украинско-грузинских связей, Киев, 1971.

კავშირისა და ურთიერთგავლენის საკითხების გარკვევას.

სამი დღის მუშაობის მანძილზე მოსმენილ იქნა 16 მოხსენება, რომლებშიაც აისახა უკრაინელი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა, დაწყებული XII საუკუნიდან დღემდე.

სესია გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა.

თავის შესავალ სიტყვაში, მიმოიხილა რა ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის ისტორიული საფუძვლები, აკად. გ. მელიქიშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოძმე უკრაინისა და საქართველოს ისტორიკოსთა ასეთ მაღალმეცნიერულ დონეზე შეხვედრა უკვე სასარგებლო ტრადიციად იქცა და იმედი გამოსთქვა, რომ მომავალში ეს მეცნიერული თანამშრომლობა უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება, რაც, თავის მხრივ, დადებით როლს შეასრულებს საბჭოთა კავშირის ხალხთა თანამეგობრობის განმტკიცების საქმეში.

საქართველოს კომპარტიის აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით სესიის მონაწილეებს მიესალმა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. დიასამიძე. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. შლეპაკოვი. სესიის მონაწილეებს მიესალმნენ ბათუმელი პიონერები.

მოხსენება თემაზე: „სსრ კავშირის შექმნის საერთაშორისო მნიშვნელობა“ წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფ. ნ. სტურუამ.

„სსრ კავშირის შექმნა, — აღნიშნა მომხსენებელმა, — წარმოადგენს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთ მთავარ შედეგს, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფს“. მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა მსოფლიოს ხალხებისათვის საბჭოთა კავშირის შექმნის მნიშვნელობაზე, აღნიშნა ის დიდი გავლენა, რომელიც იქონია ეროვნული საკითხის გადაჭრისა და მრავალეროვნული სახელმწიფოს შექმნის საბჭოურმა მაგალითმა მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებაზე. „სსრ კავშირის არსებობის 50-წლიანმა გამოცდილებამ — ნათქვამი იყო მოხსენებაში, — ნათლად დაამტკიცა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ცხოველმყოფელობაა, კაცობრიობის შეუჩერებელი წინსვლა კომუნიზმისაკენ“.

საბჭოთა კავშირის შექმნის ისტორიულ მნიშვნელობაზე ილაპარაკა პროფ. ს. პარხომჩუკმა თავის მოხსენებაში „სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი და სკკპ ეროვნული პოლიტიკის ფალსიფიკატორების იდეური გაკოტრება“.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მიღწევების შეჯამებისა და ჩვენს ქვეყანაში ეროვნებათა ურთიერთდამოკიდებულებათა საკითხებისადმი მიძღვნილ დასავლეთევროპელი ავტორების ახალ ნაშრომთა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მომხსენებელმა ნათელყო სკკპ ნაციონალური პოლიტიკის ფალსიფიკატორთა იდეური უსუსურობა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვ. ი. ლენინის მოძღვრება ეროვნული პოლიტიკის გატარების საქმეში დიდ გამარევოლუციონერებელ ძალად იქცა იმ ხალხებისათვის, რომლებიც იბრძვიან სოციალიზმისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალურ-ეკონომიური განახლებისათვის.

საბჭოთა ხალხების ეროვნული ინტერესებისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ამ ინტერესთა დასაცავად გატარებული საგარეო პოლიტიკის ხასიათზე მოხსენება გაკეთა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. შლეპაკოვმა.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლების ისტორიის ყველა ეტაპზე ატარებდა საბჭოთა დიპლომატია სოციალისტური ერების უფლებათა დასაცავად. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებიდან, — აღნიშნა მომხსენებელმა, — საბჭოთა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო ეროვნული რესპუბლიკების, კერძოდ, უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და იმპერიალისტთა ხელყოფისაგან მათი დაცვისაკენ. მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო იმ ღონისძიებათა ჩვენებას, რომლებიც ტარდება საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნული ინტერესების დაცვისათვის.

უკრაინელმა და ქართველმა ისტორიკოსებმა თავიანთ მოხსენებებში გააშუქეს ორი მოძმე რესპუბლიკის ურთიერთობანი როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ სფეროში.

გაერთიანებული მოხსენება, რომლის ავტორები იყვნენ ისტ. მეცნ. დოქტორი მ. ნათმელაძე და ისტ. მეცნ. კანდ. ს. სირცოვა, მიეძღვნა ინდუსტრიალიზაციის პერიოდში უკრაინისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკების სამ-

რეწველო ცენტრების ურთიერთობის ხასიათის გარკვევას, იმ პერიოდში, რომელიც სსრ კავშირის ეროვნული რესპუბლიკების ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის ერთ-ერთ გადამწყვეტ ეტაპს წარმოადგენდა.

მოხსენებაში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სსრ კავშირის ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებში განვითარების სხვადასხვა პოტენციალი არსებობდა და ამიტომ ინდუსტრიალიზაციის გატარებისათვის საჭირო იყო მათი კონკრეტულ-ისტორიული განვითარების გათვალისწინება. მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ ამ თვალსაზრისით უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკები მსგავს ტენდენციას ამჟღავნებდნენ. უკრაინისა და საქართველოს სამრეწველო განვითარების რამდენადმე თანაბარმა დონემ ხელი შეუწყო ე. წ. სამრეწველო კონტაქტებს, რომლებსაც ძირითადად სამრეწველო ქალაქები ახორციელებდნენ. ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპების გატარების დროს ასეთი კავშირების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო მსხვილი სამრეწველო საწარმოების კოლექტივების თანამშრომლობა. ამას ბიძგს აძლევდა სოციალისტური შეჯიბრება, რომლის პირველი ხელშეკრულება 1929 წელს დაიდო ჭიათურისა და ნიკოპოლის მარგანეცის საბადოების კოლექტივებს შორის.

30-იან წლებში საქართველოსა და უკრაინის სამრეწველო ქალაქების საწარმოო კავშირები ახალი ტექნიკის დანერგვის პირობებში მიმდინარეობდა და ვითარდებოდა. მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება, უკრაინაში შემუშავებული შრომის ნოვატორთა მიღწევების საქართველოში დანერგვა და პირიქით, კიდევ უფრო ამტკიცებდა აღნიშნულ კავშირებს. მოხსენებაში გაშუქებული იყო აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხებისა უკრაინისა და საქართველოს სამრეწველო ცენტრების ურთიერთობათა შესახებ.

უკრაინელი და ქართველი ხალხის სამრეწველო გამოცდილების ურთიერთგაზიარებაზე, ურთიერთდახმარებაზე და თანამშრომლობაზე ისაუბრა ისტ. მეცნ. კანდ. ნ. ჩაფიძემ თავის მოხსენებაში „უკრაინისა და საქართველოს ჰიდროელსადგურთა მშენებლობის გამოცდილების გაზიარება 1921-1932 წლებში“.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა „გოელროს“ გეგმის შექმნის საკითხზე, განიხილა ელექტრიფიკაციის ადგილი სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. მოხსენებაში ნაჩვენები იყო ის პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარება, რომელიც არსებობდა 20-იანი წლების საქართველოში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ზემო ავჭალის ჰიდროელსადგურის მშენებლობის საკითხს. „ვ. ი. ლენინი, — აღნიშნა მომხსენებელმა, — საფუძვლიანად გაეცნო ზაჰესის მშენებლობის საკითხებს და აუცილებლად ჩასთვალა ფინანსური დახმარების გაწევა“.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო დნეპრჰესის მშენებლობის ისტორიის გაშუქებას, ქართველი სპეციალისტების მონაწილეობას დნეპრჰესის მშენებლობაში და სხვ.

რამდენიმე მოხსენება მიეძღვნა უკრაინისა და საქართველოს კოლმეურნე გლეხების თანამშრომლობის, მათ შორის სოციალისტური შეჯიბრებების საკითხებს. მაგალითად, ისტ. მეცნ. კანდ. ვ. პანიბუდლასკამ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „სსრ კავშირის ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცება განვითარებული სოციალიზმის პირობებში (უკრაინის სსრ და აჭარის ასსრ მასალების მიხედვით)“.

მომხსენებელმა აღნიშნა ინტერესთა და მიზანთა ის ურღვევი ერთობა, ის სულიერი ნათესაობა, ურთიერთყურადღება, ნდობა და ერთგულება, რაც დამყარებულია სსრ კავშირის ხალხებს შორის. „განვითარებული სოციალიზმის ხანაში, — აღინიშნა მოხსენებაში, — სსრ კავშირის ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარება ეროვნებათა შორის კავშირის შემდგომი გაღრმავებით, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციით ხასიათდება“. აღინიშნა აგრეთვე ის, რომ ხალხთა ძალების კონცენტრირების აუცილებლობა მთელი საზოგადოების საერთო მსვლელობით, თვით სოციალიზმის ბუნებითაა გაპირობებული. ხაზი გაესვა იმ გარემოებასაც, რომ ჩვენს ქვეყანაში დამყარებული ჭეშმარიტი დემოკრატიზმი საშუალებას აძლევს ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს თავისი წვლილი შეიტანონ სსრ კავშირის ხალხების მეგობრობაში.

ამავე რესპუბლიკების ურთიერთობის ისტორიას მიეძღვნა კიდევ ორი მოხსენება: ერთი, რომელიც წაიკითხა ისტ. მეცნ. კანდ. თ. ჟღენტმა „შრომითი შეჯიბრების როლი სსრკ ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში (უკრაინისა და საქართველოს კოლმეურნე გლეხობის მაგალითზე)“ და მეორე, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომლის, ისტ. მეცნ. კანდ. ვ. შამილაძის მოხსენება თემაზე: „უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის ბელოზეროს რაიონისა და საქართველოს სსრ ხელვაჩაურის რაიონის საკოლმეურნეო გლეხობის მეგობრობა“.

თ. ჟღენტმა თავის მოხსენებაში ნათლად უჩვენა ის როლი, რომელსაც ასრულებს სოციალისტური ინტერნაციონალიზმი საბჭოთა კავ-

შირის ხალხთა შემოქმედებისა და ინიციატივის განვითარების საქმეში. „ერთ-ერთი უდიდესი ძალა, აღნიშნა მომხსენებელმა, რომელიც საბჭოთა წყობილებამ წარმოშვა, არის სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებაში სოციალისტური წარმოების წესის განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას წარმოადგენს". მომხსენებელმა დაახასიათა შეჯიბრების ძირითადი პრინციპები. მოხსენებაში ნაჩვენები იქნა აგრეთვე ის, თუ როგორ გადაიქცევა შრომა ცხოვრებისეულ მოთხოვნილებად. მოხსენებაში დიდძალი საინტერესო ფაქტი იყო თავმოყრილი უკრაინის სსრ და საქართველოს სსრ სხვადასხვა რაიონების მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ.

ვ. შამილაძემ თავის მოხსენებაში მოხაზა უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობის ისტორიული საფუძვლები, დაწვრილებით შეჩერდა ბელოზეროსა და ხელვაჩაურის რაიონების მშრომელთა შორის კონტაქტების დამყარებისა და მათი განვითარება-გაღრმავების საკითხებზე. მომხსენებლის მიერ განხილულ იქნა ამ ორი რაიონის კოლმეურნეთა შორის დადებული ხელშეკრულებების ტექსტები.

არსებული მასალის გაანალიზებამ მომხსენებელს საშუალება მისცა დაეხასიათებინა ის პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყეს ამ მეგობრული კავშირურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას. განსაკუთრებით იქნა მითითებული ის შედეგები, რაც მოჰყვა მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმას.

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე მოხსენება უკრაინელი და ქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობების შესახებაც. ამ საკითხს მიეძღვნა ისტ. მეცნ. დოქტორების ც. კალანდაძისა და გ. შევჩუკის გაერთიანებული მოხსენება თემაზე: „საქართველოსა და უკრაინის საბჭოთა კულტურების ურთიერთკავშირი და ურთიერთგავლენა".

მოხსენებაში ნაჩვენები იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დაიწყო ახალი ეტაპი უკრაინელი და ქართველი ხალხის მრავალწლიან მეგობრობაში, მათ საზოგადოებრივ-კულტურულ ურთიერთობაში. მოხსენებაში ხაზგასმულ იქნა, რომ რევოლუციას არ უარუყვია ის ძველი ტრადიციები, რომელიც კულტურის სფეროში არსებობდა, პირიქით, მომხსენებელთა აზრით, საქართველოსა და უკრაინის სსრ ახალმა ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა საფუძვლებმა მათ ახალი შინაარსი შესძინეს.

მოხსენებაში გაშუქებული იყო ისეთი პოლიტიკური, მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის პრობლემა, როგორიცაა ეროვნული რესპუბლიკების თანამშრომლობა კულტურის სფეროში. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კულტურული თანამშრომლობის გამოცდილების განზოგადება მსოფლიოს სოციალისტური სისტემის ქვეყნებისათვის, მშვიდობიანი გზით განვითარებადი ახალმწიფოებისათვის, შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობა და ურთიერთდახმარება, ერთა საბჭოური თანამეგობრობა, საუკეთესო მონაპოვარია და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ხელისუფლების თანამიმდევრული ლენინური ეროვნული პოლიტიკის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს.

ომის ქარცეცხლიან წლებში ქართველი და უკრაინელი ხალხის თანამეგობრობაზე ისაუბრა ისტ. მეცნ. კანდიდატმა ი. ბაბალაშვილმა, რომელმაც თავის მოხსენებაში: „საქართველოს ძმური დახმარება ფაშისტ ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული უკრაინის სს რესპუბლიკის რაიონებისადმი", უჩვენა ის ურყევი ერთობა და მეგობრობა, რომელიც გამოამჟღავნა საბჭოთა ხალხმა დიდი სამამულო ომის წლებში ფრონტზე და ზურგში.

„უკვე ომის დასაწყისისთანავე, — აღნიშნა მომხსენებელმა, — არაჩვეულებრივი მზრუნველობა გამოიჩინა ჩვენმა რესპუბლიკამ ევაკუირებული ბავშვების მიმართ". მაგრამ მეგობრული დახმარების გაწევა, რა თქმა უნდა, მარტო ამით არ შემოფარგლულა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ დახმარებას, რომელიც გაუწია საქართველომ ფაშისტ დამპყრობლებისაგან განთავისუფლებულ უკრაინის სსრ ოლქებს. უკრაინელ თანამოძმეებს. საქართველოდან ეგზავნებოდათ არა მარტო საკვები პროდუქტები, საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები, სოფლის მეურნეობის იარაღები, მანქანები, მედიკამენტები და სხვა, არამედ ჩვენგან უკრაინაში მიემგზავრებოდნენ სპეციალისტები: ინჟინრები, ექიმები, ტექნიკოსები.

მომხსენებელმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ის როლს, რომელიც შეასრულა საქართველომ დონბასის შახტებისა და სხვა დანგრეულ საწარმოთა აღდგენის საქმეში. კულტურულ-საგანმანათლებლო დარგში ქმედითმა დახმარებამ უფრო მეტად გააღრმავა ის კეთილურთიერთობა, რომელიც ოდითგანვე არსებობდა უკრაინელ და ქართველ ხალხებს შორის.

სესიის თემატიკაში არანაკლები ადგილი დაეთმო XII-XX საუკუნეების უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობათა საკითხებს.

კიევის რუსეთსა და საქართველოს შორის არსებულ კავშირებზე ისაუბრა ისტ. მეცნ. კანდ. ნ. კოტლიარმა, რომლის მოხსენებაშიაც „ძველი რუსული მატიანეების ქართული სიუჟეტები“, გადმოცემული და განხილული იყო ყველა ის ცნობა, რომელიც კი შემორჩენილია უძველეს რუსულ მატიანეებში საქართველოსა და ქართველების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ცნობას კიევის დიდი მთავრის, იზიასლავ მსტისლავის ძის ბიერ 1153 წ. ქართველი მეფის, დემეტრე I ქალიშვილის, რუსუდანის ცოლად შერთვის შესახებ. მომხსენებელი ცალკე შეჩერდა თამარ მეფის პირველი მეუღლის, ვლადიმირის დიდი მთავრის, ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟის, იურის, საქართველოში ჩამოსვლის საკითხზე. მომხსენებელმა სცადა ერთხელ კიდევ, თავის მხრივ, დაესაბუთებინა პროფ. შ. მესხიასა და პროფ. ი. ცინცაძის მოსაზრების სისწორე იმის შესახებ, რომ ზემოაღნიშნული დინასტიური კავშირები უმთავრესად სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებით იყო გაპირობებული.

ისტ. მეცნ. კანდ. მ. ცინცაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „კიევის რუსეთისა და ადიღების ურთიერთობათა ისტორიიდან“. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის და სხვა წყაროების საფუძველზე მომხსენებელმა უჩვენა კავშირი, რომელიც დამყარებული იყო კიევის რუსეთსა და ადიღებს შორის. განსაკუთრებით აღინიშნა ის გარემოება, რომ სწორედ კიევის რუსეთის, კერძოდ, ტმუტარაკანის სამთავროს წყალობით, ადიღები საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაებნენ. მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო ქრისტიანული ეკლესიის როლს ამ ორი პოლიტიკური ერთეულის ურთიერთობებში. „ტმუტარაკანის სამთავროს კავშირი ადიღებთან, — აღნიშნა მ. ცინცაძემ, — უნდა განხილულ იქნას, როგორც გაგრძელება კავშირებისა, რომელიც ადრე იყო დამყარებული უშუალოდ კიევის რუსეთთან“.

თავის მოხსენებაში „ზემო ჯულათის ეკლესიის სტილის საკითხისათვის“, ზ. დიდებულიძემ განიხილა ჩრდილოკავკასიის ხალხების კულტურული ურთიერთკავშირი შუა საუკუნეების ქრისტიანული ცივილიზაციის სამ ისეთ დიდ კერასთან, როგორიც იყო ბიზანტია, კიევის რუსეთი და საქართველო. მომხსენებელი შეეცადა გაერკვია, თუ როგორი იყო მათი გავლენა კავკასიის მთიელთა ცხოვრებაზე. მომხსენებელმა აჩვენა ცენტრალური კავკასიის ძირითადი მოსახლეობის მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების გზები „იმყოფებოდა რა მსოფლიოს ორი ცივილიზაციის, დასავლურის (ქრისტიანული) და აღმოსავლურის (მაჰმადიანურის) შესაყარზე, ცენტრალური წინაკავკასიის კულტურა უმთავრესად პირველი კულტურული მიმდინარეობის გავლენას განიცდიდა“, — აღნიშნა მომხსენებელმა. სამართლიანად იქნა მითითებული ისიც, რომ ამ ზეგავლენის ზრდა თუ მოკლება, პირველ ყოვლისა, საგარეო ვითარების ცვალებადობით იყო გაპირობებული.

სამართლიანი დაინტერესება გამოიწვია ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, ისტ. მეცნ. კანდ. ა. სურგულაძის მოხსენებამ: „უკრაინელი კაზაკები გონიოს ციხეში (XVII ს-ის 40-იანი წწ.)“. არსებული მასალის საფუძველზე მომხსენებელმა შესძლო ეჩვენებინა კაზაკების მიერ ისეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის აღების სურათი, როგორსაც შავ ზღვაზე გონიოს ციხე-სიმაგრე წარმოადგენდა, ახსნა ის მიზეზები და მიზნები, რომლებიც კაზაკებს ამოძრავებდათ დასავლეთ საქართველოს ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტების დამყარების დროს.

ა სურგულაძე შეეცადა თავის მოხსენებაში მთელი რიგი საკითხებისა (მაგ. კაზაკთა სადაურობის, ციხის აღების თარიღის, კაზაკთა და ქართველთა დამხმარე რაზმების რაოდენობის და სხვ.) ახლებურად გაეშუქებინა.

უკრაინელი აზნაურის ოჯახიდან გამოსული პიროვნების, ა. ს. პუშკინის, ა. ს. გრიბოედოვისა და საქართველოში გადმოსახლებული დეკაბრისტების მეგობრის პ. ს. სანკოვსკის მოღვაწეობის შესწავლას მიუძღვნა თავისი მოხსენება ისტ. მეცნ. კანდ. ჯ. ვათეიშვილმა თემაზე: „პ. ს. სანკოვსკი კავკასიაში პირველი რუსული გაზეთის რედაქტორი“.

მოხსენებაში გაშუქებულ იქნა პ. ს. სანკოვსკის პოლიტიკური შეხედულებანი და ინტერესები, მისი შეურიგებელი პოზიცია არსებული წესებისადმი. გაზეთ „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალის შედარებამ ოფიციალური პრესის მონაცემებთან, მომხსენებელს საშუალება მისცა დაესკვნა, რომ „თბილისის რუსული გაზეთის გამოსვლები არც თუ ისე იშვიათად ეწინააღმდეგებოდა საერთო-საიმპერიო ოფიციალურ პრესას“. მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო პ. ს. სანკოვსკის პატრიოტული მისწრაფებების, მისი წერის სტილისა და სხვა საინტერესო საკითხების გაშუქებას.

უმც. მეცნ. თან. გ. ჟორჟოლიანის მოხსენების თემა იყო „ქართველი სტუდენტები კიევის უნივერსიტეტში XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში“. მოხსენება აგებული იყო არა მარტო მდიდარ საარქივო მასალაზე,

არამედ იმ ჩანაწერების საფუძველზე, რომლებიც აწარმოვა გ. ყორჟოლიანმა ზოგიერთ ყოფილ ქართველ სტუდენტებთან პირადი შეხვედრების დროს.

მოხსენებაში გაშუქებული იყო კიევში მყოფი ქართველების სათვისტომოს და სტუდენტთა სხვა ორგანიზაციების საქმიანობა. განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ქართული საღმოების მოწყობისა და მათი მნიშვნელობის საკითხების გარჩევას. მოხსენებაში სათანადო ასახვა ჰპოვა 1905-1917 წწ. პერიოდში ქართველი სტუდენტების მონაწილეობამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ისტ. მეცნ. დოქტორმა ე. სკლიარენკომ ისაუბრა ლ. ქართველიშვილის პარტიულ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაზე. მომხსენებელმა გააშუქა ლ. ქართველიშვილის ცხოვრების მთელი რიგი მომენტები, დაწყებული კიევის კომერციულ ინსტიტუტში ყოფნის პერიოდიდან, სამოქალაქო ომის წლებამდე და შემდგომ. დაწერილებით შეჩერდა მომხსენებელი ლ. ქართველიშვილის მოღვაწეობის იმ პერიოდზე, როდესაც იგი ოდესისა და კიევის მშრომელების მიერ გუბერნიის კომიტეტის მდივნად იქნა არჩეული, ხოლო შემდეგ უკრაინის კპ (ბ) ცკ-ის შემადგენლობაში შეიყვანა. მოხსენებაში ასახვა ჰპოვა ლ. ქართველიშვილის მოღვაწეობამ უკრაინის კპ ცკ მდივნად ყოფნის პერიოდში.

მესამე გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მუშაობა, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადების პერიოდში მიმდინარეობდა, მრავალმხრივ იყო საინტერესო. მუშაობის პროცესში ბევრი ახალი, მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრა, რომელთა გადასაწყვეტად უკრაინელი და ქართველი ისტორიკოსები ალბათ კიდევ არაერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს.

თამარ ტივაძე
ვლადიმერ პანიბულლასკა

* * *

ჩვენი ქვეყნის ძთელი პოლიტიკური, შრომითი ცხოვრება და საბჭოთა ადამიანების მთელი პატრიოტული საქმეები ახლა განუყრელად არის დაკავშირებული დიდ დღესასწაულთან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან.

თუ თვალს გადავავლებთ განვლილ ნახევარსაუკუნოვან გზას, ამ გზაზე მომხდარი ამბების მნიშვნელობასა და ხასიათს, მის ადგილს კაცობრიობის ისტორიაში დავინახავთ, რომ განვლილი, ნახევარი საუკუნე — ეს არის გმირული ეპოქა, რომელსაც ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა ეპოქა. ეს წლები ყოველგვარი ექსპლუატაციისაგან, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან სამუდამოდ განთავისუფლებულ ხალხთა ყოველმხრივი განვითარების, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების უკონომიკის და კულტურის ნამდვილი აყვავების წლებია.

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია. შესავალი სიტყვით გამოვიდა აკად. გ. მელიქიშვილი, რომელმაც ილაპარაკა იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც მოიპოვა თავისი არსებობის ხუთი ათეული წლის მანძილზე მსოფლიოში პირველმა, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე შექმნილმა მრავალეროვანმა საბჭოთა სახელმწიფომ. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირმა გაუძლო ყოველგვარ გამოცდას, საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალების იერიშებს, უზრუნველყო სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება და გააჩაღა გადამწყვეტი ბრძოლა კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

მოხსენებით „საბჭოთა კავშირის შექმნა“, გამოვიდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი მ. ნათმელაძე, რომელმაც დაახასიათა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნისათვის ჩვენი ქვეყნის ხალხთა გამაერთიანებელი მოძრაობის განვითარების ეტაპები. მომხსენებელი შეეხო ვ. ი. ლენინის დამსახურებას, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა საბჭოთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის უმაგალითო პროცესს. ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის იდეები, შექმნა მწყობრი მოძღვრება ეროვნულ საკითხზე, შეიმუშავა კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის მეცნიერული პრინციპები.

მოხსენებით „სოციალისტური რესპუბლიკა ძმურ კავშირში ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის“, გამოვიდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ალ. კოჭლავაშვილი, რომელიც შეეხო რამდენიმე ძირითად პრობლემას, მათ შორის თუ რა როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის შექმნამ

მოკავშირე რესპუბლიკების, კერძოდ საქართველოს სოციალ-ეკონომიურ დაწინაურებაში.

მომხსენებელმა ილაპარაკა ლენინური ეროვნული პროგრამის განხორციელებაზე და აღნიშნა, რომ ეროვნული საკითხი დაქვემდებარებული საკითხია სოციალური პრობლემისადმი. მან აღნიშნა, რომ ხალხთა მეგობრობის დროშით დიდი გამარჯვება მოიპოვა საქართველომ მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შეიქმნა მძლავრი ინდუსტრია. იგი რუსეთის ჩამორჩენილ განაპირა მხრიდან გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად.

მოხსენებით „არქეოლოგია და თანამედროვეობა", გამოვიდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგია მეცნიერების ახალი დარგია (მე-18 საუკუნის II ნახევარი), მის განვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი წყება ახალი ისტორიულ-ფილოლოგიური დისციპლინების წარმოქმნა-განვითარება. თანამედროვე არქეოლოგია არა მხოლოდ თვითონ იწყებს თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევებს (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა და სხვ.), არამედ არქეოლოგიის კვლევის შედეგებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ზოგიერთი საბუნებისმეტყველო თუ ტექნიკური მეცნიერების პრობლემების კვლევისას, განსაკუთრებით პალეონტოლოგიასა და ისტორიულ გეოლოგიაში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით არქეოლოგიის მნიშვნელობა განუზომელია. სამი და ოთხი ათეული წლის წინ, ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით, რომ საქართველოს მიწა-წყალზე ადამიანის ცხოვრება და საზოგადოების ისტორია იწყება კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზეევ. სულ ახლახან გახდა ცნობილი, რომ უკვე ძვ. წელთაღრიცხვის VII—VI ათასწლეულებში ჩვენს მიწა-წყალზე ხდება დიდი მნიშვნელობის სამეურნეო ძვრები „ნეოლითური რევოლუციის სახელით რომ არის ცნობილი. V—IV ათასწლეულებში ჩნდება ე. წ. აღრე სამიწათმოქმედო კულტურა, არქეოლოგიური კვლევა-ძიებითაა ცნობილი ბრინჯაოს ეპოქის მაღალგანვითარებული კულტურა საჩხერისა და თრიალეთის ყორღანებმა რომ შემოგვინახა, ძვ. წ. II—I ათასწლეულების ბრწყინვალე კოლხური ბრინჯაოს კულტურა, ანტიკური ხანის ნაქალაქარები მცხეთაში, ვანსა თუ ურბნისში.

მომხსენებელმა ილაპარაკა არქეოლოგიის განსაკუთრებულ როლზე თანამედროვე საზოგადოებაში, XX საუკუნის მეორე ნახევარში, ადამიანის გონების, მისი გენიის ბუნებაზე ყოველდღიური გამარჯვებისა და ზეიმის ეპოქაში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თანამედროვე საზოგადოებას არქეოლოგიის საპატიო მისია აქვს დაკისრებული; დღევანდელ ადამიანს და მომავალ თაობებს დაუბრუნოს და შეუნახოს მიწის წიაღში დამალული ყველაზე დიდი განძი — ადამიანის ნაზრევი და ნახელავი.

მოხსენებით „საბჭოთა ეთნოგრაფიის ძირითადი მიღწევები", გამოვიდა პროფ. ა. რობაქიძე.

საბჭოთა ეთნოგრაფიამ წინარეოლუციური პერიოდიდან მდიდარი და რთული მემკვიდრეობა მიიღო. ამ მემკვიდრეობის ძირითად კომპონენტებს შეადგენდა ერთი მხრივ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულების მწყობრი სისტემა ეთნოგრაფიის ამოცანების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთის განაპირა ოლქებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროგრესული მოღვაწეობის ეთნოგრაფიული კონცეფციები; გარკვეული ადგილი ეჭირა აგრეთვე ევოლუციონიზმის გავლენას.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ეთნოგრაფიის წინაშე დაისახა ახალი ამოცანები, რომელთა შორის უმთავრესი იყო საბჭოთა კავშირის დიად ოჯახში შემავალ ხალხთა კულტურისა და ყოფის თვითმყოფადი ფორმების შესწავლა. ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ეს მიმართულება მიზნად ისახავდა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებისათვის ხელის შეწყობას.

მეორე სამამულო ომის შემდეგ ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიჭირა ამერიკის, აფრიკის, აზიისა და ავსტრალიის აბორიგენების კულტურისა და ყოფის შესწავლამ. ამ მიმართულების მუშაობის ძირითად შედეგს წარმოადგენს 18 წიგნისაგან შემდგარი ცამეტტომეული „Народы Мира", რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა ეთნოგრაფიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს ნაციონალური კულტურების დაახლოების გზებისა და იმ ეთნიკური პროცესების შესწავლა, რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობლიობის — საბჭოთა ხალხის — ჩამოყალიბებას. ამასთან კავშირში გაღრმავდა და გაფართოვდა კვლევა-ძიება ეთნიკური სტატისტიკისა და კარტოგრაფიის დარგში („საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიის ატლასი", „მსოფლიო ხალხთა განსახლება და რიცხობრიობა").

საბჭოთა ეთნოგრაფიის მიღწევებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული ეთნოგრაფიის მონაპოვარს მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფისა და იდეოლოგიის სფეროში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოციალური ურთიერთობის პრობლემა, რომლის შესწავლის შედეგად ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალის შუქზე საბოლოოდ იყო დაძლეული მცდარი შეხედულება კავკასიის მთიანეთში გვაროვნული წყობილების შემონახვის შესახებ XIX ს. ჩათვლით. გარდა ამისა დადგინდა კავკასიის მთიანეთში ადრეკლასობრივი საზოგადოების განვითარების გზები და მისი ხასიათი.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ათანელიშვილი მოხსენებაში „ამიერკავკასიის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის შექმნის საკითხი ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში", შეეხო ბურჟუაზიული ისტორიკოსების ყალბ თეორიებს, რომლებიც ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას წარმოსახავენ არა ობიექტური აუცილებლობით გამოწვეულ, არამედ როგორც ცალკეულ პიროვნებათა ნება-სურვილზე დამოკიდებულ მოვლენას. მომხსენებელმა გააკრიტიკა ბურჟუაზიული ისტორიკოსების ეს ყალბი შეხედულება და აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო გაერთიანება, შემდეგ ფედერაციული კავშირის შექმნა და ბოლოს ფედერაციული რესპუბლიკის ჩამოყალიბება წარმოადგენდა პარტიის პოლიტიკის მთელ სისტემას — კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის სისტემას.

ვ. ი. ლენინი იყო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ინიციატორი, მისი სულისჩამდგმელი ი. ბ. სტალინი და ს. ორჯონიკიძე პრაქტიკულად ახორციელებდნენ მას.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ყალბი შეხედულება თვით ცხოვრებამ გააქარწყლა. საბჭოთა ხალხის ნახევარსაუკუნოვანი ერთობლივი მოღვაწეობა თვალსაჩინო დადასტურებაა ლენინური ეროვნული პროგრამის და პოლიტიკის ინტერნაციონალური ბუნებისა, მისი სიცოცხლისუნარიანობისა.

ნელი ჩაფიძე

• • •

საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა მოაწყეს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ორი გამსვლელი სამეცნიერო სესია ამბროლაურში (1972 წ. 4 ივლისი) და ცაგერში — ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან ერთად (27 ოქტომბერი).

სესიებზე წაკითხული მოხსენებები შეეხებოდა სსრ კავშირის შექმნის ისტორიას, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას, ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ზოგად და კონკრეტულ საკითხებს, ლეჩხუმის არქეოლოგიურ ძეგლებს, რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურის, სოციალ-ეკონომიური სტრუქტურებისა და მიგრაციული პროცესების კონკრეტულ-სოციოლოგიური შესწავლის შედეგებს, საბჭოთა პერიოდში ცაგერის რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში მიღწეულ წარმატებებს.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, მ. ნათმელაძემ (ამბროლაური — „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ისტორიისათვის", ცაგერი — „პირველი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის წანამძღვრები") საფუძვლიანად გააანალიზა სსრ კავშირის შექმნის ობიექტური წინაპირობები, ისტორიული აუცილებლობა და ეტაპების მიხედვით წარმოვიდგინა კავშირის შექმნის რთული პროცესი.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ა. კიკვიძემ ამბროლაურში წაკითხულ მოხსენებაში „ისტორიული ცნობები რაჭის შესახებ" რაჭის მაგალითზე აჩვენა ფეოდალური საქართველოს შინაპოლიტიკური ბრძოლისა და სოციალ-ეკონომიური ცხოვრების რთული ისტორია; მეორე მოხსენებაში, რომელიც ცაგერში იყო წაკითხული, პროფ. ა. კიკვიძემ წარმოადგინა ქართული სოციალისტური ერის ჩამოყალიბების ზოგად-თეორიული და კონკრეტულ-ისტორიული ხასიათის დებულებები.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. გეგეშიძე თავის მოხსენებაში „ეთნიკური ტრადიციები და თანამედროვეობა" შეეხო ეთნიკური ტრადიციის ცნების შინაგან ბუნებას, ტრადიციის სისტემური შესწავლის აუცილებლობას, მისი რაციონალური, პროგრესული მხარეების უკეთ გამოსავლინებლად. ეს უკავშირდება ეთნიკური კულტურის თვალსაჩინო მონაპოვრების შენარჩუნებისა და განვითარების არსებით საკითხებს. მოხსენება წაკითხული იყო ამბროლაურში. მ. გეგეშიძის მეორე მოხსენებაში „ეროვნული კულტურის განვითარების პრინციპები მოძმე ხალხთა დაახლოების პროცესში" (ცაგერი) გაშუქებული

სოციალისტურ საზოგადოებაში კულტურის განვითარების მთავარი პრინციპები, ეროვნული კულტურის განვითარება, რომელიც ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტურია, ამავე დროს ეროვნული კულტურების დახლოება და ურთიერთგამდიდრება, რაც შეჯებული ნებაყოფლობისა და ტოლფასოვანი ურთიერთპატივისცემის საფუძველზე მიმდინარეობს.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ფრუძემ მოხსენებებში „მეევნახეობა-მეღვინეობის ხალხური კულტურა რაჭა-ლეჩხუმში" (ამბროლაური) და „მეევნახეობა-მეღვინეობის ხალხური საწარმოო ტრადიციების თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა და მათი შესწავლის ამოცანები" (რაჭა-ლეჩხუმის მაგალითზე) (ცაგერი) მსმენელებს გააცნო მის მიერ მოპოვებული ახალი ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე მიღებული საყურადღებო შედეგები; ავტორის აზრით, ქართული ხალხური ტრადიციული მეევნახეობა-მეღვინეობის მაღალი დონე დაქვეითდა და გაჭრობის საშიშროება ელის. სოციალისტური წესით სოფლის მეურნეობის გაძღოლის დროს ყველა წინაპირობა არსებობს, რომ თავიდან იქნას აცილებული ასეთი საფრთხე; მხოლოდ საჭიროა სათანადო ორგანიზაციული ფორმების გამოძებნა. საამისოდ ავტორმა წარმოადგინა კონკრეტული რეკომენდაციები.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა ე. ქვათაძემ თავის ორივე მოხსენებაში: „მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურა ამბროლაურის, ონისა და ცაგერის რაიონებში" (ამბროლაური) და „მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და დასაქმების სტრუქტურის ლოკალური თავისებურებანი ცაგერის, ამბროლაურისა და ონის რაიონებში" (ცაგერი) კონკრეტულ-სოციოლოგიური მიდგომით მოპოვებული მასალების საფუძველზე გააშუქა რეგიონალური სოციალ-ეკონომიური პროცესები და წარმოადგინა მოსაზრებები და რეკომენდაციები ამ რეგიონებში მშრომელი მოსახლეობის დასაქმების რაციონალიზაციისათვის.

მეცნიერი თანამშრომელი ა. კაცაძე მოხსენებებში „მოსახლეობის თანამედროვე მიგრაციის ფორმები და სოციალური მოტივები რაჭა-ლეჩხუმში" (წაკითხულია ამბროლაურში) და „ცაგერის, ამბროლაურისა და ონის რაიონების მოსახლეობის თანამედროვე მიგრაციული პროცესების კონკრეტულ-სოციოლოგიური შესწავლა" (ცაგერი) შეეხო აღნიშნულ გარემოში მოსახლეობის მიგრაციის კვლევის შედეგებს, რამაც გამოავლინა მიგრაციული პროცესების არსებითი მახასიათებლები, ამ პროცესების მიზეზები და შედეგები, ფორმები, მიმართულებები, აგრეთვე მიგრანტთა სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურა. მომხსენებელმა დაასაბუთა სოციალისტურ საზოგადოებაში მიგრაციის ზოგადი და რეგიონალური სოციოლოგიური კონცეფციის შემუშავების აუცილებლობა.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. ბერაძემ მოხსენებაში „ვახუშტი ბაგრატიონი რაჭის შესახებ" (წაკითხულია ამბროლაურში), წარმოადგინა ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში შესული რაჭის მდიდარი ტოპონიმიკური მასალა და ამასთან დაკავშირებით წამოაყენა ზოგიერთი მოსაზრება საჭირო გეოგრაფიული კორექტივების შესახებ.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ბრეგაძე მოხსენებაში „ხალხური ტრადიციების მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები" (ცაგერი) კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე ახკვნის, რომ ცალკეული სარიტუალო ხასიათის ტრადიციები შეიცავენ რაციონალურ მხარეებს, რასაც პრაქტიკული და მეცნიერული ღირებულება აქვს.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. სახაროვამ მოხსენებაში „ლეჩხუმის არქეოლოგიური მასალები" (წაკითხულია ცაგერში) მიმოიხილა ლეჩხუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნეოლითური, ბრინჯაოს და ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, რომელიც უკავშირდება ადგილობრივ მეტალურგიული წარმოების კერების არსებობას და ასახავს სამეწათმოქმედო-სამეურნეო კულტურის მაღალ დონეს.

ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი დ. კოპალიანი მოხსენებაში „ქართველი ხალხის საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან მეგობრობის ისტორიიდან" შეეხო ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის ისტორიის ზოგიერთ საინტერესო ეპიზოდს, აგრეთვე, ცაგერის რაიონის მკვიდრთა პირადი და საზოგადოებრივი ხასიათის ურთიერთობას უკრაინელებთან სამამულო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში.

ცაგერის რაიონის მთავარმა ექიმმა ვ. გოლეთიანმა მოხსენებაში „სამედიცინო სამსახურის განვითარება ცაგერის რაიონში საბჭოთა ხელისუფლების წლებში" ციფრობრივი და ფაქტობრივი მონაცემების შედარების შუქზე ნათლად წარმოსახა ის მნიშვნელოვანი ძვრები, რაც მოხდა საბჭოთა საქართველოს არსებობის მანძილზე ცაგერის რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

ორივე სესიამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა, რამაც კიდევ ერთხელ ნათელი გახადა მეცნიერული მუშაობის ამგვარი ფორმების გაფართოების საჭიროება.

აკაკი კაცაძე

* * *

1972 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში შედგა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა. იგი მოკლედ შეეხო ჩვენი ქვეყნის მიღწევებს ამ 50 წლის განმავლობაში და ხაზი გაუსვა აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებას საქართველოში. მან ილაპარაკა იმ დიდ მიღწევებზე, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ქართველ მეცნიერებს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. აკადემიკოსმა გ. წერეთელმა აღნიშნა, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე მუშავდება მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის, ენის, ლიტერატურისა და კულტურის შესწავლის დარგში.

ინსტიტუტის დირექტორი სიტყვას აძლევს უფროს მეცნიერ თანამშრომელს, დოცენტ შოთა კურდღელაშვილს, რომელმაც თავის მოხსენებაში — „ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაგალითზე“ — გააშუქა ის დიდი სოციალ-ეკონომიური გარდაქმნები, რომელიც საქართველოში მოხდა სსრ კავშირის შექმნის შემდეგ განვლილი 50 წლის მანძილზე. მან კონკრეტული მაგალითების მოშველიებით უჩვენა, რომ მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ და სსრ კავშირის ჩამოყალიბებამ შექმნეს ობიექტური პირობები ჩვენს ქვეყანაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის. სსრ კავშირის მრავალეროვან ხალხთა მეგობრობამ ძმურმა ურთიერთდახმარებამ, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისა და დიდი სამამულო ომის წლებში, შესაძლებლობა მისცა საქართველოს მუშათა კლასს, გლეხობას და ინტელიგენციას მოკლე ისტორიულ მონაკვეთში აეღორძინებინათ მემკვიდრეობით მიღებული ჩამორჩენილი მეურნეობა, რის შედეგადაც ამჟამად საბჭოთა საქართველოს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა და მეცნიერება ერთ-ერთი მოწინავეთაგანია საბჭოთა კავშირში.

შემდეგი მოხსენება მიეძღვნა „ავღანეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა“-ს. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ზურაბ შარაშენიძემ აღნიშნა, რომ პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნამ რუსეთში უდიდესი ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ, ავღანეთში.

ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლამ ავღანეთის სუვერენული სახელმწიფოს აღდგენისათვის განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 1918 წელს, რაც განპირობებული იყო საერთაშორისო მდგომარეობით და ქვეყნის შიგნით შექმნილი ვითარებით.

ავღანელი ხალხის აქტიური ბრძოლისადმი ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერის შედეგად ქვეყნიდან გაძევებულ იქნა ინგლისელი კოლონიზატორები და ავღანეთს გაუხსნა ფართო გზა დამოუკიდებელი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის.

ინსტიტუტის მახლობელი აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგემ ოთარ გიგინეიშვილმა მოხსენებაში — „საბჭოთა რუსეთის და თურქეთის ურთიერთობა 1919—1921 წლებში“ — ახალი საარქივო მასალის საფუძველზე გააშუქა ამ ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემები, ხაზი გაუსვა ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს მნიშვნელობას და მის ადგილს ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში. მან ილაპარაკა თურქეთში არსებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე და იქ პროგრესული ძალების გამარჯვების შესახებ, რამაც უაღრესად დიდი როლი შეასრულა საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობაში.

ზურაბ შარაშენიძე

* * *

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წელთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულების თანახმად აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა მ/წელს განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები.

მ/წლის 24 მარტს ჩოხატაურში მოეწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი. „სსრკ შექმნის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა“ — ასეთი იყო სესიის მთავარი თემა, რომელზედაც მოხსენება გააკეთა საქართველოს

სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა დოც. ნ. ჩერქეზიშვილმა. მუზეუმის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა დ. ცინცაძემ მსმენელებს გააცნო „ჩოხატაურის რაიონის სოციალ-ეკონომიური განვითარება XIX საუკუნეში“. ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ზ. მეგრელიძის მოხსენება ეხებოდა გურიის სასალხო ლაშქრის მონაწილეობას 1877 წლის ბათუმის განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

23—25 მაისს ჩატარდა XX სამეცნიერო სესია, რომელიც ასევე მიეძღვნა საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. მოხსენებები წაიკითხეს მეცნიერმა თანამშრომლებმა: დ. ოჩიაურმა (ახალი მასალები საქართველოს ფლორისათვის), გ. ნემსაძემ (ავჭალის ვერცხლის თასი), ი. გაგოშიძემ (ძვ. წ. VI—II სს. აღმოსავლურ ქართული კერამიკის შესახებ), მ. სინაურიძემ (ბოლნისის რაიონის არქეოლოგიური ძეგლები), მ. ცისკარიშვილმა (ზარები ძველ საქართველოში), მ. ზამთარაძემ (ნასახლარი ნოსტე — გიორგი საკაძის რეზიდენცია), გ. ჯალაბაძემ (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ექსპედიციები 50 წლის მანძილზე), ა. სოხაძემ („ცხოველი“ ძელისა და წმ. გიორგის კულტის ურთიერთობის საკითხისათვის), თ. ბერიძემ (თაბორის ციხე, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან), ლ. გერიტიშვილმა (ხელოსნური წარმოების საკითხისათვის XI—XIII სს. ქართულ მონასტრებში), დ. აბჟანდაძემ (ქსოვილთა ორნამენტი XV—XVIII სს. საქართველოში), თ. კერესელიძემ (ძელისა და რქის დამუშავება ძველ საქართველოში) და სხვებმა.

საინტერესო მოხსენება წაიკითხა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ლ. ჭილაშვილმა — „ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში“, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ხუციშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ძველი ქართული რელიგიური დღესასწაულები და აჩვენა მუზეუმის მიერ რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის თემებზე გადაღებული რამდენიმე ფილმი.

სსრკ შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა განახორციელა საბჭოთა საქართველოს მატერიალური კულტურის ამსახველი გამოფენის რეექსპოზიცია. ახალი გამოფენები ასახავს ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიას დღემდე. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის ნახევარსაუკუნოვანი განვითარების ისტორიას.

რეექსპოზიცია ჩატარდა აგრეთვე ეთნოგრაფიული გამოფენის III დარბაზში, სადაც დაიდგა 7 ახალი, დიდი ზომის ეიტრინა, რომლებშიც განლაგდა ნივთიერი ეთნოგრაფიული მასალა თემების მიხედვით. ფერებისა და ფარებზე განლაგების თაეისებურებათა გამოყენებით, მნახველთათვის უკეთესი აღქმის თვალსაზრისით. რესტაურირებულ იქნა ძლიერ დაზიანებული ზეთსახდელი (გელაზი). რეექსპოზიციამ გამოფენა გადაახალისა და დარბაზი განტეირთა ზედმეტი ინვენტარისაგან.

გაიოზ ჯავახიშვილი

МАЦНЕ
Серия истории, археологии, этнографии и истории искусства, 1972, № 4

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
А д р е с р е д а к ц и и: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.XII.72; შეკვ. № 2140; ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 17,5; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,86; უე 01196; ტირაჟი 1500.

ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19.

*

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19